

**ჰენრი კუბრაშვილი**

**ეროვნული უშიშროების  
სისტემური ინფორმაციული  
უზრუნველყოფა**

სახელმძღვანელო



«ტექნიკური უნივერსიტეტი»

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ჰენრი კუპრაშვილი

# ეროვნული უშიშროების სისტემური ინფორმაციული უზრუნველყოფა

სახელმძღვანელო



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ლოგო

რეკომენდებულია სტუ-ს  
სარედაქციო-საგ სამომცემლო საბჭოს  
მიერ 09.03.2012. ოქმი №1

თბილისი  
2012

სახელმწიფოს აღმშენებლობის პროცესში, ქვეყნის წინაშე ყოველთვის დგას ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის სისტემისა და მისი მართვის სრულყოფის ამოცანა. წინამდებარე წიგნში თანმიმდევრულად არის წარმოდგენილი ეროვნული უშიშროების სისტემური ინფორმაციული უზრუნველყოფის პრობლემები ინფორმაციულ ეპოქაში. გაანალიზებულია ეროვნული უშიშროების საინფორმაციო-ანალიტიკური და ტექნოლოგიური უზრუნველყოფის თეორიული ასპექტები. ანხილულია საინფორმაციო ანალიზირებისა და პროგნოზირების ტექნოლოგიებისა და ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის ერთიანი საინფორმაციო სისტემის პრაქტიკაში განხორციელების ასპექტები. სახელმძღვანელო პოლიტოლოგიის პრობლემებთან ერთად მოიცავს მართვის საინფორმაციო სისტემების საკითხებსაც, გამოვლენილია პოლიტიკური და ტექნიკური მეცნიერებების შეხების წერტილები, რაც მნიშვნელოვნად პასუხობს ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის პროფილის მოთხოვნებს. სახელმძღვანელო სასარგებლო იქნება როგორც ბიზნეს ინჟინერინგის ფაკულტეტის, ისე მართვის საინფორმაციო სისტემების სპეციალობის სტუდენტებისათვის.

### **System Information the Provision of National Security**

In the represented article there are discussed issues related to informational- analytical provision of State National Security. There are presented the main principles, related to organization of unified informational space and its automaton, aimed at solution of issues and problems related to national security. In the article there is also presented the system for different institution management, and general scheme of national security unified automation system, which is based on the above mentioned system.

### **Системное информационное обеспечение национальной безопасности**

Обсуждены вопросы информационно-аналитического обеспечения национальной безопасности государства. Представлены основные принципы организации единого информационного пространства и его автоматизации для решения вопросов и проблем, связанных с национальной безопасностью. Дана система управления соответствующих служб и общая схема единой автоматизированной системы безопасности, построенная на её базе.

**სამეცნიერო რედაქტორები:**

**ჯემალ გახოკიძე**  
სრული პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი

**იგორ კვესელავა**  
სრული პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

**ოთარ შონია**  
სრული პროფესორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი

**რეცენზენტები:**

**კორნელი ოდიშარია**  
ასოცირებული პროფესორი ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი

**ქეთი ჯიჯგიშვილი**  
ასოცირებული პროფესორი, პოლიტიკის აკადემიური დოქტორი

**სარჩევი**

**შესავალი**.....4

**პირველი თავი. ახალი ერა კაცობრიობის განვითარების ისტორიაში**.....7

1.1. ინფორმაციის შექმნებითი ასპექტები.....7

1.2. ინფორმაციული ერა.....14

1.3. ცოდნის მართვის ინფრასტრუქტურა..... 21

**მეორე თავი. პოლიტიკური პროცესის რეალიზაციისა და სახელმწიფო მმართველობის ინფორმაციული ასპექტები**.....27

2.1. პოლიტიკური კომუნიკაცია – პოლიტიკის რეალიზაციის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი.....27

2.2. სახელმწიფოს მართვის სისტემის ინფორმაციული უზრუნველყოფის მიმართულებები.....33

**მესამე თავი. ეროვნული უშიშროება: პრობლემური სიტუაცია და კრიტიციზმი**.....41

3.1. ეროვნული უშიშროების ცნება, პრობლემური სიტუაციის დახასიათება.....41

3.2. ეროვნული უშიშროების კრიტიციზმი: პრობლემური ასპექტები და ზოგადი თეორიული საფუძველი.....48

3.3. მდგომარეობა ეროვნული უშიშროების ძირითად კომპონენტებში კრიტიციზმის შესწავლის თვალსაზრისით.....51

3.4. საქართველოს ეროვნული უშიშროების კონცეფცია.....59

**მეოთხე თავი. გამოწვევები საინფორმაციო სფეროში**.....66

4.1. ინფორმაციული ასპექტების გადამწყვეტი მნიშვნელობა ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფაში.....66

4.2. ინფორმაციული ომების თავისებურებანი.....74

4.3. საქართველოს ინფორმაციული უშიშროების უზრუნველყოფის ამოცანები.....92

**მეხუთე თავი. პოლიტიკის საინფორმაციო-ანალიტიკური და ტექნოლოგიური უზრუნველყოფის სპეციფიკა**.....103

5.1. სახელმწიფო საინფორმაციო პოლიტიკის არსი, სტრუქტურა და რეალიზაციის პრინციპები.....103

5.2. სახელმწიფო საინფორმაციო პოლიტიკის სისტემური უზრუნველყოფის ძირითადი პარამეტრები .....115

**მეექვსე თავი. ეროვნული უშიშროების საინფორმაციო-ანალიტიკური უზრუნველყოფის საინფორმაციო სისტემა**.....127

6.1. ეროვნული უშიშროების საინფორმაციო-ანალიტიკური და ტექნოლოგიური უზრუნველყოფის თეორიული ასპექტები.....127

6.2. საინფორმაციო ანალიზირებისა და პროგნოზირების ტექნოლოგიებისა და საინფორმაციო სისტემების პრაქტიკაში განხორციელების ზოგიერთი ასპექტი.....166

6.3. ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის ფუნქციური ანატომია.....175

**დასკვნა** .....180

**გამოყენებული ლიტერატურის სია**.....180

## შესავალი

თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობენ ადამიანის, საზოგადოების, სახელმწიფოს ცხოველმქმედების, საქმიანობის, ფუნქციონირების ყველა სფეროში. ინფორმაციულ საზოგადოებაში სისტემური ანალიზის გარეშე წარმოდგენელია სახელმწიფოებრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური საკითხის სათანადო დონეზე გადაჭრა. ეს ფაქტორი განსაკუთრებით დიდ დატვირთვას ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფაში იძენს, რადგანაც ინფორმაციულ ეპოქაში ცალსახად გამოიკვეთა ინფორმაციული ასპექტების გადამწყვეტი როლი ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფაში. ამ მიმართულებით საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებასა და მის ინფორმაციულ უზრუნველყოფაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია თანამედროვე ინფორმაციულ სისტემებს.

სახელმწიფოს მართვაში, მისი ინტერესების დაცვასა და ეროვნული უშიშროებისათვის თუ რა მნიშვნელობა აქვს ინფორმაციული უზრუნველყოფის პრობლემას, ამას მოწმობს, მაგალითად, საქართველოსთან დაკავშირებული ორი „ფრანგული“ ფაქტი.

1700 წელს ლუი XIV-ემ, როდესაც მისმა აღმოსავლურმა პოლიტიკამ მოითხოვა, თავისთან იხმო ცნობილი ბოტანიკოსი ჟოზეფ ტურნეფორი და გაუშვა სამეცნიერო ექსპედიციაში საბერძნეთში, აზიასა (მათ შორის საქართველოში) და აფრიკაში. ამ ძვირადღირებული მოგზაურობის მთელი ხარჯი სახელმწიფომ აიღო თავისთავზე. მცენარეების შესწავლა-შეგროვების პარალელურად, მეფის უშუალო დავალებით მეცნიერს უნდა შეესწავლა და დეტალური ინფორმაცია წარედგინა არჩეული ქვეყნების პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და სამხედრო მდგომარეობის შესახებ.

აქედან გამომდინარე, არცაა გასაკვირი, რომ იმ დროს ფრანგი პოლიტიკოსები (რომლებიც სხვადასხვა წყაროდან დეტალურ ინფორმაციას ფლობდნენ საქართველოს შესახებ) უკეთესად ხედავდნენ და აფასებდნენ პოლიტიკურ მოვლენებს, ვიდრე „უშედეგო“ ქართველი პოლიტიკოსები, მათ შორის, ვახტანგ VI და სულხან-საბა ორბელიანი (რაც სამშობლოს ტრაგიკული ბედით შეწუხებული ამ მოღვაწის ამაგს ქვეყნის წინაშე, რა თქმა უნდა, არ აუფერულებს). რომელიც 1714 წლის აპრილში წარდგა ლუი XIV წინაშე. იგი კურორტულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ეს გამოწვეული იყო პოლიტიკური მართვის პროცესში ინფორმაციის მნიშვნელობის გაუცნობიერებლობით და მისადმი ზერელე დამოკიდებულებით, შესაბამისად ჩვენი ჩაუხედაობით საერთაშორისო პოლიტიკურ და დიპლომატიურ პროცესებში (დაქსაქსულ ქართულ სამეფო-სამთავროებში დაკარგული იყო დავითისა და თამარის დრონდელი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური და დიპლომატიური ტრადიცია და გამოცდილება). ფიასკო განიცადა ჩვენმა ევროპულმა დიპლომატიამ, მივიღეთ შესაბამისი უარყოფითი პოლიტიკური შედეგიც: იმ დროს, კარსმომდგარი თურქული

აგრესიით შემფოთებული ევროპა საკუთარი პრობლემების მოგვარების გზებს ეძებდა. ამისთვის ირანი აირჩია სტრატეგიულ მოკავშირედ და მას გამაღებით აძლიერებდა, რათა თურქეთისთვის დაეპირისპირებინა და ევროპისათვის საშინელი თურქული საფრთხე აეცილებინა. სწორედ ამ დროს, ემოციებით დამუხტული ჩვენი ელჩობა (სულხან-საბა ორბელიანის...) ლუი XIV-ს, სრულიად საპირისპიროს - ირანის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებას თხოვდა... ირანის, რომელსაც ევროპა თავის მაშველ რგოლად აღიქვამდა.

საფრანგეთის ისტორია მოწმობს, რომ ფრანგი პოლიტიკოსები კარგად ერკვევიან ინფორმაციის ფასში და მის მოსაპოვებლად სახსრებსაც არ იშურებენ. ამ თვალსაზრისით, ქართველები, ზემოთ მოტანილი ფაქტიდან 300 წლის შემდეგაც მოიკოჭლებენ.

ინტერესმოკლებული არ იქნება ჩვენი უახლოესი წარსულიდან ერთი ეპიზოდის გახსენება. 1996-1998 წლებში საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს საინფორმაციო-ანალიტიკურ სამსახურში შეიქმნა პოლიტომეტრიკული მეთოდის გამოყენებით ინტელექტუალური კომპიუტერული პროგრამა "აისი". მისი შექმნის პროცესში საჭირო გახდა ერთ-ერთი რეგიონის შესახებ გარკვეულ პარამეტრებში ინფორმაციის მოპოვება. მოხდა წარმოდგენელი რამ, ეს არასაიდუმლო, მაგრამ სახელმწიფოს მართვის პროცესისათვის აუცილებელი ინფორმაცია არ აღმოჩნდა ეროვნული უშიშროების საბჭოს შესაბამის განყოფილებებში, არც სახელმწიფო კანცელარიის რეგიონალურ სამსახურში და არც დარგობრივ (განათლების, ეკონომიკის, კულტურის და სხვ.) განყოფილებებში (არადა ეს ინფორმაცია აუცილებლად უნდა ყოფილიყო ამ სტრუქტურებში). უფრო უარესი, არ აღმოჩნდა, არც გუბერნატორის აპარატში. ბოლოს ინფორმაცია არასრული სახით მოვიპოვეთ გუბერნატორის აპარატის ტექნიკურ მუშაკებთან უშუალოდ ურთიერთობის შედეგად.

მაგრამ საოცრება ის იყო, რომ სრულყოფილი ინფორმაცია რაოდენობრივი და ხარისხობრივი თვალსაზრისით აღმოვაჩინეთ ფრანგების მიერ 90-იან წლებში გაკეთებულ კავკასიის გეოინფორმაციულ ატლასში (ჩვენი დიდი ძალისხმევის შემდეგ ეს პროგრამა ეროვნული უშიშროების საბჭომაც შეიძინა). დიას, ფრანგებმა მნიშვნელოვანი თანხები გაიღეს იმისათვის, რომ იმ "მშფოთვარე" პერიოდში შეეკრიბათ ინფორმაცია (მუდმივად შევსებადი) და შეექმნათ კავკასიის გეოინფორმაციული ატლასი. დღეს, დაინტერესებული ფრანგი (პოლიტიკოსი, სამხედრო, უშიშროების სპეციალისტი, ბიზნესმენი და სხვ.) კომპიუტერიდან უპრობლემოდ, ოპერატიულად (წვალებისა და დროის დაკარგვის გარეშე) მიიღებს კავკასიის, მათ შორის საქართველოს ნებისმიერი რაიონის (!) შესახებ მისთვის სასურველ ზუსტ და უახლეს ინფორმაციას (მოსახლეობა, ეროვნება, ნათესები, საქონლის სულადობა, მდინარეები, უღელტეხილები, გზები, ქალაქები და სხვ. - სულ 68 პარამეტრი). პროგრამა საშუალებას იძლევა საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე დაემატოს ახალი პარამეტრები. ამასთან, შეიძლება ახალი რუკების შედგენა ან ბაზაში არსებული ნებისმიერი ინფორმაციის ცხრილებისა და გრაფიკული გამოსახულების რუკების სახით ამობეჭდვა, მაგალითად, რომელიმე რეგიონში მოულოდნელად შექნილი კრიზისულ თუ ოპერატიულ ვითარებასთან დაკავშირებით.

იმ პერიოდის საქართველოში ასეთ ამომწურავი და ზუსტი ინფორმაციის მოპოვება მთავარი საჯარო თანამდებობის პირთათვისაც კი ძალიან ძნელი მისაღწევი იყო. მაშინ როდესაც საქართველოში დაინტერესებულ ზოგიერთ ქვეყანაში გაცილებით უფრო მეტ ინფორმაციას ფლობდნენ ჩვენი ქვეყნის შესახებ.

საქართველოში დავით აღმაშენებლის შემდეგ ინფორმაცია დიდი პოლიტიკის რანგში არაფერს აუყვანია. იგი ამისთვის არც ხარჯებს ერიდებოდა (მაგალითად, საათივით აწყობილი მსტოვრის ინსტიტუტი), სწორედ ამ დიდი მეფის გონივრული პოლიტიკით, მის მიერ ჩაყრილ საძირკველზე აღმოცენდა დიდი და ძლიერი საქართველო.

## პირველი თავი

### ახალი ერა კაცობრიობის ბანკოთარების ისტორიაში

#### 1.1. ინფორმაციის შემეცნებითი ასპექტები

*”ინფორმაცია, ინფორმაციაა და არა მატერია ან ენერჯია”  
”ნამდვილი ინფორმაციის გაზომვა შეუძლებელია”  
ნორბერტ ვინერი*

ცნობილია, რომ ლათინური სიტყვა ინფორმაცია (informatio – გაცნობა, გადაცემა, ცნობა, შეტყობინება), როგორც სამეცნიერო ტერმინი, ბრუნვაში კიბერნეტიკის განვითარებასთან ერთად შემოვიდა XX საუკუნის მეორე ნახევრიდან. სწორედ ამ პერიოდიდან ვლინდება მეცნიერთა მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება ინფორმაციის ფენომენისადმი. მან ზოგადმეცნიერული კატეგორიის სტატუსი მალე მიიღო და პოვა გამოყენება არამარტო კიბერნეტიკაში, არამედ საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ მეცნიერებებშიც. მიუხედავად ამისა, ის კვლავ რჩება მეცნიერების ჯერ კიდევ ბოლომდე გამოურკვეველ, შინაარსის მრავალწახნაგოვანებით გამორჩეულ ფუნდამენტურ ცნებად. დღემდე გრძელდება ინფორმაციის ცნების ზოგადი თვისებებისა და კანონზომიერებების ძიება, მისი მნიშვნელობისა და არსის ახსნის მცდელობები.

ინფორმაციის ფენომენი, რომ მარტივ ახსნას არ ექვემდებარება, არც არის გასაკვირი. ცნობილია, რომ სამყარო წარმოადგენს გარკვეულ სისტემას, ანუ ერთმანეთთან დაკავშირებული ელემენტების სისტემას. თავის მხრივ, ეს სისტემა მოიცავს მრავალ ტრილიონობით გალაქტიკას, მათ შორის არის ჩვენი პატარა, ირმის ნახტომის გალაქტიკა,<sup>1</sup> ასევე, ჩვენი ერთი ბეწო მზის სისტემა, დედამიწა და ადამიანიც (შეუძლებელია მასშტაბების წარმოდგენაც). ცხადია, რომ ადამიანს, როგორც სისტემის ყოვლად წარმოუდგენელ მცირე ნაწილაკს, შეუძლია სისტემის შესახებ ინფორმაციის მიღება და მისი შესწავლა მხოლოდ სისტემის შიგნიდან, ანუ მხოლოდ იმ განაპირამდე, სადამდეც ხელი (გონება) მიუწვდება. შესაბამისად, ადამიანებს ძალუძთ მოიპოვონ ინფორმაცია და ჩასწვდნენ სამყაროს თვისებების მხოლოდ რაღაცა ნაწილს. რა დონეზეც უნდა განვაითაროთ მეცნიერება ჩვენთვის შიგნიდან იქნება ხელმისაწვდომი და შეგვეძლება სამყაროს შესახებ მხოლოდ მცირე (ისიც სუბიექტური) ინფორმაციის მოპოვება, ანუ ჩვენ გვექნება მონაცემები უსასრულო სიმრავლიდან მხოლოდ რაღაცა ნაწილაკის შესახებ.

ამავე მიზეზით, გასაგებია, რომ ადამიანისათვის მიუღწევადია აბსოლუტური ინფორმაცია, რომელიც მიღწევადი შეიძლება იყოს მხოლოდ აბსოლუტური დამკვირებლისთვის

<sup>1</sup> სხვათა შორის, ირმის ნახტომის გალაქტიკა სიდიდით არ გამოირჩევა, მასში 400 მილიარდამდე ვარსკვლავია და მისი დიამეტრი 100 ათასი სინათლის წელია, ხოლო სისქე – 3 ათასი სინათლის წელი. არსებობენ გალაქტიკები, რომლებიც რამდენიმე ტრილიონი ვარსკვლავისგან შეგება.



(სამყაროს შემოქმედისთვის...). ასევე, არ შეიძლება ლაპარაკი აბსოლუტურ ცოდნაზე, რადგანაც ის გააჩნია მხოლოდ აბსოლუტურ დამკვირვებელს. ჩვენ სინამდვილეში, უბრალოდ, მეცნიერების განვითარებასთან ერთად ხდება ადამიანების მიერ ცდისეული ცოდნისთვის ხელმისაწვდომი საზღვრების გაფართოება. როგორც ზემოთ აღინიშნა, ნებისმიერი მატერია (ობიექტი, სხეული), ნეიტრონის სუბატომური ნაწილაკიდან დაწყებული და დამთავრებული მთლიანად მეტასამყაროთი წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებული ქვესისტემების სისტემას. უწყვეტი მოძრაობის შედეგად (სივრცეში გადაადგილება, ურთიერთშემოქმედება და დროში განვითარება) იცვლება მატერიის მდგომარეობა. მატერიის სისტემის (მისი ყველა ქვესისტემის) მდგომარეობათა სიმრავლე წარმოადგენს თავისთავად ინფორმაციას სიტემის შესახებ. სტრუქტურულობის თვისების განუსაზღვრელობისა და უსასრულობის ძალით, ნებისმიერ მატერიალურ სხეულში ამ თავისთავადი ინფორმაციის რაოდენობა უსასრულოა. შესაბამისად, ჩვენ წინ და ირგვლივ – შეუცნობელი სამყაროსა და აბსოლუტური ინფორმაციის ხელმიუწვდომლობის უსასრულობაა.<sup>2</sup>

აქედან გამომდინარე, ფართო გაგებით, ინფორმაცია, მატერიის როგორც საერთო თვისება, ადამიანის ნებისა და ცნობიერებისგან დამოუკიდებლად არსებობს სამყაროში. ეს არის თავისთავადი (პირველადი, ნამდვილი, რეალური, ობიექტური, საწყისი) ინფორმაცია, როგორც მატერიის, სხვადასხვა ფორმის (სტრუქტურის, მორფოლოგიის) ნივთიერი სხეულების მრავალფეროვნებაში გარდაქმნის თვისება, რომელიც ურთიერთქმედების საშუალებით გადაიცემა და აღიბეჭდება მათ აგებულებასა და წყობაში. XX საუკუნის უდიდესი მეცნიერი *ნორბერტ ვიენერი* (Norbert Wiener, 1894 – 1964) გულისხმობდა ალბათ ამ ინფორმაციას, როდესაც ამბობდა, რომ ნამდვილი ინფორმაციის გაზომვა შეუძლებელია.

თავისთავადი ინფორმაციისგან უნდა განვასხვავოთ ინფორმაცია ვიწრო გაგებით, ადამიანის ცნობიერებასთან დაკავშირებული ინფორმაცია, ანუ მატერიალური სამყაროს ობიექტებისა და პროცესების შესახებ თავისთავადი ინფორმაციის აზრობრივი შინაარსი, რომელიც ფორმირებულია ადამიანის სუბიექტური ცნობიერებით. რეალური გარემოს აღქმის თვალსაზრისით, ფაქტია, რომ ადამიანის გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობანი შეზღუდულია და რეალობას იგი აღიქვამს (აირეკლავს) სუბიექტურად, ანუ იმ შეზღუდული შესაძლებლობის ფარგლებში, რისი საშუალებაც მას მიანიჭა ბუნებამ. საილუსტრაციოდ მხედველობის ორგანოც გამოდგება, რომელიც სრულყოფილი არ არის და ფერის მხოლოდ რაღაც გარკვეულ, შეზღუდულ სპექტრს აღიქვამს. ამ დროს სპეციალისტები თვლიან, რომ გარესამყაროს შესახებ მთელი ინფორმაციის 90%-ზე მეტს ადამიანი იღებს

<sup>2</sup> მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ შედარებითი ცოდნის ჩარჩოებშიც კი ჩვენ უნდა ვიცხოვროთ და ვიმოქმედოთ. არ შეიძლება, რომ აქ არ გავისხენოთ პოეტ ნიკოლოზ ბარათაშვილის ცნობილი ლექსი „ფიქრნი მტკერის პირზედ“ (1837), რომელშიც პოეტი სიღრმისეულად ხატავს ადამიანისა და სამყაროს ურთიერთკავშირის ფილოსოფიურ სურათს და ლექსს ამთავრებს გენიალური სტრიქონებით: „მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან – შეილნი სოფლისა, უნდა კიდევცა მივდიოთ მას, გვესმას მშობლისა. არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკედარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს“.

სწორედ ამ შეზღუდული მხედველობის დახმარებით, რომელიც, თავის მხრივ, დამოკიდებულია მზის (ან ხელოვნურ) სინათლის არსებობაზე.

ამჯერად ჩვენი ინტერესის საგანი არის სწორედ ეს მეორადი, ვიწრო გაგებით "ადამიანური" ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ლოგიკურ აზროვნებასთან (ჩვენს პლანეტაზე სინამდვილის ასახვის უმაღლეს კატეგორიასთან) და გამოიყენება საზოგადოებაში (განვითარების ყველაზე მაღალ ფორმაში დედამიწაზე), ანუ ინფორმაცია გარემო სამყაროსა და მასში მიმდინარე პროცესების შესახებ, რომელიც აღიქმება ადამიანის ან მასთან დაკავშირებული სპეციალური მოწყობილობის მიერ. **ტექსტში შემდგომ ტერმინი "ინფორმაცია" გამოყენებული იქნება მხოლოდ ამ კონტექსტში.**

მკვლევრებს შორის ინფორმაციის ბუნების, მისი არსის და განსაზღვრების შესახებ ჩამოყალიბდა სრულიად განსხვავებული და ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავი შეხედულებები და წარმოდგენები, რაც ასახულია ამ მნიშვნელოვანი პრობლემის კვლევისადმი მიძღვნილ სამეცნიერო ლიტერატურაში [1].

ცხადია ერთი რამ, ინფორმაციის ცნების განსაზღვრებისადმი მიდგომა ჯერჯერობით მაინც ინტუიციურ ხასიათს ატარებს და, შესაბამისად, როგორც აღინიშნა, ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა დარგებიდან იღებს განსხვავებულ აზრობრივ შევსებას:

1. ჩვეულებრივ ყოფაში ინფორმაციას ეძახიან ნებისმიერ მონაცემს, ცნობას, ცოდნას, რომელიც ვიღაცას აინტერესებს. მაგალითად, შეტყობინება რაღაც მოვლენის შესახებ ან ვიღაცის საქმიანობის შესახებ და სხვ.;
2. ტექნიკაში ინფორმაციად ითვლება (იგულისხმება) შეტყობინებები, რომლებიც გადაიცემა ნიშნების ან სიგნალების ფორმით (ამ შემთხვევაში არსებობს კავშირის არხი, შეტყობინების წყარო, შეტყობინების მიმღები);
3. კიბერნეტიკაში ინფორმაციად მოიაზრება ცოდნის ის ნაწილი, რომელიც გამოიყენება მართვისათვის, ორიენტირებისა და აქტიური მოქმედებისათვის, ანუ სისტემის შენარჩუნების, სრულყოფის, განვითარების მიზნით და სხვ.

მარტივი და ზოგადი განმარტებით, შეიძლება ითქვას, რომ **ინფორმაცია არის მატერიის (საგნის) და პროცესის ასახვის ფორმა, ანუ სამყაროსა და მასში არსებული საგნებისა და მიმდინარე პროცესების შესახებ ცნობა, შეტყობინება, რომელსაც აღიქვამს ადამიანი ან მასთან დაკავშირებული სპეციალური აპარატი.**

როგორც ზემოთ აღინიშნა, ჩვენი ყურადღების არეალში მოქცეულია ძირითადად ის ინფორმაცია, რომელიც ეხება, პირველ ყოვლისა, ადამიანების ურთიერთობას, მათ ურთიერთქმედებას, მოთხოვნილებებს, ინტერესებს და სხვ., ანუ საზოგადოების მიერ გამოყენებული ინფორმაცია. საზოგადოებაში ცირკულირებს ინფორმაცია, რომელიც წარმოადგენს ცოდნას, შეტყობინებას, ცნობას, როგორც სოციალური ისე ბუნების შესახებაც იმ ზომით, რამდენადაც ისინი გამოიყენება საზოგადოების მიერ, ანუ რამდენადაც არიან საზოგადოებრივი ცხოვრების ორბიტაში მოქცეულნი. ამ ინფორმაციას ამჩნევია სოციალურ-საზოგადოებრივი ურთიერთობების ღრმა კვალი, იგი წარმოადგენს საზოგადოების მოთ-

ხოვნილებების, ინტერესების, ფსიქიკური თვისებების ანაბეჭდს, ანუ იმ ურთიერთობებისა, რომელსაც ასახავს ინფორმაცია და რომელიც სარგებლობს ინფორმაციით.

შესაბამისად, საზოგადოების დამოკიდებულება ინფორმაციის სხვადასხვა სახეებისადმი ერთგვაროვანი არ არის. მაგალითად, ტექნიკური და საბუნებისმეტყველო მეცნიერული ინფორმაცია არ შეიცავს უშუალოდ პოლიტიკურ მოტივებს. პოლიტიკური მიმართულება აქ შეიძლება გამოვლინდეს არაპირდაპირი გზით, იმ მიზნიდან გამომდინარე, რომლისთვისაც გამოიყენება ეს ინფორმაცია.

ამ კონტექსტში ინფორმაციის შესწავლისა და კვლევის ამოსავალი შეიძლება იყოს, მაგალითად, ინფორმაცია: როგორც მართვის სისტემის ოპტიმიზაციისათვის მასზე ზემოქმედების აუცილებელი მონაცემების ერთობლიობა; როგორც საზოგადოების საქმიანობის ყველა სფეროში დიდი რაოდენობით პროდუცირებადი ვიწროსპეციალიზებული მონაცემების ნაკრები; როგორც საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აუცილებელი რეზერვი და რესურსი, მსგავსად სხვა რესურსებისა: შრომითი, ენერგეტიკული, მატერიალური და სხვ.; როგორც ინტელექტუალური რესურსი საზოგადოების სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფის სისტემაში, საზოგადოების ინტელექტუალური საკუთრების უმნიშვნელოვანესი ნაწილი, რომლის წილიც სულ უფრო მატულობს თანამედროვე მსოფლიოში და სხვ.

საზოგადოებრივ ურთიერთობებში ინფორმაციის შემდეგი ძირითადი სახეები გვხვდება: პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ტექნიკური, საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო, ესთეტიკური, იდეოლოგიური და სხვ.

პრაქტიკული ხედვის თვალსაზრისით, ინფორმაცია ყოველთვის შეტყობინების სახით წარმოდგება. საინფორმაციო შეტყობინება დაკავშირებულია ინფორმაციის წყაროსთან, ინფორმაციის მიმღებთან და გადაცემის არხთან. შეტყობინება წყაროდან მიმღებამდე მატერიალურ-ენერგეტიკული ფორმით (ხმოვანი, სინათლის, ელექტრონული და სხვა სიგნალების სახით) გადაიცემა. ადამიანი შეტყობინებას გრძნობათა ორგანოების მეშვეობით აღიქვამს. ტექნიკაში კი ინფორმაციის მიმღები შეტყობინებას იღებს სხვადასხვა გამზომი და მარეგისტრირებელი აპარატურის დახმარებით.

ინფორმაციის განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ, მიუხედავად მისი უწყვეტად ზრდადი მოხმარებისა, მუდმივად იზრდება მისი დაგროვება მზარდმატებად მოცულობაში.

ინფორმაციის დახასიათებისას ყურადღებას იქცევს მისი შემდეგი სახის ნიშნები: 1. ცირკულირების მასშტაბი - მინიმალურიდან (უშუალოდ პიროვნული ურთიერთობებიდან) მაქსიმალურამდე (გლობალურამდე); 2. ცირკულირების დრო - მინიმუმ ერთჯერადი, ხანგრძლივობის მიხედვით გაურკვეველი; 3. მოძრაობის მიმართულება - ან ჰორიზონტალური (ერთი სოციალური დონის ინდივიდებს ან სტრუქტურებს შორის), ან ვერტიკალური (სხვადასხვა სოციალური დონის ინდივიდებს ან სტრუქტურებს შორის. პირდაპირი - დირექტიულ-ნორმატიული, პირუკუ - საკონტროლო-საანაგარიშო); 4. ემოციური შეფერილობა -

ზემოდან ქვემოთ მოძრაობის დროს იმპერატიულია, ხოლო ქვემოდან ზემოთ და ჰორიზონტალურად მოძრაობისას შემთანხმებლური; 5. შექმნის წესი - შეიძლება იყოს პერსონიფიცირებული (ინფორმაცია წამოსული ინდივიდიდან, რომელიც დაკავშირებულია ან არ არის დაკავშირებული მის სოციალურ როლთან) ან უპიროვნებო (ინფორმაცია წამოსული ჯგუფიდან, სტრუქტურიდან, აგრეთვე - ინდივიდიდან, მაგრამ მასზე მინიშნების გარეშე); 6. შექმნის მიზანი - ზემოქმედება (თანხმობა, წაქეზება და სხვ.).

ასე რომ ინფორმაციის კლასიფიკაციაში ძირითადად განასხვავებენ ინფორმაციის შემდეგ **ტიპებს**: ინფორმაცია წარსულის შესახებ; ინფორმაცია აწმყოს შესახებ; ინფორმაცია მომავლის შესახებ (პროგნოზული - საორიენტაციო, ნორმატიული, გამაფრთხილებელი) და გეგმური ინფორმაცია.

ინფორმაციას ანსხვავებენ აგრეთვე, ინფორმაციას ადრესატის მიხედვით: შიდა ინფორმაცია და გარე ინფორმაცია.

ინფორმაცია ასრულებს შემდეგ **ფუნქციებს**: საკომუნიკაციოს (ადამიანებს შორის კავშირის უზრუნველყოფა); მმართველობითს; სამეცნიერო-შემეცნებითს; სასწავლო-აღმზრდელობითს; სააგიტაციო-პროპაგანდისტულს და სხვ.

აგრეთვე, სხვადასხვა კრიტერიუმიდან გამომდინარე ინფორმაციას ყოფენ **სახეებად**.

**აღქმის უნარის მიხედვით**: ვიზუალური - შეიგრძნობს მხედველობის ორგანოები; აუდიალური - შეიგრძნობს სმენის ორგანოები; ტაქტილური (შეხებითი) - შეიგრძნობს ტაქტილური რეცეფტორები; გემოვნებითი - შეიგრძნობს გემოს რეცეფტორები; სურნელებითი - შეიგრძნობს სურნელის რეცეფტორები.

**წარდგენის ფორმის მიხედვით**: წერილობითი - ტექსტი, ციფრი, სპეც სიმბოლოებისა და სხვა სახით; გრაფიკული - გამოსახულების, ცხრილის, ფოტოგრაფიისა და სხვა სახით; ხმოვანი სიგნალების სახით - გადაცემა ზეპირად ან ჩანაწერის საშუალებით; სინათლის სახით; რადიოტალღების სახით; ელექტრული და ნერვული იმპულსების სახით; მაგნიტური ჩანაწერების სახით; უესტებისა და მიმიკის სახით; ზეპირი სიტყვიერი ფორმით (ლაპარაკი); სუნისა და გემოს შეგრძნებების სახით; ქრომოსომების სახით (რომელთა საშუალებითაც მემკვიდრეობით გადაეცემა ორგანიზმის ნიშან-თვისებები) და სხვ.

**საზოგადოებრივი დანიშნულების მიხედვით**: მასობრივი - ყოველდღიური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ესთეტიკური; სპეციალური - სამეცნიერო, ტექნიკური, მმართველობითი (მენეჯერული), საწარმოო; პირადი - ცოდნა, უნარი, ინტუიცია.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ინფორმაციის შემდეგი **ძირითადი თვისებები**: ობიექტურობა - ვისიმე აზრზე არ არის დამოკიდებული; რელევანტურობა - შეესაბამება მომხმარებლის საჭიროებებს (მოთხოვნებს); დროულობა - შეესაბამება მომხმარებლის საჭიროებებს დროის საჭირო მომენტში; უტყუარობა - ფარული შეცდომების არქონა, უტყუარი ინფორმაცია დროთა განმავლობაში შეიძლება დაძველდეს, და საქმის ნამდვილ მდგომარეობას ვეღარ ასახავდეს; საიმედოობა - ასახავს ნამდვილ ვითარებას; სისრულე - ამომწურავია (მოცემული მომხმარებლისთვის), საკმარისია

გასაგებად და გადაწყვეტილების მისაღებად; აქტუალურობა – მნიშვნელოვანი და არსებითია, პასუხობს დღევანდელობას; ხელმისაწვდომობა – მოცემული მომხმარებლისთვის მისი მიღების შესაძლებლობა; დაცულობა – ინფორმაციის არასანქცირებული ცვლილებებისა და გამოყენების შეუძლებლობა; ღირებულება (სარგებლიანობა, მნიშვნელობა) – უზრუნველყოფს დასმული ამოცანის გადაწყვეტას, საჭიროა იმისათვის, რათა მიღებულ იქნას სწორი გადაწყვეტილება; გარკვეულობა (სიცხადე, მკაფიოობა) – გამოხატულია ყველასთვის გასაგებ ენაზე.

**გარდა ამისა ინფორმაციას გააჩნია სხვა თვისებებიც:** ა) ატრიბუტულობა (მიკუთვნებულობა) – დისკრეტულია (ინფორმაცია შედგება ცალკეული ნაწილებისგან, ნიშნებისგან), უწყვეტობა (ინფორმაციის დაგროვების შესაძლებლობა); ბ) პრაქტიკულობა – ინფორმაციული მოცულობა და სიმჭიდროვე; გ). დინამიკურობა (დაკავშირებულია ინფორმაციის დროში ცვლილებებთან) – კოპირება (ინფორმაციის გამრავლება), წყაროდან მომხმარებლისთვის გადაცემა, ერთი ენიდან მეორეზე თარგმნა, სხვა მატარებელზე გადატანა, მოძველება (მატარებლის – ფიზიკურად, ღირებულების – მორალურად).

ინფორმაციის მატარებელი არის ინფორმაციის გადაცემის, შენახვისა და აღდგენის გარემო ან ფიზიკური სხეული (ელექტრო, სინათლის, სითბური, ხმოვანი, რადიოსიგნალები, მაგნიტური და ლაზერული დისკები, ბეჭდვითი გამოცემა, ფოტოგრაფია და სხვ.).

ინფორმაციაზე ტარდება გარკვეული ოპერაციები – ინფორმაციული ოპერაციები, ანუ ინფორმაცია შეიძლება: შექმნა, მიიღო, გადასცე, შეინახო. დაამუშაო, ეძებო, აღიქვა, დაანაწევრო, გაამრავლო, დააკომბინირო, დაშალო, გაზომო. გამოიყენო, გაავრცელო, გაამარტივო, დაიმახსოვრო, გარდაქმნა, შეკრიბო და სხვ.

ინტერესს იწვევს ინფორმაციის გამზომი პარამეტრებიც - ინფორმაციის რაოდენობისა და მონაცემთა მოცულობის შესახებ, შესაბამისად *გ. ჩოგოვაძის* მიერ განიხილული ინფორმაციის ხარისხის პარამეტრები: რეპრეზენტატულობა, შინაარსიანობა, საკმარისობა, მისაწვდომობა, აქტუალურობა, სიზუსტე, უტყუარობა, მდგრადობა [2].

უაქტია, რომ საზოგადოებაში ინფორმაციული პროცესების განმსაზღვრელია საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემა. სოციალური ჯგუფების, ინდივიდების, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს ინფორმაციული ზემოქმედება – სოციალური ურთიერთქმედების მეტად მნიშვნელოვანი სპეციფიკური ფორმაა. იმაზე, თუ რამდენად ეფექტურად და რაციონალურად არის ორგანიზებული ეს ფორმა, ბევრად არის დამოკიდებული წარმოების, მეცნიერების, კულტურის, მთლიანად საზოგადოების პროგრესი. თავის მხრივ, ინფორმაციული ურთიერთზემოქმედების ეფექტიანობის გამართულობის ხარისხი - საზოგადოებრივი პროგრესის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია.

აღსანიშნავია, რომ ობიექტურად ცირკულირებადი ინფორმაცია წარმოშობის მიხედვით კი არის ობიექტური, მაგრამ იგი სუბიექტურიც არის ამავე დროს, რამდენადაც აუცილებლად გულისხმობს მიმღების, გარდამქმნელის და მომხმარებლის არსებობას.

ინფორმაცია გარკვეულად არის ცოდნა, მაგრამ არა - ყველაფრის, რასაც კაცობრიობა ფლობს, არამედ მხოლოდ იმ ნაწილის, რომელიც გამოიყენება ორიენტირების, აქტიური მოქმედების, მართვის, ანუ სისტემის სრულყოფისა და განვითარების, მისი ხარისხობრივი სპეციფიკის დაცვის მიზნით.

ინფორმაციული კავშირი, ინფორმაციული ურთიერთქმედება, ანუ სინამდვილე მოვლენებისა და პროცესების შესახებ - ინფორმაციის მუდმივი ცვლაა. ინფორმაციის დინების უწყვეტობა უზრუნველყოფს მართვის პროცესის უწყვეტობას. რადგანაც მართვა სისტემაზე მიზანშეწონილი ზემოქმედების უწყვეტად განხორციელებადი პროცესია. სწორედ განუწყვეტლივ მიღებული ინფორმაციის საფუძველზეა, რომ მართვის სუბიექტს შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს მართვის ქვეშ მყოფ სისტემაზე. მართვის ყოველი ციკლი ინფორმაციის შეკრებით და დამუშავებით იწყება და ინფორმაციის მიღებით მთავრდება, რომელიც, თავის მხრივ, საწყისს წარმოადგენს მართვის ახალი ციკლისათვის.

**ამ თვალსაზრისით, ინფორმაციის მნიშვნელობა განუზომელია, რადგანაც იგი იქცა სისტემის წარმომქმნელ დომინანტად.**

უდავოა, რომ ჩვენ სინამდვილეში საინფორმაციო ტექნოლოგიების, საინფორმაციო-საკომუნიკაციო თანამედროვე საშუალებების, აგრეთვე, ინფორმაციოლოგიის, როგორც მეცნიერების დარგის, განვითარების პრობლემა მნიშვნელოვან ყურადღებას მოითხოვს, რადგანაც:

- ინფორმაცია წარმოადგენს საზოგადოებისა და სახელმწიფოს ნებისმიერი სფეროს განვითარებისა და სიცოცხლისუნარიანობის უმთავარეს წყაროს, ინფორმაციული ფაქტორი ნებისმიერი შიდაპოლიტიკური და გარეპოლიტიკური პროცესის განუყრელი ნაწილია;
- ინფორმაცია წარმოადგენს საზოგადოების ყოველი წევრის პიროვნებად ჩამოყალიბების, საზოგადოების წევრებს შორის ურთიერთობის, სამოქალაქო საზოგადოებისა და მისი ინსტიტუციური სტრუქტურების საფუძველს;
- ინფორმაცია სამოქალაქო საზოგადოებას და სახელმწიფო ხელისუფლებას შორის, სხვადასხვა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ და ავტონომიურ წარმონაქმნებს შორის, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ყველა შტოსა და სტრუქტურას შორის პოლიტიკური მოდერნიზაციის, სახელმწიფოს მდგრადი განვითარების, მისი ერთიანობისა და მთლიანობის შენარჩუნების უმნიშვნელოვანესი პირობაა;
- ინფორმაცია არის საწყისი რესურსი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის შემუშავებისა და ნებისმიერ სფეროში სახელმწიფოებრივი მმართველობის განხორციელებისათვის. სახელმწიფო ხელისუფლების ინფორმაციული უზრუნველყოფა, უტყუარი ინფორმაციით მისი დროული უზრუნველყოფა - სახელმწიფოებრივი მექანიზმის ეფექტიანი ფუნქციონირების, მმართველობის პროცესის ყველა სტადიის რეალიზაციის უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა.

დღეს ინფორმაციის როლის ახლებურად გააზრება, აგრეთვე ინფორმაციის, როგორც ცივილიზაციის შემდგომი განვითარების სტრატეგიული რესურსისა და მამოძრავებელი ფაქტორის ათვისება და მართვა, განსაკუთრებულად მნიშვნელოვან და აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს, მას არა მარტო ზოგადმეცნიერული მნიშვნელობა აქვს, არამედ იგი თანამედროვე ცივილიზაციის შემდგომი ბედის განმსაზღვრელიც არის.

## 1.2. ინფორმაციული ერა

ინფორმაციული ერა არის თანამედროვე ეტაპზე ინფორმაციის მიღებაში (გადაცემაში), კაცობრიობის მიერ დაგროვილი ცოდნის შექმნის წყაროების უსწრაფეს ხელმისაწვდომობაში ადამიანთა განუსაზღვრელი შესაძლებლობების არსებობა, რაც წარმოუდგენელი იყო კაცობრიობის განვითარების წინა ეპოქებში.

ინფორმაციული ერას კონცეფციის ჩამოყალიბების სათავეებთან დგანან: ამერიკელი მეცნიერი, მათემატიკოსი და ფილოსოფოსი, კიბერნეტიკისა და ხელოვნური ინტელექტის თეორიის ფუძემდებელი *ნორბერტ ვინერი*; ამერიკელი ინჟინერი და მათემატიკოსი, ინფორმაციის თეორიის ფუძემდებელი *კლოდ შენონი* (Claude Elwood Shannon, 1916-2001); პოსტინდუსტრიული (ინფორმაციული) საზოგადოების თეორიის ფუძემდებელი, ამერიკელი სოციოლოგი და პუბლიცისტი *დენიელ ბელი* (Daniel Bell; 1919—2011); ამერიკელი სოციოლოგი და ფუტუროლოგი, პოსტინდუსტრიული საზოგადოების კონცეფციის ერთ-ერთი ავტორი *ელვინ ტოფლერი* (Alvin Toffler, 1928); ავსტრიული წარმოშობის ამერიკელი მეცნიერი, XX საუკუნის მენეჯმენტის თეორეტიკოსი, “ინფორმაციული მუშაკის” კონცეფციის ავტორი *პიტერ დრუკერი* (Peter Ferdinand Drucker, 1909-2005); ესპანური წარმოშობის ამერიკელი სოციოლოგი, ინფორმაციული საზოგადოების თეორიის უდიდესი სპეციალისტი *მანუელ კასტელსი* (Manuel Castells, 1942); კანადელი ფილოსოფოსი, ფილოლოგი, კომუნიკაციის საშუალებების ადამიანსა და საზოგადოებაზე ზემოქმედების სფეროს თეორეტიკოსი *მარშალ მაკლუენი* (Herbert Marshall McLuhan, 1911-1980) და სხვ.

ინფორმაციული რევოლუცია ეფუძნება ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებას (პირველი გამომთვლელი მანქანების, კომპიუტერების შექმნა, გლობალური ქსელების დაბადება და სხვ.). ამ მიღწევებმა გახადა შესაძლებელი, შექმნილიყო ურთულესი ტექნიკური სისტემები, რამაც, თავის მხრივ, წინა წლებთან შედარებით წარმოუდგენლად დიდი მოცულობის ინფორმაციის სწრაფად დამუშავების საშუალება შექმნა. პარალელურად ვითარდებოდა მეცნიერული ბაზა ამ სისტემების მართვისა და ეფექტური მუშაობისათვის. განვითარების პროცესების მექანიზტურად ახსნის არასრულყოფილებამ გამოიწვია კვლევის მეთოდოლოგიაში ახალი მიდგომის – სისტემური მიდგომის წარმოშობა. XX საუკუნის შუა ხანებში *ნორბერტ ვინერმა* შექმნა ახალი მეცნიერება კიბერნეტიკა, ურთიერთკავშირისა და სისტემების მართვის შესახებ, ხოლო *კლოდ შენონის* მიერ შემუშავებულმა

ინფორმაციის თეორიამ შეცვალა ინფორმაციისადმი მიდგომა. იგი იქცა გარკვეულ სიდიდედ, რომლის გაზომვა და დიდ მანძილზე დანაკარგის გარეშე გადაცემა შეიძლება.

ინფორმაციულ რევოლუციის შინაარსში სულ უფრო მზარდი ხდება ინფორმაციის ხარისხი და საჭიროება, მთავარი გახდა არა საქონლის წარმოება, არამედ მომსახურების გაწევა – ანუ იკვეთება მომსახურების ეკონომიკაზე გადასვლის ტენდენცია. ამავე დროს, წარმოიქმნა და ვითარდება მასობრივი კულტურა. იქმნება მთელი რიგი სუბკულტურები – საკუთარი ენით, უპირატესობებით, ფასეულობებით. ფეხს იკიდებს კიბერსპორტიც. განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა სოციალურმა ქსელებმა (Facebook, Twitter...) და ინტერნეტ-მედია – შორი მანძილი თანდათან კარგავს შინაარსს, მსოფლიო გადაიქცა “გლობალურ ქალაქად” (მ. მაკლუენი). **მარშალ მაკლუენმა** ერთ-ერთ თავის გამოსვლაში აღნიშნა ახალი, ელექტრონული (ინფორმაციული) ადამიანის დაბადების შესახებ: “ჩვენ ვსაუბრობთ განათლებულ ადამიანზე: განათლებული ადამიანი ყველაფერს ღრუბელივით (Sponge, რუნკა) ისრუტავს, ყველაფრისთვისაა მზად ახალი ელექტრონული ადამიანი...”.

ახალი თეორიის დაბადებაში განსაკუთრებული როლი ითამაშა **მანუელ კასტელის** ტრილოგიამ [3]. მან გამოიკვლია ახალი საზოგადოების, კულტურისა და ეკონომიკის აღმოდცენების პროცესები 70-იან წლებში აშშ-ში დაწეხული ინფორმაციულ-ტექნოლოგიური რევოლუციის კუთხით. იმ რევოლუციის, რომელმაც გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან სათავე დაუდო საზოგადოების ფუნდამენტურ გარდაქმნას [69].

მეოცე საუკუნეში მეცნიერებაში მომხდარმა კვანტურმა, ბიომოლეკულურმა და კომპიუტერულმა სამმა დიდმა რევოლუციამ მსოფლიოს სამი დიდი აღმოჩენა - ატომი, გენი და კომპიუტერი შესძინა. ამით, განვითარების თვალსაზრისით, კაცობრიობამ უზარმაზარი ნახტომი გააკეთა. ამ აღმოჩენებს არ მიუღია „წმინდა აკადემიური“ სახე, ისინი არ დარჩენილან მხოლოდ აბსტრაქციისა და თეორიის სფეროში, პირიქით, მათ უმნიშვნელოვანესი გავლენა იქონიეს დანარჩენი მსოფლიოს ყოველდღიურ ცხოვრებაზე.

საკმარისია მეცნიერული აღმოჩენის ტექნოლოგიად ქცევა და ყოველდღიურ ცხოვრებაში მისი გამოყენება, რომ მან უზარმაზარი სოციალური და პოლიტიკური აზრი შეიძინოს. ასევე დაემართა აზროვნებისა და ინფორმაციის სფეროში მომხდარ რევოლუციას. ინფორმაციულმა (კომპიუტერულმა) რევოლუციამ შექმნა ციფრული სამყარო, რამაც ადამიანი თანამედროვე ინფორმაციულ ტექნოლოგიებამდე მიიყვანა, ახალმა ტექნოლოგიებმა კი კომუნიკაციების წარმოუდგენელი შესაძლებლობები შექმნა, ისე, რომ მეცნიერული ფანტასტიკა და რეალობა თითქმის გააიგივა.

ინფორმაციულ-ტექნოლოგიური რევოლუცია ისევე და იმდენადვე დიდი ისტორიული მოვლენაა, როგორც მე-18 საუკუნის ინდუსტრიული რევოლუცია, რომელმაც გარდატეხა გამოიწვია საზოგადოების, ეკონომიკისა და კულტურის საფუძვლებში. ტექნოლოგიური რევოლუციათა ისტორია გვიჩვენებს, რომ ისინი ხასიათდებოდნენ ყოველსმომცველი გავლენით და იჭრებოდნენ ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობის ყველა სფეროში, იქცეოდნენ მის ცხოველმყოფელ ქსოვილად. **მანუელ კასტელის** აზრით: „ყველა სხვა



სახის ტექნოლოგიური რევოლუციისაგან განსხვავებით, იმ ტრანსფორმაციების – ცვლილებების ბირთვი, რომლებსაც დღეს მსოფლიო განიცდის - ინფორმაციისა და კომუნიკაციის დამუშავების ტექნოლოგიებთანაა დაკავშირებული“ [4].

დღეს მიმდინარე ტექნოლოგიურ რევოლუციას ახასიათებს არა ინფორმაციის და ცოდნის პრიორიტეტულობა, რაც გამოკვეთილი იყო წინამორბედ პირველ და მეორე ინდუსტრიულ რევოლუციებში, არამედ ასეთი ცოდნისა და ინფორმაციის გამოყენება ისეთი ცოდნისა და მოწყობილობების გენერირებისათვის, რომლებიც ამუშავებენ ინფორმაციებს და ახორციელებენ კომუნიკაციებს ინოვაციებსა და ინოვაციების გამოყენების მიმართულებებს შორის უკუკავშირის კუმულაციურ სივრცეში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გამოყენებლები არა მხოლოდ სწავლობენ ტექნოლოგიებს, არამედ ქმნიან მათ, ამდიდრებენ და გარდაქმნიან ქსელებს, თავად პოულობენ გამოყენების ახალ სფეროებს. ახალი ტექნოლოგიების შემოყვანას, მის გამოყენებასა და ახალ სფეროებში წინ წაწევას შორის უკუკავშირი ახალ ტექნოლოგიურ პარადიგმაში ძალიან სწრაფად მიმდინარეობს. შედეგად კი ვიღებთ იმას, რომ ტექნოლოგიის გავრცელება უსასრულოდ აფართოებს მის ძლიერებას იმ ზომით, რა ზომითაც ეს ტექნოლოგიები აითვისება და ახლებურად განისაზღვრება მისი მომხმარებლის მიერ. ამგვარად ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიები უბრალოდ გამოსაყენებელი ინსტრუმენტები კი არ არიან, არამედ წარმოადგენენ პროცესებს, რომელთა შემუშავებაა საჭირო. ასეთ შემთხვევაში მომხმარებელი და გამომგონებელი (შემქმნელი) ერთ პიროვნებაში შეიძლება გაერთიანდეს, ანუ მომხმარებელმა შეიძლება ხელში ჩაიგდოს ტექნოლოგიებზე კონტროლი, როგორც ეს ინტერნეტის შემთხვევაში მოხდა [4].

ყველაზე დამახასიათებელი ნიშანი, რომელიც ამ ახალ ინფორმაციულ-ტექნოლოგიურ რევოლუციას ახასიათებს: ესაა საკუთარი თავის განვითარებისათვის მის მიერვე შექმნილი ტექნოლოგიების დაუყოვნებლივ გამოყენება, რითაც მსოფლიოს ერთიან მთელად აკავშირებს. ინფორმაციულ-ტექნოლოგიურ რევოლუციის საფუძველზე ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ ბიძგი მისცა ისეთი სოციალური ურთიერთობების ჩამოყალიბებას, ისეთი საზოგადოების ფორმირებას, რომლის განვითარების ძალა გახდა არა მატერიალური პროდუქციის, არამედ ინფორმაციული პროდუქციის წარმოება. მატერიალური პროდუქცია სულ უფრო მეტი ინფორმაციისა და თეორიული ცოდნის მომცველია, რაც ინოვაციების, დიზაინის და მარკეტინგის წილის გაზრდას ნიშნავს მის ღირებულებებში.

ინფორმაციული ტექნოლოგიების გავრცელება არაორდინარულად სწრაფად მიმდინარეობს მთელ მსოფლიოში. ბევრ ქვეყანაში ის ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი გახდა. ადამიანებისათვის პერსონალური კომპიუტერთი სარგებლობა და ინფორმაციული ტექნოლოგიები უკვე ბუნებრივი პროცესია. ისინი სოციალური ცხოვრების მნიშვნელოვანი შემადგენელი ელემენტები გახდნენ.

კულტურული და სოციალური ცვლილებების თვალსაზრისით ინფორმაციული რევოლუცია გავლენას ახდენს ადამიანის ცხოვრების ყველა სფეროზე - ჯანმრთელობასა და განათლებაზე, პოლიტიკაზე და ა.შ. ერთი რამ ნათელია - მსოფლიო დღეს გახდა უფრო სწრაფი, რადგან არსებობს ელექტრონული ფოსტა, ვებგვერდები, მობილური ტელეფონები და ა.შ., მოხდა ეკონომიკის ელექტრონიზაცია; ისიც ციფრული გახდა. გლობალური ფინანსური ეკონომიკა მთლიანადაა დამოკიდებული ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე. ომპიუტერის მართვა ხდება საათივით გლობალურად ინტეგრირებულ ფინანსურ ბაზარზე. მილიონობით დოლარის ღირებულების ტრანსაქცია ხდება ელექტრონულად სულ რამდენიმე წამში. ამის ნათელი მაგალითია ერაყ-კუვეიტის ომი, როდესაც კუვეიტის ბანკებმა სულ რამდენიმე წამში გადაისროლეს თავიანთი აქტივები მსოფლიოს სხვა ბანკებში [4].

ინფორმაციული რევოლუცია ცვლის როგორც სამუშაო ადგილს, ასევე თვითონ მუშაობის, შრომის შინაარსსაც. ეს ცვლილებები, მკვლევართა აზრით, გამოიხატება შემდეგში:

- სულ უფრო მეტ „გადაწყვეტილებებს იღებს“ კომპიუტერული, სისტემური პროგრამა, რომელიც წყვეტს შეიძინოს თუ არა კომპანია ესა თუ ის პროდუქტი;
- სამუშაო და შრომა უფრო აბსტრაქტული ხდება. თუ ინდუსტრიულ საზოგადოებაში მუშებს მეტი კონტაქტი ჰქონდათ თავიანთი პროდუქტებთან, ახლა, პოსტ-ინდუსტრიულ-ინფორმაციულ ერაში ამას აგვარებს აბსტრაქტული სიტყვები და სიმბოლოები დახვეწილი კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით;
- სამუშაო ადგილზე ინტეგრაცია იზღუდება, ინფორმაციულმა რევოლუციამ ხალხი კომპიუტერს მიაჯაჭვა, რაც ნიშნავს, რომ მათ საკუთარი თავის წარდგენა კომპიუტერისათვის უწევთ და შესაბამისად ნაკლები კონტაქტები აქვთ ერთმანეთთან;
- კომპიუტერის საშუალებით ზედამხედველს შეუძლია მუდმივად აკონტროლოს მომუშავე პერსონალი. კომპიუტერული პროგრამა განსაზღვრავს სოციალურ წესრიგს, აყალიბებს იერარქიულ დამოკიდებულებას დამქირავეებელსა და დამქირავეებულს შორის;
- სხვადასხვა სოციალური მოძრაობები, რომლებიც სოციალური ქსელების (Facebook, Twitter და სხვ.) საშუალებით ყალიბდება, ამავე ქსელების მეშვეობით გავლენას ახდენენ პოლიტიკაზე. ფეხს იკიდებს ე.წ. ციფრული (ელექტრონული) დემოკრატია;
- დიდი მასშტაბები შეიძინა ციფრულმა ურთიერთობებმა; გაჩნდა გაცნობის ახალი საშუალებები მობილური ტელეფონის, ელექტრონული ფოსტისა და ინტერნეტის მეშვეობით;
- პერსონალური ვებგვერდები ხდება საკუთარი თავის პრეზენტაციის ახალი საშუალება. ადამიანებს შეუძლიათ გაუკეთონ თავიანთ ვებგვერდებს ისეთი დიზაინი, როგორც მათ სურთ. ინტერნეტის ჯგუფებს უკვე გააჩნიათ საკუთარი ვებგვერდები როგორც სხვადასხვა ჰობის, ისე სერიალებსაც კი. მსახიობებს

შეუძლიათ საკუთარი შრომის ვებგვერდებზე წარმოჩენა – არა მხოლოდ ფოტოებით, არამედ ჩნდება სადისკუსიო სივრცეც მსახიობებს შორის. არსებობს უამრავი ვებგვერდი გაცნობისა და ინტერესების მიხედვით პარტნიორის შერჩევისათვის.

გაჩნდა ვირტუალური რეალობა, ანუ ციფრული სამყარო, სადაც კომუნიკაცია, პოლიტიკა, რელიგია და სოციალური ცხოვრების სხვა ასპექტები გადაჯაჭვულია ერთმანეთზე.

ცხადია, რომ ინფორმაციულ ტექნოლოგიებს ახლავს გარკვეული რისკებიც, მაგრამ ჯერჯერობით ძნელია იმის ამოცნობა, თუ რა უარყოფით შედეგებს შეიცავს ციფრული სამყარო. ციფრული სამყაროს მიერ გამოწვეული ზოგიერთი ცვლილება გაცილებით ღრმა სოციალური ხასიათისაა. დღეს ბევრი ლაპარაკობს „პოსტადამიანურ საზოგადოებაზე“. ადამიანები სცილდებიან საკუთარ ადამიანობას. იქმნება ცხოვრების ახალი ფორმები (დროის შეგრძნების ახალ-ახალი ფორმები), ინგრევა კლასიკური ცხოვრების რიტმი.

ჩნდება სხვა მრავალი პრობლემა:

- რადგან მთავარი ხდება ქსელში ჩართულობა, ამდენად, კომპიუტერული ქსელი თავის მხრივ, ბოლოს მოუღებს კომუნიკაციის ისეთ მასობრივ საშუალებას, როგორც ტელევიზია (ანუ ცენტრლიზებული მაუწყებლობა ჰომოგენური აუდიტორიისთვის). ვინაიდან მისი მეშვეობით კომუნიკაციები ინდივიდუალური და ინტერაქტული ხდება;
- ინტერნეტი ხელს უწყობს საზოგადოების ფრაგმენტაციას, თვით დღეს არსებული საკაბელო და თანამგზავრული ტელევიზია მიზნობრივ აუდიტორზეა მორგებული და წინასწარ შერჩეული ინფორმაციით აცალკევებს მაყურებლებს. საშუალება თავად იქცევა მესიჯად (გზავნილად) ხდება აუდიტორიის განსხვავებული ბაზრების უზრუნველყოფა კასტომიზირებული და დივერსიფიცირებული პროგრამებითა და არხებით;
- იზრდება და ყალიბდება ცხოვრების საშინაო წესი, რომელიც დასვენებასა და გართობაზეა ორიენტირებული;
- ინტერნეტი (ინტერაქციებისა და ინდივიდუალიზაციის) ხელს უწყობს ელექტრონული საზოგადოებების შექმნას, რომლებიც უფრო დააკავშირებენ ადამიანებს ერთმანეთთან, ვიდრე გააცალკევებენ. ხდება „ვირტუალური თანასაზოგადოებების“ შექმნა ქსელში;
- ყალიბდება „რეალური ვირტუალურობა“, რომელიც მოიცავს ტექსტის, აუდიო, ვიდეო, ვიზუალური ფორმების შენადნობს, ანუ მულტიმედიას. ფაქტობრივად, როდესაც ადამიანი იმყოფება დაძაბულ ქსელურ ურთიერთობებში და, შესაბამისად, შედის ურთიერთობებში სხვებთან, იგი გამოცდილებით იყენებს ერთადერთ რეალობას – მედიის რეალობას.

ამგვარად, როგორც მ. კასტელსი აღნიშნავს, ეს სისტემა მთლიანად მოცულია და ჩაფლულია ვირტუალურ სამყაროში, გამოგონილ სამყაროში, რომელშიც გარეგანი

ანარეკლები არა მხოლოდ გვამცნობენ, რომელდაც გამოცდილების შესახებ, არამედ თავად იქცევიან გამოცდილებად.

XXI საუკუნეში პროგრესის მთავარი მამოძრავებელი ძალა, ცოდნა და ინფორმაციის გენერირების, გაცვლის, განაწილებისა და მოხმარების ტექნოლოგიები ე.წ. ინტელექტუალური ტექნოლოგიები გახდა. ახალი მსოფლიო – ეს კომპიუტერებისა და ინტერნეტის, მობილური ტელეფონებისა და ფაქსების სამყაროა, ქსელების მსოფლიოა, რომელთა გამოყენების მასშტაბებსა და ეფექტურობაზე პირდაპირაა დამოკიდებული ხალხებისა და სახელმწიფოების კეთილდღეობა. საქართველოც ჩართულია ამ პროცესში. მაგალითად, 2011 წლის მონაცემებით, ფიჭური მობილური რადიოსატელეფონო ქსელების აბონენტების რაოდენობა 4 406 817-ს შეადგენს, - ამის შესახებ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ვერა ქობალიამ 2011 წლის ანგარიშის წარდგენისას განაცხადა. მისი თქმით, 2010 წელს მობილური კავშირით 3 980 000 აბონენტი სარგებლობდა. მოსახლეობის გაცილებით ნაკლები რაოდენობა სარგებლობს საერთო სარგებლობის ფიქსირებული ქსელებით. მათი რაოდენობა - 1 200 000-ია [8].

დღეს იგებს ის, ვინც ინფორმაციისა და ცოდნის წარმოებაზე აკეთებს აქცენტს. ძველი დროებისაგან განსხვავებით ცოდნა, ახალ-ახალი ინფორმაციების მოპოვება და გაცვლა აღარ არის რჩეულთა პრივილეგია. სახელმწიფოს ძლიერება და სიმდიდრე განისაზღვრება არა ცოდნის იმ ჯამით, რომელიც „მკვდარ ტვირთად“ დევს სადღაც ფუნდამენტური მეცნიერებების საფუძველში, არამედ ამ ცოდნისა და ინფორმაციის მაქსიმალურად ფართო დაუფლების შესაძლებლობებით და მაშასადამე, მათი გავრცელების სიჩქარით; სხვაგვარად რომ ვთქვათ, კომუნიკაციის ქსელთა ქმედითუნარიანობით. რაც უფრო მაღალია ინფორმაციის (ცოდნის) წარმოების, განაწილების და გავრცელების ტემპები, რაც უფრო სწრაფად გარდაიქმნებიან ისინი ახალ ტექნოლოგიებად, სასარგებლო გამოგონებებად, მით უფრო მაღალია ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური ინტეგრაციის ზრდის ტემპები.

ინფორმაციული რევოლუციის შედეგად არა მხოლოდ წარმოება, არამედ თვით ადამიანთა ცხოვრების წესი, ღირებულებათა სისტემა იცვლება, იზრდება კულტურული, პოსტ-მატერიალისტური ღირებულებების მნიშვნელობა მატერიალურ ღირებულებებთან შედარებით. მის საფუძველზე ყალიბდება ახალი სოციალური სისტემა – ინფორმაციული საზოგადოება, სადაც პრიორიტეტულია არა საქონლის წარმოება და მომსახურება, არამედ ცოდნისა და ინტელექტის წარმოება და მოხმარება, რასაც გონებრივი შრომის წილის გაფართოებასთან მივყავართ. ინფორმაციული საზოგადოება სადაც ადამიანისაგან მოითხოვება შემოქმედების უნარი, და იზრდება ცოდნაზე მოთხოვნილება.

ტერმინი ”ინფორმაციული საზოგადოება” 1960 წლების დასაწყისში *ფრიც მახლუპმა* (Fritz Machlup, 1902 – 1983) [5] და *თ. უმესაომ* (Umesao Tadao, 1920 - 2010) [6] შემოიღეს. **დ.ბეილის** მიერ ნაწინასწარმეტყველი ინდუსტრიული საზოგადოების ინფორმაციულ საზოგადოებად გარდაქმნის თეორია განავითარეს იაპონელმა *ინოჯეი მასუდამ* (Yoneji

Masuda, 1905–1995) და სხვ. *ი. მასუდას* მოსაზრების მიხედვით კომპიუტერიზაცია ცვლის რა ადამიანის ბუნებას, გარდაქმნის მას Homo Sapiens-დან Nomo Intelligens-ად.

ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ კომუნიკაციის სისტემებისა და კავშირების ახალი საშუალებები ამცირებენ ადამიანთა დამაშორებელ მანძილსა თუ სხვა ხელოვნურად შექმნილ ბარიერებს. უფრო მეტიც, ისინი არ ცნობენ ქვეყნებისა და ხალხების გამყოფ საზღვრებს. ახალი ინფორმაცია, ახალი ცოდნა წარმოებული ერთი ინტელექტის მიერ, მყისიერად ხდება ყველას მონაპოვარი და ყველასთვის ხელმისაწვდომი. მსოფლიო ჯერ კიდევ არასდროს არ ყოფილა ამდენად ერთნაირი. იგი „გლობალურ სოფელს“ ემსგავსება, სადაც ყველამ ყველაფერი იცის ყველას შესახებ. ყალიბდება გლობალური ინფორმაციული საზოგადოება, რომლის ერთიანობა უზრუნველყოფილია თანამედროვე ინტელექტუალური ტექნოლოგიებით. ინფორმაციულია საზოგადოების განვითარების ეტაპი, რომელზეც ინფორმაცია და მეცნიერული ცოდნა საზოგადოებრივი ცხოვრებისა და წარმოების ნაყოფიერების განმსაზღვრელი ფაქტორი ხდება. ცოდნის მოცულობის ექსპონენტური ზრდა, ცოდნის გაორმაგების დროის სწრაფი შემცირება; (თუ ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისიდან ცოდნის გაორმაგებას დასჭირდა 1750 წელი, მაშინ მეორე გაორმაგება უკვე 1900 წელს, ხოლო მესამე – 1950 წელს მოხდა).

როგორც აღინიშნა, ინფორმაციულ საზოგადოებას თან ახლავს ცხოვრების ახლებური სტილი, ახალი კულტურის ფენომენი, რომელიც ვრცელდება დროისა და სივრცის კონტინუუმებისაგან დამოუკიდებლად. საზოგადოება უბრალოდ ინდივიდებისაგან შემდგარი კონგლომერატი კი არ არის, არამედ გამოხატავს ურთიერთობების, კომუნიკაციების ხასიათს, რომლებსაც ინდივიდები ერთმანეთთან ამყარებენ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საზოგადოება ადამიანთა მრავალმხრივი ურთიერთობის პროდუქტია. ამ ურთიერთობების ინტენსიფიცირება გარდაუვლად ზემოქმედებს საზოგადოების დინამიკასა და საერთო მდგომარეობაზე. სოციალური რეალობისათვის ინფორმაციული პროცესების მნიშვნელობის გამორკვევამ საზოგადოებრივი განვითარების უპრეცედენტო ინტენსიფიკაციის შესაძლებლობის არსებობა ცხადყო. ახალი, ”მაღალი” ტექნოლოგიები საზოგადოებრივი ინფორმაციული პროცესების მნიშვნელოვნად ოპტიმიზირების უფლებას ტოვებს. ზუსტად აღნიშნული გარემოება უწყობს ხელს საზოგადოებრივი ურთიერთობების უწყვეტ განახლების პროცესს, ახალი, პოსტინდუსტრიალური ცივილიზაციის ჩამოყალიბებას.

### 1.3. ცოდნის მართვის ინფრასტრუქტურა<sup>3</sup>

დღეს ინფორმაციის მოცულობა უკვე ყოველწლიურად ორმაგდება (ხვალ ხომ ეს დრო წარმოუდგენლად შემცირდება კიდევ), ადგილი აქვს „ინფორმაციულ აფეთქებას“, მა-

<sup>3</sup> მაღლობელი ვარ ბ-ნ კორნელი ოდიშარისი, რომელმაც მომცა საშუალება მესარგებლა მისი არქივით ამ პარაგრაფზე მუშაობის დროს.

გრამ მთავარი მხოლოდ ინფორმაციის რაოდენობრივი ზრდა არ არის, მთავარია ის ახალი ინტელექტუალური ტექნოლოგიები, რომლებიც ყოველწლიურად არეოლოგიონირებენ საკუთარ თავს და „ცოდნით ცოდნის“ მოპოვების გზით ინფორმაციას და ცოდნას აქცევენ ერთ-ერთ ისეთ მთავარ სოციალურ ღირებულებად, რომელიც საზოგადოებას აერთიანებს და მას წარმოების ძირითად პროდუქტად და საქონლად აქცევს.

ცნობილი ამერიკული კომპანიის Arthur Andersen LLP-ის ანალიტიკოსების შეფასებით, ცოდნის მოცულობა, რომელიც კაცობრიობის განკარგულებაშია, ორმაგდება ყოველ ხუთ წელიწადში. 2020 წლისთვის კაცობრიობის ცოდნა გაორმაგდება ყოველ 72 დღეში. მომავალი თაობა ინფორმაციული თვალსაზრისით, ჩვენგან განსხვავებით, სრულიად სხვა რთულ გარემოში იცხოვრებს. ამ კომპანიამ კიდევ ერთი საინტერესო ფორმულა შემოგვთავაზა: ცოდნა, ეს არის ადამიანები პლიუს ინფორმაცია, აყვანილი ამ ინფორმაციის გავრცელების საშუალებების ხარისხში.

თუ გავაანალიზებთ ბოლო 20 წლის განმავლობაში ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების გზას, აშკარაა მოძრაობის ტენდენცია მონაცემთა დამუშავების ტექნოლოგიიდან ინფორმაციასთან მუშაობის საშუალებებისაკენ, იმ სისტემებისაკენ, რომლებიც მომხმარებელს ეხმარება ეფექტურად გაანალიზოს, შეიმეცნოს ინფორმაცია და ამის საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება. აგრამ ინფორმაციის ანალიზის საშუალებები ჯერ კიდევ ჩამორჩება დროის მოთხოვნებს. როგორც Reuters გამოკვლევებმა აჩვენა ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროს გამოკითხული სპეციალისტების უმეტესობამ ინფორმაციული გადატვირთვა დაასახელა შიდა კომუნიკაციის (მათ შორის, ინტერნეტის ქსელის) ეფექტიანობის პრობლემად.

ინფორმაციული ტექნოლოგიების ფართო დანერგვამ ორგანიზაციები დააფიქრა ცოდნის – გამოცდილების დაგროვებისა და დაგროვილი თეორიული თუ პრაქტიკული ცოდნის გამოყენების საკითხმა. ამიტომ დღითიდღე სულ უფრო იზრდება ცოდნის ეფექტური გამოყენების, ცოდნის მართვის მნიშვნელობა ინფორმაციულ საზოგადოებაში [70].

დღესდღეობით ინფორმაციული სისტემების დანერგვით მიღებული ეკონომიკური ეფექტის შეფასების რაიმე საყოველთაოდ აღიარებული მეთოდიკა არ არსებობს. კიდევ უფრო რთულია ცოდნის მართვის (Knowledge management) სისტემის შექმნა-დანერგვის ეფექტურობის შეფასება. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევაში არ შეიძლება ინდივიდუალური შეფასებების გაკეთება, საუბარია უნივერსალურ, საყოველთაოდ გამოსადეგ მეთოდზე. ჩვენ განვიხილავთ სწორედ დღეს არსებულ მიდგომებს, რომლებიც საშუალებას იძლევიან მიახლოებით მაინც შევაფასოთ გადაწყვეტილების მიღების ეფექტურობა.

**ცოდნის მოდელი.** ცოდნის მართვის თეორიაში ანსხვავებენ ცნებებს: მონაცემები, ინფორმაცია და ცოდნა, რაც ყველაზე კარგადაა ცნობილი მოდელებიდან: SECI [71, 72] და DIKW [73, 74].

SEC არის ცოდნის საციცოცხლო ციკლის მოდელი, რომელშიც თითოეული ასოთი აღნიშნულია ცოდნის მდგომარეობა: სოციალიზაციის (S), ექსტერიორიზაციის (E), კომბინაციის (C) და ინტერიორიზაციის<sup>4</sup> (I).

*სოციალიზაციის* ეტაპზე ცოდნა რჩება არაცხადი და გადაეცემა თანამშრომლებს (და ზოგადად საზოგადოების წევრებს) შორის ხდება ექსპერიმენტული დაკვირვებების, იმიტაციის და პრაქტიკის პროცესში.

*ექსტერიორიზაციის* ეტაპზე ცოდნა გადადის ცხად სახეში დიალოგის ან კოლექტიური რეფლექსის<sup>5</sup> მეშვეობით, რისთვისაც გამოიყენება ანალოგიები, მეტაფორები და მოდელები; დაგროვილი ცოდნა ფიქსირდება დოკუმენტებში და პროცედურებში.

*კომბინაციისას* ცოდნა ცხადი სახით რჩება, მაგრამ მათი აღწერები შეიძლება გადაეწყოს პროცესების დახარისხებით, დამატებებით, კომბინირებით და კატეგორიებით; ცოდნის გავრცელება ხდება ორგანიზაციის თანამშრომლებს (და ზოგადად საზოგადოების წევრებს) შორის.

*ინტერიორიზაციის* ეტაპზე ორგანიზაციაში (თანამეგობრობაში) დაგროვილი ცოდნა დაიყვანება მისი წევრების პირად გამოცდილებაზე.

მოდელის DIKW-ის სახელწოდება წარმოადგენს აბრევიატურას მისი ოთხი ძირითადი შემადგენლისა:

1. მონაცემები → D → Data
2. ინფორმაცია<sup>6</sup> → I → Information
3. ცოდნა<sup>7</sup> → K → Knowledge
4. სიბრძნე<sup>8</sup> → W → Wisdom

შემადგენელი ფენები დაწყობილია სირთულის სზრდისა და წარმომადგენლობის რიგის მიხედვით:

- ინფორმაცია ეფუძნება მონაცემებს;
- ცოდნა ეფუძნება ინფორმაციას
- სიბრძნე ეფუძნება ცოდნას.

აღნიშნულ მოდელს საინტერესო ისტორია აქვს, 1989 წელს ცნობილი ამერიკელი მეცნიერის რასელ აკოფის (Russell Lincoln Ackoff, 1919–2009) მიერ შემოთავაზებულ იქნა მოდელის გაფართოება Understanding – გაგება: გაგება საჭიროებს ანალიზს და წინასწარ განსაზღვრას – განჭვრეტას, ამიტომაც გაგება აუცილებელი “შუამავალია” ცოდნასა და სიბრძნეს შორის. ენების დროითი განაწილება მიუთითებს ინფორმაციის საციცოცხლო

<sup>4</sup> ინტერიერი (ფრანგ. Interieur) – რისამე შიდა აგებულება.

<sup>5</sup> რეფლექსია (ლათ. Reflexo) – საკუთარი აზრებისა და განცდების ანალიზი, ჩაფიქრება.

<sup>6</sup> ინფორმაცია (Information) - ცნობა, შეტყობინება რაიმე მომხდარი ამბის, რისამე მდგომარეობის და სხვ. შესახებ.

<sup>7</sup> ა) ცნობების ქონა რისამე შესახებ, რაიმე დარგში. ბ) რაიმე საქმის შესასრულებლად საჭირო ხერხების ფლობა.

<sup>8</sup> სიბრძნე – დიდი ცოდნა.

ციკლის შედარებით ხანმოკლეობას ცოდნის სასიცოცხლო ციკლთან შედარებით; გაგება არ ითვლება მუდმივად, მაშინ როცა სიბრძნე მიიჩნევა კონსტანტად.

**ცოდნის მართვის კონცეფციები.** არსებულ კონცეფციებს შორის ძირითადია მიდგომები, რომლებიც ორიენტირებულნი არიან ტექნოლოგიურ პლათფორმაზე ან ორგანიზაციის თანამშრომლებზე.

**IBM Lotus ცოდნის მართვის კონცეფცია** ახდენს ბიზნესის ოთხი ამოცანის ინდეტიფიკაციას, რომელთა გადაწყვეტაც აუმაჯობებს ორგანიზაციის მოდერნიზაციას (საქმიანობას) ცოდნის მართვის მეშვეობით: ინოვაცია, აღქმის უნარი (რეაგირების სისწრაფე), შრომის ნაყოფიერება, კომპეტენცია.

*ინოვაცია* – ახალი იდეების მოძიება და განვითარება, ადამიანების გაერთიანება ვირტუალურ გუნდში, ფორუმების შექმნა “გონებრივი შეტევების” და თანამშრომლებისათვის – ესაა ძირითადი პირობები კონკურენტებთან უპირატესობის მოსაპოვებლად.

*აღქმის უნარი* (რეაგირების სისწრაფე) – ესაა თანამშრომლების მომარაგება საჭირო ინფორმაციით საჭირო დროს ცვლილებებისადმი მაქსიმალურად ეფექტური და სწრაფი ადაპტაციისათვის.

*შრომის ნაყოფიერება* – ცოდნის მასივების განმეორებითი გამოყენების ეფექტურობა; ამიტომაც ცოდნის მართვისას განსაკუთრებული ძალისხმევა მიმართულია კორპორატიული ინფორმაციული რესურსების დოკუმენტირებაზე, კატალოგირებასა და გაერცელებაზე.

*კომპეტენცია* – ესაა ორგანიზაციული ცოდნის განვითარება. ონცეფცია, რომელიც ცოდნას განიხილავს როგორც ორგანიზაციის კაპიტალს, ვარაუდობს, რომ ის შედგება შემდეგი აქტივებისგან: საბაზრო, ადამიანური, ინფრასტრუქტურული და ინტელექტუალური საკუთრება.

*საბაზრო აქტივებს* წარმოადგენენ არამატერიალური აქტივები, რომლებიც დაკავშირებულნი არიან საბაზრო ოპერაციებთან.

*ადამიანური აქტივების* ქვეშ მოიაზრება ორგანიზაციის თანამშრომლების კოლექტიური ცოდნის ერთობლიობა, მათი შემოქმედებითი შესაძლებლობები, პრობლემების გადაწყვეტის უნარი, ლიდერის მახასიათებლები, სამეწარმეო და მმართველობითი ჩვევები.

*ინფრასტრუქტურული აქტივები* – ესაა ტექნოლოგიები, მეთოდები და პროცესები, რომლებიც უზრუნველყოფენ ორგანიზაციის მუშაობას.

*ინტელექტუალური საკუთრება* მოიცავს პატენტებს, საავტორო უფლებებს, საქონლის და მომსახურების სასაქონლო მარკებს, სიახლეებს, კომერციულ საიდუმლოებებს და სხვ.

ინტელექტუალური კაპიტალის მნიშვნელობის მუდმივი ზრდა ასახავს ორგანიზაციის კიდევ უფრო მეტ დამოკიდებულებას არამატერიალურ აქტივებზე და შესაბამისად მოცემული კონცეფციის მნიშვნელობა – აქტუალობას. უფრო მეტიც, წარმოიშობიან ახალი ტიპის ორგანიზაციები, რომლებიც ფლობენ მხოლოდ არამატერიალურ აქტივებს



და აწარმოებენ მხოლოდ არამატერიალურ პროდუქტებს. ესაა მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, კონსალტინგური და სხვა ორგანიზაციები, რომელთა ძირითად რესურსს წარმოადგენს ცოდნა.

**ორგანიზაციის ცოდნის მართვის სისტემა.** ცოდნის მართვის სისტემის შესაქმნელად აუცილებელია შემდეგი სამი სახის ინფრასტრუქტურა: ორგანიზაციული, სოციალური, ტექნოლოგიური.

*ორგანიზაციული ინფრასტრუქტურა* – ესაა ნაკრები რეგლამენტებისა, რომლებიც უზრუნველყოფენ ორგანიზაციაში ინფორმაციის დამუშავების ფორმალურ მხარეს. მაგალითად, ხშირად ცოდნის მართვის სისტემის დანერგვას ხელს უშლის ორგანიზაციის შიდა კონკურენცია: ბევრი მიეჩნევა და თვლის, რომ ცოდნის გაზიარება კოლეგისათვის მისთვის არაა ხელსაყრელი. თუ ორგანიზაციაში არის ცოდნის ბაზა, მაშინ ყოველი თანამშრომელი რიკავს, რომ მისი ნოუ-ჰაუ ან იდეა იქნება მოპარული და მითვისებული, ამიტომ ეს საკითხები საჭიროებენ ნათლად რეგლამენტირებას.

*სოციალური ინფრასტრუქტურა* ეფუძნება კორპორატიულ კულტურას. სწორედ ორგანიზაციის თანამშრომლებს შორის ურთიერთობათა ხარისხი მაქსიმალურად მნიშვნელოვანია ცოდნის გავრცელებისა და გამოყენებისათვის. მუშა ჯგუფებს უნდა გააჩნდეთ იმისი უნარი, რომ გაავრცელონ ინფორმაცია როგორც ერთმანეთს შორის, ასევე საკუთარ თავშიც. თანამშრომლებს უნდა ქონდეთ დაშვება ყველა სახის ინფორმაციასთან საკუთარი სამუშაო ადგილიდან. ამასთან ერთად, ორგანიზაციისათვის ძალზე მნიშვნელოვანია ახალი ცოდნის შექმნა (ანუ უნარი მოიპოვონ ცოდნა დროისა და შრომის მნიშვნელოვანი დანახარჯების გარეშე).

*ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა* მხარდაჭერილი უნდა იყოს საძიებ არქიტექტურით, ვინაიდან შეუძლებელია იმართოს ინტელექტუალური კაპიტალი თუ შეუძლებელია მასთან სწრაფად და ადვილად შედწევა. ასევე შეუძლებელია ცოდნის მართვის განხორციელება მხოლოდ სათანადო დანართის დაყენებით და გაშვებით – როგორც წესი, ესაა რთული აპარატულ-პროგრამული კომპლექსი. თუ ცოდნა მიღებულია, მაშინ წარმოიშვება საკითხი მისი შენახვის ადილისა და ხერხის გარკვევასთან დაკავშირებით. ჩვეულებრივ მონაცემთა ბაზებისაგან განსხვავებით ასეთი საცავი ეფუძნება არა ინფორმაციას, არამედ ამოცანებს და მათ ამოხსნებს. ჩოდნის ბაზა ორგანიზებულ უნდა იქნას ისეთნაირად, რომ ძებნამ წარმოადგინოს ყველაზე უფრო რელევანტური შედეგები, რომლებიც შეიძლება დაუყონებლივ იქნას გამოყენებული.

როგორც წესი სიძნელეები წარმოიშვება ცოდნის მართვის სისტემის პროექტის დანერგვისას ინფრასტრუქტურების რომელიმე სახეობის ორგანიზებაში დაშვებული შეცდომების გამო. კერძოდ, კი ეს შეიძლება იყოს ტექნიკური პლატფორმის პროექტირებისას დაშვებული შეცდომები, თუმცა ასეთი სახის შეცდომების გასწორება ბევრად ადვილია, ვინაიდან აპარატულ-პროგრამული საშუალებები შედარებით ნაკლებად

არიან მიბმული ბიზნეს-პროცესებთან ან ორგანიზაციის სოციალურ სტრუქტურებთან, რასაც ვერ ვიტყვით ორგანიზაციულ და სოციალურ ინფრასტრუქტურებზე.

პრობლემები, რომლებიც დაკავშირებული არიან ამოცანებთან, რომელთა რეალიზაციაც ხდება ორგანიზაციული ინფრასტრუქტურის ბაზაზე, ხშირად გამოწვეულია ისეთი ფაქტორებით როგორცაა პასუხისმგებელი დანაყოფის არადროული რეაქცია რეგლამენტაციის საჭირო შეცვლასთან დაკავშირებით.

სოციალური ინფრასტრუქტურით გამოწვეულ პრობლემებს შეიძლება მივაკუთვნოთ კოლექტივის გათიშულობა.

იდეაში ცოდნის მართვის სიტემა უნდა ასრულებდეს რამდენიმე ფუნქციას, მათ შორის:

- ექსპორტი – ცოდნის ამორჩევა გარე საცავებიდან, თემატიკის მიხედვით დახარისხება, ანალოგების გამოვლენა;

- შესრულება – პრობლემის ან თემის ფორმულირება, შესაბამისი ცოდნის მოძიება;

- შუამავლობა – ფარული ცოდნის შეფასება. მომხმარებელთა ინტერესის გათვალისწინებით, სისტემას შეუძლია ერთმანეთს დააკავშიროს ადამიანები, რომლებიც მუშაობენ ერთი და იმავე პრობლემებზე, ცოდნის გასაცვლელად. ფუნქცია ხორციელდება ჯგუფური პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით, ინტერნეტ პორტალებით, სამუშაოთა ნაკადის მხარდამჭერი სისტემებით და დოკუმენტების მართვის საშუალებით;

- შემეცნება – ყველა მიღებული ცოდნის გამოყენება. ამ ამოცანის გადასაწყვეტად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ხელოვნური ინტელექტი, რომელიც საშუალებას აძლევს სისტემას დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება.

ცოდნის მართვაში გადაწყვეტილებების რეალიზაციის პორტალური ვარიანტი პოპულარულია ევროპის ქვეყნებში. ჩვეულებრივ ის წარმოადგენს რესურს, რომელიც ინტეგრირებულია სხვადასხვა ინფორმაციულ სისტემებთან და დანართებთან. ფაქტიურად ეს არის კორპორაციული ბიბლიოთეკა, რომელიც დაყოფილია თემატურ განყოფილებებად, და რომლებშიც ინფორმაციის განახლება ხდება რეალურ დროში. პორტალის თავისებურებას წარმოადგენს პერსონალიზაციის შესაძლებლობა – მომხმარებელს შეუძლია ამოიჩიოს ის დანართი, რომელიც მას მოცემულ მომენტში ჭირდება. აშშ-ს ანალიტიკური ჯგუფის Meta group-ის მონაცემებით იმ ორგანიზაციებიდან, რომლებიც ნერგავენ ცოდნის მართვის სისტემებს, 81%-მა თავისი ყურადღება შეაჩერა პორტალურ ვარიანტზე.

სისტემის პროგრამული და აპარატული უზრუნველყოფა უნდა იყოს მასშტაბირებადი, ანუ უნდა ქონდეს შესაძლებლობა განვითარებისა ორგანიზაციაში ცვლილებების შესაბამისად. ამასთან ერთად სისტემები უნდა იყოს მაქსიმალურად ღია, ე.ი. უნდა იყოს მონაცემთა გაცვლის შესაძლებლობა სხვა სისტემებთან, რათა გარეშე პარტნიორებთან ურთიერთობისას ინფორმაციის გაცვლა ხდებოდეს ოპერატიულად, ზედმეტი დაყოვნების გარეშე.

**მეორე თავი**  
**პოლიტიკური პროცესის რეალიზაციისა და სახელმწიფო**  
**მმართველობის ინფორმაციული ასპექტები**

**2.1. პოლიტიკური კომუნიკაცია – პოლიტიკის რეალიზაციის**  
**უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი**

პოლიტიკური და მასობრივი კომუნიკაციის სტრუქტურულ-ფუნქციური ანალიზი განსაკუთრებით პოპულარული 1940–60-იანი წლების ამერიკულ სოციოლოგიაში იყო. სწორედ ამ ტრადიციის ჩარჩოებში ატარებდნენ თავიანთ გამოკვლევებს ისეთი ცნობილი ამერიკელი მეცნიერები, როგორებიც იყვნენ *რობერტ მერტონი* (Robert King Merton, 1910–2003), *პოლ ლაზარსფელდი* (Paul Felix Lazarsfeld, 1901–1976), *ჰაროლდ ლასუელი* (Harold Dwight Lasswell, 1902–1978) და სხვ.

ტერმინის – ”კომუნიკაცია” (ლათინური Communication-დან) რამდენიმე განმარტება არსებობს. ზოგი მასში გულისხმობს ინფორმაციის გაცვლას, ინფორმაციის გადაცემას; ზოგი თვლის, რომ ეს არის შეტყობინება, კავშირი; ზოგისთვის კი – ინფორმაცია არის ადამიანთა შორის ურთიერთქმედების ტიპი, რაშიც ივარაუდება ინფორმაციის გაცვლა.

გერმანელი სოციოლოგი *ნიკლას ლუმანი* (Niklas Luhmann, 1927 - 1998), მაგალითად, თვლის, რომ „სოციალური სისტემა ყალიბდება ყოველთვის, როდესაც ხორციელდება კომუნიკაციის განსაკუთრებული ურთიერთობები, რომლებიც შესაბამისი კომუნიკაციების შეზღუდვების გზით ემიჯნება გარემოს. ამრიგად, სოციალური სისტემა შედგება არა ხალხის ან მოქმედებების, არამედ კომუნიკაციებისაგან“ [9].

ნ. ლუმანი კომუნიკაციაში მოიაზრებს სამი სხვადასხვა ნაწილის სინთეზს: ინფორმაციას, შეტყობინებასა და გაგებას. მისი აზრით, სოციალური სისტემები არ განეკუთვნება ცოცხალ სისტემათა კლასს. სოციალური სისტემები რეალურობის სხვა დოეზე იმყოფება - მათი ელემენტარული კომპონენტი კომუნიკაციაა. კომუნიკაცია არ არის მოქმედების სახე, მხოლოდ ცნობის გადაცემა. კომუნიკაცია თხოულობს გაგებას, გაგება კი, როგორც ლუმანი თვლის, არ წარმოადგენს მოქმედების არც ნაწილს, არც ატრიბუტს.

პოლიტიკური კომუნიკაციის როლსა და დანიშნულებას კარგად ხსნის ის მეთოდები და საშუალებები, რომელთა მეშვეობითაც ინფორმაცია მოძრაობს მმართველებსა და მართვის ობიექტებს შორის. მკვლევართა ნაწილი გამოყოფს კომუნიკაციის სამ წესსა და საშუალებას: 1. კომუნიკაცია მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გზით; 2. კომუნიკაცია ორგანიზაციების მეშვეობით; 3. კომუნიკაცია არაფორმალური კონტაქტების დახმარებით.

დიდი როლი აკისრია მასობრივი ინფორმაციის ბეჭდვით (პრესა, წიგნები, პლაკატები და ა.შ.) ან ელექტრონულ (რადიო, ტელევიზია, ინტერნეტი და ა.შ.) საშუალებებს. ისინი უდიდეს ზემოქმედებას ახდენენ ადამიანთა მსოფლმხედველობისა და პოლიტიკური

პოზიციების ჩამოყალიბებაზე. ეს ხდება არა იმდენად ადამიანების პოზიციებზე მათი სპეციფიკური ზემოქმედების გამო, არამედ რამდენადაც ისინი იქცნენ იმ ცოდნის მოპოვების საშუალებებად, რომლებზეც დამოკიდებულია საზოგადოებრივი ცხოვრება. ზოგადად კომუნიკაცია წარმოადგენს ადამიანთა ერთობლივი საქმიანობის პროცესში მათი ურთიერთქმედებისა და ურთიერთობის სპეციფიკურ ფორმას.

აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა, რომლის გადაჭრაზეც აშშ თავდაცვის სამინისტროს დავალებით XX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში პერსპექტიული თავდაცვითი საკვლევე პროექტების ამერიკული სააგენტო მუშაობდა, იმაში მდგომარეობდა, რომ სტრატეგიული ბირთვული დარტყმის შედეგად, სამეთაურო ცენტრის განადგურების შემთხვევაში, როგორ გადაერჩინათ და დაეცვათ კომუნიკაციები (ამან შემდეგ ინტერნეტის გამოგონებამდე მიიყვანა ისინი).

კომუნიკაციის ნაირსახეობებიდან მკვლევრები ძირითადად გამოარჩევენ მასობრივ კომუნიკაციასა და პოლიტიკურ კომუნიკაციას. პოლიტიკური კომუნიკაცია არის პოლიტიკურ სისტემასა და გარემოს შორის, აგრეთვე, პოლიტიკური სისტემის ელემენტებს შორის ინფორმაციული კავშირის განმახორციელებელი პროცესებისა და ინსტიტუტების ერთობლიობა. საკომუნიკაციო ფუნქციას ახორციელებენ პარტიები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, ინტერესთა ჯგუფები.

პოლიტიკური კომუნიკაციის მოვლენის შესწავლა დაიწყო XX საუკუნის 40-50-იან წლებში. ტერმინიც სამეცნიერო ლიტერატურაში ამ პერიოდში შემოდის ხმარებაში. მისი დამოუკიდებელ მიმართულებად ჩამოყალიბება გამოწვეული იყო მსოფლიოში პოლიტიკური პროცესების დემოკრატიზაციით, კიბერნეტიკის განვითარებით, ახალი საკომუნიკაციო სისტემებისა და ტექნოლოგიების წარმოქმნითა და სრულყოფით და სხვ.

თანამედროვე მკვლევრები პოლიტიკურ კომუნიკაციას განიხილავენ, როგორც საზოგადოების პოლიტიკური სისტემის აუცილებელ ელემენტს, ადამიანის ყოფაცხოვრებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შემეცნების ნაწილს.

პოლიტიკური კომუნიკაციის თეორიის კვლევის არეალშია შემდეგი პრობლემების კომპლექსი:

- პოლიტიკური ინფორმაციის მრავალფეროვანი საშუალებების აგებულებისა და ფუნქციონირების არსი და თავისებურებანი: მჭევრმეტყველების, ჟესტიკულაციის, ბეჭდვითი სიტყვის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების შესაბამისად, ხდება საკომუნიკაციო ქსელების საქმიანობის შესწავლა, პრინციპით: „გამგზავნი-დამმუშავებელი-პოლიტიკური ინფორმაციის ადრესატი“, სიტყვისა და ინფორმაციის ელექტრონული არხების, მასმედიაზე სახელისუფლო კონტროლის პრობლემები და სხვ.;
- ნიშანთა, სიმბოლოთა და სემანტიკური სისტემების დამუშავება და სრულყოფა პოლიტიკურ-კომუნიკაციური გადაცემებისთვის, პოლიტიკური ინფორმაციის

დაშიფრვისა და განშიფრვის ხერხები, პოლიტიკური მითოლოგიის, სიმბოლური, სარეკლამო და პროპაგანდისტული სახეებისა და სიუჟეტების შექმნა;

- პოლიტიკის სუბიექტების საქმიანობასა და ქცევაზე ინფორმაციული ზემოქმედების სოციალურ-პოლიტიკური შედეგები, საზოგადოებრივი აზრის ფორმირება, ელექტორალური პროცესების მიმდინარეობა, საზოგადოების პოლიტიკური მართვა.

მკვლევართა უმეტესობა პოლიტიკური კომუნიკაციის ძირითადად ორ სახეს განასხვავებს:

1. „ჰორიზონტალურს“ - კომუნიკაციები გარკვეულად ერთ მწკრივად განლაგებულ ინსტიტუციურ კომპონენტებსა და სოციალურ აქტორებს შორის (სხვადასხვა ელიტურ დაჯგუფებებს ან მასობრივ აქციებში ურთიერთმოქმედ რიგით მოქალაქეებს შორის);

2. „ვერტიკალურს“ - კომუნიკაცია მაკროპოლიტიკური სტრუქტურების სხვადასხვა იერარქიულ დონეებს შორის, მაგალითად, როგორც ეს ხდება ელექტორატის სხვადასხვა ჯგუფების მთავრობისადმი მოთხოვნების წაყენების დროს სოციალური პოლიტიკის კურსის კორექტირების შესახებ პოლიტიკური პარტიის დეკლარირების მეშვეობით.

პოლიტიკური კომუნიკაცია გულისხმობს ზემოდან ქვემოთ სიგნალების არა ცალმხრივ მიმართულებას, არამედ საზოგადოებაში არაფორმალური საკომუნიკაციო პროცესების მთელ დიაპაზონს, რომლის ყოველმხრივ გავლენას განიცდის პოლიტიკა.

პოლიტიკური კომუნიკაციის ძირითადი ფუნქციებია: საზოგადოების მომზადება პოლიტიკაში მონაწილეობის მისაღებად; საზოგადოებრივი და პოლიტიკური აზრის ფორმირება; პოლიტიკის შესახებ იდეურ-პოლიტიკური ღირებულებების გავრცელება; პოლიტიკურ ურთიერთობათა რეგულირება და ინტეგრაცია; პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბებისათვის ხელის შეწყობა, ინდივიდუუმებში მისი განვითარება და სხვ.

კომუნიკაცია ხორციელდება ძირითადად არაფორმალური კონტაქტების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გზით. მათ შეიძლება მიეკუთვნოს განსაკუთრებული საკომუნიკაციო სიტუაციებიც (არჩევნები, რეფერენდუმები და სხვ.).

პოლიტიკური კომუნიკაციის შინაარსია ძალაუფლებისათვის ბრძოლის ან მისი განხორციელების პროცესში სუბიექტების ურთიერთქმედება ინფორმაციების გაცვლის გზით. იგი დაკავშირებულია ინფორმაციის მიზანმიმართულ გადაცემასა და შერჩევით მიღებასთან, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია პოლიტიკური პროცესის წინსვლა. კომუნიკაციის მეშვეობით გადაიცემა პოლიტიკური შეტყობინების სამი ძირითადი ტიპი: მაიძულებელი (ბრძანება, დარწმუნება...); საკუთრივ საინფორმაციო (რეალური ან გამოგონილი ცნობები); ფაქტობრივი (პოლიტიკის სუბიექტებს შორის კონტაქტების დამყარებასა და გადრმაგებასთან დაკავშირებული ცნობები).

პოლიტიკურ-კომუნიკაციური პროცესების არსებითი მხარეა პოლიტიკური ინფორმაციის გადაცემა, გადაადგილება, მიმოქცევა. პოლიტიკურ ინფორმაციაში იგულისხმება მონაცემები პოლიტიკის შესახებ, რომლებსაც ერთმანეთს უცვლიან

(კრებენ, ამუშავებენ, ავრცელებენ, იყენებენ, ინახავენ, იცავენ) საზოგადოებაში ურთიერთმოქმედი ინდივიდები, სოციალური ჯგუფები, ფენები და სხვ. პოლიტიკური ინფორმაცია არის ცოდნის, მონაცემების, შეტყობინებების ერთობლიობა საზოგადოების პოლიტიკური სფეროს მოვლენებისა და ფაქტების შესახებ. მისი დახმარებით გადაიცემა პოლიტიკური გამოცდილება, ცოდნა, ხდება ადამიანთა ძალების კოორდინირება, მათი პოლიტიკური სოციალიზაცია და ადაპტაცია, პოლიტიკური ცხოვრების სტრუქტურირება.

პოლიტიკური სისტემის სტრუქტურა აუცილებლად მოიცავს პოლიტიკური სისტემის ინსტიტუტებს შორის დამაკავშირებელ საინფორმაციო-საკომუნიკაციო ქვესისტემას, რომლის მნიშვნელობაც განუზომლად დიდია, რადგანაც ადამიანებს, როგორც ცნობილია, მოქმედების პოლიტიკური შეფასების უნარი მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებათ, თუ ფლობენ გარკვეული მოცულობის ცოდნასა და ინფორმაციას.

რაც შეეხება მასობრივი კომუნიკაციას (საინფორმაციო-პროპაგანდისტული საქმიანობა), იგი არის პროცესი, რომლის დროსაც სპეციფიკური სოციალურ-პოლიტიკური ინსტიტუტები (მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, ორგანოები) ტექნიკური საშუალებების მეშვეობით ქმნიან და გადასცემენ ინფორმაციას დიდი, ჰეტეროგენული და გაფანტული აუდიტორიის სივრცეში. ეს არის სოციალური სუბიექტის საქმიანობა, რომელიც მიმართულია სოციალურისავე სუბიექტის მოქმედებისა და აზროვნების წესის ფორმირებისათვის.

მისთვის დამახასიათებელია - საჯაროობა; სპეციალური, ტექნიკური ხელსაწყოების, აპარატურის არსებობა; არაპირდაპირი, სივრცეში და დროში განაწილებული კომუნიკაციური პარტნიორების ურთიერთქმედება; ურთიერთქმედების ცალმხრივი მიმართულება კომუნიკატორიდან მიმღებისკენ (Recipients), მათი როლების შეცვლის შეუძლებლობა; მისი აუდიტორიის არამდგრადი, დისპერსიული ხასიათი, რომელიც წარმოიშვება შემთხვევიდან შემთხვევამდე.

„მასობრივი კომუნიკაციის თეორია“ დამოუკიდებელ მეცნიერულ დისციპლინად ყალიბდება XX საუკუნის დასაწყისში. მის სათავეებთან დგანან *ჯონ დიუი* (John Dewey, 1859–1952), *ჩარლზ კული* (Charles Horton Cooley, 1864–1929), *ვალტერ ლიპმანი* (Walter Lippmann, 1889 – 1974) და სხვ.

საინფორმაციო შეტყობინება, რომელსაც ადამიანი იყენებს, ხშირად ატარებს დისკრეტული შეტყობინების ხასიათს. ასეთს ძველად წარმოადგენდა, მაგალითად, ხმოვანი და სინათლის მეშვეობით გადაცემული განგაშის სიგნალის შეტყობინება. დისკრეტულს წარმოადგენს, აგრეთვე, სიტყვითი შეტყობინებანი, რომლებიც წერილობითი სახით ან ხმოვანი სიგნალების მეშვეობით გადაიცემა; უესტების მეშვეობით გადაცემული შეტყობინებანი და სხვ.

მასმედიას ძირითადად განეკუთვნება პრესა, რადიო, ტელევიზია, მასობრივი ცნობარები, კინო, ხმის ჩანაწერი, ვიდეოჩანაწერი. ბოლო დროს თანამგზავრული კავშირგაბმულობის, საკაბელო რადიოსა და ტელევიზიის, ელექტრონული ტექსტური

კომუნიკაციური სისტემების (ვიდეო, ეკრანული, საკაბელო), აგრეთვე, ინფორმაციის დაგროვებისა და ბეჭდვის ინდივიდუალური საშუალებების (კასეტები, დისკეტები, პრინტერები, პლოტერები და სხვ.) გავრცელების შედეგად კომუნიკაციის საშუალებებმა არსებითი ცვლილებები განიცადა.

აქამდე მასობრივი კომუნიკაციის პროცესი ცალმხრივი მიმართულების და არაპირადი ურთიერთობის ხასიათს ატარებდა. იგი მასობრივი კომუნიკაციების საშუალებების (მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, მასმედის) დახმარებით ხორციელდებოდა. ხდებოდა მაყურებლისა და მკითხველის ინფორმირება სადღაც მიღებული გადაწყვეტილებებისა და მოვლენების შესახებ, რითაც ზეგავლენას ახდენდნენ აუდიტორიაზე.

ბოლო ხანებში კი სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა უკუქმედების მექანიზმს - ნანახსა და მოსმენილზე პუბლიკის რეაქციას. შედეგად, ინფორმაციის გადაცემა გადაიქცა კომუნიკაციად, ურთიერთგაცვლად, აუდიტორიასთან კავშირად. მაგრამ ჯერჯერობით, მასობრივ ინფორმაციას ძირითადად იმ საშუალებებთან აკავშირებენ, რომელთაც ისინი ავრცელებენ - რადიო, ტელევიზია, ბეჭდვითი სიტყვა, თუმცა მასები სოციალურ ინფორმაციას თავისი განვითარების მთელი ისტორიის მანძილზე ქმნიდნენ. ჟურნალისტიკა ან მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ხომ მასობრივი საინფორმაციო პროცესების, არცთუ დიდი, თუმცა კი მნიშვნელოვანი ნაწილია. ეს არის ელემენტი მასობრივი კომუნიკაციის სისტემაში, რომელშიც შედის, აგრეთვე, მასობრივი ურთიერთობის ყველა სახე, როგორც ტექნიკური, ისე ზეპირი.

მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პირად ურთიერთობებს - მასობრივი კომუნიკაციის ის მიკროდონე, რომელიც არსებით ზეგავლენას ახდენს მის მაკროდონეზე - ტელევიზია, რადიო, კინო, სალექციო პროპაგანდა და სხვ. მასობრივი კომუნიკაციის ოფიციალური სუბიექტის ინფორმაციას ადამიანები მაშინ აღიქვამენ წარმატებით, როდესაც არაოფიციალური სუბიექტის მიერ დადებითად არის შეფასებული და აქვს მისი მხარდაჭერა. ნებისმიერ მნიშვნელოვან ცნობას, როგორც წესი, განიხილავენ და შეფასება ეძლევა ოჯახში, შრომით კოლექტივში, არაფორმალურ გარემოში. სწორედ ეს შეფასება, ახლობელი ადამიანების პოზიცია ახდენს ყველაზე დიდ გავლენას ადამიანის დამოკიდებულებაზე ამა თუ იმ ინფორმაციის ოფიციალური წყაროსადმი. ოფიციალური ინფორმაციისადმი აუდიტორიის მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულების შემთხვევაში, მასმედის ეფექტურობასა და ქმედითობაზე ლაპარაკი ზედმეტია. პირადი ურთიერთობები ერთგვარ ფილტრის როლს ასრულებს ოფიციალური ინფორმაციის ათვისებაში, აძლევს მას შეფასებას და მნიშვნელოვან როლს თამაშობს პიროვნების პოლიტიკურ ორიენტირებაში [10].

მნიშვნელოვანწილად კომუნიკაცია დამოკიდებულია მისი განვითარების სოციალურ, პოლიტიკურ და ტექნიკურ პირობებზე. მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების სისტემებში აუცილებლად შედის ამ საშუალებების ტექსტები (სიბოლოებში, ნიშნებში, ნიმუ-

შეპში, ხმებში...) და აუდიტორია – მცირე კონცენტრირებულიდან მრავალრიცხოვრიობამდე, გაშორიშორებულობამდე.

მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების განვითარების დონე, მათი გამოყენების თავისებურებანი საკმაო სისრულით ახასიათებს პოლიტიკური კულტურის სოციალურ-საინფორმაციო ბაზას, მის პრიორიტეტულ მიზნებს. თავის მხრივ, დომინირებული პოლიტიკური კულტურა თითქოსდა პოლიტიკურ-კომუნიკაციურ პროცესებს ღირებულებითი ორიენტაციის, ფუნქციონირების წესების, ნიმუშების სისტემას „აძლევს“.

მასობრივი კომუნიკაცია ასახავს სოციალური კავშირების მთელ მრავალფეროვნებას - პირადს, მასობრივს და სოციალურს და გამოხატავს პოლიტიკის სუბიექტების ღირებულებებს; თავის თავში ატარებს სოციალურ-პოლიტიკურ ინფორმაციას, მათ შორის მისი გაცვლის პროცესს, აგრეთვე, სემიოტიკურ და ტექნიკურ საშუალებებს, რომლებიც გამოიყენება ამ გაცვლებში და ამ გაცვლების ტექნიკურ არხებს. მასობრივი კომუნიკაციის დროს კომუნიკატორები მიზანმიმართულად ახდენენ მასობრივი აუდიტორიის ფორმირებას, მასობრივი კომუნიკაცია გულისხმობს ასევე მასების შიგნით მჭიდრო განვითარებად ურთიერთკავშირებს, რომლებიც თავის მხრივ კომუნიკატორებზე ზემოქმედებს.

კომუნიკაციის საშუალებებზე პოლიტიკური სისტემის მოთხოვნილებას განსაზღვრავს მისი ფუნქცია საზოგადოებაში, პოლიტიკის აგენტების რაოდენობა, პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღების წესი, სახელმწიფოს სიდიდე და ზოგიერთი სხვა ფაქტორი. წარსულის ტრადიციულ სახელმწიფოებში კომუნიკაციის საშუალებებზე მოთხოვნილებები შეზღუდული იყო. ამგვარი საშუალებების როლს ასრულებდნენ ძირითადად შიკრიკები, მაცნეები და დესპანები, რომლებიც პოლიტიკურ ინფორმაციას გადასცემდნენ ზეპირი ან წერილობითი ფორმით: მეფეთა ბრძანებულებები და განკარგულებები, წერილები და სხვ.

პატარა ტერიტორიის მქონე ბევრი სახელმწიფო და ქალაქი იყენებდა ზარს, რომელიც მოქალაქეებს ამცნობდა საფრთხის, სახალხო კრების მოწვევის და სხვა მნიშვნელოვანი პოლიტიკური და რელიგიური მოვლენის შესახებ. მაგალითად, საქართველოში მტრის მოახლოების საფრთხეს ამცნობდნენ სპეციალური გაანგარიშებით შერჩეულ მთის მწვერვალებზე ცეცხლის დანთებით, რომლებიც ისე იყო განლაგებული, რომ გადაცემული ინფორმაცია ძალიან მოკლე დროში ვრცელდებოდა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

შემდგომში ჩნდება საფოსტო კავშირი, რომლისთვისაც დასაწყისში ცხენებს იყენებდნენ, შემდეგ კი - სხვა ტრანსპორტს. XIX-XX საუკუნეებში ტელეგრაფისა და სატელეფონო კავშირის, რადიოსა და ტელევიზიის გამოგონებამ და გავრცელებამ პოლიტიკაში ნამდვილი რევოლუცია მოახდინა. მასმედია პრაქტიკულად შესაძლებელი გახადა მრავალი დემოკრატიული და ტოტალიტარული იდეის განხორციელება, რომლებიც ადრე უტოპიურად გამოიყურებოდა, მნიშვნელოვნად შეცვალა ძალაუფლების განხორციელებისა და ლეგიტიმაციის წესები, მისი რესურსების სტრუქტურა. თანამედროვე საზოგადოებაში ინფორმაციისა და ცოდნის ძალაუფლება საზოგადოების მართვაში გადაწყვეტი ხდება, მან თანდათან შეავიწროვა და მეორე პლანზე გადასწია ფულისა და სახელმწიფო



იძულების ზეგავლენა. ცოდნისა და სხვა პოლიტიკურად მნიშვნელოვანი ინფორმაციის უშუალო მატარებელს, განსაკუთრებით კი გამავრცელებელს, მასმედია წარმოადგენს.

პოლიტიკურ პროცესებზე მასობრივი კომუნიკაციის ზეგავლენის შესახებ ანალიზის დროს პოლიტოლოგები აღნიშნავენ, რომ პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში გადამწყვეტ მართვით რესურსს წარმოადგენს ინფორმაციის ფლობისა და ცოდნის არსებობა, მაშინ, როდესაც ფინანსებისა და უშუალო სახელმწიფო იძულების როლი თანდათან კარგავს გადამწყვეტ მნიშვნელობას. ცხადია, ცოდნის ძირითადი გამავრცელებლის სოციალური მნიშვნელობის ფუნქციას დღესდღეობით მასმედია ასრულებს.

ამრიგად, პოლიტიკური კომუნიკაციის სტრუქტურისა და მასმედიის მანიპულირების თანამედროვე ტექნოლოგიების ცოდნა მასმედიის საინფორმაციო სივრცეში უკეთ ორიენტირების საშუალებას იძლევა და, ეროვნული უშიშროების ინტერესებიდან გამომდინარე, საფრთხის შემცველი სუბიექტებიდან მიღებული უნდა იქნეს ინფორმაცია არა მარტო იმაზე მეტი, რისი მოცემაც მათ აქვთ განზრახული, არამედ იმაზე მეტიც, ვიდრე თვითონ მათ იციან. სიტუაციის გარკვევის შემდეგ, სახელმწიფოს, დემოკრატიულ ძალებს საშუალება ეძლევათ უკეთ დაიცვან თავი ანტისახელმწიფოებრივი და ანტიდემოკრატიული მაფიოზური კლანებისაგან და მათ ხელში მოქცეული მასმედიის საქმიანობის ნეგატიური გავლენისაგან, რადგანაც ეკონომიკურად და პოლიტიკურად გაბატონებული ძალების ხელში მასმედიის მოხვედრამ შეიძლება წერტილი დაუსვას დემოკრატიულ პროცესებს ან, სულ მცირე, მისი მნიშვნელოვანი დეფორმაცია გამოიწვიოს.

## **2.2. სახელმწიფოს მართვის სისტემის ინფორმაციული უზრუნველყოფის ძირითადი მიმართულებები**

სახელმწიფოს მართვის სისტემის ინფორმაციული უზრუნველყოფის ფორმირების სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებია: საქართველოს მთავრობის საინფორმაციო პოლიტიკის ჩამოყალიბება; ინფორმაციული სისტემის ტექნოლოგიური უზრუნველყოფა და მოდიფიკაცია; სხვადასხვა უწყებათა საინფორმაციო სისტემების ერთიან ინფორმაციულ სისტემაში ინტეგრირების უზრუნველყოფა; ცენტრსა და რეგიონებს შორის მართვითი ინფორმაციის გაცვლის პირობათა შექმნა; უწყებებს შორის ინფორმაციის გაცვლის წესების დადგენა; ინფორმაციის დაცვა; საინფორმაციო ბაზრის ფორმირების პირობათა შექმნა; საინფორმაციო სისტემის ტექნიკური მომსახურების პირობების შექმნა; კადრების კვალიფიკაციის ამაღლების - ტრენინგის პროგრამების ორგანიზაცია.

მნიშვნელოვანია საინფორმაციო სისტემის ინფრასტრუქტურის ტექნიკური ბაზის მოდერნიზაციის პრობლემა, რაც მოიცავს - კავშირგაბმულობის ტექნიკური პირობების მოდერნიზაციას, კომპიუტერული პარკის განახლებას და საინფორმაციო სისტემის სტაბილურ ენერგეტიკულ უზრუნველყოფას.

მასობრივი კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებებმა ნამდვილი რევოლუცია მოახდინა საზოგადოების განვითარების პროცესებში, განსაკუთრებით დიდია მათი ზეგავლენა პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობებზე, მართვის საშუალებებსა და ხერხებზე. საქართველოში უკვე ჩვეულებრივი მოვლენაა ელექტრონულ ფორმატში შეტყობინებების ორმხივი გაცვლა მოქალაქესა და ხელისუფლებას შორის. მაგალითად, 2011 წლის 17 ნოემბერს, თბილისში გამართულ კიბერუშიშროებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების IV რეგიონულ კონფერენციაზე აღინიშნა ქ. თბილისის თვითმმართველობის ორგანოებში განხორციელებული სიახლეების შესახებ. თბილისელებს შესაძლებლობა აძლევს, სახლიდან გაუსვლელად, უმოკლეს ვადაში მიიღონ როგორც ინფორმაცია მერიაში განხორციელებულ სიახლეებზე, ისე სხვადასხვა სახის მომსახურება [11]. მერიაში მოქმედებს სპეციალური პროგრამა, რომელიც ადგილობრივი ხელისუფლების ყველა რგოლში ელექტრონულ დოკუმენტბრუნვას უზრუნველყოფს, რაც მოქალაქეების მომსახურებას ამარტივებს და მინიმუმამდე ამცირებს ბიუროკრატიულ ვადებს.

ამრიგად, მოქალაქეს არა მხოლოდ ინფორმაციის გაგზავნა შეუძლია ხელისუფლებისთვის (მაგალითად, კითხვები ან კომენტარები), არამედ მათგან ელექტრონული ფორმით ინფორმაციის მიღებაც. ხდება დიალოგის მხარეთა თანასწორობა და გაცვლის დაბალანსება. ხელისუფლება პასუხობს მოქალაქეთა შეკითხვებს, ამასთან, ორივე მხარე თანაბარი უფლებებით სარგებლობს. ისეთი ინფორმაციის ელექტრონული საშუალებისაგან განსხვავებით, როგორცაა მაგალითად, ტელევიზორი, გაცვლა ხდება ორმხრივად - ცენტრიდან პერიფერიაში და პერიფერიიდან ცენტრში. დიდი მნიშვნელობა აქვს კავშირის სეანსების ხანგრძლივობაზე დროითი შეზღუდვების არარსებობას.

საქართველოში ინტერნეტ ინტერაქტიულ სივრცეში სახელმწიფო ორგანოებსა და საზოგადოებას შორის ხარისხობრივად ახალი ურთიერთქმედების საშუალებას იძლევა. ასეთი ტიპის სისტემის ელემენტების ფორმირება უცილობლად ხელს შეუწყობს ქართული დემოკრატიის ფუნქციონირების, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და პრინციპების გამყარებას, საშუალებას მისცემს ჩვენს ქვეყანას აქტიური როლი ითამაშოს გლობალური ინფორმაციული საზოგადოების მშენებლობაში.

ქვეყანაში მნიშვნელოვანი მოცულობის სხვადასხვა სახეობისა და კლასის საინფორმაციო რესურსებია. რაც შეეხება სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი რგოლის საინფორმაციო უზრუნველყოფას, რომელთა კომპეტენციაში შედის სტრატეგიული მიზნების (დოქტრინების) გენერაცია, ქვეყნის დასაბუთებული, პოლიტიკური კურსის არჩევა, საზოგადოებასა და მსოფლიოში კრიზისული სიტუაციების განვითარების დადგენილი სცენარების ანალიზი, ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფა – ამ პრობლემებს მეტი ყურადღება ჭირდება. მხოლოდ ამ მიმართულებების შემუშავებას შეუძლია მოგვცეს მნიშვნელოვანი ეფექტი და ჭეშმარიტად გააუმჯობესოს საქმეთა ვითარება.

ხელისუფლებისა და მართვის ორგანოთა საინფორმაციო უზრუნველყოფის პრობლემები შეიძლება განიხილ იქნას: შექმნის, გამოყენების, ორგანიზაციისა და განვითარების

სხვადასხვა ეტაპისა და მიმართულების ჭრილში, მათ შორის, მაგალითად: სახელმწიფო ხელისუფლებისა და მართვის ორგანოთა სახეობების მიხედვით; ინფორმაციული უზრუნველყოფის ავტომატიზებული სისტემებისა და საშუალებების კლასებისა და სახეობების მიხედვით; ინფორმაციული უზრუნველყოფისათვის გამოსაყენებელი ინფორმაციული რესურსების სახეობების მიხედვით; საინფორმაციო სფეროში ურთიერთობების მარეგულირებელი ნორმატიული სამართლებრივი აქტების სახეობების მიხედვით; ინფორმაციული უშიშროების უზრუნველყოფის მიმართულებების მიხედვით.

სოციალური სისტემის კომპონენტებს შორის, სისტემასა და მის გარემომცველ გარემოს შორის ინფორმაციის უწყვეტი ცირკულაცია მმართველობის აუცილებელი ატრიბუტია. სწორედ ინფორმაციული პროცესების წყალობით აქვს სისტემას უნარი განახორციელოს მიზანშეწონილი ურთიერთქმედება გარემომცველ პირობებთან, მოახდინოს საკუთარი კომპონენტების კოორდინაცია და სუბორდინაცია, მისცეს მათ მოძრაობას მიმართულება ისევე, როგორც თავისი თავის, როგორც ერთი მთლიანის, მოძრაობას დაპროგრამებული მიზნისაკენ. როგორც მთლიანად საზოგადოება, ისე ნებისმიერი ქვესისტემა მის ჩარჩოებში, არის მისი ჩამომყალიბებელი კომპონენტებით რაოდენობრივად და ხარისხობრივად გამორჩეულად რთული და მრავალფეროვანი, რომელთათვისაც დამახასიათებელია ასეთივე მრავალფეროვანი ურთიერთქმედება, ურთიერთკავშირი, თავისი ადგილის მიხედვით საზოგადოებრივ სისტემაში, ფუნქციის შესრულებაში, ურთიერთქმედების ხასიათში გამორჩეულად დიდი რაოდენობის სხვადასხვა საგარეო ფაქტორთან. ამასთან, მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას, რომ სოციალური სისტემები მუდმივად განიცდიან როგორც საგარეო, ისე საშინაო ხასიათის „მაბუნტებელ“ ზეგავლენას.

მეტად მრავალფეროვანია „მაბუნტებელი“ ზემოქმედება სოციალურ სისტემაზე. ნაწილს ნაკლები სიმძლავრე გააჩნია, მაგრამ დროის მოკლე მონაკვეთში მოქმედებს. მეორე ნაწილი, ნაკლები სიმძლავრის მიუხედავად, მოქმედებს მუდმივად ან ხანგრძლივი დროით. ამ ზემოქმედებათა შესახებ დროული ოპერატიული ინფორმაცია პირველ შემთხვევაში - სისტემის სტაბილიზაციის, ხოლო მეორე შემთხვევაში შეგუების, ადაპტირების შესაძლებლობას იძლევა. არც ერთ და არც მეორე შემთხვევაში სისტემის სტრუქტურა და ფუნქცია სერიოზულად არ ირღვევა.

სოციალური სისტემის მთლიანობაში მისი კომპონენტების სტრუქტურის დამანგრეველ და ფუნქციის მომშლელ ზემოქმედებასაც აქვს ადგილი. ამ შემთხვევაში მართვის სუბიექტი მოწოდებულია სტრუქტურისა და ფუნქციის აღდგენა იმდაგვარად უზრუნველყოს, რომ დაიცვას სისტემის ხარისხობრივი სპეციფიკა, შეინარჩუნოს მისი ფუნქციონირება. ამისათვის უფრო რთული და მრავალფეროვანი ინფორმაციაა აუცილებელი, ვიდრე სტაბილიზაციისა და ადაპტაციის უზრუნველყოფისათვის. ეს არის ინფორმაცია არა მხოლოდ თვითონ „მაბუნტებელ“ ფაქტორებზე, არამედ სისტემის შიდა მდგომარეობის შესახებ, მისი რესურსებითა და დარღვეული სტრუქტურისა და ფუნქციის აღდგენის შესაძლებლობათა შესახებ. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ „მაბუნტებელ“ ფაქტორებს

ტორთა ზემოქმედების პირობებში, სისტემის სტაბილიზაცია, ადაპტაცია და თვითადაგენა ქმნის წინაპირობას, საფუძველს, სისტემის განვითარებისა და სრულყოფისათვის.

რაკი „მხოლოდ მრავალფეროვნებას შეუძლია მრავალფეროვნების მოსპობა“ [13], ამიტომ სისტემაზე „მაბუნტებელი“ ზემოქმედების მრავალფეროვნება შეიძლება მხოლოდ მართვის სისტემის მრავალფეროვნების არსებობის დროს იყოს აღქმული, გაანალიზებული და გაფილტრული. მართვის სუბიექტი მოწოდებულია მზად იყოს „მაბუნტებელი“ მრავალფეროვნების აღსაქმელად, ჰქონდეს უნარი ბლოკირება გაუკეთოს მრავალფეროვნების იმ ელემენტებს, რომელთაც შეუძლიათ სისტემის ნორმალური ფუნქციონირების დარღვევა, მით უმეტეს - მისი მოსპობა და ის ელემენტები „გაატაროს“, მათი ასიმილირება მოახდინოს, რომლებიც სისტემისათვის სასარგებლოა, ხელს უწყობს მისი ხარისხობრივი განსაზღვრულობის დაცვას, მის ნორმალურ ფუნქციონირებას, სრულყოფასა და განვითარებას. ხოლო მართვის სუბიექტისათვის იმის შესაძლებლობა, რომ აღიქვას სასარგებლო და უკუაგდოს არასაჭირო და საზიანო, დამოკიდებულია მისი ინფორმირებულობის ხარისხზე, იმაზე, თუ რამდენად მდიდარია იმ ინფორმაციებში, რომლებიც სუბიექტთან ინახება დაფიქსირებული, მართვის სუბიექტის გარემოსთან ურთიერთქმედების გამოცდილება, „მაბუნტებელ“ ზემოქმედებასთან დაკავშირებული პრობლემური სიტუაციების გადაჭრის გამოცდილება. რაც უფრო მრავალმხრივი და მრავალფეროვანია გამოცდილება, შესაბამისად ინფორმაციაც, რომელშიც ეს გამოცდილებაა დაფიქსირებული, მით უფრო მობილურია და „მაბუნტებელი“ ზემოქმედების დიდი წრის გაფილტვრას შეძლებს.

უსარგებლოსა და არასაჭიროს უკუგდების ხარჯზე შეზღუდოს, შეამციროს „მაბუნტებელი“ რეციდივები, გამოაცალკეოს ღირებული ინფორმაცია საზიანოსაგან, სხვა სიტყვებით, შეარჩიოს მრავალფეროვანი ინფორმაციიდან ის ნაწილი, რომელიც სისტემას არსებობისა და განვითარების საშუალებას მისცემს - სწორედ ეს არის მართვის სუბიექტის უმთავრესი ამოცანა.

გადაწყვეტილების მიღებისათვის აუცილებელია, მართვის ორგანო, ხელმძღვანელი კარგად იყოს ინფორმირებული:

საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროში მოქმედი ობიექტური კანონზომიერებების კონკრეტული გამოვლენებისა და არსის, ამ კანონების მოქმედების მექანიზმების, მეთოდებისა და ფორმების შესახებ, რომელთა გამოყენება საჭიროა ამოცანის გადაწყვეტისათვის მათი ხელსაყრელი მოხმარების მიზნით;

განვითარების მოცემულ ეტაპზე საზოგადოების წინაშე მდგარი საერთო მიზნების, აგრეთვე, იმ ამოცანების შესახებ, რომელთა გადასაწყვეტად მოწოდებულია ორგანო, საერთო მიზნების მიღწევის ხელის შესაწყობად;

მართვის ობიექტისა და გარემომცველი ვითარების შინაგანი მდგომარეობის, ობიექტებზე შესაძლო დადებითი და უარყოფითი ზეგავლენების, ადამიანების უნარისა და შესაძლებლობების შესახებ გადაწყვეტილ მათ წინაშე მდგარი ამოცანები.

მართვის ყოველი ციკლი იწყება ინფორმაციის შეკრებით, დამუშავებით და მთავრდება ინფორმაციის მიღებით, რომელიც, თავის მხრივ, საწყისს წარმოადგენს მართვის ახალი ციკლისათვის. მართვის სტრატეგიის დამუშავება (პერსპექტიული მიზნებისა და ამოცანების), მმართველობითი გადაწყვეტილებების შემუშავება და შერჩევა, მათი შესრულების ორგანიზაცია, რეგულირება და კონტროლი, შედეგების შეჯამება, გამომდინარეობს მიღებული ინფორმაციის მოხმარებიდან და მთავრდება ახალი ინფორმაციის გაცემით.

საიმედო ინფორმაციის არარსებობა წარმოადგენს სუბიექტივიზმის, დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებებისა და მოქმედებების წყაროს. ამიტომაც, ბუნებრივია, ინფორმაციის შეკრება და დამუშავება, მისი ეფექტური გამოყენება მართვის აუცილებელი, არსებითი ნიშანია, რომლითაც განმსჭვალულია მისი ყველა დონე, ყველა ფუნქცია.

მართვის პროცესში გამოყენებული ინფორმაციისადმი ძირითადი მოთხოვნებია - უტყუარობა და დამაჯერებლობა, სისრულე და სიზუსტე, სარგებლიანობა და სიახლე, ოპერატიულობა და აქტუალობა. მართვის პროცესის ძირითადი უბნებია: ეკონომიკური, პოლიტიკური, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი, კულტურულ-იდეოლოგიური, სამეცნიერო-ტექნიკური, სოციალური და სხვ.

თითოეულ მათგანს გააჩნია სპეციფიკური თავისებურებანი, ურთიერთობები მართვისადმი, ისინი სხვადასხვა სახით არიან დაკავშირებულნი ყველა სხვა უბანთან. ამ კავშირებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ინფორმაციულ კავშირებს. მართვის პროცესში ნებისმიერი უბნის ჩარჩოებში მიმდინარეობს, პირველ ყოვლისა, სპეციფიკური ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების შესაბამის სფეროს მოიცავს. ეკონომიკური მართვისათვის - ეკონომიკური ინფორმაცია, პოლიტიკურსათვის - პოლიტიკური და სხვ. მაგრამ ეკონომიკური მართვისათვის საკუთრივ ეკონომიკური ინფორმაციის მიმოქცევა არ არის საკმარისი. მაგალითად, ეკონომიკაში ჩართული ადამიანები მარტო ეკონომიკურით კი არა, სოციალურითაც არიან დაკავშირებულნი ერთმანეთთან, გააჩნიათ კულტურის გარკვეული დონე, თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ ამა თუ იმ იდეით და სხვ. ამიტომაც ეკონომიკის მართვისათვის აუცილებელია არა მარტო ეკონომიკურის, არამედ ყველა სხვა ინფორმაციის ძირითადი ტიპების მიმოქცევა.

რაც შეეხება მთლიანობაში საზოგადოების მართვას, აქ აუცილებელია ინფორმაცია ყველა მისი ტიპით, თანაც ურთიერთკავშირსა და ურთიერთქმედებაში.

საზოგადოებაში ფუნქციონირებს რთული, მრავალდონიანი მართვის სისტემა. ართვის სისტემის თითოეულმა რგოლმა წარმატებით რომ განახორციელოს თავისი ფუნქცია, აუცილებელია თითოეული მათგანის შესაბამისი ინფორმაციით უზრუნველყოფა. მართვის სხვადასხვა რგოლების, სუბიექტების მოთხოვნილება ინფორმაციისადმი ერთნაირი არ არის და, პირველ ყოვლისა, იმ ამოცანებით განისაზღვრება, რომელთაც მართვის პროცესში წვევტს ესა თუ ის სუბიექტი, ესა თუ ის ხელმძღვანელი, სახელმწიფო

მოხელე, იმ ფუნქციებით, რომელთაც იგი ასრულებს. მოთხოვნილება ყოველთვის კონკრეტულია, რადგანაც მართვაში გადასაწყვეტი ამოცანები არის კონკრეტული.

მართვის სუბიექტისათვის საჭირო ინფორმაციის მოცულობა და შინაარსი დამოკიდებულია, აგრეთვე: 1. მისაღებ გადაწყვეტილებათა მასშტაბებსა და მნიშვნელობაზე (რაც უფრო მნიშვნელოვანია, მასშტაბურია გადაწყვეტილება, მისი მომზადებისა და მიღებისათვის მით უფრო აუცილებელია დიდი მოცულობის და შინაარსით მრავალსახოვანი ინფორმაცია); 2. მართვადი და რეგულირებადი პარამეტრების რაოდენობასა და ხასიათზე (რაც უფრო მეტია პარამეტრების რიცხვი, მით უფრო რთულია, მრავალფაქტორულია, მოცულობითია, მრავალფეროვანია მათი რეგულაციისათვის საჭირო ინფორმაცია); 3. მართვის ციკლის ხანგრძლივობასა და სიხშირეზე, რეგულირების სიხშირეზე; 4. სისტემის შესაძლო მდგომარეობისა და ქცევის ვარიანტების რაოდენობაზე; 5. სისტემის „აბუნტებაზე“ შიდა და გარე ზეგავლენების სიდიდესა და მრავალფეროვნებაზე; 6. სისტემის ფუნქციონირების შედეგების დამახასიათებელი მაჩვენებლების რაოდენობასა და ხარისხზე.

და, ბოლოს, ინფორმაციის მოცულობასა და შინაარსს ბევრად განაპირობებს მართვის სისტემის სტრუქტურა, მასში ცენტრალიზაციისა და დეცენტრალიზაციის თანაფარდობა. სწორედ ეს თანაფარდობა განსაზღვრავს თავისუფლების ხარისხობრიობას მართვის სხვადასხვა დონეებზე გადაწყვეტილების მიღების დროს. რაც უფრო მაღალია ცენტრალიზაციის ხარისხი, მით უფრო დიდია მართვის მაღალი დონეებისათვის საჭირო ინფორმაციის მოცულობა.

სხვათა შორის, ცენტრალიზაციას გააჩნია საზღვარი, რაც განაპირობებულია ცენტრის შეუძლებლობით – დაამუშაოს მართვის ყველა საკითხში გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ინფორმაცია. ამიტომაც „ცხოვრება თავისას აკეთებს“, მიმდინარეობს უფრო დაბალ დონეებზე ფუნქციების განაწილების პროცესი. მონაწილეთა სულ უფრო ფართო წრეს ეძლევა გადაწყვეტილებათა მიღების პრეროგატივა. შესაბამისად, მიმდინარეობს ინფორმაციის განაწილების პროცესიც. სულ უფრო მეტი ინფორმაცია „ილექება“ მართვის ქვედა დონეებზე, სულ უფრო მეტი გადაწყვეტილებების მიღება ხდება ამ დონეებზე. ინფორმაცია ვითარდება მართვის სისტემისა და პროცესების კვალობაზე. მართვის ახალი პრინციპები, ხერხები, ფორმები და მეთოდები აუცილებლად იწვევს ცვლილებებს ინფორმაციაში, მის შინაარსში, მიმართულებებში, ნაკადებსა და მასივებში, მიღების, გადამუშავების, გადაცემისა და გამოყენების ფორმებში. მოკლედ, იცვლება მართვის პროგრამა - იცვლება ინფორმაციაც.

თუმცა ინფორმაციის მოცულობა, შინაარსი, ნაკადების მიმართულება, ცირკულაციის ინტერვალი, ვადები სხვადასხვა სისტემებში არაერთგვაროვანია, მაინც არსებობს ინფორმაციის ორგანიზაციის ზოგადი წესები, რომლებიც შემდეგი საკითხების გადაწყვეტას ითვალისწინებს: რომელი საწყისი ინფორმაციაა აუცილებელი გადაწყვეტილების მისაღებად; რომელ საინფორმაციო დოკუმენტებში მოხდება გადაწყვეტილებათა გაფორმება; რა საშუალებებით მიეწოდება მართვის ობიექტებს, შემსრულებლებს საწყისი სადირექტი-

ვო ინფორმაცია; რა ინფორმაცია უნდა მიეწოდოს მართვის ორგანოს გადაწყვეტილების შესრულების შედეგებისა და მიმდინარეობის შესახებ მართვის ობიექტის სხვადასხვა უბნიდან; ვინ არის ვალდებული გასცეს ეს ინფორმაცია, რა დროს ან რა პირობებით; რა სახით ფორმდება ინფორმაცია, რა ხერხით და რა არხებით გადაიცემა; ვისთვის არის განკუთვნილი ინფორმაცია, რა მოცულობითა და ასორტიმენტით გადაიცემა იგი მართვის სუბიექტის სხვადასხვა რგოლების, სხვადასხვა დონის ხელმძღვანელებისათვის; რა გზები და საშუალებები არსებობს ინფორმაციის დროულად მიღებისა და საიმედოობის, მის მიმოქცევაზე კონტროლის, უტყუარობის შემოწმების უზრუნველსაყოფად; როგორია მართვის ობიექტიდან მიღებულ ინფორმაციასთან მუშაობისათვის განკუთვნილი ადგილი, მეთოდები და ტექნიკური საშუალებები, ხალხი, დაცვის, დამუშავებისა და გამოყენების წესები, ვინ იყენებს ინფორმაციას; როგორია იმ ადამიანთა ჩამონათვალი, რომლებიც მიღებული ინფორმაციის საფუძველზე იღებენ ახალ გადაწყვეტილებებს ან ახდენენ ძველების კორექტირებას; სადირექტივო და მარეგულირებელი ინფორმაციის როგორი ფორმებია, მისი გადაცემის პერიოდულობა, მიმღებები და შემსრულებლები, შემსრულებლებამდე დაყვანის ვადები.

მართვაში ინფორმაციის წარმატებით გამოსაყენებლად, აუცილებელია, რომ იგი ინფორმანტისათვის იყოს კომუნიკაციური, ანუ გასაგები და მისაღები. როგორც წესი, კომუნიკაციურობა გათვალისწინებულია უკვე თვითონ შეტყობინებაში. მაგრამ ხშირად მისი აქტუალიზება შეტყობინების მიღების შემდეგ ხდება. ხელმძღვანელი, მაგალითისთვის, ხშირად თვითონ განმარტავს თავის მითითებებს, გადაწყვეტილებებს. ამაშია ინფორმაციის კომუნიკაციური დამუშავების არსი ვერტიკალში, მაგრამ მას მაინც ემატება ჰორიზონტალში დამუშავებული ინფორმაცია. ამ შემთხვევაში კოლექტივის წევრები თვითონ მონაწილეობენ ინფორმაციის განხილვაში, დაზუსტებასა და დაკონკრეტებაში. ამის შემდეგ იქცევა იგი სამოქმედო სახელმძღვანელოდ მართული ქვესისტემებისათვის.

ამასთან, გათვალისწინებული უნდა იქნეს ადამიანის მიერ ინფორმაციის აღქმის ფსიქოლოგიური თავისებურებანი [14]. საქმე ისაა, რომ ინფორმაციას, გარდა სოციალური ღირებულებისა, გააჩნია ინდივიდუალური ღირებულებაც, ღირებულება სწორედ მოცემული ადამიანისათვის. ეს უკანასკნელი უმთავრესად იმაზეა დამოკიდებული, თუ რა ურთიერთობები აკავშირებს სწორედ მოცემული ადამიანის მოთხოვნილებებსა და ინტერესებთან ინფორმაციას. ალბათ ინფორმაცია ამ უკანასკნელს მაშინ მიიზიდავს, როდესაც იგი უპასუხებს მის მოთხოვნილებებს, ინტერესებს ან აღუძრავს ახალ მოთხოვნილებებსა და ინტერესებს. ცხადია, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ პირადი მოთხოვნილებები და ინტერესები რაღაც ფსიქოლოგიურ ბარიერს წარმოადგენს პიროვნების მიერ სოციალური ინფორმაციის აღქმის გზაზე.

ინფორმაციის კომუნიკაციურობის ყველაზე მაღალი ხარისხისათვის, შემსრულებლების მიერ მისი ათვისება აუცილებელი პირობაა შემსრულებლების ქცევა,

სააქმეებს, საქციელსა და ხელმძღვანელების მითითებებს (ბრძანებები, დირექტივები და სხვ.) შორის ადეკვატურობის მისაღწევად [15].

ცხადია, შემსრულებლების (მართვის ობიექტების) საქმეების, მათი ქცევისა და „ზემოდან“ მითითებების ადეკვატურობა ვერ იქნება უზრუნველყოფილი მხოლოდ სადირექტივო ინფორმაციის კომუნიკაციურობით. აქ გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს შემსრულებელთა მიერ გადაწყვეტილების შესრულების უნარი და მზადყოფნა, შემსრულებელთან ამისათვის აუცილებელი საშუალებების არსებობა. მაგრამ, თუ გადაწყვეტილება შემუშავებულია ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს შემსრულებელთა ობიექტურ და სუბიექტურ შესაძლებლობებს, თუ რაციონალურად არის დაყენებული გადაწყვეტილების შესრულების ორგანიზაცია, ხორციელდება ობიექტის მოქმედების ოპერატიული რეგულირება, აღრიცხვა და კონტროლი, ეს გადაწყვეტილება სრულდება და მიიღწევა ადეკვატურობა გადაწყვეტილების შემადგენელი ინფორმაციის, უკუშემატყობინებელი ინფორმაციის, იმისა, რაც შემოდის შემსრულებლებიდან მოხსენებების, ანგარიშების და სხვა ფორმით.

რაც უფრო რთული და იერარქიულია სისტემა, მით უფრო მეტია მასში მართვის დონეები, მით უფრო ძნელად ხორციელდება ინფორმაციის კომუნიკაციურობა, მით უფრო მეტი შესაძლებლობა იქმნება გადაწყვეტილების დამახინჯების, გაურკვევლობის, ვერ გაგების. ამაშია მართვის აპარატის გამარტივების მიზნით მართვის ზედმეტი საფეხურების შემცირების ერთ-ერთი მიზეზიც.

ამრიგად, სახელმწიფო მმართველობის ინფორმაციული უზრუნველყოფა - ეს არის კონცეფციების, მეთოდებისა და საშუალებების სისტემა, რომლის დანიშნულებაცაა უზრუნველყოს მომხმარებელი ინფორმაციით. ინფორმაციის მომხმარებლებს განეკუთვნებიან ნებისმიერი სუბიექტები, რომლებიც მიმართავენ ინფორმაციული უზრუნველყოფის საშუალებებს მათთვის აუცილებელი ფაქტოგრაფიული, დოკუმენტური, ანალიტიკური და სხვა ინფორმაციისათვის და იყენებენ ამ ინფორმაციას. ასეთ საყოველთაოდ მიღებულ საშუალებებს წარმოადგენს სხვადასხვა კლასისა და სახეობის ინფორმაციული უზრუნველყოფის სისტემები, ტელერადიოკომპანიების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები.



## მესამე თავი ეროვნული უშიშროება: პრობლემური სიტუაცია და კრიტიკიზმები

### 3.1. ეროვნული უშიშროების ცნება, პრობლემური სიტუაციის დახასიათება

ორიოდე სიტყვა ტერმინთან დაკავშირებით. ამ ბოლო დროს, საქართველოში შეიმჩნევა ძალიან სამწუხარო ტენდენცია, ტერმინ "უშიშროების" ნაცვლად XX საუკუნის ბოლო ათწლეულიდან მასმედიაში განსხვავებული შინაარსის მატარებელი ტერმინი "უსაფრთხოება" გამოიყენება, ანუ ორი განსხვავებული შინაარსის მქონე მოვლენის აღსანიშნავად მკვიდრდება ერთი ტერმინი "უსაფრთხოება".

არადა, ქართულ ენაში ტერმინებს "უშიშროება" (security) და "უსაფრთხოება" (safety), გამოყენების თვალსაზრისით, თითოეულს შინაარსის შესაბამისი თავთავიანთი ბუნებრივი ადგილი ჰქონდა მიჩენილი. მაგალითად, ტრადიციულად საქართველოში ტერმინი "უშიშროება" იხმარებოდა შემდეგ კონტექსტში: "ქვეყნის უშიშროება", "უშიშროების საბჭო", "სახელმწიფო უშიშროების დაცვა" და სხვ. ტერმინ "უშიშროებას" იგივე კონტექსტში იყენებდა სოლომონ დოდაშვილი: „რომელ მტკიცე მარჯვენა მეფისა ჰზრუნავს უშიშროებისათვის ჩვენისა და ყოველივე დაბორკილებანი აღხოცეს" [16]. ალექსანდრე ჭავჭავაძე 1837 წელს ნიკოლოზ პირველისადმი წარდგენილ „საქართველოს მოკლე ისტორიულ ნარკვევი და მდგომარეობა 1801-1831 წლამდე“, იყენებს ტერმინს უშიშროება: „უშიშროება არ იყო არც ქალაქად არც სოფლად" [17]. ილია ჭავჭავაძეც, 1889 წელს "ივერიაში" (№90) გამოქვეყნებულ წერილში "...რომ ჩვენი მიჯნა სამხრეთისა საქართველოზედ შორს გაედგა მოსვენებისა და უშიშროებისათვის..." [18] იყენებს ამ ტერმინს, იგივე ტერმინს იყენებს "ქვათა დაღაღში" - "მას აქეთ, რაც ვახტანგმა გორგასალმა ჩრდილოეთით უშიშარ და უზრუნველ ჰყო მაშინდელი საქართველო, მთელი ჩვენი ისტორია მიიმართა იმაზე, რომ სამხრეთით გაგვემაგრებინა ჩვენი თავი" [19], ასევე ამავე კონტექსტში ამ ტერმინს იყენებს 1901 წელს გამოქვეყნებულ წერილში: „დადგა ხანა, ხანა მოსვენებულის, უშიშარის ცხოვრებისა" [20].

ტერმინი "უსაფრთხოება" კი განსხვავებულ კონტექსტში იხმარებოდა, მაგალითად, "ტექნიკური უსაფრთხოების დაცვა" (სხვათა შორის, დღეს თბილისში, ტექნიკური უსაფრთხოების დაუცველობის გამო ბევრი ადამიანი იღუპება, მაგალითად, მშენებლობებზე...), უსაფრთხოების ღვედები და სხვ.

თანდათან დამკვიდრდა სამწუხარო ტენდენცია, ზოგიერთი ჟურნალისტი, სხვადასხვა დონის ორგანიზაციისა თუ დაწესებულების წარმომადგენელი "გაუბრაზდა" ტერმინ "უშიშროებას" და მის ნაცვლად XX საუკუნის ბოლო ათწლეულიდან განსხვავებული შინაარსის მატარებელ ტერმინ "უსაფრთხოებას" იყენებს, ანუ ორი განსხვავებული შინაარსის მქონე მოვლენის აღსანიშნავად ამკვიდრებს ერთ ტერმინს "უსაფრთხოებას",

ისევე როგორც, მაგალითად რუსები ორი განსხვავებული მოვლენის შინაარსის გამოსახატავად იყენებენ მხოლოდ ერთ ტერმინს - უშიშროება - Безопасность და უსაფრთხოება - Безопасность. რაც შეეხება ტერმინ უშიშროების მოწინააღმდეგეთა მიერ მოტანილ არგუმენტს, რომ ტერმინი "უშიშროება" საბჭოთა კავშირის КГБ-სთან ასოცირდება და ამიტომ არ უნდა გამოვიყენოთ, ძალიან უხერხული სენტიმენტალიზმია. გასაგებია მათი გულჩვილობა, მართლაც საშინელ ასოციაციებს იწვევს ამ ჯალათების საბჭოთა ინსტიტუტის და მასთან დაკავშირებული ადამიანების ამაზრხენი და დანაშაულებრივი საქმიანობა. მაგრამ ქართულმა ენამ რა დააშავა? გარკვეული დროის გასვლის შემდეგ "კაგებეს" ამგვარი ემოციური დატვირთვა აღარ ექნება, ქართული ენა კი დარჩება კიდევ ერთი ქართული ტერმინის გარეშე. გაუგებარია, რატომ უნდა შეველიოთ რომელიმე ტერმინს და ხელოვნურად გავადარიბოთ ენა. ეს ტენდენცია შეიძლება გასაგები ყოფილიყო ენათმეცნიერებს, ამ დარგის სპეციალისტებს, რომ წამოეწიათ ეს საკითხი, მაგრამ არასპეციალისტები და მედროვენი, რომ აქტიურობენ და საზოგადოებას ახვევენ თავიანთ არაკომპეტენტურ აზრს, ეს არის გასაკვირი. ამ საკითხში კომპეტენტურმა ქართულმა ენათმეცნიერებამ ხომ დიდი ხანია გააკეთა თავისი დასკვნა.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, ენათმეცნიერების ინსტიტუტისა და ქართული ენციკლოპედიის მიერ გამოცემული ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის (მთ. რედაქტორი არნ. ჩიქობავა) მიხედვით, "უშიშროება" არის "მდგომარეობა, როდესაც რისამე საფრთხე არ არსებობს, რაიმე საშიშროება, საფრთხე არ ემუქრება ვისმე, რასმე. მაგალითად, სახელმწიფო უშიშროების დაცვა. - "გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭო," ხოლო "უსაფრთხოება" - იგივეა, რაც უსაშიშროება, ანუ "საშიშროებისაგან დაცვის უზრუნველყოფა. მაგალითად, ტექნიკური უსაფრთხოება."

ინგლისურ ენაშიც ტერმინში "security" "ეროვნული უშიშროების" (National security), "უშიშროების საბჭოს" (security Council), "საინფორმაციო უშიშროების" (security information) კონტექსტში გამოიყენება და მოიაზრებენ პოტენციურ მსხვერპლს, ხოლო ტერმინში "safety", რომელიც ქართულ ენაშიც "წარმოებაში ტექნიკური უსაფრთხოების" (Industrial safety), "საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების" (Road safety), "უსაფრთხოების ღვედების" (safety belt), "ტექნიკური უსაფრთხოების წესების" (safety code regulations) გამოსახატავად იხმარება, მოიაზრებენ საფრთხის წყაროს.

იგივე მდგომარეობაა მრავალ სხვა ენაშიც, განსხვავებით რუსული, სომხური და აზერბაიჯანული ენებისა, სადაც ორივე მოვლენის გამოსახატავად მხოლოდ ერთი და იმავე სიტყვას იყენებენ. ამ ორი ტერმინის შინაარსობრივი განსხვავების თვალსაჩინოებისთვის მოვიყვან ორ მაგალითს:

1. "სასურსათო უსაფრთხოებაში" მოიაზრება სურსათი (მაგალითად, საფრთხის წყარო - გაფუჭებული კონსერვი და სხვ.), რომელმაც შეიძლება ადამიანის მოწამვლა გამოიწვიოს, ხოლო "სასურსათო უშიშროებაში", ძალიან მარტივად - სახელმწიფოში სურსათის ამოწურვის საფრთხე, რომელმაც პერსპექტივაში შეიძლება შიმშილი და სხვა თან-

მდევი პრობლემები გამოიწვიოს. შესაბამისად, სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფა გულისხმობს, ამ თვალსაზრისით, ისეთი წინმსწრები ღონისძიებების გატარებას, რომელიც პოტენციურ მსხვერპლს თავიდან ააცილებს მოსალოდნელ საშიშროებას.

2. ისევე როგორც საქართველოს ინფორმაციული უშიშროებაში მოიაზრება ინფორმაციულ სფეროში მისი ეროვნული ინტერესების დაცულობის მდგომარეობა, რასაც განსაზღვრავს პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს სბალანსირებული ინტერესების ერთობლიობა. ხოლო ინფორმაციულ უსაფრთხოებაში კი მოიაზრება, საინფორმაციო სისტემების რესურსების, მონაცემთა ბაზების და სხვ. დაცვა. კიდევ უფრო მარტივად - კომპიუტერში პროგრამების ვირუსებისაგან დაცვა და სხვ.

ამიტომ უმჯობესია არ დავარდვიოთ ტრადიცია და შესაბამისად გამოვიყენოთ ტერმინი - "ეროვნული უშიშროება". ამ კონტექსტში ტერმინი "უშიშროება" უფრო ზუსტად განსაზღვრავს საქმის არსს, მით უმეტეს, ქართულმა ენათმეცნიერებამ და საქართველოს პარლამენტმა უპირატესობა მიანიჭა სწორედ ტერმინ "უშიშროებას": საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლში წერია ტერმინი "ეროვნული უშიშროების საბჭო", ხოლო 1996 წლის 24 იანვარს მიღებულია "კანონი ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ" (სხვათაშორის, კურიოზია, როდესაც მასმედია იუწყება: „ეროვნული უშიშროების“ (!) საბჭოში მუშავდება „ეროვნული უსაფრთხოების“ (!?) ახალი ვარიანტი).

შესაბამისად ტერმინი "უსაფრთხოებაც" უნდა გამოვიყენოთ, როდესაც მოიაზრება საფრთხის წყარო, ანუ საფრთხის წყაროსთან, საწარმოო, ტექნოგენური და ბუნებრივ-ეკოლოგიური წარმოშობის მოვლენებთან და პროცესებთან მიმართებაში (ტექნიკური უსაფრთხოება, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება, უსაფრთხოების ღვედები, ავტომატიზებული სისტემების რესურსების უსაფრთხოება და სხვ.) [21].

ისტორია სახელმწიფოებს მუდმივად იმ ახალ-ახალი პრობლემების წინაშე აყენებს, რომლებიც დაკავშირებული არიან მათ გადარჩენასა და მსოფლიოში ღირსეული ადგილის დამკვიდრებასთან. ყოველი ახალი მუქარა მუდმივ მზადყოფნასა და პასუხის გაცემას მოითხოვს. სწორედ ამიტომაცაა, რომ უშიშროება სახელმწიფოსა და ერის მუდმივი ზრუნვის საგანია. ეროვნული უშიშროების პრობლემა განეკუთვნება მეტად აქტუალურ და, ამავე დროს, თეორიულად ნაკლებად დამუშავებულ პრობლემათა რიცხვს. აქტუალურობას განაპირობებს სხვადასხვა გარემოება: ჯერ ერთი, უშიშროება ადამიანისათვის იყო, არის და მომავალშიც იქნება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტული მოთხოვნილება; მეორეც, თანამედროვე მსოფლიოში უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე მნიშვნელოვან ცვლილებები მოხდა პოლიტიკური და სამხედრო ძალთა თანაფარდობის თვალსაზრისით, დიდი ძვრებია ჩვეულებრივი და ბირთვული იარაღის გამოყენების ტექნოლოგიებში, გაჩნდა შეიარაღების ახალი სახეები; მესამე, კაცობრიობა გადავიდა ინფორმაციულ ეპოქაში, ინფორმაცია ხდება საზოგადოების ძირითადი სტრატეგიული რესურსი და მისი განვითარების პროცესის დომინანტი.

ტერმინი „უშიშროება“ იყო სხვადასხვა ისტორიული ეპოქის მრავალი გამოჩენილი მოაზროვნის ყურადღების ცენტრში. უნდა აღინიშნოს, რომ უშიშროების პრობლემის შესახებ შეხედულებები ევოლუციას განიცდიდა ისტორიული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. ამას განაპირობებს სახელმწიფოთა სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების დინამიკა, მათი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური წყობილება, პოლიტიკური რეჟიმის ფორმები და სხვა.

ცნება „ეროვნული უშიშროება“ პოლიტიკურ ლექსიკონში პირველად გამოყენებულია 1904 წელს პრეზიდენტ *თეოდორ რუზველტის* (Theodore Roosevelt, 1858-1919) წერილში აშშ-ის კონგრესისადმი, სადაც იგი პანამას არხის ზონის მიერთებას „ეროვნული უშიშროების“ ინტერესით ასაბუთებდა.<sup>9</sup> შემდეგ წლებში ეს პრობლემა ცენტრალურ ადგილს იკავებს ამერიკელ პოლიტოლოგთა გამოკვლევებში. ამერიკელი ავტორები „ეროვნული უშიშროების“ ცნების წყაროს „ეროვნული ინტერესების“ თეორიაში ეძებდნენ. მკვლევართა უმეტესობა ეროვნული ინტერესების კატეგორიების ფორმულირებისას მასში ეროვნული უშიშროების კატეგორიას მოიაზრებდა და ამ უკანასკნელს გადამწყვეტ მნიშვნელობასაც ანიჭებდა: „შედგად ეროვნული ინტერესების ფორმულირება პრაქტიკულად იქცა ეროვნული უშიშროების ფორმულირების სინონიმად“.

ეროვნული უშიშროებისა და ეროვნული ინტერესების კატეგორიების ურთიერთკავშირს დიდ ყურადღებას უთმობს ამერიკელი პოლიტოლოგი *არნოლდ ვოლფერსი* (Arnold Wolfers): „ეროვნული ინტერესების განსაზღვრა ხდება ფასეულობათა იერარქიიდან გამომდინარე, მაგრამ ყველაზე ხშირად ყველაფერი ეროვნული უშიშროებით იწყება“. იგი იძლევა რა უშიშროების განმარტებას, სხვადასხვა ფასეულობას შორის ურთიერთკავშირს ასე წარმოადგენს: „უშიშროება ფასეულობაა, რომელიც შეიძლება სახელმწიფოს ჰქონდეს ამა თუ იმ ხარისხით და რომლის მოპოვებასაც ის ასე თუ ისე ესწრაფვის. მას ბევრი საერთო აქვს საერთაშორისო ურთიერთობაში უზარმაზარი მნიშვნელობის სხვა ორ ფასეულობასთან – ძალასთან და კეთილდღეობასთან. მაგრამ, თუ კეთილდღეობის საზომი სახელმწიფოს მატერიალური რესურსების რაოდენობაა, ძალის – მისი უნარი გააკონტროლოს სხვების მოქმედება, ობიექტური გაგებით უშიშროების საზომია მუქარის არარსებობა შეძენილი ფასეულობებისათვის, ხოლო სუბიექტური გაგებით – შიშის არარსებობა ამ ფასეულობებისათვის საფრთხის წარმოქმნის წინაშე. ორივე შემთხვევაში ეროვნული უშიშროება შეიძლება საკმაოდ ფართოდ იყოს გაგებული: თითქმის სრული საშიშროებიდან ან საშიშროების გრძნობიდან თითქმის სრულ უშიშროებამდე ან შიშის არარსებობამდე“ [22].

როცა ეროვნული უშიშროებისა და ეროვნული ინტერესების კატეგორიების ერთმანეთისაგან გამოიჯანსაღების პრობლემა დღის წესრიგში დადგა, ამ მიმართულებით კვლევასა და დამატებითი ფასეულობათა კატეგორიების და საკვანძო ფასეულობების გამოყენებაში

<sup>9</sup> მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამერიკაშივე შემუშავდა პირველად ეროვნული უშიშროების კონცეფცია.

თავისი სიტყვა თქვა ამერიკელმა **ჟოლტერ ლიპმანმა**. მას ბევრი მიმდევარიც გამოუჩნდა. მაგალითად, თათრულ-რუსული წარმოშობის კანადელი მკვლევარი **ალექს ბეტლერი** (Alex Battler, დაბადებით Рафик Шаги-Акзамович Алиев, ფსევდონიმი ოლეგ არინი, დ. 1946), რომელიც ავითარებს რა უ. ლიპმანის თვალსაზრისს, კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს ა. ვოლფერსის შეხედულებებს და აღნიშნავს, რომ მიუხედავად უშიშროების კატეგორიის კვლევაში ჩაღრმავებისა, ვოლფერსმა მაინც ვერ გამოკვეთა განსხვავება ეროვნულ უშიშროებასა და ეროვნულ ინტერესს შორის. მის მსჯელობაში ეს ერთი და იგივეა. ა. ბეტლერი მკვეთრად მიჯნავს ერთმანეთისაგან ამ ორ კატეგორიას და ისინი მიაჩნია სხვადასხვა ფუნქციის მატარებლად [23].

ეროვნული უშიშროებისა და ეროვნული ინტერესების კატეგორიები ერთმანეთში იმდენადაა გადახლართული და იმდენად განაპირობებენ ერთმანეთს, რომ ეროვნული უშიშროების კატეგორიის განსაზღვრის დროს ეროვნული ინტერესის კატეგორიის იგნორირება შეუძლებელია.

მკვლევარი ეროვნული უშიშროების პრობლემაზე მსჯელობისას გვერდს ვერ აუვლის შემდეგ თანამიმდევრობას: პირველი, ეროვნული ინტერესების განსაზღვრას; მეორე, ამ ინტერესებისადმი რეალური და პოტენციური მუქარების გარკვევას და ბოლოს, მესამე, ეროვნული უშიშროების, ანუ ამ მუქარების თავიდან აცილების ან გაუვნებელყოფის პოლიტიკის ფორმულირებას.

ეროვნული ინტერესებისა და ეროვნული უშიშროების ფუნქციური როლები თვალსაჩინო გახდება, თუ „ჩავიხედავთ“ მთლიან საგარეო-პოლიტიკურ პროცესში. ნებისმიერი სახელმწიფოსათვის საგარეო ურთიერთობაში ყველა დროისათვის ფუნდამენტური ინტერესებია: 1. სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური დამოუკიდებლობა; 2. ტერიტორიული მთლიანობა; 3. კეთილდღეობა და ეკონომიკური განვითარების სტაბილურობა; 4. ეროვნულ-კულტურული თვითყოფადობის შენარჩუნება და სხვ. საგარეო პოლიტიკის მიზანია ამ ინტერესების დაცვა, ანუ უშიშროების პოლიტიკის განხორციელება. როგორც ვხედავთ, ეროვნული ინტერესებისა და ეროვნული უშიშროების კატეგორიები ასახავენ საგარეო-პოლიტიკური პროცესის თითქმის თანმხვედრ ფუნქციებს ორივე ფაზაში – საგარეო პოლიტიკის ფორმირებასა და მის განხორციელებაში. ცხადია, რომ ეროვნული უშიშროების პოლიტიკის შემუშავება წარმოუდგენელია ეროვნული ინტერესებისა და ამ ინტერესებისადმი მუქარების განსაზღვრის კონცეფციის ფორმულირების გარეშე.

ეროვნული უშიშროების კატეგორიის კვლევის პრობლემა აქტუალურია პოსტსაბჭოთა სივრცეშიც (**ა.არბატოვი, ს.პავლენკო, ვ.პირუმოვი, ვ.პოდუფალოვი გ.რიკუნოვი, ა.სემჩენკოვი, თ.ხლობუსტოვი** და სხვ.). სხვადასხვა მიდგომაა „ეროვნული უშიშროების“ ცნების განსაზღვრებაშიც: ნაწილი უშიშროებას მოიაზრებს როგორც ქვეყნის დაცულობის მდგომარეობას. მეორე ნაწილი უშიშროებას განიხილავს როგორც დაცვის ობიექტისათვის მუქარებისა და საფრთხეების არარსებობას. სხვები უშიშროების განსაზღვრაში პრიორიტეტს ეძებენ სისტემის შინაგან ბუნებაში.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ 21-ე საუკუნემდელ გამოკვლევებში ეროვნული უშიშროების განსაზღვრების ამოსავალია ძირითადად ძალა, ანუ სხვა სახელმწიფოებისადმი ძალაში უპირატესობა.

მკვლევართა შორის სრულიად გამოირჩევა აღნიშნული საკითხისადმი პილტრ ბელთვის დამოკიდებულება. იგი ეროვნული უშიშროების განმარტებისას გვთავაზობს საბაზო ნიშანთვისების სახით გამოვიყენოთ არა მდგომარეობა, რომელიც შეიძლება არსებობდეს ან არ ასებობდეს, არამედ უნარი – სისტემის განსაზღვრული თვისება. მაშინ გამოდის, რომ ეროვნული უშიშროება უნდა გავიგოთ არა როგორც დაცულობის მდგომარეობა, არამედ უნარი – დაიცვას ერის განსაზღვრული პარამეტრები, კერძოდ, თვითგადარჩენის, აღწარმოებისა და თვითსრულყოფის უნარი. მიუხედავად ამ მიდგომის მთელი მიმზიდველობისა, ძნელია დაეთანხმო, თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ უშიშროება ყოველთვის დაცულობას ნიშნავს და, შესაბამისად, საბაზო ნიშან-თვისების შეცვლა გარკვეულ გაუგებრობას წარმოშობს.

ეროვნული უშიშროება პოლიტიკური მეცნიერების კატეგორიაა. იგი იძლევა იმ სოციალური ინსტიტუტების დახასიათებას, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოებისა და პიროვნების არსებობა-განვითარების ოპტიმალური პირობების დაცვისათვის ეფექტიან საქმიანობას.

ეროვნული უშიშროებისადმი თანამედროვე თეორიული მიდგომები, რიგ შემთხვევაში, გამოირჩევა უშიშროების შესახებ გაურკვეველი შეხედულებებით და ეროვნული უშიშროების სტრატეგიის ფორმირების რიგი მეთოდოლოგიური ასპექტების შეუფასებლობით, რაც გამორიცხავს აზროვნების ერთიან ალგორითმს, უშიშროების სფეროში საქმიანობას და სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებას.

ცნებათა კომპლექსი, რომელიც აღწერს საფრთხეების, მუქარებისა და გამოწვევების სისტემას და ამ საფრთხეების, მუქარებისა და გამოწვევების წინააღმდეგობის გამწევ კონტრსისტემას, არის ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფისა და შესწავლის მეთოდოლოგიის პრობლემატიკა. ეროვნული უშიშროების სრულყოფილმა თეორიამ შეიძლება საგრძნობი პრაგმატული შედეგი მოგვცეს – დროისა და თვითონ პოლიტიკური პროცესის ბუნების ადეკვატური ეროვნული უშიშროების კონცეფცია, რომელიც მოახდენს საგარეო თუ საშინაო საფრთხეების, მუქარებისა და გამოწვევების პროგნოზირებას და შეიმუშავებს მათი მოგერიების ორგანიზაციულ, ტექნოლოგიურ და ინფორმაციულ მეთოდებს.

აქ საფრთხე გულისხმობს ზიანის მიყენების შესაძლებლობას, ანუ კონკრეტული ობიექტის არსებობის პირობების (თვისებების) იმგვარ ცვლილებას, რომელიც ხდის მას დანიშნულებისათვის ნაკლებად შესაფერისს; მუქარა კი არის უკვე მოქმედი საფრთხე, ხოლო გამოწვევა – მუქარის გამოვლინება, რომელიც პოტენციური მსხვერპლისგან დაუყონებლივ და ადეკვატურ რეაგირებას მოითხოვს.

საჭიროა გაიმიჯნოს ზოგადად მუქარები და ეროვნული უშიშროების მუქარები. ამ უკანასკნელს უნდა მიეკუთვნოს: სუვერენიტეტის დაკარგვა, საზოგადოების ზნეობრივი

საფუძვლების რღვევა, ეკონომიკის დანგრევა, შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობის მკვეთრი შემცირება და სხვ. უნდა აღინიშნოს, რომ იმ სახელმწიფო სტრუქტურების საქმიანობა, რომლებიც უზრუნველყოფენ ეროვნულ უშიშროებას, საგანგებო ხასიათისაა და წარმოადგენს საგანგებო მდგომარეობის ანალოგს, იმ განსხვავებით, რომ ეს უკანასკნელი (საგანგებო მდგომარეობის პროცესი) მიბმულია ტერიტორიაზე, ხოლო პირველი – ერის ცხოვრების გარკვეულ ასპექტებზე, რომლებიც საგანგებოდ საშიშ შემოქმედებას განიცდიან.

უშიშროება უზრუნველყოფილი შეიძლება იყოს ორ შემთხვევაში: ა) საშიშროება არ არსებობს საერთოდ (რაც პრინციპში გამორიცხულია); ბ) ყველა მუქარისა და გამოწვევის მოგერიება ხდება დროულად მიღებული ზომებით ან საკუთრივ ერის მდგრადობის, სტაბილურობისა და სიცოცხლისუნარიანობის წყალობით. საგანგებო ზომების დროულად მიღებისათვის პასუხისმგებელია ეროვნული უშიშროების სამსახურები, ხოლო ერის ხანგრძლივ სიცოცხლისუნარიანობისათვის – ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობა.

ტრადიციულად, ეროვნული უშიშროება გულისხმობდა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და მისი შინაგანი პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფას, ანუ მისი მოსახლეობისა და საარსებო სივრცის დაცვას; გარეშე მოძალადეთა შემოტევის საფრთხის აცილებას, შინაგანი წესრიგის დამრღვევთა დათრგუნვას. შესაბამისად, ეროვნული უშიშროების პრობლემა ბუნებრივად წყდებოდა ქვეყნის ძალოვანი სტრუქტურების გაძლიერებისა და მათი ეფექტიანი ორგანიზაციის ფორმებით.

დღევანდელ რეალობაში უშიშროების ცნების შინაარსმა განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილებები: ცხოვრებამ წინ წამოწია უშიშროების არასამხედრო ასპექტები; გამოვლინდა მათი გადამწყვეტი მნიშვნელობა გარანტიათა იმ სისტემაში, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანთა ყოფის უშიშროებას.

ჩვენი აზრით, ეროვნული უშიშროება არის პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესების საშინაო და საგარეო საფრთხისაგან დაცულობა და ქვეყნის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა, რომლის ხარისხსაც განპირობებს სახელმწიფოს მიერ მოსალოდნელი საფრთხეების ამოცნობის და მათი დროულად განეიტრალების უნარი.

### **3.2. ეროვნული უშიშროების კრიტერიუმები: პრობლემური ასპექტები და ზოგადი თეორიული საფუძველი**

ქვეყნის განვითარების სტრატეგიაში ჩადებული სახელმწიფოებრიობისა და საზოგადოებრივი მშენებლობის პრიორიტეტული მიმართულებები განსაზღვრავენ ეროვნული უშიშროების ერთიანი სისტემის კონკრეტულ შინაარსს. მთავარი ობიექტები, რისთვისაც ეროვნული უშიშროების სისტემის ფორმირება ხდება, არიან: 1. პიროვნება, მისი უფლებები და თავისუფლებები; 2. საზოგადოება (ერი), მისი მატერიალური და სულიერი

ფასეულობები; 3. სახელმწიფო, მისი კონსტიტუციური წყობილება, სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა.

თანამედროვე ეტაპზე ეროვნული უშიშროების ერთიან სისტემაში მოიაზრება მრავალი კომპონენტი: პოლიტიკური უშიშროება (შიდასახელმწიფოებრივ-პოლიტიკური უშიშროება, საგარეო-პოლიტიკური უშიშროება); ეკონომიკური უშიშროება (საფინანსო-საბიუჯეტო უშიშროება, სასურსათო უშიშროება და სხვ.); ენერგეტიკული უშიშროება; სამხედრო უშიშროება; საინფორმაციო უშიშროება; საზოგადოებრივი უშიშროება; ეკოლოგიური უშიშროება; საგანმანათლებლო და სამეცნიერო-ტექნიკური უშიშროება.

ქვეყნის განვითარების სპეციფიკიდან და მოცემულ მომენტში წარმოქმნილი ან პოტენციური მუქარებიდან გამომდინარე ეროვნული უშიშროების შემადგენელ ელემენტებში შეიძლება მოაზრებული იყოს, აგრეთვე: სოციალური უშიშროება; ტექნოლოგიური უშიშროება; ადამიანის უფლებათა დაცვითი და მოქალაქეთა პირადი უშიშროება; ჯანდაცვითი უშიშროება; გენეტიკური უშიშროება; დემოგრაფიული უშიშროება და სხვ.

უშიშროების ამ ცალკეულ მიმართულებათა ერთიან სისტემაში ინტეგრირებისათვის საჭიროა ყველა მისი შემადგენელი ნაწილის საერთო კონცეფტუალურ საფუძველზე ერთიანი გააზრება და ერთიანი სტრუქტურული ფორმით წარმოდგენა, ყველა მიმართულებით მართვის პოლიტიკების განსაზღვრა, სისტემის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის დამუშავება და მართვის ინსტიტუციური უზრუნველყოფა.

აკლავის ამგვარმა პრაგმატულმა ორიენტაციამ უნდა განაპირობოს ყოველი მისი შემადგენელი ნაწილის სტრუქტურა, რომელშიც აისახება შესაბამისი პრობლემური სფეროს ორგანიზაციის რაციონალური საფუძვლები და ძირითადი შემადგენელი ნაწილები: 1. განსახილველი კონკრეტული სფეროს განვითარების ძირითადი სტრატეგიული ორიენტირები; 2. ძირითადი საფრთხეები, რომლებიც ამ სტრატეგიის განხორციელებას შეიძლება დაემუქროს; 3. ინდიკატორთა სისტემა, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი იქნება შესაბამისი საფრთხეების იდენტიფიკაცია; 4. უშიშროების სისტემის ფორმირებისათვის ხელისუფლების უახლოესი მოქმედების მიზნების განსაზღვრა; 5. უშიშროების მართვის სისტემის ინსტიტუციური მოწყობა:

- უშიშროების სისტემის მართვის პოლიტიკის ფორმირება, რაც გულისხმობს სტრატეგიის ყოველ კონკრეტულ ხიფათთან დაკავშირებით პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებისა და მისი განხორციელების მექანიზმების, აგრეთვე ამგვარი გადაწყვეტილებათა მიღებისათვის საჭირო ყველა სახის რესურსის (ინფორმაციული, ინტელექტუალური, მატერიალური და სხვ.) განსაზღვრას;
- მართვის ორგანიზაციული სისტემის ჩამოყალიბება; იმ სახელმწიფო (არასახელმწიფო) ინსტიტუტთა განსაზღვრა, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ კონკრეტული სფეროს უშიშროება; უშიშროების კონკრეტულ სისტემაში პასუხისმგებელი ინსტიტუტების დადგენა; ექსტრემალურ სიტუაციებში მოქმედების პროგრამის დამუშავება;
- უშიშროების სისტემის ფუნქციონირების საკანონმდებლო ბაზის დამუშავება.



დიდი მნიშვნელობა აქვს ეროვნული უშიშროებისა და მისი ძირითადი კომპონენტების კრიტერიუმების (ინდიკატორების, მაჩვენებლების) სწორად განსაზღვრის საკითხს. უშიშროების პარამეტრების დამუშავების აქტუალურობა განპირობებულია ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესების დაცვისა და განხორციელების პროცესში შექმნილი მდგომარეობის შეფასების აუცილებლობით, რათა ამ სფეროში შესაძლებელი იყოს შემდგომი გადაწყვეტილებების მიღება და უშიშროების, საგარეო-პოლიტიკური და თავდაცვითი საქმიანობის სფეროში დოკუმენტების, კონცეფციების, ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების შესაბამისი შეფასება.

სწორედ ძირითადი კრიტერიუმების გამოყენება იძლევა საშუალებას გავიგოთ, რამდენად ადეკვატურია მოცემულ სფეროში არსებული საქმის ვითარების სახელმწიფო ხელისუფლებისა და მართვის ორგანოების ხელმძღვანელთა ხედვა. მოცემული პარამეტრები ხელს უწყობს გატარებული გარდაქმნების მეცნიერული ექსპერტიზის (რომელიც პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისა და შესრულების კონტროლის საფუძველია) სიზუსტის უზრუნველყოფასაც, არის სოციალური და სხვა პრობლემების შესწავლის და სოციალური მართვის საშუალება და ასახავს ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის, მისი დინამიკის სხვადასხვა ასპექტს. გარდა ამისა, ინდიკატორთა ამგვარი სისტემა შესაძლებლობას იძლევა შეფასდეს მთავრობისა და ოპოზიციის რადიკალურად განსხვავებული მიდგომები ეკონომიკური რეფორმის, სამხედრო მშენებლობის, სოციალური პოლიტიკის პრობლემების გადაჭრაში.

ეროვნული უშიშროების კრიტერიუმების სისტემა შეიძლება ჩამოყალიბდეს ან დაცვის ობიექტის ოპტიმალური ფუნქციონირების მოდელის მახასიათებლების ან მოცემული ობიექტის უშიშროების ფაქტორების მახასიათებლების საფუძველზე.

უშიშროების კრიტერიუმების სისტემის ფორმირებისათვის აუცილებელია გამოიყოს უშიშროების მდგომარეობის ის არსებითი საზომი მახასიათებლები, რომლებიც ამ ინდიკატორებს უღვეს საფუძვლად. თავის მხრივ, უშიშროების მდგომარეობის მთავარი მახასიათებლები, ჩვეულებრივ, ასახავენ იმ მამოძრავებელ ძალებს, რომელთა საქმიანობაც ითვალისწინებს ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესების დაცულობის მიღწევასა და შენარჩუნებას. ცხადია, რომ მოცემული ფაქტორები სპეციფიკურია ეროვნული უშიშროების თითოეული სახისათვის.

ასეთი ფაქტორებია ის პირობები, მოქმედება და ზომები, რომლებსაც შეუძლიათ დაცვის ობიექტის შენარჩუნების, განვითარებისა და მთლიანობის წინააღმდეგ მიმართული მუქარის, როგორც ნეგატიური პროცესების გავრცობის განსაზღვრული სტადიის თავიდან აცილება ან საერთოდ ამ პროცესების შეჩერება.

ეროვნული უშიშროების კრიტერიუმების სისტემაში ასახულ ფაქტორებში იგულისხმება, უპირველეს ყოვლისა, უშიშროების ობიექტის მდგომარეობის მაფორმირებელი ძირითადი მამოძრავებელი ძალა. ფაქტორებისა და ეროვნული უშიშროების ვითარების მიზეზ-შედეგობრივი კავშირები ემპირიულად უნდა იყოს

დადასტურებული, რაც, კაცმა რომ თქვას, იძლევა საფუძველს უშიშროების ვითარების მამოძრავებელ ძალად ჩაითვალოს თუ არა ესა თუ ის პირობა, ზომა, მოქმედება. ცხადია, რომ ამასთან, ინფორმაცია უნდა გამოვიყენოთ ეროვნული და მისი ცალკეული სახეების უშიშროების უზრუნველყოფის ისტორიიდანაც.

### 3.3. მდგომარეობა ეროვნული უშიშროების ძირითად კომპონენტებში კრიტერიუმების შესწავლის თვალსაზრისით

დღეისათვის, განსაკუთრებულად აქტუალურია საქართველოს ეროვნული უშიშროებისა და მისი ძირითადი კომპონენტების კრიტერიუმების (ინდიკატორების, მაჩვენებლების) განსაზღვრის პრობლემა. ეს განპირობებულია ეროვნული უშიშროების სხვადასხვა საკითხზე ქვეყანაში არსებული შეხედულებების ალტერნატიულობით, მაგალითად, საგარეო მუქარების, კრიზისების, საფრთხეებისა და რისკებისაგან საქართველოს დაცულობის დონის შეფასებაში და სხვ.

დღეისათვის, მსოფლიოში ყველაზე უკეთესი შედეგები მიღწეულია სამხედრო უშიშროების კრიტერიუმების შესწავლის თვალსაზრისით. სამხედრო-თავდაცვითი უშიშროების უზრუნველყოფისას უკვე ხანგრძლივი დროის მანძილზე გამოიყენება სამხედრო (საბრძოლო) ძლიერებისა და პოტენციალის მაჩვენებელთა სისტემა, მათი სხვადასხვა სახის კომპონენტი, რომლებიც მსოფლიო, რეგიონული და ლოკალური ომებისა და სამხედრო კონფლიქტების თეორიას ეფუძნება. მოცემული ინდიკატორები საზომად გამოიყენება სახელმწიფოს სამხედრო-ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური შესაძლებლობების, სამობილიზაციო რეზერვების, სამხედრო მომზადების დონის, შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის რაოდენობისა და ხარისხის, ქვეყნის მოსახლეობისა და შეიარაღებული ძალების მორალურ-ფსიქოლოგიური მდგრადობის, მეთაურთა კადრების მომზადების, სამხედრო დოქტრინისა და სამხედრო თეორიის დამუშავების დონისა და სხვა პარამეტრების შეფასებისათვის.

ბოლო პერიოდში უფრო ინტენსიური გახდა სტრატეგიული შეკავების, სტრატეგიული სტაბილურობის ფენომენის პრობლემებზე გამოკვლევების ჩატარება. გამოკვლევებმა შექმნეს თეორიული ბაზისი გონიერი თავდაცვითი საკმარისობის, ბირთვული ძალებისა და საშუალებების საკმარისობის, ზოგადი დანიშნულების ძალებისა და საშუალებების, ომში მიუღებელი ზარალის კრიტერიუმების შემუშავებისათვის.

მიუხედავად ამისა, სახელმწიფოს საკმარისი თავდაცვითი პოტენციალის რაოდენობრივი შეფასების ზოგიერთი საკითხი, აქამდე ჯერ კიდევ გადაუწყვეტელი თვალსაზრისებისა და მიდგომების მრავალფეროვნების გამო.

თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვამ სამხედრო საფრთხე კიდევ უფრო „გაასაშიშროვა“. ამის შედეგად შეიცვალა ტრადიციული დამოკიდებულება ქვეყნის თავდაცვისუნარიანობასა და მის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ დამოუკიდებლობას

შორის. სუსტი საერთაშორისო გარანტიების სისტემების პირობებში ქვეყნის ძლიერი თავდაცვისუნარიანობა დამოუკიდებლობის შენარჩუნების ძირითადი და აუცილებელი საშუალება იყო. სამხედრო იარაღის გაზრდილი ძალის თანამედროვე პირობებში საქართველოსათვის (ცხადია, მისი მსგავსი სხვა პატარა ქვეყნებისთვის) ძალისმიერი ზიანის მიყენება უფრო იოლია; ამის გამო საქართველო დამოკიდებული ხდება იმ საერთაშორისო ნორმათა სისტემებზე, რომლებიც პოტენციურ აგრესორებზე (რუსეთის მაგალითი) შემაკავებლად ზემოქმედებს (ხშირად, იგი პოლიტიკური და ეკონომიკური უფროა, ვიდრე სამხედრო). სამხედრო მზადყოფნას ჯერ კიდევ არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა, მაგრამ მისი ხვედრითი წონა უშიშროების უზრუნველყოფაში თანდათან იცვლება, რადგან სამხედრო ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ საერთაშორისო ნორმების გაძლიერებას კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შედეგი აქვს: მაღალი პოლიტიკური ფასის გამო საერთაშორისო ურთიერთობაში აშკარა ინტერვენცია სულ უფრო ნაკლებად დასაშვები ხდება. ამიტომაც აძლიერებს ჩვენი მოწინააღმდეგე (მაგალითად რუსეთიც გამოდგება) შიდა პოლიტიკურ კურსზე ზეწოლას ქვეყანაში არსებული სეპარატისტული და ოპოზიციური ძალების პოლიტიკური და მატერიალური (მათ შორის, სამხედრო) მხარდაჭერის გზით გარედან.

ეკონომიკურ მეცნიერებაში ბევრია გაკეთებული ეკონომიკური უშიშროების შესწავლის თვალსაზრისით. გათვლილია მანქანებლები, რომლებიც ასახავენ სოციალური განვითარებისა და ეკონომიკური დინამიკის მიმდინარე და საშუალოვადიან ასპექტებს. ეს მანქანებლებია: 1. *ეკონომიკური ზრდის* – ეროვნული პროდუქტისა და შემოსავლის დინამიკა და სტრუქტურა, სამრეწველო წარმოების ტემპებისა და მოცულობის მანქანებლები, მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა და ცალკეული დარგის დინამიკა, კაპიტალური დაბანდებანი და სხვ.; 2. *ქვეყნის ბუნებრივი რესურსების, საწარმოო და სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი, სამეურნეო მექანიზმის დინამიკურობა და ადაპტაციულობა, აგრეთვე მისი დამოკიდებულება საგარეო ფაქტორებზე* – ინფლაციის დონე, კონსოლიდირებული ბიუჯეტის დეფიციტი, საგარეო-ეკონომიკური ფაქტორების გავლენა, ეროვნული ვალუტის სტაბილურობა, საგარეო ვალეები და სხვ.; 3. *მოსახლეობის ცხოვრების ხარისხი* – შიდა მთლიანი პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე, შემოსავლების დიფერენციაციის დონე, მოსახლეობის ძირითადი ჯგუფების უზრუნველყოფა მატერიალური სიკეთითა და მომსახურებით, მოსახლეობის შრომისუნარიანობა, გარემოს დაცვის მდგომარეობა და სხვ.

ზოგი მკვლევარი გვთავაზობს ქვეყნის ეკონომიკური სუვერენიტეტის სხვა მანქანებლებს, ესაა: „ვაჭრობის პირობების“ ინდექსი, შიდა ბაზარზე უცხოური კონკურენციის მასშტაბები, საგარეო-სავაჭრო ბრუნვის ტექნოტევალობის ერთეული, საიმპორტო რესურსის წყაროების და გასაღების საგარეო ბაზრების დიფერსიფიკაციის ხარისხი, საგარეო ვალის მომსახურების კოეფიციენტი, ოქროსა და ვალუტის რეზერვების სიდიდის

მიმართება იმპორტის მოცულობასთან ან საგარეო ვალის დაფარვისათვის გადასახად თანხასთან.

ეკონომიკური უშიშროება ფუნქციური თვალსაზრისით არის ეროვნული ეკონომიკის უნარი, უზრუნველყოს საზოგადოებისა და სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური სტაბილურობა, აგრეთვე პიროვნების ეკონომიკური მდგომარეობის მდგრადობა შიდა და საგარეო საფრთხეების პირობებში.

ეკონომიკური უშიშროების სამი უმნიშვნელოვანესი ზოგადი ელემენტი:

1. ეკონომიკური დამოუკიდებლობა (შეუზღუდაობა სამეურნეო-ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებასა და განხორციელებაში, რომელიც ქმნის ეკონომიკურ პირობებს მოცემული ქვეყნის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესების განხორციელებისათვის);
2. ეროვნული ეკონომიკის სტაბილურობა (მათ შორის, ბრძოლა კრიმინალურ სტრუქტურებთან ეკონომიკაში, სოციალური ძვრების თავიდან აცილება და სხვ.);
3. თვითგანვითარებისა და პროგრესის უნარი.

სტრუქტურული თვალსაზრისით, ეკონომიკური უშიშროება არის იმ პირობებისა და ფაქტორების ერთობლიობა, რომლებიც უზრუნველყოფენ ეროვნული ეკონომიკის დამოუკიდებლობას, სტაბილურობას და მუდმივი განახლების უნარს.

მსოფლიო ბანკის ექსპერტებმა მოგვცეს კრიტერიუმების ფორმულირება და გაიანგა-რიშეს სასურსათო უშიშროების მაჩვენებლები საერთაშორისო და ეროვნულ განზომილებებში. მისაღმი ძირითადი მოთხოვნებია მოსახლეობის კვების ძირითადი პროდუქტებით (პური, ბურღულეული, ხორცი, რძე) მომარაგების საიმედოობა (შეუფერხებლობა) და საკმარისობა (სამედიცინო ნორმებით), შესაძლო გართულებების დროს სურსათის იმპორტისათვის ფინანსური საშუალებების არსებობა და ნაკლოვანების მინიმალურობა.

ეკონომიკური კავშირების ზრდამ და გლობალურმა ეკონომიკურმა სისტემამ შეიძლება ბევრ ქვეყანას გარკვეული საფრთხე შეუქმნას. ეს განსაკუთრებით ეხება საქართველოს მსგავს განვითარებად პატარა ქვეყნებს, რომელთა კონკურენტუნარიანობა საერთაშორისო ბაზარზე ძალზე დაბალია, ხოლო პოლიტიკური და ეკონომიკური მანევრის შესაძლებლობები მეტად მწირი. მდიდარ ქვეყანათა სავაჭრო ბლოკების შექმნასთან ერთად მათი მდგომარეობა კიდევ უფრო უმწეოდ გამოიყურება.

გარდა ამისა, საქართველოს ემუქრება სხვა გამიზნული ეკონომიკური საფრთხეებიც. მაგალითად, პოლიტიკური ზეწოლის ისეთი საშუალებები, როგორც არის რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციების გამოყენების პრაქტიკა. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ცალკეული ქვეყნის წინააღმდეგ კოლექტიურ ეკონომიკურ სანქციებს იშვიათად მოაქვს სასურველი შედეგი; ამავე დროს, რომელიმე დიდი სახელმწიფოს ეკონომიკური მუქარა მისი გავლენის ქვეშ მყოფი პატარას ქვეყნის მიმართ უმეტეს შემთხვევაში ეფექტიანია.

სოციალური უშიშროების შესახებ გამოკვლევებში მკვლევრები აქტიურად ოპერირებენ სოციალური ინდიკატორების სისტემაში გაერთიანებული საზოგადოების

მდგომარეობის ობიექტური მახასიათებლების მაჩვენებლებით (ისეთები, მაგალითად, როგორებიცაა, 10% ყველაზე მდიდარი და 10% ყველაზე ღარიბი მოქალაქის შემოსავლებს შორის თანაფარდობა, სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრები მოსახლეობის წილი, მინიმალურ და საშუალო ხელფასებს შორის თანაფარდობა, უმუშევრობის დონე, დეპოპულაციის პირობითი კოეფიციენტი, შობადობის ჯამური კოეფიციენტი, მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, 65 წელზე მეტი პირების წილი, სხვადასხვა დაავადების გავრცელება და სხვ.) და ინდექსებით, რომლებიც მიღებულია მოსახლეობის სისტემატური გამოკითხვების შედეგად და გამომდინარეობს ადამიანის, როგორც საზოგადოებაში საქმიანობის ძირითადი სუბიექტის, ინტერესებიდან და მოთხოვნილებებიდან. მეცნიერები, ასევე ახდენენ სოციალური დაძაბულობის, ხელისუფლებაზე ძალადობრივი ზეწოლის ინდექსების კონსტრუირებას და სხვ. ასევე ტარდება საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს ყოველმხრივი სოციოლოგიური მონიტორინგი, მიმდინარეობს მუშაობა სოციალური მაჩვენებლებისა და ინდიკატორების მუდმივი კორექციისათვის შეფასებათა ახალი საფუძვლების ძიების რაკურსში, რომლებიც იქნება ადეკვატური და დამუშავებული ემპირიული რეფერენტების საექსპერტო შეფასებათა, ინდიკატორებისა და მაჩვენებლების აგრეირების საფუძველზე.

**ეკოლოგიური უშიშროებისა** და მდგრადი განვითარების კრიტერიუმები უპირატესად განიხილება საერთაშორისო ორგანიზაციებში (გაეროს პოლიტიკური კოორდინაციისა და მდგრადი განვითარების დეპარტამენტი, გაეროს მდგრადი განვითარების შესახებ კომისია, გარემოს პრობლემების შესახებ სამეცნიერო კომიტეტი და სხვ.), რაც ეკოლოგიური კრიზისის გლობალური ხასიათით და, შესაბამისად, ეკოლოგიური უშიშროების მიზნებითაც აიხსნება. გაეროს დაწესებულებათა ჩარჩოებში შემუშავდა ინდიკატორები საერთაშორისო და ეროვნულ დონეებზე.

პირველ კატეგორიაში შედიან ინდიკატორები, რომლებიც ადამიანის საქმიანობას ახასიათებენ მდგრად განვითარებაზე მისი ზემოქმედების ასპექტში; მდგომარეობის ინდიკატორები, რომლებიც ასახავენ, შესაბამისად, მდგრადი განვითარების სხვადასხვა მდგომარეობის ასპექტებს; რეაგირების ინდიკატორები, რომლებიც საშუალებას იძლევიან განხორციელდეს პოლიტიკური არჩევანი ან რეაგირების სხვა რაიმე ხერხი მიმდინარე მდგომარეობის შესაცვლელად.

მეორე ჯგუფში ერთიანდებიან ეკონომიკური (მოსხმარების მახასიათებლების ცვლილებები, ფინანსური რესურსები და მექანიზმები, ეკოლოგიურად უსაფრთხო ტექნოლოგიების გადაცემა, თანამშრომლობა და პოტენციალის შექმნა), სოციალური (სიღარიბესთან ბრძოლა, მოსახლეობის სიმჭიდროვე და სხვა დემოგრაფიული ინდიკატორები, განათლების სრულყოფა, საზოგადოების ინფორმირებულობა, ჯანმრთელობის დაცვის მაჩვენებლები, დასახლებული პუნქტების განვითარების სრულყოფა) და ეკოლოგიური მაჩვენებლები (წყლისა და მიწის რესურსების დაცვა და ხარისხი, ეკოსისტემის დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლა, ბიოლოგიური

მრავალფეროვნების შენარჩუნება, ატმოსფეროს დაცვა, ბიოტექნოლოგიების უსაფრთხოდ გამოყენება, ნარჩენების ეკოლოგიურად უსაფრთხოდ მართვა).

უნდა აღინიშნოს, რომ ეკოლოგიური უშიშროების ინდიკატორების დამუშავების ხარისხი ჯერ კიდევ შორსაა სრულყოფისაგან – მიმდინარეობს გლობალური, რეგიონული, ეროვნული და მცირე მასშტაბის მანქანებელთა დამუშავების პროცესი, მუდმივად იზრდება ახალი კერძო და სპეციალური მანქანებლების რიცხვი, ერთდროულად ხორციელდება პრიორიტეტული და ინტეგრალური კრიტერიუმების ძიება.

ეროვნული უშიშროების კრიტერიუმების შემუშავების სფეროში ერთ-ერთი ამოცანაა პოლიტიკური უშიშროების კრიტერიუმების სისტემის შექმნა.

ქართველ მკვლევართაგან პოლიტიკური უშიშროების პრობლემებს ეხება ალექსანდრე რონდელი, ამ თვალსაზრისით საინტერესოა მისი წიგნი „პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში“. საერთოდ, ცოტაა შრომები კონკრეტულად ამ სფეროში, მათ მიხედვით, პოლიტიკური უშიშროების (სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და ხელშეუხებლობის, სოციალურ-პოლიტიკური კონსენსუსის დაცვა და სხვ.) დონის შეფასებაში უპირატესობა ეძლევა თვისებრივ საექსპერტო შეფასებებს. ამიტომაც პოლიტიკური უშიშროების კრიტერიუმების დამუშავების პრობლემის გადაწყვეტაში ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის განსაზღვრული ამ სახის უშიშროების უზრუნველყოფის თვითონ საგანი და ობიექტები, შესაქმნელია თეორიული საფუძველი ამ მანქანებელთა კონსტრუირებისათვის, არ არის დასრულებული ემპირიულ ნიშან-თვისებათა ძიება, ჩამოსაყალიბებელია პოლიტიკური უშიშროების მანქანებელთა სისტემა.

უპირველეს ყოვლისა, უნდა განისაზღვროს ქვეყნის პოლიტიკური უშიშროების ტიპური მუქარები და საფრთხეები, ხოლო, შემდეგ ამის საფუძველზე გამოვლინდეს ის პირობები, რომლებიც აფერხებენ მოცემული ნეგატიური მოვლენების წარმოქმნას ან განვითარებას. გამოყოფილი ფაქტორები განიცდიან ოპერაციონალიზაციას, რის შედეგადაც გამოცალკევდება საზომი მახასიათებლები და თვითონ ინდიკატორები.

პოლიტიკური უშიშროების ობიექტი ქვეყნის პოლიტიკური სისტემაა, აგრეთვე მისი ცალკეული კომპონენტები – სახელმწიფო და საზოგადოება. პოლიტიკური უშიშროების მიზანია მთელი პოლიტიკური სისტემისათვის მისი სტაბილურობის, კონსტიტუციური წყობილების, როგორც საზოგადოების პოლიტიკური ინსტიტუტების ერთობლიობის დაცვა, სახელმწიფოსათვის – სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის დაცვა და პოლიტიკური რეჟიმისა და ინსტიტუტების ლეგიტიმურობის უზრუნველყოფა, საზოგადოებისათვის – სამოქალაქო მშვიდობის დაცვა და განმტკიცება, კონფლიქტების შეკავება, რათა ის შეიარაღებულ შეტაკებაში არ გადაზრდოს, მოქალაქეთა პოლიტიკური უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფა და, არა, მაგალითად, სოციალური, ეკონომიკური და სხვა უფლებებისა, რომლებიც სოციალური უშიშროების პრეროგატივას წარმოადგენს.

ნეგატიური ფაქტორებია, როდესაც შეიძლება მუქარა გადაიზარდოს ან რისკის დონემდე დავიდეს, საგარეო და საშინაო პირობები და სოციალური სუბიექტების მოქმედება, რომლებიც აფერხებენ პოლიტიკური უშიშროების მითითებული მიზნების განხორციელებას: ესაა მცდელობა ზეწოლა მოახდინონ ქვეყნის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაზე გარედან იძულების ეკონომიკური, სამხედრო-ძალადობრივი და ინფორმაციული მეთოდებით, შიდა პოლიტიკური ხასიათის კრიზისები – პოლიტიკური რეჟიმის დელეგიტიმაცია, სეპარატიზმი, სახელმწიფო მმართველობის სისტემის მუშაობის შეუთანხმებლობა, სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკის ეფექტიანობის შემცირება, რომელთაც მოცემული პოლიტიკურად ორგანიზებული საზოგადოების კონსტიტუციური წყობილების ძალადობრივი შეცვლის მიზნით შეუძლიათ კონფლიქტების გამოწვევა და ქვეყნის დაშლა ცალკეულ რეგიონებად.

რაც შეეხება საინფორმაციო უშიშროებას, როგორც საქმიანობის სახე და კვლევის საგანი, დიდი ხანი არაა რაც გაჩნდა. XX საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში, როდესაც აშშ-მ და ნატოს წევრმა სხვა სახელმწიფოებმა დაიწყეს საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ზემოქმედების მეთოდების ფართოდ გამოყენება თავიანთი მოწინააღმდეგეების მიმართ ლოკალური ომებისა და შეიარაღებული კონფლიქტების დროს.

საინფორმაციო სფეროში ეროვნული უშიშროების ძირითადი საფრთხეა საინფორმაციო ომი. თეორეტიკოსები მას განსაზღვრავენ, როგორც „კომპლექსური ზემოქმედება მოწინააღმდეგე მხარის სახელმწიფო და სამხედრო მმართველობის სისტემებზე, მის პოლიტიკურ და სამხედრო ხელმძღვანელობაზე, რომელსაც უკვე, ჯერ კიდევ მშვიდობიან დროს მიაღებინებდა თავდამსხმელი მხარისათვის ხელსაყრელ გადაწყვეტილებებს, ხოლო ომის მსვლელობის დროს მთლიანად მოახდენდა მოწინააღმდეგის მართვის სისტემის პარალიზებას“. მკვლევრები გვთავაზობენ საინფორმაციო ომის წარმოების შემდეგი ძირითადი პრინციპების ფორმულირებას: მოწინააღმდეგე მხარის მშვიდობის სურათის შეცვლის ცდა; კომუნიკაციური ზემოქმედება ხდება მოცემული შეტყობინებისათვის ალტერნატიულის არსებობის პირობებში; ამოცანაა გონებაში უკვე არსებულ შეტყობინებებს შორის პრიორიტეტების შეცვლა, რომელთაგან ერთი მკვეთრად ძლიერდება გარედან ზემოქმედების საშუალებით; შეტანილი მოტივაცია ქმნის ფსიქოლოგიურ დაძაბულობას, რომელიც გადაიჭრება კომუნიკატორისათვის საჭირო გადაწყვეტილების მიმართულებით; ზემოქმედება ეყრდნობა ადამიანისაგან და მანქანისაგან ინფორმაციის დამუშავების კანონებს; პროპაგანდისტების მიერ შემოთავაზებულ გადაწყვეტილებას უნდა ჰქონდეს აუდიტორიისათვის შესრულების რეალური შესაძლებლობა.

ევროპელი და ამერიკელი თეორეტიკოსები და პრაქტიკოსები ვარაუდობენ, რომ საინფორმაციო ომი ხორციელდება ორ ძირითად დონეზე. სახელმწიფო დონეზე ხდება მიზანმიმართული საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ზემოქმედების ორგანიზება არამეგობარ სახელმწიფოზე (პოტენციურ მოწინააღმდეგეზე) ამ ქვეყნების უმაღლესი პოლიტიკური

ხელმძღვანელობის მიერ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით, იმ სახელმწიფოს სასარგებლოდ, რომელიც ამ ზემოქმედებას ახორციელებს, მიმართულს, აგრეთვე პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაზე ყოველმხრივ ზემოქმედებისათვის საზოგადოების ეროვნულ-სახელმწიფოებრივი საფუძვლების მორყევის, სახელმწიფო მმართველობის სისტემაში შეღწევის და სხვა ამოცანების გადაწყვეტის მიზნით.

ასეთი რთული საშიშროების, როგორც საინფორმაციო ომია, შემადგენელია საინფორმაციო სფეროს მთელი რიგი ცალკეული საფრთხეები. მათ რიცხვს მიეკუთვნება: ქვეყანაში ინფორმაციის ფორმირების, მიღებისა და გავრცელების სფეროში მონოპოლიის მოპოვება; ქვეყნის მოქალაქეებისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ხელოვნური იზოლაცია გლობალური საინფორმაციო სტრუქტურებიდან; საზოგადოებრივი ცხოვრების სულიერი, პოლიტიკური და ეკონომიკური სფეროების საზღვარგარეთის საინფორმაციო სტრუქტურებზე დამოკიდებული მდგომარეობა; ინფორმაციით მანიპულირება (დეზინფორმაცია, ინფორმაციის დაფარვა ან დამახინჯება); ქვეყნის სახელმწიფო პოლიტიკის საინფორმაციო უზრუნველყოფის დაბალი შედეგიანობა; თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში ქვეყნის დამოკიდებული მდგომარეობა და ტექნოლოგიური ჩამორჩენა; ინფორმაციის დამუშავების ტექნოლოგიის დარღვევა; აპარატურასა და საპროგრამო ნაწარმში იმ კომპონენტების ჩანერგვა, რომლებიც ამ ნაწარმისათვის დოკუმენტაციით გაუთვალისწინებელ ფუნქციებს

ამრიგად, საინფორმაციო მუქარები არის მუქარები სახელმწიფოებრივ, საზოგადოებრივ და ინდივიდუალურ დონეებზე გადაწყვეტილებათა მიღების პროცესებისათვისაც, ისინი შეიძლება იყოს ქვეყანაში პოლიტიკური ინსტიტუტებისა და კონკრეტული პოლიტიკური მოღვაწეების დელეგიტიმაციის, ეთნიკური ურთიერთობის, სახელმწიფო ცენტრსა და რეგიონებს შორის დესტაბილიზაციის, სახელმწიფო მმართველობის დეზორგანიზაციის წყარო.

გაჩნდა ახალი ტერმინიც – **კიბერომი**. კიბერომები ხშირად პოლიტიკური გადაწყვეტილებების შედეგია, რომელსაც დიდი სახელმწიფოები ახორციელებენ. ზოგჯერ ეს პატარა სახელმწიფოების გამოყენებით ხდება. ამიტომ, კიბერდაცვის ეროვნული და საერთაშორისო სისტემების სრულყოფის საკითხი დღეს საერთაშორისო პოლიტიკის უპირველესი პრობლემაა. ამ პრობლემის გადაწყვეტა კი თვით საფრთხის სრულფასოვანი და მრავალმხრივი ანალიზის გარეშე შეუძლებელია.

პრობლემის დაძლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას კიბერსივრცეში ზემოქმედების ხარისხების განსაზღვრა წარმოადგენს, რათა დადგინდეს დაცვის შესაბამისი ორგანიზაციულ, სამართლებრივი და ტექნიკური უზრუნველყოფის ღონისძიებები. მ. ცაცანაშვილი ასეთ იერარქიას გვთავაზობს: კიბერშეტევა, რომლის მიზანი შესაძლებელია არ იყოს გარკვეული და მისი შედეგი ნაკლებად ზიანის მომტანი იყოს; კიბერდანაშაული, რომლის მიზანი კონკრეტული სუბიექტიდან ინფორმაციის



მოპარვა, კონკრეტული მონაცემთა ბაზების განადგურება ან დაზიანება (რაიმე მიზნით, ან მიზნის გარეშე); კიბერტერორიზმი, რომლის მიზანი სასიცოცხლო მნიშვნელობის კრიტიკული ინფრასტრუქტურის განადგურებაა; უახლესი ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენება გეოპოლიტიკური ინტერესების მისაღწევად, რომელიც ინტერესის ქვეშ მყოფი სახელმწიფოს მმართველობის პარალიზებას და ამ პროცესში სოციალური ქსელებით ადამიანთა მართვას იწვევს – ეს უკვე კიბერომია.

თანამედროვე კიბერომის მაგალითია საქართველოში 2008-2009 წლებში განხორციელებული კიბერშეტევები. აქ კარგად ჩანს, თუ როგორ იქნა კიბერსივრცე გამოყენებული პოლიტიკური ძალადობის იარაღად საქართველოში. 2008 წლის აგვისტოს მოვლენებს წინ უსწრებდა კიბერშეტევები, რაც მოგვიანებით, კიბერკონფლიქტში გადაიზარდა. “დაიბომბა“ საქართველოს სამთავრობო საიტები. შემდეგ მედიასაიტები (news.ge; ტელეკომპანია „რუსთავი 2“), საბანკო და სხვა მნიშვნელოვანი საიტები. ერთ-ერთი საერთაშორისო ანალიტიკური ფონდის (ShadowServer) მონაცემებით DDoS (Distributed denial of Service) - შეტევა ჯერ კიდევ 20 ივლისს დაფიქსირდა. ხოლო 8 აგვისტოდან ფართომასშტაბიანი ინტერნეტშეტევები განხორციელდა ე. წ. სამხრეთ ოსეთის სახელისუფლო და მედია საიტებზე. აღარ მუშაობდა სამთავრობო, საპარლამენტო, სასამართლოების საიტები. 9-10 აგვისტოდან პრაქტიკულად არ მუშაობდა არც ერთი ქართული დომეინი [24].

მოგვიანებით კიბერშეტევებში გამოყენებული იქნა სოციალური მედია. მაგალითად: მას შემდეგ, რაც “botnet” თავდასხმა დაიწყო და სხვა თავდამსმელებმა ეს შეამჩნიეს, სხვადასხვა ფორუმებიდან, მათ შორის “Twitter” და “Facebook”-დან ისინი შეტევას შეუერთდნენ. შეტევებმა მასობრივი ხასიათი მიიღო და მსოფლიო კიბერომის საფრთხე შექმნა. როგორც U.S Cyber-Consequences Unit – კვლევითი ინსტიტუტის დამოუკიდებელი ექსპერტები იტყობინებიან: ქართულ საიტებზე თავდასხმაში მონაწილე კიბერჯგუფებმა განახორციელეს ტიპური “bothen” – თავდასხმა. თავდასხმის შესახებ განკარგულება ათი ვებ-გვერდის მეშვეობით გაიცა. გარდა ამისა, მაიკროსოფტის ჩვეულებრივი პროგრამები და ისეთი სოციალური ვებ-ქსელები, Twitter და Facebook-იც, კიბერიარაღად იქნა გამოყენებული.

აქტუალურობას ინარჩუნებს ეროვნული უშიშროების ინტეგრალური მაჩვენებლების დამუშავების პრობლემა. ეს კრიტერიუმები უნდა იყოს კონკრეტული, გარკვეული, გამომსახველობითი და მკაფიო, როგორც თეორეტიკოსებისათვის, ისე პრაქტიკოსებისათვის, რომლებიც ქვეყნის უშიშროების უზრუნველყოფის სფეროში არიან დასაქმებული; უნდა ეფუძნებოდეს ხელმისაწვდომ და უტყუარ სტატისტიკას და, არა მერყევ საექსპერტო შეფასებებს, რომლებიც გამოდგებიან ქვეყნებს შორის და ქვეყნის შიგნით (ქალაქებს, რეგიონებს შორის) უშიშროების სხვადასხვა მიმართულებაში (ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, ეკოლოგიური და სხვ.) შედარებებისათვის.

ასეთ მანქანებლად შეიძლება იქცეს სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის ინდექსი, რომელიც ასახავს არა მარტო და არა იმდენად ჯანმრთელობის დაცვის წარმატებებს, რამდენადაც საერთოდ, საზოგადოების განვითარების დონეს.

ამრიგად, ეროვნული უშიშროების კრიტერიუმების თანამედროვე გამოკვლევების მიმართულებებია მანქანებელთა შემდგომი დიფერენციაცია, უშიშროების ცალკეული სახეებისათვის და, მთლიანობაში, ეროვნული უშიშროებისათვისაც ინტეგრალური მანქანებლების ძიება, ქვეყნის უშიშროების კრიტერიუმების შემდგომი ფორმულირების მიზნით ფუნდამენტური თეორიული დებულებების დამუშავება.

### **3.4. საქართველოს ეროვნული უშიშროების კონცეფცია**

2011 წლის 23 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე სესიის სხდომაზე დამტკიცდა ქვეყნის ისტორიაში მეორე ეროვნული უშიშროების კონცეფცია, რომელმაც ასახა წინა დოკუმენტის მიღების შემდეგ საქართველოს უშიშროების გარემოში მომხდარი ცვლილებები და მათი გავლენა საქართველოს ეროვნული უშიშროების წინაშე არსებულ საფრთხეებზე, რისკებსა და გამოწვევებზე.

2008 წლის სამხედრო აგრესიამ, საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციამ და ოკუპირებულ ტერიტორიებზე საოკუპაციო ჯარების და სამხედრო ინფრასტრუქტურის განლაგებამ მნიშვნელოვნად გააუარესა საქართველოს უშიშროების გარემო. 2008 წლის ომმა ცხადყო, რომ რუსეთის ფედერაციის ხელისუფლება არ ეგუება საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტს, მათ შორის მის არჩევანს დემოკრატიის სასარგებლოდ, დამოუკიდებელ საშინაო და საგარეო პოლიტიკას.

რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიამ გააუარესა მთლიანად კავკასიის რეგიონის უშიშროების გარემო. ამასთან, არასტაბილურობა ჩრდილოეთ კავკასიაში და მთიანი ყარაბაღის მოუგვარებელი კონფლიქტი უარყოფითად აისახება საქართველოს უშიშროების გარემოზე.

საქართველოს უშიშროებისთვის მნიშვნელოვანია ევროპაში მიმდინარე ინტეგრაციული პროცესების გაფართოება. საქართველო ევროპული და ევროატლანტიკური სივრცის ნაწილია. შესაბამისად, საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ნატო-ს და ევროკავშირის აღმოსავლეთით გაფართოება.

საქართველო მჭიდრო კავშირებს ინარჩუნებს მსოფლიოს დემოკრატიულ ქვეყნებთან. ამ ქვეყნების მიერ საქართველოს მხარდაჭერა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნის დემოკრატიულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებაში. საერთაშორისო ვითარების მუდმივ ცვლასთან ერთად, საქართველოს უშიშროების გარემოს ფორმირებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შიდა პოლიტიკური პროცესები. საქართველოს დემოკრატიული

მონაპოვრის განმტკიცება რეფორმების გაგრძელების გზით, დადებითად აისახება სახელმწიფოს დემოკრატიული ინსტიტუტების სტაბილურობასა და გაძლიერებაზე.

ეროვნული უშიშროების კონცეფციის თანახმად, საქართველოს ეროვნული ღირებულებებია: სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა; თავისუფლება; დემოკრატია და კანონის უზენაესობა; უშიშროება; კეთილდღეობა; მშვიდობა.

კონცეფციაში აღნიშნულია, რომ საქართველოს ეროვნულ ინტერესებს წარმოადგენს: 1. **სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფა** - საქართველო მოწოდებულია, აღადგინოს და შეინარჩუნოს ტერიტორიული მთლიანობა და უზრუნველყოს ქვეყნის საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების დაცვა მის ხელთ არსებული ყველა სამართლიანი და მშვიდობიანი საშუალების გამოყენებით; 2. **სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარება და დემოკრატიის განმტკიცება** - საქართველო ქმნის სახელმწიფო მართვის ისეთ მოდელს, რომელიც უზრუნველყოფს დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის მდგრადობას და მის შემდგომ განვითარებას; 3. **ეფექტიანი ეროვნული უშიშროების სისტემის განვითარება** - საქართველოს მიზანია, ჩამოაყალიბოს უშიშროების ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს სახელმწიფოებრიობის შემდგომ განვითარებას და მისი მოქალაქეების უშიშროებას; 4. **ეროვნული ერთიანობის და სამოქალაქო თანხმობის განმტკიცება** - საქართველო უზრუნველყოფს თავისი მოქალაქეების ინტერესების, უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას; 5. **ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია** - საქართველო ესწრაფვის, გახდეს ევროპული და ევროატლანტიკური სტრუქტურების ნაწილი, რაც მას მისცემს საშუალებას, მოახდინოს როგორც დემოკრატიის კონსოლიდაცია ასევე, განამტკიცოს ქვეყნის კეთილდღეობა და ეროვნული უშიშროება; 6. **ეკონომიკის სტაბილური გრძელვადიანი ზრდის უზრუნველყოფა** - ეკონომიკის მაღალი ტემპით სტაბილური გრძელვადიანი ზრდისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა საქართველოს უშიშროების პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია; 7. **ენერგეტიკული უშიშროების უზრუნველყოფა**: ენერგოუშიშროების უზრუნველყოფისთვის საქართველოს პრიორიტეტია ენერჯის წყაროებისა და ტრანსპორტირების გზების შემდგომი დივერსიფიკაცია. თანაბრად მნიშვნელოვანია შიდა რესურსების მაქსიმალურად ათვისების, ენერგოსისტემის შემდგომი მოდერნიზაციის და განვითარების ხელშეწყობა და რეგიონულ ენერგოინფრასტრუქტურაში ინტეგრაცია. საქართველოს ენერგეტიკული პოტენციალის შემდგომი გაძლიერება დადებითად აისახება ქვეყნის უშიშროებაზე, ეკონომიკურ განვითარებასა და მოქალაქეთა კეთილდღეობაზე; 8. **რეგიონული სტაბილურობის უზრუნველყოფა** - საქართველოს ეროვნულ უშიშროებაზე პირდაპირ გავლენას ახდენს ევროპაში, შავი ზღვის რეგიონსა და კავკასიაში მიმდინარე პროცესები. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ცენტრალურ აზიასა და ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესების გავლენა საქართველოზე; 9. **საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის განმტკიცება** - საქართველო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მისი სატრანზიტო

ფუნქციის განმტკიცებას. ამ მიზნით, იგი მზადაა, კიდევ უფრო აქტიურად ჩაერთოს საერთაშორისო ენერგეტიკულ, სატრანსპორტო და საკომუნიკაციო პროექტებში; 10. **საქართველოს და რეგიონის ეკოლოგიური უშიშროების უზრუნველყოფა** - გარემოს დაცვის ხარისხი და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება მჭიდროდაა დაკავშირებული საზოგადოებრივ უშიშროებასა და ჯანმრთელობასთან. საერთაშორისო და ადგილობრივი პროექტების განხორციელებისას საგანგებო მნიშვნელობა ენიჭება ეკოლოგიურ უშიშროებას; 11. **ეროვნული და კულტურული თვითმყოფადობის და სამოქალაქო ინტეგრაციის უზრუნველყოფა** - საქართველოს პრიორიტეტია კულტურული მრავალფეროვნებისა და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება და განვითარება. საქართველოსთვის მნიშვნელოვანია, ხელი შეუწყოს სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების ინტეგრაციას და მათ ჩართულობას ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში; 12. **კიბერუშიშროების განმტკიცება**: საქართველო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ინფორმაციული სივრცის უშიშროებას და ელექტრონული ინფორმაციის დაცულობას. ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფ განვითარებასთან ერთად, იზრდება აღნიშნულ ტექნოლოგიებზე სახელმწიფოს კრიტიკული ინფრასტრუქტურის დამოკიდებულება. მის გათვალისწინებით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება კიბერდანაშაულთან ბრძოლას და კიბერსივრცეში დივერსიული ტიპის აქტებისგან თავდაცვას; 13. **დემოგრაფიული უშიშროება** - ჯანსაღი ცხოვრების წესისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდა, უცხოეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისა და თანამემამულეების სამშობლოში დაბრუნების წახალისება და მათი შემდგომი რეინტეგრაციის ხელშეწყობა ხელისუფლების უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტებია. 14. **ურთიერთობა დიასპორასთან** - საქართველოსთვის მნიშვნელოვანია საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებთან კავშირების გამყარება, დიასპორის წარმომადგენლებისათვის მშობლიური ენის სწავლების და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნების ხელშეწყობა.

დოკუმენტში დახასიათებულია საქართველოს წინაშე არსებული საფრთხეები, რისკები და გამოწვევები: 1. **რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია და ოკუპირებული ტერიტორიებიდან რუსეთის ფედერაციის მიერ ორგანიზებული ტერორისტული აქტები** - რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიის ნაწილის სამხედრო ოკუპაცია არღვევს საქართველოს სუვერენიტეტს, სახელმწიფოებრიობას და პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური დესტაბილიზაციის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებული რეგიონების ინტენსიური მილიტარიზაცია და იქ რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო ნაწილების, ასევე, რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახურის სასაზღვრო ჯარების განლაგება არღვევს საქართველოს სუვერენიტეტს და ემუქრება ჩვენი ქვეყნის და მთლიანად რეგიონის უშიშროებას; 2. **რუსეთის ფედერაციის მხრიდან ახალი სამხედრო აგრესიის რისკი** - რუსეთის ფედერაციის მთავარ მიზანს საქართველოს არშემდგარ

სახელმწიფოდ ქცევა, მისი ევროპული და ევროატლანტიკური არჩევნის რეალიზაციისთვის ხელის შეშლა და საქართველოს რუსულ ორბიტაზე ძალადობრივი გზით დაბრუნება წარმოადგენს. არსებობს ახალი რუსული აგრესიის პოტენციური რისკი. თუმცა საქართველოსადმი გამოხატული საერთაშორისო მხარდაჭერა, მათ შორის ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ყოფნა, ამ რისკის მნიშვნელოვანი შემცირებელი ფაქტორია; 3. **ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა უფლებების დარღვევა** - 90-იანი წლების დასაწყისში და 2008 წელს განხორციელებული ეთნიკური წმენდის შედეგად თავისი საცხოვრებელი ადგილი იძულებით დატოვა ამ ტერიტორიების მოსახლეობის დაახლოებით 80%-მა, 500 000-მდე მოქალაქემ, რომელთაგან 261 000 აშუამად საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ცხოვრობს. საქართველოსთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა ოკუპირებული რეგიონებიდან ძალადობრივი გზით გამოდევნილ პირთა ფუნდამენტური უფლებების დარღვევა; 4. **კავკასიაში არსებული კონფლიქტები** - მეზობელი ქვეყნებიდან საქართველოს ტერიტორიაზე კონფლიქტების შესაძლო გადმოდინება საქართველოს წინაშე მდგარი საფრთხეა. კავკასიაში არსებული კონფლიქტები უარყოფითად მოქმედებს ამ რეგიონის უშიშროებაზე და ჰუმანიტარული კრიზისების განვითარების პოტენციური წყაროა; 5. **საერთაშორისო ტერორიზმი და ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულებანი**: ქვეყნის ტერიტორიაზე ოკუპირებული რეგიონების არსებობა ხელსაყრელ გარემოს ქმნის საერთაშორისო ტერორიზმისა და ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულისათვის; 6. **ეკონომიკური და სოციალური გამოწვევები**: სწრაფი და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ტემპის შემცირება საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების გამოწვევაა; 7. **ენერგეტიკული გამოწვევები**: საქართველოს ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფისათვის მნიშვნელოვანია ენერგოდამოუკიდებლობის განმტკიცება. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია ენერგომატარებლების მოწოდების წაყროების დივერსიფიკაციის შენარჩუნება. საქართველოს ენერგოუსაფრთხოების გაზრდისათვის ასევე მნიშვნელოვანია სუფთა ენერჯის წყაროების შემდგომი განვითარება და შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა; 8. **კიბერსაფრთხეები**: ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე საქართველოს კრიტიკული ინფრასტრუქტურის მხარდ დამოკიდებულებასთან ერთად, იზრდება ის გამოწვევები, რომელიც საქართველოს ინფორმაციული სივრცის დაცვასთანაა დაკავშირებული. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს რუსეთის ფედერაციამ საქართველოს წინააღმდეგ, სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო შეტევების პარალელურად, განხორციელა მიზანმიმართული და მასობრივი კიბერთავდასხმები. აღნიშნულმა კიბერშეტევებმა აჩვენა, რომ კიბერსივრცის დაცვა ეროვნული უშიშროებისათვის ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო სივრცეების დაცვა; 9. **კოლოგიური გამოწვევები** - ბუნებრივი პროცესებისა და ადამიანის საქმიანობის შედეგად წარმოქმნილ კრიზისებს შეუძლია, საფრთხე შეუქმნას საქართველოს ბუნებრივ გარემოს, მის ბიომრავალფეროვნებას და მოქალაქეების კეთილდღეობას; 10. **დემოგრაფიული გამოწვევები** - ქვეყნის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯო-

ბესება. საქართველოს მნიშვნელოვანი გამოწვევაა რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში დემოგრაფიული ბალანსის ხელოვნურად და უკანონოდ შეცვლის მცდელობები; 11. **სამოქალაქო ინტეგრაციასთან დაკავშირებული გამოწვევები** – ისეთი პირობების შექმნა, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს ყველა მოქალაქის სრულფასოვან მონაწილეობას ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში; 12. **კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაზიანება/განადგურება** – საქართველოსთვის მნიშვნელოვანია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა.

კონცეფციის მიხედვით საქართველოს უშიშროების პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებია: 1. **საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაცია და ურთიერთობა რუსეთის ფედერაციასთან**, რაც გულისხმობს ოკუპირებული რეგიონების დეოკუპაციას, იქ მცხოვრები მოსახლეობის სამოქალაქო რეინტეგრაციას და ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს სუვერენიტეტის აღდგენას, ასევე საქართველოს სურვილია, რუსეთთან იქონიოს კეთილმეზობლობის და თანასწორობის პრინციპებზე დაფუძნებული ურთიერთობა, რაც ვერ მოხდება რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის და დეოკუპაციის პროცესის დაწყების გარეშე; 2. **სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარება და დემოკრატიის განმტკიცება**; 3. **ჩართულობის პოლიტიკა**; 4. **საქართველოს თავდაცვისა და უშიშროების სისტემის განვითარება**; 5. **ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციასა და ევროკავშირში ინტეგრაცია** – საქართველოს სუვერენული არჩევანია ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციასა და ევროკავშირში ინტეგრაცია, რაც განამტკიცებს ქვეყნის უშიშროებას და უზრუნველყოფს მის სტაბილურ განვითარებას; 6. **თანამშრომლობა სამხრეთ კავკასიაში** - საქართველო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სამეზობლოსთან თანამშრომლობას და თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური ნაბიჯებით ხელს უწყობს სამხრეთ კავკასიის გადაქცევას ეკონომიკურად მიმზიდველ, მშვიდობიან და უსაფრთხო რეგიონად. საქართველოს ტრადიციულად კეთილმეზობლური ურთიერთობები აკავშირებს აზერბაიჯანთან და სომხეთთან; 7. **საგარეო კავშირების განმტკიცება** - საქართველოსთვის პრიორიტეტულია როგორც საგარეო პოლიტიკური კავშირ-ურთიერთობების გაღრმავება, ასევე საგარეო ვაჭრობის გაფართოება, ინვესტიციების მოზიდვა და სოციალური და კულტურული კავშირების განმტკიცება. საქართველო აღრმავებს სტრატეგიულ პარტნიორობას ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ესწრაფვის, მაქსიმალურად გამოიყენოს უკრაინასთან სტრატეგიული პარტნიორობის შესაძლებლობები. საქართველოს წამყვანი რეგიონული პარტნიორია თურქეთი. საქართველო აქტიურად თანამშრომლობს ბალტიის ქვეყნებთან სხვადასხვა სფეროში. საქართველო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან, აგრეთვე სკანდინავიის სახელმწიფოებთან თანამშრომლობას. საქართველო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს თანამშრომლობას მოლდოვასთან და ბელორუსთან და მიესალმება მათ მონაწილეობას ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობაში. საქართველო დიდ ყურადღებას უთმობს მჭიდრო თანამშრომლობის განვითარებას.

რებას ყაზახეთთან, თურქმენეთთან, ყირგიზეთთან, უზბეკეთთან და ტაჯიკეთთან. საქართველო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პოლიტიკური დიალოგის და ეკონომიკური თანამშრომლობის გაფართოებას ჩინეთთან, იაპონიასთან, სამხრეთ კორეასთან, ისრაელთან, სპარსეთის ყურის სახელმწიფოებთან, კანადასთან, ინდოეთთან, ბრაზილიასთან, ავსტრალიასთან. აგრეთვე, ლათინური ამერიკის, აფრიკის, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებთან. გრძელდება დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების პროცესი ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნებთან. საერთაშორისო თანამეგობრობასთან მრავალმხრივ ფორმატებში თანამშრომლობა საქართველოს საგარეო და ეროვნული უშიშროების პოლიტიკის მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. საქართველო მიიჩნევს, რომ გაერომ წამყვანი როლი უნდა შეასრულოს მსოფლიოში მშვიდობის დამკვიდრებისა და არსებული კონფლიქტების სამართლიანი მოწესრიგების პროცესში. საქართველოს მიაჩნია, რომ ეუთოს როლის შემდგომი ამაღლება ხელს შეუწყობს წევრ სახელმწიფოთა უშიშროების კიდევ უფრო განმტკიცებას. ევროპის საბჭოს ფარგლებში თანამშრომლობას საქართველო განიხილავს საუკეთესო შესაძლებლობად პოლიტიკურ და სამართლებრივ სფეროებში ევროპული ღირებულებებისა და ნორმების დასამკვიდრებლად; 8. ბრძოლა საერთაშორისო ტერორიზმის და ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ; 9. კონომიკური უშიშროების პოლიტიკა; 10. ენერგეტიკული უშიშროების პოლიტიკა; 11. ანათლების პოლიტიკა; 12. სოციალური უშიშროებისა და ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკა; 13. კიბერუშიშროების პოლიტიკა; 14. ეკოლოგიური უშიშროების პოლიტიკა; 15. ულტურული მემკვიდრეობის დაცვა; 16. დემოგრაფიული პოლიტიკა; 17. სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკა; 18. დიასპორასთან ურთიერთობის პოლიტიკა.

როგორც ვნახეთ, დოკუმენტში განსაკუთრებული აქცენტი რუსეთის ფედერაციასთან დაკავშირებით კეთდება და აღნიშნულია, რომ არსებობს ახალი რუსული აგრესიის პოტენციური რისკი, რადგან 2008 წლის აგვისტოში, რუსეთის ფედერაციის აგრესიის საბოლოო მიზანი იყო არა მხოლოდ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია და მარიონეტული რეჟიმების საერთაშორისოდ აღიარება, არამედ, საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსის შეცვლა ან/და დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლების ძალადობრივი გზით ჩანაცვლება. დოკუმენტის თანახმად, საქართველოს წინაშე მდგარი საფრთხეა, მეზობელი ქვეყნებიდან საქართველოს ტერიტორიაზე კონფლიქტების შესაძლო გადმოდინებაც.

საფრთხეების პარალელურად, ხაზგასმულია, რომ საქართველოს მიზანია ევროკავშირში ინტეგრაცია. ასევე, დასახელებულია ის ქვეყნები, რომელთანაც კავშირების განმტკიცება საქართველოსთვის პრიორიტეტულია, კერძოდ, ეს ქვეყნებია ამერიკის შეერთებული შტატები, უკრაინა და თურქეთი.

გარდა ამ საკითხებისა, უშიშროების კონცეფციის თანახმად, სახელმწიფოს მიზანია სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდაზე ზრუნვა, უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების დაბრუნების უზრუნველყოფა, ასევე, დემოკრატიული სურვილებს ინსტიტუტების

გაძლიერება, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვა, კანონის უზენაესობის, სიტყვის, აზრის, სინდისის და აღმსარებლობის თავისუფლებისთვის ზრუნვა.

ამასთან, საქართველო აღიარებს, ასევე, რომ კეთილდღეობისაკენ სწრაფვა ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა, ხოლო თითოეული მოქალაქის კეთილდღეობის უზრუნველყოფის მიზნით, ქვეყანა თავისუფალ ეკონომიკურ გარემოს ქმნის, რაც მცირე მთავრობის პრინციპში, დაბალ გადასახადებში და მიზანმიმართულ სოციალური პოლიტიკის გატარებაში გამოიხატება.

უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული უშიშროების განახლებულ დოკუმენტში ასახულია, როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და პარტნიორი ქვეყნების რეკომენდაციები.



## მეოთხე თავი ბამოწვევები ინფორმაციულ სფეროში

### 4.1. ინფორმაციული ასპექტების გადამწყვეტი მნიშვნელობა ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფაში

*კომუნიკაციის საშუალებები მსოფლიო ბატონობის საშუალებების მესამე თაობას წარმოადგენს.  
ზბიგნევ ბჟეზინსკი*

ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფაში, თითქმის XX საუკუნის ბოლომდე, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ ასპექტში, ძირითადად, სამხედრო ძალის პრიორიტეტულობა იყო აღიარებული. მაგრამ სადღეისოდ ვითარება მკვეთრად შეიცვალა, რადგან ინფორმაციული საზოგადოების ჩამოყალიბების რეალობამ და ინფორმაციის ძალაუფლების ძირითად ინსტრუმენტად გადაქცევამ ნათელი გახადა ამგვარი მიდგომის შეზღუდულობა და არაპერსპექტიულობა.

ინფორმაციისა და ინფორმაციული სისტემების როლის ზრდა, რომელიც საფუძვლად უდევს ინფორმაციული საზოგადოების კონცეფციას - ისტორიული ფაქტია [25].

ინფორმაციული რევოლუცია ეკონომიკური და სოციალური გლობალიზაციის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. როგორც ამერიკელი მეცნიერები *რობერტ ჯიოჰანი* (Robert O. Keohane) და *ჯოზეფ ნაი* (Joseph S. Nye) აღნიშნავენ, ინფორმაციული რევოლუციის შედეგად გამოწვეულ ცვლილებებს ხშირად არასათანადოდ განმარტავენ [26]. მაგალითად, საინფორმაციო ნაკადების სისწრაფეში უდიდესი ცვლილება 1866 წელს მოხდა, როდესაც პირველი ტრანსატლანტიკური კაბელი გაიყვანეს. ამის შემდეგ, ლონდონსა და ნიუ-იორკს შორის ინფორმაციის გადაცემა, ნაცვლად კვირეებისა, წუთებში ხორციელდებოდა.

ინტერნეტის გამოგონებით რეალური სხვაობა ინტერნეტსა და ჩვეულებრივ ტელეფონს შორის კომუნიკაციის ღირებულების შემცირებაში გამოიხატა. აქედან გამომდინარე, რევოლუციური ცვლილებების მიზეზი გლობალიზმის ინტენსიური და არა ექსტენსიური ზრდაა. 1877 წელს ატლანტიკის გადაღმა ტელეგრამის გაგზავნა ძალიან ძვირი ჯდებოდა, 1927 და 1977 წლებშიც კი ტრანსკონტინენტური სატელეფონო საუბრები მხოლოდ შეძლებულთა ფუფუნებას წარმოადგენდა. მაგრამ მე-20 საუკუნის მიწურულს ნებისმიერ ადამიანს, ვისაც კომპიუტერზე ხელი მიუწვდება, თავისუფლად შეუძლია ინტერნეტის გამოყენება, რომლის ღირებულება, სატელეფონო საუბრებთან შედარებით მიზერულია.

ეჭვგარეშეა, დიდი მნიშვნელობა აქვს მეცნიერულ აღმოჩენებს, რომლებიც დაკავშირებული არ არის ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან (ახალი მასალების შექმნა წინასწარ დაკვეთილი თვისებებით, ბიოტექნოლოგია...). მაგრამ თანამედროვე ტექნოლოგიურ რევოლუციას საფუძვლად ის მეცნიერული და ტექნოლოგიური აღმოჩენები უდევს, რომლე-

ბიც ინფორმაციის წარმოების, დამუშავებისა და გადაცემის შესაძლებლობებს კომპიუტერების, პროგრამული უზრუნველყოფისა და ტელეკომუნიკაციების მეშვეობით იძლევა.

ცნობილი ამერიკელი ფუტუროლოგის *ელვინ ტოფლერის* (Alvin Toffler, დ. 1928) აზრით, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარება ხორციელდება ნახტომებით, ტალღისებურად. პირველი ტალღა, რომელსაც მან “სასოფლო-სამეურნეო ცივილიზაცია” უწოდა, ბოლო 10 ათას წელს მოიცავს. ამ დროს დაინგრა თვითორგანიზაციის პირველყოფილ-თემური ფორმები, განხორციელდა შრომის დანაწილება და შეიქმნა იერარქიული ორგანიზაციული სტრუქტურები. მეორე ტალღა – “სამრეწველო ცივილიზაცია” დაიწყო 300 წლის წინ და შექმნა ყველაზე მძლავრი, შეკავშირებული და ექსპანზიონისტური სოციალური სისტემა, რომლის მსგავსიც მსოფლიომ ჯერ არ იცოდა. მესამე ტალღა, რომელიც გასული საუკუნის 50-იან წლებში დაიწყო დაკავშირებულია ე.წ. “ინფორმაციულ აფეთქებასთან”, ანუ ინფორმაციის რაოდენობის მოზავაგების შედეგად ადამიანი მის მოცულობას ვეღარ გაუმკლავდა ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების გარეშე. მესამე ტალღას ტოფლერი უწოდებს ტექნოლოგიურ ცივილიზაციას.

ცივილიზაციის ყოველ ამ ტალღას გააჩნდა საკუთარი ეკონომიკა, სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტები, კულტურა, საკუთარი კომუნიკაციის საშუალებები და, აგრეთვე ომის წარმოების საკუთარი ხასიათი და ხერხები.

ტალღების ამ ცვლელთან დაკავშირებული ტიპების ცვლილებები პოლონელმა *თომას ჩერვინსკიმ* (Thomas J. Czerwinski), რომლის მიხედვითაც “პირველი ტალღის” ომები წარმოებდა ტერიტორიებისთვის, “მეორე ტალღის” – ფიზიკური პროდუქტიულობის შემძლეობისათვის, “მესამე ტალღის” ომები იქნება ცოდნის დაუფლებისა და მასზე კონტროლისათვის. რამდენადაც ნებისმიერი საზოგადოების “საბრძოლო მოქმედებათა ფორმები” მიყვება ამ საზოგადოების “კეთილდღეობის შექმნის ფორმებს”, ამდენად მომავლის ომები ძირითადად იქნება, მაგრამ არა მარტო: ინფორმაციული ომები” [27].

ინფორმაციული ზემოქმედება, როგორც ასეთი, ყოველთვის არსებობდა. უძველეს დროში პირველი ინფორმაციული შეტევებისთვის იყენებდნენ, მაგალითად, მითებს. *ჩინგიზ ხანის* ჯარი კვალდაკვალ მიყვებოდა მათ შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას, იმის შესახებ თუ როგორი წარმოდგენელი სისასტიკით გამოირჩევიან მონგოლები, რაც გარკვეულ წილად მოწინააღმდეგის მორალურ დეზორგანიზებას იწვევდა, ეცემოდა მათი სულიერი სიმტკიცე. სამშობლოს დასაცავად პატრიოტული სულისკვეთების აღზრდას ემსახურებოდა შესაბამისი იდეოლოგია. ჯერ კიდევ ძველი ბერძნები ამბობდნენ: ”მამულისათვის სიკვდილი ტკბილი და მშვენიერია” (*პორაციუსი*).

ეს ზემოქმედებანი დღევანდელისგან იმით განსხვავდება, რომ მათ მაშინ ჯერ კიდევ არ ეწოდებოდათ ინფორმაციული ომი. ეს იმით აიხსნება, რომ მაშინ არ იყო განვითარებული ინფორმაციის გადაცემის ტექნიკური საშუალებანი. ინფორმაციული ქსელების ფართო გავრცელებამ და სწრაფად ზემოქმედების ზრდამ გაზარდა სწორედ ინფორმაციული იარაღის სიმძლავრე. სიტუაციაზე დამატებით გავლენას ახდენს ღია

საზოგადოების მოდელიც, რაც გულისხმობს ბევრად მეტი მრავალფეროვანი ინფორმაციული ნაკადების არსებობას ვიდრე ეს დახურულ საზოგადოებაში შეიძლება იყოს.

საზოგადოება, რომელსაც პოლიტოლოგები „ინფორმაციულს“ უწოდებენ, მნიშვნელოვნად განსხვავდება ინდუსტრიული საზოგადოებისგან. დღეისათვის მრავალ ქვეყანაში - შექმნილია ინფორმაციული ინფრასტრუქტურა, რაც ამ ქვეყნებში საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს ფუნქციონირების საფუძვლად იქცა. შეინიშნება ამ ინფრასტრუქტურების საკმაოდ სწრაფად გაერთიანებისა და ერთიან გლობალურ სისტემაში გადასვლის ტენდენცია.

გავრცელებული თვალსაზრისის მიხედვით, ახალ ინფორმაციულ ცივილიზაციას აიგივებენ, პირველ ყოვლისა, მომსახურების სფეროსთან, სერვისის, კომფორტის გაფართოებასთან, მოხმარების ხარისხთან. ნათელია, რომ ინფორმაცია გადაიქცა არა მომსახურების სფეროს ნაწილად, არამედ წარმოების ძირითად საშუალებად.

წარმოქმნილი ახალი ინფორმაციული საზოგადოების ტექნოსტრუქტურაში, მიუხედავად იმისა, რომ ამ საზოგადოებაში მომსახურების სფეროში მეტი ხალხია დაკავებული, მრეწველობა არ ქრება, არ კარგავს თავის როლს. საქმე ისაა, რომ ახალი საზოგადოებისათვის, პირველ ყოვლისა, დამახასიათებელია არა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის ან მომსახურების სფეროს არსებობა, არამედ მათი ურთიერთკავშირი ინფორმაციული პროცესების მეშვეობითა და დახმარებით. ყველა ამ დარგში საქმიანობის უმნიშვნელოვანეს სფეროდ იქცა საქმიანობა ინფორმაციის წარმოებისა და დამუშავებისათვის.

მაგალითად, გაეროს ყოველწლიური საერთაშორისო მოხსენების მონაცემების მიხედვით, განუხრელად იზრდება ინფორმაციის დამუშავების სფეროში დაკავებულ ადამიანთა რიცხვი, შესაბამისად გაიზარდა მათი ხვედრითი წილი მომუშავე მოსახლეობაში, რაც მრეწველობას, სოფლის მეურნეობასა და მომსახურების სფეროს შორის ტრადიციული დაყოფის პრაქტიკულად გაქრობის შესახებ მიანიშნებს.

ამიტომაც ახალი საზოგადოების ანალიზისათვის გამოდგება არა აგრარული, ინდუსტრიული ან მომსახურების სფეროს თვალსაზრისით ჩამოყალიბებული დახასიათება, არამედ ადამიანების საქმიანობის ყველა საწარმოო დარგში ინფორმაციულ წარმოებაზე მისი გადასვლის საზომი.

რადგან ინფორმაცია კაცობრიობის დაუშრეტელ გლობალურ რესურსად იქცა, დადგა ცივილიზაციის განვითარების სრულიად ახალი - ინფორმაციული რესურსის ინტენსიურად ათვისების ეპოქა და ინფორმაცია სულ უფრო დიდ გავლენას ახდენს ნებისმიერი სახელმწიფოს ეროვნულ უშიშროებაზე. ამიტომ, მსოფლიოში მომხდარი ეს გლობალური სოციალური ცვლილებები საზოგადოების ინფორმაციული გარემოს შესწავლასა და ობიექტურ ანალიზს მოითხოვს.

ინფორმაციული ტრანსფორმაციის ტენდენციები და განვითარების პერსპექტივა პირველებმა ამერიკის შეერთებულ შტატებში გააცნობიერეს. მაგალითად, ოუკ რიჯის (Oak Ridge) ეროვნული ლაბორატორიის დირექტორმა, ცნობილმა ამერიკელმა მეცნიერმა,

ბირთვული ფიზიკის სპეციალისტმა *ელვინ ვაინბერგერმა* (Alvin M. Weinberg, 1915–2006) ყურადღება გაამახვილა საინფორმაციო ცენტრების შექმნისა და ინფორმაციული უზრუნველყოფის საკითხებზე, რომელიც მოხსენების სახით („მეცნიერება, მთავრობა და ინფორმაცია“) 1963 წელს წარუდგინა აშშ-ს პრეზიდენტს *ჯონ კენედის*. უნდა ითქვას, რომ აქედან ჩაეყარა საფუძველი ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკოსთა განსაკუთრებულ დამოკიდებულებას ინფორმაციული (თანამედროვე გაგებით) პოლიტიკის პრობლემებისადმი. იმდინარე (ოპერატიული) ინფორმაციული პოლიტიკის სისტემა, რომ შეექმნათ ამერიკელებს თითქმის 10 წელზე მეტი (1963-1973 წწ.) დასჭირდათ. ვინაიდან ამ მხრივ ამერიკა, როგორც თავისი გამოცდილების, ისე მიღწეული პრაქტიკული შედეგების თვალსაზრისით, სამაგალითოა, ამიტომ, კონკრეტულად ამ საკითხთან დაკავშირებით, მასზე ხშირად მომხილება საუბარი.

1967 წელს აშშ სენატის მიერ გამოცემული „აქტი ეროვნული მიზნების, პრიორიტეტებისა და საშუალებების შესახებ“ შეიცავდა პრეზიდენტისათვის ყოველწლიური სოციალური მოხსენების მომზადების, პრეზიდენტთან სოციალურ საკითხებზე მრჩეველთა ჯგუფის ფორმირებისა და აშშ-ს კონგრესთან სოციალური ინფორმაციის კომიტეტის შექმნის შესახებ მოთხოვნებს. განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ მოექცა საზოგადოების ცხოვრების წესის ყველა სფერო და სოციალური ჯგუფების მიმდინარე ურთიერთქმედების მონაცემები.

პერსპექტიული ინფორმაციის სისტემის შექმნის სერიოზულ ცდა იყო 1972 წელს აშშ პრეზიდენტის დეკრეტით აშშ კონგრესთან შექმნილი ახალშემონადებ სიახლეთა პერსპექტიული შედეგების შეფასების კომიტეტი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა სენატორი ედვარდ კენედი.

საგულისხმოა, რომ აშშ-ს ეროვნული უშიშროების სტრატეგიის ძირითად მიზნად იქცა ამერიკული ცხოვრების წესის დაცვა. „ჩემი ადმინისტრაციის უმთავრესი ამოცანა და კონსტიტუციური მოვალეობაა ჩვენი ეროვნული უშიშროების - ხალხის, ტერიტორიის და ცხოვრების წესის - დაცვა“, - ასე თვლიდა აშშ-ს პრეზიდენტი *ბილ კლინტონი*.

სწორედ ზემოთ ნახსენები ერთიანი სახელმწიფოებრივი სისტემის („სოციალური მანქანებლები“) მეშვეობით შეძლეს ამერიკელებმა განესაზღვრათ ცხოვრების წესის ძირითადი პარამეტრები, რაც აშშ-ს სამხედრო-პოლიტიკურ ხელმძღვანელობას შესაძლებლობას აძლევს ოპერატიული რეაგირება მოახდინოს „ერის სოციალურ გუნება-განწყობილებაში“ წარმოქმნილ პრობლემებზე, დააფიქსიროს მასზე ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური ზემოქმედების ნეგატიური საშინაო და საგარეო წყაროები.

ამრიგად, ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის ინტერესებისათვის აშშ-მ შექმნა შიდა ინფორმაციის დიაგნოსტიკის სისტემა, ხოლო XX საუკუნის ბოლოს საგარეო ინფორმაციის დიაგნოსტიკის სისტემის შექმნაც დაიწყო, რისთვისაც ფართოდ იყენებს საერთაშორისო საინფორმაციო სისტემებს (პირველ ყოვლისა, ინტერნეტი და სხვ.),

აგრეთვე, აშშ-ს კონტროლქვეშ მყოფ სხვადასხვა სოციოლოგიურ ცენტრებს (განსაკუთრებით აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში).

ერთიანი მსოფლიო ინფორმაციული სივრცის ჩამოყალიბების პირობებში, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სწორედ მსოფლიო ინფორმაციული სივრცეში სოციალური ინფორმაციის მუდმივი მონიტორინგით დაამყარა ძირითად ინფორმაციულ პროცესებზე კონტროლი მსოფლიოში, საიმედოდ უზრუნველყო საკუთარი ეროვნული უშიშროება.

მსოფლიოში ქვეყნის პოლიტიკურ სტატუსზე, პოლიტიკურ ძალაუფლებაზე ინფორმატიზაციის გაგენის საკითხს ცენტრალური ადგილი უკავია დასავლურ პოლიტიკურ ცხოვრებაში. მკვლევრები ამტკიცებენ, რომ ინფორმაციის კონცენტრაციის, მისი გამოყენების უფრო ფართო შესაძლებლობათა ხარჯზე მიმდინარეობს ამ დარგში მოწინავე სახელმწიფოების გეოპოლიტიკური პოტენციალის გაძლიერება, შეიმჩნევა აღმასრულებელი ხელისუფლების, ხელისუფლების სახელმწიფო აპარატის შესაძლებლობათა ზრდა არჩევით წარმომადგენლობით ხელისუფლებასთან შედარებით.

ეს დასტურდება თვით პოსტსაბჭოურ ქვეყნებშიც მიმდინარე პოლიტიკური პროცესებით. მაგალითად, ამ ქვეყნებში (მათ შორის საქართველოში) ჩატარებულმა საპრეზიდენტო თუ საპარლამენტო არჩევნებმა დაადასტურა, რომ მასმედია და კომპიუტერულ ქსელებზე კონტროლი მკვეთრად აფართოებს საზოგადოებრივი აზრის მანიპულირების შესაძლებლობებს ხელისუფლების შენარჩუნებისათვის ბრძოლაში. ფაქტობრივად ელექტრონული მასმედია წყვეტს სშირად საკითხს.

ინტერნეტის ეპოქის პირველი საარჩევნო კამპანია გახდა აშშ პრეზიდენტის 2000 წლის არჩევნები. თუმცა ჯერ კიდევ 1996 წელს ჩატარდა ექსპერიმენტები ინტერნეტის პოლიტიკური მიზნებისათვის გამოყენების თვალსაზრისით. ინტერნეტი იქცა ამომრჩეველზე ზემოქმედების ისეთივე საშუალებად, როგორც გაზეთი, ტელევიზია, რადიო და ჟურნალია. ამერიკის პრეზიდენტობის კანდიდატებს გააჩნიათ თავთავიანთი საიტები, რომლებიც შეიცავს ინფორმაციებს პრეტენდენტისა და მისი პოლიტიკური პლატფორმის შესახებ. თავთავიანთი საიტები გააჩნდათ წინასაარჩევნო კამპანიის ჩამტარებულ პარტიულ კომიტეტებსა და სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციებს.

საზოგადოების ყველა სფეროს, განსაკუთრებით ეკონომიკის, მეცნიერების, პოლიტიკის, სამხედრო საქმის კანონზომიერ ინფორმატიზაციასთან დაკავშირებით იზრდება საინფორმაციო ტექნიკისა და საინფორმაციო რესურსის გეოპოლიტიკური მნიშვნელობა. რადგანაც, როგორც აღინიშნა, ქვეყნის გეოპოლიტიკური პოტენციალი, ანუ მისი პოლიტიკური შესაძლებლობანი, გლობალურ მასშტაბში განისაზღვრება არა იმდენად ტერიტორიის მდებარეობითა და ზომებით, მოსახლეობის რაოდენობით, რამდენადაც ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური, სამხედრო, საკომუნიკაციო შესაძლებლობებით.

უდავოა, რომ პოლიტიკა ეყრდნობა ქვეყნის ეკონომიკურ შესაძლებლობებს და ემსახურება ეკონომიკურ ინტერესებს. დასაწყისში სახელმწიფოთა ეკონომიკური სიძლიერე განისაზღვრებოდა ძირითადად მათი ბუნებრივი სიმდიდრეებით (ნაყოფიერი მიწების, მდი-

დარი წიაღისეულის არსებობით). შემდგომ ეკონომიკური სიძლიერის ძირითად ფაქტორად იქცა გადამამუშავებელი მრეწველობის, მაშასადამე, ენერგეტიკის განვითარების დონე.

ერთერთი ამერიკული კომპანიის 1996 წლის ანგარიშში [28] ლაპარაკია იმის შესახებ, რომ რიგი სახელმწიფოების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებებს, რომლებიც გამოწვეულია საზოგადოების ინფორმატიზაციისა და კომპიუტერიზაციის სწრაფი ტემპებით, მიყვავართ ხელმძღვანელების მიერ გეოპოლიტიკური შეხედულებების გადასინჯვისკენ, ახალი სტრატეგიული ინტერესების (მათ შორის, ინფორმაციულ სფეროში) გაჩენისაკენ, რისი შედეგიც არის ამ ქვეყნების მიერ გატარებულ პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებები. ავტორები საზოგადოებრივ ადნიშნავენ, რომ, კლაუზევიცის მიერ ომის განსაზღვრების გათვალისწინებით (ომი - ეს პოლიტიკის გაგრძელებაა სხვა საშუალებებით), გლობალური დაპირისპირებები თხოულობენ მათი გადაწყვეტის ახალ საშუალებებსა და მეთოდებს - სტრატეგიული ინფორმაციული წინააღმდეგობის გაწევას.

გამომდინარე ინფორმაციის შინაარსიდან და როლიდან თანამედროვე მსოფლიოში, ცნობილმა მეკლევარმა *მარშალ მაკლუენმა* (Herbert Marshall McLuhan, 1911–1980) საინტერესო თეზისი შემოგვთავაზა: "ჭეშმარიტი ტოტალური ომი - ეს არის ომი ინფორმაციის დახმარებით". პირველმა სწორედ მაკლუენმა გამოაცხადა, რომ ჩვენ დროში ეკონომიკური კავშირები და ურთიერთობები უფრო და უფრო იღებენ არა საქონლის, არამედ ცოდნის მიმოცვლის ფორმას. ხოლო მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები წარმოადგენენ ახალ "ბუნებრივ რესურსებს", რომლებიც ზრდის საზოგადოების სიმდიდრეს. ანუ ბრძოლა კაპიტალისტურის, გასაღების სივრცეები და სხვ., მიყვავართ იმისკენ რომ ომები მიდინარეობს დიდ საინფორმაციო სივრცეში და შეიარაღების საინფორმაციო სახეების დახმარებით [29].

რადგანაც დღეს უკვე ინფორმაცია ითვლება სტრატეგიულ ეროვნულ რესურსად, ქვეყნის ერთ-ერთ ძირითად სიმდიდრედ, მისი ეკონომიკური პოტენციალი, როგორც უკვე აღნიშნეთ, სულ უფრო მეტი დონით განისაზღვრება საინფორმაციო ინფრასტრუქტურის განვითარების დონით.

ინფორმაციული პროდუქტისა და საინფორმაციო ტექნიკის წარმოებამ განვითარებულ ქვეყნებში უკვე დაიკავა პირველი როლი როგორც მოცულობის, ისე დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით. „ინფორმატიზაციის ზემოქმედებით ეკონომიკა ხდება სწრაფი“ [30], იქნეს ახალ თვისებებს - მოქნილობას, დინამიურობას, მასალისა და ენერგოტევადობის სიმცირეს, ეკოლოგიურობას და სხვ.

ჯერ კიდევ, გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში მსოფლიო ლიდერებმა ეკონომიკის სფეროში, რომლებიც თავისი უპირატესობის კიდევ უფრო გამოკვეთას ესწრაფოდნენ, დაიწყეს ინფორმატიზაციის სახელმწიფო პროგრამების მიღება (იაპონია - ინფორმაციული საზოგადოების აშენების პროგრამა, აშშ - სტრატეგიული კომპიუტერული ინიციატივა, ევროკავშირი - „ევრიკა“ და სხვ.). 1993 წელს აშშ-ში გამოცხადდა დოქტრინა № 11 (National Information Infra-structure) - აშშ-ს ეროვნული საინფორმაციო ინფრასტრუქტურ-

რის შექმნის დიდი პერსპექტიული პროექტი. კლინტონ-გორის მემორანდუმში იგი აშშ-ს ეკონომიკური ზრდის უმთავრეს ამოცანად გამოცხადდა.

მსოფლიოში დღეს ქვეყნის გეოპოლიტიკური წონა მისი სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის მდგომარეობით განიზომება. და ეს პოტენციალი ამჟამად სულ უფრო მეტი დონით, ვიდრე წინათ, განისაზღვრება მეცნიერებისა და ინჟინრების შრომის საინფორმაციო-ტექნიკური უზრუნველყოფის დონით, ანუ ელექტრონული, განსაკუთრებით მულტიმედიაური ბიბლიოთეკების, პროექტირების საინფორმაციო სისტემების, სამეცნიერო კვლევების საინფორმაციო სისტემების, სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ავტომატიზებული სისტემების, ტელეკონფერენციების, გამომთვლელი ექსპერიმენტების განხორციელების საშუალებების არსებობითა და მათი ხელმისაწვდომობით.

ომი პოლიტიკის გაგრძელებაა, ხოლო არმია - ძლიერი საშუალება და გადამწყვეტი არგუმენტია პოლიტიკოსების ხელში. შეიარაღების შეჯიბრებაში ბირთვულ-რაკეტული ჩიხიდან გამოსავალი უკვე ნაპოვანია. სამხედრო საქმეში დგება ახალი, პოსტბირთვული ეტაპი, გაიშალა ახალი სამხედრო ტექნიკური რევოლუცია - ცივილიზაციის განადგურების მომტანი მასობრივი განადგურების იარაღიდან გადასვლა მაღალი სიზუსტის, შერჩევით, კონტრძალადურ და ინფორმაციულ იარაღზე, რომელიც ეკოლოგიური კატასტროფით არ იმუქრება და პოლიტიკური და ეკონომიკური მიზნების მიღწევის ეფექტური საშუალებაა.

ნამდვილად, თანამედროვე იარაღის ეფექტურობა, რომლის მოქმედების დამაზიანებლობა ტრადიციულ ცეცხლზეა დაფუძნებული, სულ უფრო მეტად განისაზღვრება არა საცეცხლე სიმძლავრით, არამედ შემდეგი ინფორმაციული პარამეტრებით - სიზუსტით, მართვადობით, მოქმედების სისწრაფით. ხდება მისი გადაქცევა „არამომაკვდინებელ“ არამედ „გონიერ“ (მიზნის არჩევისა და გამოცნობის უნარის მქონე და სხვ.) იარაღად. განვითარებულ ქვეყნებში, უკვე 80-იანი წლების დასაწყისიდან, არმიის ინფორმატიზაცია აღიარებულია სამეცნიერო-ტექნიკური და სამხედრო-ტექნიკური პოლიტიკის პრიორიტეტულ ამოცანად.

ინფორმაციის ხარისხი ომის წარმოების სიძნელეების მაჩვენებელია. მეტაური რაც უფრო ხარისხიან ინფორმაციას ფლობს, მით უფრო მეტია მისი უპირატესობა მტერთან შედარებით. თუ შესაბამის ადგილს მოუძებნი, ყველა ინფორმაციის გამოყენება შეიძლება. მაგალითად, აშშ-ს სამხედრო საჰაერო ძალებში ამინდის პროგნოზისა და დაზვერვის მონაცემების ანალიზი წარმოადგენს საფუძველს გაფრენის დავალების შემუშავებისათვის. ნავიგაციის სიზუსტე აძლიერებს დავალების შესრულების ეფექტურობას. ეს ყველაფერი წარმოადგენს სამხედრო-საინფორმაციო ფუნქციის სახეებს, რომლებიც ამდღებენ საბრძოლო ოპერაციების ეფექტიანობას. ე. ი. სამხედრო თვალსაზრისით ნებისმიერი ინფორმაციული ფუნქცია უზრუნველყოფს (ან აუმჯობესებს) ჯარის მიერ თავისი საბრძოლო ამოცანის გადაჭრას.

კონცეპტუალურ დონეზე შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფო ცდილობს შეიძინოს ინფორმაცია, რომელიც უზრუნველყოფს საკუთარი მიზნების შესრულებას, გამოიყენებს მას და დაიცავს მას. ეს გამოყენება და დაცვა შეიძლება განხორციელდეს ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სამხედრო და სხვა სფეროებში. ცოდნა იმ ინფორმაციისა, რომელიც მოწინააღმდეგეს გააჩნია, წარმოადგენს საკუთარი ძალების კიდევ უფრო გაზრდისა და მტრის ძალების დასუსტების საშუალებას ან გავუწიოთ წინააღმდეგობა მას, აგრეთვე დაეიცვათ ჩვენი ფასეულობანი, ინფორმაციის ჩათვლით.

თუ ვფლობთ მოწინააღმდეგის ინფორმაციული რესურსის შესახებ ცოდნას, ჩვენ შეგვიძლია ზემოქმედება მოვახდინოთ იმ ინფორმაციაზე და საინფორმაციო ფუნქციაზე, რომელსაც მტერი ფლობს. ამასთან ხდება ჩვენი საინფორმაციო ფუნქციების დაცვა, რაც ამცირებს მტრის სურვილს (შესაძლებლობებს) გააგრძელოს ბრძოლა.

ამასთან, საინფორმაციო ფუნქციის შესრულების თანამედროვე საშუალებებმა გააჩინეს ინფორმაციასთან მიმართებაში ერთგვარი ”სუსტი წერტილები” - საგრძნობლად გაზარდეს ინფორმაციის პირადპირი მიღწევადობისა და მისით მანიპულირების შესაძლებლობა. თანამედროვე ტექნოლოგიები მოწინააღმდეგეს საშუალებას აძლევს შეცვალოს ან შექმნას ინფორმაცია ფაქტების წინასწარ მიღებისა და მათი ინტერპრეტაციის გარეშე. მაგალითად, ამას ხელს უწყობს ინფორმაციის შენახვის კონცენტრირებულობა, მიღწევადობის სისწრაფე, ინფორმაციის საყოველთაოდ გადაცემა და ინფორმაციული სისტემების მიერ თავისი ფუნქციების შესრულების ავტონომიურობის დიდი შესაძლებლობა. დაცვის მექანიზმებმა შეიძლება შეამცირონ მაგრამ სრულად ვერ აღმოფხვრიან ამ ე. წ. ”სუსტ წერტილებს”.

უშუალოდ სამხედრო მოქმედებათა (მათი ტრადიციული განმარტებით) შინაარსში იზრდება საინფორმაციო-ტექნიკური და საინფორმაციო-ფსიქოლოგიური წინააღმდეგობების მნიშვნელობა და ხვედრითი წილი. ამჟამად ინფორმაციული ზემოქმედების საშუალებათა ეფექტურობა იმდენად მაღალია, ხოლო მათი სპექტრი და დანიშნულება იმდენად გაფართოვდა, რომ სამხედრო თეორეტიკოსებმა ლაპარაკი დაიწყეს იარაღის ახალ ნაირსახეობაზე - ინფორმაციულ იარაღზე, შესაბამისად ინფორმაციულ ომებზე.

ერთი რამ ცხადია, საერთაშორისო არენაზე ქვეყნების მიერ მსოფლიო მოვლენებზე გავლენის მოპოვების შესაძლებლობა სულ უფრო და უფრო დამოკიდებული ხდება საინფორმაციო ინფრასტრუქტურის განვითარების დონეზე, საიდანაც, შესაბამისად, სახელმწიფოს ექმნება შესაძლებლობა - ექსპლუატაცია გაუწიოს სხვა ქვეყნების ინტელექტუალურ პოტენციალს, გაავრცელოს და ჩანერგოს თავისი სულიერი, იდეური ღირებულებები, თავისი კულტურა, ენა; შეაფერხოს სხვა ქვეყნების სულიერ-კულტურული ექსპანსია, მოახდინოს ტრანსფორმირება, საერთოდ შეარყიოს კიდევ მათი სულიერ-ზნეობრივი საფუძვლები.

მსოფლიოში საქმის ამგვარი მდგომარეობა საქართველოს უბიძგებს იმისკენ, რომ გააცნობიეროს ინფორმაციული მუქარის არსებული რეალობა ეროვნულ უშიშროებაში



და მიიღოს შესაბამისი ზომები სახელმწიფოს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და ინფორმაციული სივრცის დასაცავად. ამათან დაკავშირებით განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს სამართლებრივი ხასიათის პრობლემები, რომელთა გადაჭრამაც უნდა განსაზღვროს სიტყვის თავისუფლებისა და საიდუმლოების შორის, გლობალური ინფორმაციული სივრცის გახსნილობასა და მტრის შეტევებისგან ინფორმაციული სისტემების დაცვის, სახელმწიფოს ინფორმაციული უშიშროების საკითხებს შორის შეფარდება. საქართველოში ინფორმაციული სფეროს სამართლებრივი რეგულირების საკითხები მოითხოვს თავის გადაწყვეტას.

## 4.2. ინფორმაციული ომების თავისებურებები

ინფორმაციული ომი – (information war) სისტემათა ურთიერთშორისი, ღია ან ფარული, მიზანმიმართული საინფორმაციო ზემოქმედება მატერიალურ, სამხედრო, პოლიტიკურ ან იდეოლოგიურ სფეროებში გარკვეული უპირატესობის მოსაპოვებლად. ინფორმაციული ომი ხშირად მიმდინარეობს ბიზნესშიც, კონკურენტ ფირმებს შორის. შესაბამისად, ძლიერი კომერციული სტრუქტურები ცდილობენ გააგლენა მოიპოვონ საინფორმაციო საშუალებებზე, მათ შორის – ინტერნეტზე.

ტერმინი “ინფორმაციული ომი” პირველმა გამოიყენა უნგრული წარმოშობის ამერიკელმა ექსპერტმა *თომას რონამ* (Thomas P. Rona, 1923-1997) კომპანია “ბონინგისათვის” 1976 წელს გაკეთებულ ანგარიშში “იარაღის სისტემები და ინფორმაციული ომი” [31]. რონამ აღნიშნა, რომ ინფორმაციული ინფრასტრუქტურა ამერიკული ეკონომიკის საკვანძო კომპონენტი ხდება და ყურადღების გარეშე არ უნდა დარჩეს ეს ფაქტორიო. ანგარიშის პუბლიკაციის შემდეგ ამ პრობლემით დაინტერესდნენ ამერიკელი სამხედროებიც. ამერიკის სამხედრო საჰაერო ძალებმა 1980 წლიდან აქტიურად დაიწყო ამ თემაზე მუშაობა.

ტერმინი „ინფორმაციული ომი“ ამერიკელმა სამხედრო სპეციალისტებმა სპარსეთის ყურეში საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ ოფიციალურად გამოიყენა, სადაც მაღალი სიზუსტის საინფორმაციო იარაღმა თავი დამაჯერებლად გამოავლინა. 1992 წლის 21 დეკემბერს პენტაგონმა მიიღო დირექტივა TS 3600.1 სახელწოდებით „ინფორმაციული ომი“, რაშიც ლაპარაკი იყო მომავალ ომებში არა მარტო „საინფორმაციო რესურსების ყოველმხრივი აღრიცხვის შესახებ“, არამედ გამოხატული იყო ღრმა შეშფოთება აშშ-ს წინააღმდეგ უახლესი ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების საფრთხის გამო.

შტაბების უფროსების გაერთიანებული კომიტეტის თავჯდომარის *ჯონ (მალჩაზ) შალიკაშვილის* (John Malchase David Shalikashvili, 1936-2011) 1993 წელს გამოცემულ №30 დირექტივაში მოცემულია ბრძოლის ველზე ინფორმაციული ომის ძირითადი დებულებების დეტალური დასაბუთება - გადმოცემულია მართვის სისტემებთან ბრძოლის კონცეფცია.

შემდგომში ამერიკული კორპორაციის ("RAND") ანგარიშში პირველად განხილული ტერმინი "სტრატეგიული ინფორმაციული ომი (ინფორმაციული დაპირისპირება). აქ იგი ახსნილი იყო როგორც ომი არის სტრატეგიული სამხედრო ოპერაციის წარმოებისა და საკუთარ ინფორმაციულ რესურსზე გავლენის განმტკიცებისთვის სახელმწიფოს გლობალური ინფორმაციული სივრცისა და ინფრასტრუქტურის გამოყენება [32].

1996 წლის თებერვალში აშშ-ს თავდაცვის სამინისტრომ მიიღო დოქტრინა "მართვისა და კონტროლის სისტემებთან ბრძოლის დოქტრინა". ე.წ. კრიტიკული ინფრასტრუქტურის დასაცავად შეიქმნა საპრეზიდენტო კომისიაც. მოგვიანებით აღნიშნული კომისიის დასკვნის საფუძველზე პრეზიდენტის სამოცდამესამე დირექტივა შემუშავდა, რომელიც 1998 წელს საინფორმაციო უშიშროების უზრუნველყოფის სამთავრობო პოლიტიკის საფუძველი გახდა. წამყვანმა ქვეყნებმა უკვე დაიწყეს საინფორმაციო ომის ვიწრო სპეციალისტების მომზადება. ამერიკაში, თავდაცვის ეროვნულ უნივერსიტეტში მოქმედებს საინფორმაციო ომის და სტრატეგიის სკოლა. კალიფორნიის სახლვაო სკოლაში საინფორმაციო ომის ჯგუფს უკითხავენ ლექციების კურსს საინფორმაციო ომის პრინციპების, ფსიქოლოგიური ოპერაციების, საინფორმაციო ომის დაგეგმარებისა და შეფასების შესახებ. მოგვიანებით აღნიშნული მიმართულებით რუსეთი ამოქმედდა.

რუსეთის თავდაცვის სამინისტრო საინფორმაციო პროპაგანდისტულ ქსელს ქმნის, რომელიც სხვა ამოცანებთან ერთად ჰაკერულ შეტევებს მოამზადებს მოწინააღმდეგის მედია-რესურსებზე. რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ეს გადაწყვეტილება იყო პასუხი რუსეთის დავალებაზე მოამზადონ წინადადებები იმ სპეციალისტების და ცენტრის შექმნასთან დაკავშირებით, რომლებიც შესძლებენ უთანამედროვესი ტექნოლოგიებით საინფორმაციო ომი აწარმოონ. რუსეთში ზოგიერთი წყაროს მიხედვით, საინფორმაციო პროპაგანდისტული ცენტრის ამოცანები მოწინააღმდეგის დათრგუნვა, მათი საინფორმაციო კავშირების მოშლა, საკუთარი საინფორმაციო სისტემის შენარჩუნება, საინფორმაციო და სადოქტრინაციო ნაწილების შექმნა და საზოგადოებრივ აზრზე ზეგავლენის მოხდენაა როგორც კონფლიქტამდე, ასევე შეიარაღებული კონფლიქტის მიმდინარეობისას.

ჩინეთში სამხედრო სპეციალისტებმა საინფორმაციო ომის მნიშვნელობის ფორმირება უკვე მოახდინეს. ეს ქვეყანა სამხედრო ტექნოლოგიური რევოლუციის მედროშე გახლავთ, რაც კიბერუშიშროების სისტემის შემუშავებით გამოიხატება. საინფორმაციო ომმა ჩინეთში უნიკალური კონცეფცია შეიძინა. იგი განისაზღვრება როგორც "გადასვლა მექანიზირებული ომიდან ინტელექტუალურ ომზე". შედეგად ჩინეთმა ინფორმაციული ტექნოლოგიების სასწავლო ცენტრების გაძლიერებაზე და მაღალი კლასის კომპიუტერული ექსპერტების ჩამოყალიბებაზე იზრუნა. ბრიტანული წარმოდგენა საინფორმაციო ომზე ამერიკის შეერთებული შტატების განსაზღვრებას ემთხვევა. იგი განისაზღვრება როგორც მოწინააღმდეგის საინფორმაციო სისტემაზე კომპლექსური ზემოქმედება საკუთარი სისტემის დაცვით. გარდა ამისა, დიდი ბრიტანეთი ეყრდნობა მოქმედ კანონმდებლობაზე დაფუძნებულ იურიდიულ სტრუქტურას, რომლის საფუძველზე

ინფორმაციულ სისტემაზე თავდასხმა განიხილება როგორც სისხლის სამართლის დანაშაული. ეს კი დიდი ბრიტანეთის მთავრობას ქვეყნის უშიშროების მიზნით სახელმწიფო მოხელეთა სხვადასხვა პირადი ფაილებისა და ელექტრონული ფოსტის გაკონტროლების საშუალებას აძლევს.

საინფორმაციო ომის გერმანული განსაზღვრება გარკვეულ წილად ემთხვევა მის ამერიკულ და ბრიტანულ მნიშვნელობას. იგი ნაციონალური მიზნების დასაცავად საინფორმაციო ომის წამოწყებასა და შესაბამისი ღონისძიებების გატარებას ითვალისწინებდა. ამასთანავე, გერმანია ამერიკის შეერთებული შტატებისგან განსხვავებით მასობრივ ინფორმაციას საინფორმაციო ომის ერთ-ერთ ელემენტად მიიჩნევს. ასევე ქვეყანაში მწვავედ დგას ეკონომიკური საინფორმაციო ომის წარმოების საკითხი, რადგან გერმანიის ხელისუფალთ ერთ-ერთ მთავარ დარტყმად ეკონომიკური დანაკარგები მიაჩნიათ. ფრანგები გერმანელების მსგავსად საინფორმაციო ომის ერთ-ერთ მთავარ ელემენტად ეკონომიკას მოიაზრებენ. საომარი კონცეფციები კი მკვეთრად შეზღუდული საინფორმაციო ოპერაციებით გამიხატება. ფრანგებს საინფორმაციო ომის ეკონომიკური სკოლებიც კი გააჩნიათ. ქვეყანაში მოქალაქეების ინტერნეტ-სივრცე აქტიურად კონტროლდება. როგორც ცნობილია, არსებობს საინფორმაციო ომის ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის სტრატეგია, მაგრამ იგი დახურულ წრეებში მოქმედებს და მედიისთვის ხელმისაწვდომი არ არის [33].

სპეციფიკურობის გამო ინფორმაციული ომი წარმოადგენს დამოუკიდებელ სახეობასაც და ომის სხვა ნებისმიერი სახეობის (შეიარაღებული, იდეოლოგიური, ეკონომიკური და სხვა) შემადგენელ ელემენტსაც. ის მიმდინარეობს მუდმივად, როგორც მშვიდობიან, ასევე ომიანობის დროს. ინფორმაციული ომის მასშტაბები იმდენად გრანდიოზულია, რომ მისი მომზადება არ შეიძლება იყოს სპონტანური. მას გეგმიური, სისტემატიური ხასიათი უნდა ჰქონდეს და ინფორმაციული ომის კანონებისა და კანონზომიერებების დრმა ცოდნას ემყარებოდეს, ამიტომ ინფორმაციული ომის თეორიის დამუშავებას დიდი მნიშვნელობა აქვს. იგი უნდა განვიხილოთ როგორც ცოდნის სისტემა მისი მომზადების და წარმოების ხასიათის, კანონების, კანონზომიერებების, პრინციპების, ფორმების და წესების შესახებ. მთლიანობაში ინფორმაციული ბრძოლის თეორიის საგანია მისი მომზადებისა და წარმოების კანონების, ფორმებისა და წესების სისტემა.

ინფორმაციული ომის მიზანია - საკუთარი ინფორმაციული უშიშროების უზრუნველყოფის ხარისხის განუხრელი ამაღლება და მოწინააღმდეგის ინფორმაციული უშიშროების უზრუნველყოფის დონის მაქსიმალურად შემცირება. ამის მიღწევა შეიძლება მთელი რიგი ამოცანების გადაწყვეტის გზით, რომელთა შორის ძირითადია მოწინააღმდეგის ინფორმაციული გარემოს ობიექტების განადგურება და საკუთარი ინფორმაციის დაცვა. ინფორმაციული ომის შინაარსზე უდიდეს გავლენას ახდენენ სხვადასხვა ფაქტორები, მათ შორის განსაკუთრებით: პოლიტიკური, ეკონომიკური, ფსიქოლოგიური, საკუთრივ სამხედრო და ინფორმაციული.

ინფორმაციული ომის შინაარსის ფორმირებაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს პოლიტიკური ფაქტორი. სახელდობრ იგი განსაზღვრავს: მის მიზანს და ამოცანებს; წარმოშობის მიზეზებს და აღკვეთის გზებს; წარმოების საშუალებებს, წესებს და თავისებურებებს; გაქანებას და ხანგრძლივობას; მატერიალური და ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფას.

ასევე დიდ გავლენას ინფორმაციული ომის შინაარსსა და განვითარებაზე ახდენს ეკონომიკური ფაქტორიც. ეკონომიკაზეა დამოკიდებული საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინფორმატიზაციის დონე, და აქედან გამომდინარე, ინფორმაციული ომის წარმოების ეფექტურობა, როგორც მშვიდობიან, ასევე საომარ დროს. მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესი უშუალო ზემოქმედებას ახდენს ინფორმაციული ომის საშუალებების სრულყოფაზე, იგი იწვევს ღრმა, რევოლუციურ ცვლილებებს მის თეორიაშიც. მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის ბაზაზე განვითარებული ეკონომიკის პირობებში კარგი წინაპირობები იქმნება ინფორმაციული ომის ამოცანების გადაწყვეტის ეფექტური წესების შემუშავებისათვის.

ფსიქოლოგიური ფაქტორი გადამწყვეტ გავლენას ახდენს ინფორმაციული ომის თეორიის დებულებების რეალიზაციაზე. ინფორმაციული სისტემების მომსახურე პერსონალის ზოგადი და პროფესიონალური მომზადება, მისი მორალურ-პოლიტიკური და ფსიქოლოგიური მდგომარეობა, მზადყოფნა თავისი ქვეყნის ინტერესების თავდადებული დაცვისათვის დიდ როლს თამაშობს ინფორმაციული ომის ამოცანების გადაწყვეტაში.

ინფორმაციული ომის განვითარებას საფუძვლად სამხედრო ფაქტორი უდევს. სამხედრო დოქტრინის დებულებები, მოწინააღმდეგის სამხედრო კონცეფციები, ინფორმაციული ომის საშუალებების განვითარების მდგომარეობა და პერსპექტივები, ისტორიული გამოცდილება და მოცემულ დარგში დაგროვილი ცოდნა ინფორმაციული ომის ფუნდამენტური დებულებების გამომუშავების, მისი განვითარების მიმართულებების განსაზღვრის ძირითადი ბაზაა.

ინფორმაციული ომის თეორიის სტრუქტურის ზოგადი საფუძვლებია: ინფორმაციული ომის გამოკვლევის მიმართულებები და მეთოდები; ინფორმატიზაციის განვითარების ტენდენციები და მისი როლი საზოგადოების ცხოვრების სხვადასხვა სფეროებში; ინფორმაციული ომი, მის როლი და ადგილი შეიარაღებული ძალების ომში; ინფორმაციული ომის თეორიის ობიექტი, საგანი, მიზნები, ამოცანები და სტრუქტურა; ინფორმაციული ომის კატეგორიები, კანონები, კანონზომიერებები და პრინციპები.

შესწავლის საგანი უნდა იყოს აგრეთვე ინფორმაციის განადგურებისა და ინფორმაციის დაცვის პრობლემები. ინფორმაციის განადგურების თეორიაში უნდა გამოიყოს შემდეგი საერთო საკითხები: ინფორმაციის განადგურების განსაზღვრა, ფორმები და წესები; ძირითადი ფაქტორები, რომლებიც მოქმედებენ ინფორმაციის განადგურების შინაარსზე და ეფექტურობაზე; ინფორმაციის გამანადგურებელი

საშუალებების არსებობა; ინფორმაციის განადგურების ეფექტურობის შეფასების მაჩვენებლების სისტემა; ინფორმაციის განადგურების ზოგად მათემატიკური მოდელი.

ინფორმაციის დაცვის თეორიაში უნდა გამოიყოს შემდეგი საერთო საკითხები: ინფორმაციის დაცვის ობიექტები და ელემენტები; ძირითადი ფაქტორები, რომლებიც მოქმედებენ ინფორმაციის დაცვის შინაარსზე და ეფექტურობაზე; ინფორმაციის საშიშროებანი და მისი დაცვის მეთოდოლოგიური საფუძვლები; ინფორმაციის დაცვის ეფექტურობის შეფასების მაჩვენებლების სისტემა; ინფორმაციის დაცვის ზოგადი მათემატიკური მოდელი; ინფორმაციის დაცვის ორგანიზაციულ-ტექნიკური და სამართლებრივი საფუძვლები.

ინფორმაციული ომის ფუძემდებლური პრინციპებია: ინფორმაციული ომის ძალებისა და საშუალებების მუდმივი მზადყოფნა საკუთარი ინფორმაციის დასაცავად და მოწინააღმდეგე მხარის საინფორმაციო გარემოზე დამანგრეველი ზემოქმედებისათვის; ინფორმაციული ომის ყველა ძალებისა და საშუალებების ერთიანი შეთანხმებული გამოყენება; მაღალი აქტიურობა და ინფორმაციული ომის უწყვეტობა; ინფორმაციული ომის ძალებისა და საშუალებების დროული მანევრირება; მოქმედებების მოულოდნელობა; ბრძოლისუნარიანობის ყოველმხრივი უზრუნველყოფა, სულიერი სიმტკიცის შენარჩუნება და ინფორმაციული ომის ძალებისა და საშუალებების აღდგენის დროულობა; ინფორმაციული ომის ძალებისა და საშუალებების მართვის სიმტკიცე და უწყვეტობა, შეუდრეკელობა დასახული მიზნების მიღწევაში, მიღებული გადაწყვეტილებების და დასმული ამოცანების შესრულებაში.

ინფორმაციულ ომში საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების აღსანიშნავად ერთ-ერთი გამოყენებული ტერმინია „ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური ზემოქმედება“. ეს ტერმინი ზუსტად ასახავს ზემოქმედების პროცესის თავისებურებებს, რომლებიც დაკავშირებულია: ა) ინფორმაციის გადაცემასთან (ფართო გაგებით, ინფორმაციაში ასევე იგულისხმება ყალბი ინფორმაცია, და აგრეთვე, შეუზღებლად ათვისებული ინფორმაცია და ა.შ.) და ბ) ადამიანის ფსიქოლოგიურ თავისებურებებზე ზემოქმედებასა და გამოყენებასთან (სიტყვა „ზემოქმედება“-ს გამოყენება მიუთითებს პროცესის ძირითად შინაარსზე).

ეს მეთოდები კაცობრიობის განვითარების ცალკეულ ეტაპზე სხვადასხვა ფორმით გეხდება. მაგალითად, ჯერ კიდევ ჩინგიზ-ყაენის ჯარები იყენებდნენ ჭორების სხვადასხვაგვარ ფორმას მოსახლეობისა და მტრის ჯარების დემორალიზაციისათვის: ავრცელებდნენ ჭორებს მოწინააღმდეგე მხარის სისუსტის, მისი მმართველების გამყიდველობისა და ჩინგიზ-ყაენის ჯარების სიძლიერის შესახებ.

ცნობილია ისიც, რომ დიდი ბრიტანეთის ბურებთან ომის დროს, სამხრეთ აფრიკაში ბურებმა კავშირი დაამყარეს გერმანიასთან, ირლანდიასთან, ამერიკასთან, საფრანგეთთან და სხვა ქვეყნებთან, სადაც ისინი მიზანმიმართულად ქმნიდნენ ვერაგი და უღმობელი დიდი ბრიტანეთის სახეს, რომელიც ომობდა მცირერიცხოვან ბურებთან, მათ შორის, ქალებსა და ბავშვებთან. შედეგად, მათ არა მხოლოდ შეძლეს მსოფლიო საზოგადოებრივი

ახრის თავისკენ მიმხრობა, არამედ მიიღეს დახმარება იარაღის მიწოდების საკითხის მოგვარებასა და მოხალისეთა ნაკადის ჩამოყალიბებაში. განსაკუთრებულ ეფექტს ახდენდა ბურების ცალკეული ჯგუფების პარტიზანული მოქმედებების ფართო გაშუქება, რამაც შეძლო ინგლისური არმიის უძლეველობის შესახებ მითის გაფანტვა.

პროპაგანდა, როგორც დამოუკიდებელი სამხედრო დისციპლინა, განსაკუთრებულად განვითარდა პირველი მსოფლიო ომის დროს. მაგალითად, აშშ-ში ვილსონის მიერ შექმნილი იყო, ეგრეთ წოდებული, კრილის კომიტეტი (Creel Committee), რომელიც კოორდინირებდა პროპაგანდისტულ მუშაობას გერმანიისა და ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობაზე (სხვადასხვა ასპექტში) ზემოქმედების მიზნით.

ამ ომის ძირითადი კომპონენტებია: ოპერატიული შენიღბვა, მოწინააღმდეგის დეზინფორმირება, ფსიქოლოგიური ოპერაციები, რადიო-ელექტრონული ბრძოლა, მართვის სისტემების საცეცხლე განადგურება, დაზვერვა. იზნებია: საკუთარი მართვის სისტემის დაცვისა და მოწინააღმდეგის მართვის სისტემის დეზორგანიზება. 1995 წელს გამოვიდა აშშ-ს სამხედრო ძალების ახალი წესდება ინფორმაციული ომის შესახებ, ხოლო თავდაცვის ეროვნულმა უნივერსიტეტმა დაასრულა ამ სფეროში სპეციალისტების პირველი ჯგუფის მომზადება. დაწყებული 1994 წლიდან, აშშ-ში ეწყობა ოფიციალური სამეცნიერო კონფერენციები ინფორმაციული ომების პრობლემებზე. უკანასკნელ წლებში მკვეთრად გაიზარდა აშშ-ს ხარჯების საერთო წილი ინფორმატიკაში, ინფორმაციული ომებისათვის მზადებაში.

ჯერ კიდევ ამერიკაში 2001 წ. 11 სექტემბერს განხორციელებულ ტერაქტამდე, გერმანიის დაზვერვა მსოფლიოს ყველა სპეცსამსახურს აფრთხილებს საინფორმაციო ომის საფრთხის გაზრდის შესახებ. ექსპერტები მივიდნენ დასკვნამდე, რომ რიგ სახელმწიფოებში სამხედრო მომსახურებებს სისტემატურად ამზადებენ ინფორმატიკულ სფეროში ომის წარმოებითვის (ექსპერტთა განცხადებაში ეს ქვეყნები ოფიციალურად არ სახელდება). ამისთვის მათ ჰაკერული მეთოდებით მოწინააღმდეგის კომპიუტერულ მონაცემთა ბაზის განადგურებას, ან მართვას ასწავლიან.

ამ ინფორმაციული ომის მთელი არსი ის არის, რომ სახელმწიფო მართვის მთელი სისტემა ძალიან მცირე დროში დაზიანდება ან განადგურდება. ინფორმაციულ ომში დარტყმის მთავარი სამიზნე იქნება ჯერ სამხედრო სტრუქტურები, შემდეგ კი საყოფაცხოვრებო დაწესებულებები, საბანკო სისტემა, პოლიცია და ტრანსპორტი.

ცნობილია, რომ არსებობს სპეციალური პროგრამები, მაგალითად, „ტროას ცხენი“, რომელთაც შეუძლიათ, მოწინააღმდეგის კომპიუტერულ ქსელში წლობით შეუმჩნევლად იყვნენ, მხოლოდ განსაზღვრულ მომენტში, ამუშავდნენ და მთელი სისტემა მწყობრიდან გამოიყვანონ. მაგალითად, ფრანგებისგან ნაყიდი არც ერთი თვითმფრინავი „მირაჟი“ არ აფრინდა ერაყში. იმიტომ, რომ მათში ჩამონტაჟებული იყო საიდუმლო ელექტრონული მოწყობილობა, რომელიც, მხოლოდ ფრანგებმა იცოდნენ და მათი ჩარევის გარეშე არ ჩაირთვებოდა. ფრანგებმა ეს მომენტი საჭირო დროს შესანიშნავად გამოიყენეს. უნდა

ითქვას, რომ კომპიუტერის მარტო ერთ პატარა პროცესორში 40 მილიონი ელემენტი ჩადებული და ძნელია გაიგო, ამათგან რომელია ის, რომელიც საფრთხეს შეიცავს.

ასეთი მეთოდები მცირე დოზით გამოიყენეს ნატო-იუგოსლავიის საჰაერო ომის დროს. ამერიკელმა ჰაკერმა სამხედროებმა სერბების საჰაერო თავდაცვის სისტემის განადგურება შეძლეს. მათ მონიტორის ეკრანებზე გაუშვეს არარსებული საჰაერო სამიზნეების ლოკატორები. ამ მეთოდითვე შეიტანეს ქაოსი სერბეთის ელექტრო და სატრანსპორტო სისტემაში.

გერმანული დაზვერვის ექსპერტები მიუთითებენ, რომ ეს მცირედია იმ მეთოდებს შორის, რაც შეიძლება საინფორმაციო ომის წარმოების დროს გამოიყენონ, მით უმეტეს, როცა ამ ომს სამშვიდობო ოპერაციის სახე არ ექნება.

კომპიუტერული ომის წარმოების მეთოდები და საშუალებები დღითი დღე სრულყოფილ და დახვეწილ სახეს იღებენ. მოწინააღმდეგის ინფორმაციული სისტემის განადგურების მიზნით ხდება კომპიუტერულ ქსელში უშუალო შეღწევა ან ე.წ. „კომპიუტერული ვირუსების“ შეგზავნა. ამისათვის, როგორც წესი, გამოიყენება გლობალური კომპიუტერული ქსელები, მაგალითად, ინტერნეტი. კომპიუტერული სისტემების დაცულობის უზრუნველსაყოფად საჭიროა განსაკუთრებული ორგანიზაციული ღონისძიებების გატარება და შესაბამისი ტექნიკური და პროგრამული საშუალებების შექმნა, რომლებიც ძალიან ძვირი ღირს და ყველასთვის ხელმისაწვდომი არ არის. სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს საკუთარი ინფორმაციის დაცვას არასანქცირებული შეღწევებისგან. საიდუმლო ინფორმაცია იზოლირებული უნდა იყოს საერთო მოხმარების გლობალური კომპიუტერული ქსელებისგან და ინახებოდეს მხოლოდ დაშიფრული სახით, რასაც სისტემატურად უნდა აკონტროლებდეს სპეციალურად შექმნილი ჯგუფი.

ზემოთ ნათქვამი იმის მტკიცების საშუალებას იძლევა, რომ, საინფორმაციო ტექნიკისა და ტექნოლოგიების განვითარების კვალობაზე, „ცხელ ომებს“ პლანეტზე თანდათან გამოდევნის „ცივი ომები“, რაშიც გადამწყვეტ როლს ინფორმაციული იარაღი შეასრულებს. უკვე ახლა ჩანს, რომ „ცივი ომები“ სულ უფრო მასშტაბური და პოლიტიკურად შედეგიანი გახდება. სახელმწიფოები ამ ომებს სულ უფრო ხშირად იყენებენ თავიანთი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად (ფაქტია, რომ ყოველგვარი გასროლის გარეშე გაქრა უდიდესი იმპერია - სსრ კავშირი).

საერთაშორისო არენაზე ქვეყნის მიერ მსოფლიო მოვლენებზე გავლენის მოპოვების შესაძლებლობა სულ უფრო და უფრო დამოკიდებული ხდება საინფორმაციო ინფრასტრუქტურის განვითარების დონეზე, საიდანაც, შესაბამისად, ქვეყანას ექმნება შესაძლებლობა - ექსპლუატაცია გაუწიოს სხვა ქვეყნების ინტელექტუალურ პოტენციალს, გაავრცელოს და ჩანერგოს თავისი სულიერი, იდეური ღირებულებები, თავისი კულტურა, ენა; შეაფერხოს სხვა ქვეყნების სულიერ-კულტურული ექსპანსია, მოახდინოს ტრანსფორმირება, საერთოდ შეარყიოს კიდევ მათი სულიერ-ზნეობრივი საფუძვლები. აშშ-ს საგარეო-პოლიტიკური წარმატებები განაპირობა არა მარტო მისმა სამხედრო და ეკონო-

მიკურმა სიძლიერემ, არამედ წარმატებებმა „დემოკრატიისა და სახალხო დიპლომატიის პროგრამის“ რეალიზაციაში, მსოფლიოში ძირითად ინფორმაციულ და კულტურულ პროცესებზე მისმა კონტროლმა.

აშშ ღიად აცხადებს თავის პრეტენზიებს გლობალურ გეოპოლიტიკურ ლიდერობაზე და მიაღწია კიდევაც ამისათვის შესაბამისი ბაზის შექმნას. ცნობილია, რომ მომავლის საინფორმაციო ინფრასტრუქტურის ერთ-ერთი ძირითადი საფუძველია გლობალური და ეროვნული კომპიუტერული ქსელები. აშშ-მ მიაღწია იმას, რომ მისი თავდაცვის სამინისტროს სუპერკომპიუტერული ქსელი (ARPAnet) მსოფლიო გლობალური ქსელის – ინტერნეტის - ყველზე პოპულარული, სწრაფმზარდი და პერსპექტიული ქსელის – ბირთვი გახდა. ინტერნეტი, ფაქტობრივად, პლანეტის საინფორმაციო ინფრასტრუქტურის საფუძველი ხდება. ეს ინფრასტრუქტურა - მომავლის საინფორმაციო ომების მთავარი თეატრი - აშშ-ს სამხედრო სპეციალისტების ფაქტობრივი კონტროლის ქვეშაა მოქცეული. ამ მიმართულებით საქმიანობის დიდი შესაძლებლობანი და ტრადიციები გააჩნია რუსეთის ფედერაციასაც, რომელიც სულ უფრო აფართოებს პოსტსაბჭოთა სივრცეში „მოურჯულებელი“ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ მიმართულ საინფორმაციო ომს.

საქართველოს წინააღმდეგ მიმდინარე ომში მრავალრიცხოვანი კოალიციური ძალებია ჩართული, აღჭურვილი ძლიერი სამხედრო ტექნიკით, ცოცხალი ძალით, საინფორმაციო საშუალებების ფართო ქსელითა და აქტიურად მოქმედი „მეხუთე კოლონით“. ომი წარმოებს ჩვეულებრივად (სამხედრო აგრესია - აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების მაგალითი), საინფორმაციოც, პოლიტიკურიც, ეკონომიკურიც, ფსიქოლოგიურიც, ეკოლოგიურიც. ომი ყველა ფორმით, ყველა ხერხით, ყველა საშუალებით: ტერაქტები, ჯიხასკარის, გალისა და სენაკის მოვლენები, იდეოლოგიური, ენერგეტიკული, ეკონომიკური, ფინანსური და რადიაციული დივერსიები და სხვა მრავალი,

მკვეთრად გაიზარდა ამ საქმეში მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა როლიც. ერთდროულად იმატა ინტერესმა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისადმი როგორც საზოგადოებრივ აზრზე გავლენის ინსტრუმენტისა და სხვადასხვა პოლიტიკური და პოლიტიკურ-ფინანსური ჯგუფების მხრიდან თავისი ინტერესების ღობირების საშუალებებისადმი. მაყურებელნი, მსმენელნი და მკითხველნი სულ უფრო ხშირად ხდებიან მოწმენი სხვადასხვა „ინფორმაციული ომების“, მრავალრიცხოვანი „კომპრომატის გამოაშკარაების“, „ინფორმაციის გაჟონვის“, „დაკვეთილი პუბლიკაციების“ და ა.შ.

ასეთი პრაქტიკა ზრდის სოციალურ დაძაბულობას, იწვევს ხალხის ურწმუნოებას დამოუკიდებელი საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტებისადმი, მეწარმეობის ინსტიტუტისადმი, წარმოიშობა უნდობლობა სახელმწიფო ხელისუფლების ნებისმიერი მოქმედებისადმი, იზრდება სახელმწიფოსა და საზოგადოების, საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების განკერძოება, წარმოიშობა ადამიანთა ურწმუნოება საკუთარ შესაძლებლობებში შეცვალონ სიტუაცია უკეთესობისკენ. სულ უფრო მკვიდრდება



დემოკრატიული საზოგადოებისადმი, მათ შორის თვით მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისადმი უნდობლობის სტერეოტიპი.

უცხოეთის გამოცდილი სპეცსამსახურები საქართველოში კოლოსალურ თანხებს ხარჯავენ დამოუკიდებლობის დისკრედიტირებისათვის (მათ შორის ქართული მასმედიითაც). ამ სპეცსამსახურების ამოცანად ქცეულა საქართველოს პროდასავლური ხელისუფლების (რომელიც დამოუკიდებლობის გარანტიების მოპოვებას დასავლეთში ცდილობს) შეცვლა. ამის უამრავი მაგალითი არსებობს 1991 წლიდან მოყოლებული. მაგალითად, ინტერნეტ გაზეთის „CHT-PY“-ს ერთ-ერთი ავტორი (ვინმე ორლოვი) არც მაღავდა ამ ზრახვებს და პირდაპირ წერდა „...უცილებელია საქართველოს ხელისუფლების შეცვლა ამა თუ იმ მეთოდით“ [34]. მათ არსენალშია მასობრივი საზოგადოებრივი აზრისა და ცნობიერების ფორმირების ისეთი ეფექტური საშუალება, როგორცაა ე.წ. „შემოგდებული აზრების“ ფართოდ მუხირება. მაგალითად, იყენებენ რა ქართველი კაცისათვის მტკივნეულ თემას – ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის თემას (აგრეთვე, შექმნილი გარკვეული სიძნელეების ფონზე საქართველოს პრეზიდენტისადმი გარკვეული კატეგორიის ადამიანების უკმაყოფილებას), ყველაფერში ადანაშაულებენ საქართველოს პრეზიდენტს, თანაც კონტექსტი ხშირად ემთხვევა რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებებს. ცხადია მნიშვნელობა არ აქვს ვინ არის ქვეყნის პრეზიდენტი გამსახურდია, შევარდნაძე თუ სააკაშვილი. თუ თვალს გადავაგლებთ ოპოზიციურ გაზეთებს 1991 წლიდან დღემდე, ზოგიერთი გაზეთის სტატიაში ტექსტი არ იცვლება და მხოლოდ გვარის შეცვლა ხდება იმის მიხედვით თუ ვინაა პრეზიდენტი. მაგალითითად, ზოგიერთი გაზეთი ავრცელებდა მოსაზრებას იმის შესახებ, რომ „თურმე სანამ შევარდნაძე იქნება საქართველოს პრეზიდენტი, აფხაზეთის საკითხი არ მოგვარდება, რადგანაც თურმე მას რუსეთში ვერ იტანენ“ (საბჭოთა იმპერიის დანგრევისათვის, რის შედეგადაც რუსეთის „მშობლიურ“ სივრცეზე უამრავი დამოუკიდებელი სახელმწიფო წარმოიქმნა). ესე იგი, აქედან გამომდინარე, ზოგიერთმა ქართველმა უნდა გააკეთოს „მრავალმნიშვნელოვანი“ დასკვნა: თუ ე.შევარდნაძე აღარ იქნება ქვეყნის პრეზიდენტი, მაშინ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და დამოუკიდებელ საქართველოზე „მზრუნველი“ კრემლი ლანგრით მოგვართმევს აფხაზეთს?! [35].

რუსეთის სპეცსამსახურების მიერ „შემოგდებული თემები“ ქართველებს შორის მართლაც პოპულობს ადრესატებს. ზოგიერთი ქართველი, მაგალითად, დევნილთა საკორდინაციო საბჭოს ერთ-ერთი ლიდერი „მედია-ნიუსისათვის“ მიცემულ ინტერვიუში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმური ხელისუფლების დისკრედიტაციის შემდეგ, „გონივრულ“ დასკვნებს აკათებს: „შევარდნაძე რუსეთისათვის მიუღებელი ფიგურაა. ისინი ყველანაირად ეცდებიან, შევარდნაძის პრეზიდენტობის პერიოდში აფხაზეთი არ დაუბ-

რუნონ საქართველოს“.<sup>10</sup> (?) ამ „მარგალიტების“ გავრცელებაში საინფორმაციო სააგენტოც და გაზეთიც ხელს უწყობენ.

ამ თემის განხილვას ყურადღებას უთმობენ ქართული სოციალური ქსელებიც. მაგალითად, ფორუმის თემაში ”ფსიქოლოგიური ომი და ოპერაციები”, ფორუმის მონაწილე ვინმე ”ავაზა” (Avaza, რეგ.: 12.05.2009, 22:18, წერილები: 8088) საინტერესო მოსაზრებებს გვთავაზობს, იგი წერს: ”გავრცელებული კონკრეტული მაგალითები ჩვენი რეალობიდან: 1). ადამიანი ამტკიცებს რომ არამართლმადიდებელი არ არის ქართველი და ის უნდა მოიკვეთოს ქართული საზოგადოებიდან (რადგან აპრიორი მტერია), ამით რუსების საქმეს აკეთებს. რა თქმა უნდა ეს აზრი მას დამოუკიდებლად არ მოსვლია თავში, ვიღაცამ სპეციალურად გამოურეცხა ტვინი და მერე აგორდა ზვავევით, ანუ გავლენის ზომბებმა იწყეს მოქმედება. ზომბს ჰგონია რომ ქართულ საქმეს აკეთებს და სინამდვილეში რუსეთის სპეცსამსახურების დავალებას ასრულებს უფასოდ.

ადრე ამ ოპერაციაში ჩაბმული იყო მამა ბასილი, რომელმაც მოინანია და ეკლესიას დაუბრუნდა, მაგრამ გახსოვთ ალბათ რა ცუდი რეზონანსი მოყვა უცხოეთში მსგავს ფაქტებს. ისე ჩანდა, გეგონება ქართველი ხალხი არ არის ტოლერანტი და გამუდმებით არბევს სხვანაირად მოაზროვნეებს. ეკლესიების დაწვაც კი ხდებოდა. გარდა ამისა, ამ იდეით ქართული საზოგადოებიდან იკვეთება 60.000 კათოლიკე, 35.000 პროტესტანტი, 50-60.000 სხვა აღმსარებლობის ქართველი და უამრავი არაქართველი, რომელთა ინტეგრირება გამორიცხებულია ამ იდეის თანახმად.

ეს რომ მტრულად გადაკიდებული სოციუმებს წარმოშობს ხვდებით ხომ? რაც უფრო გარიყულია ადამიანი და პრესის ქვეშაა, მით უფრო იკეტება და იარაღს არ დაიჭერს ხელში. შანსი არ არის ... ვინ უნდა დაიცვას? ვინც არბევს? შესაბამისად ქართული არმია კარგავს კადრებს, ხოლო სახელმწიფო იძენს გაავებულ სოციუმებს. ეს აწყობს რუსეთს. სხვა ეს “ბარდაგი” არავის არ აწყობს. ხელოვნური რომ იყო, იქიდანაც გამომჩნდა რომ, როცა მოუჭირა ხელი უშიშროებამ, ეგრევე გაჩერდნენ.

დასკვნა: სექტანტები სატანები არიან და ქართველობას ებრძვიან. შედეგი: ქართველების დიდი ნაწილის ჩამოკვეთა, მტრული სოციუმების გაჩენა. აგრესიის მატება და ათასი სიბნელე კიდევ.

2). მინახია ყოფილი მეომარი, რომელმაც მითხრა რომ რუსებთან ომი არ შეიძლება და რომ ლოცვით უნდა დავიბრუნოთ აფხაზეთი (2008-მდე იყო ეს დიალოგი). მორწმუნე გავხდი და თანამორწმუნეს ვერ ვესვრიო. ასე დაიკარგა კიდევ ერთი მეომარი, რომელიც საკმაოდ ენაწყლიანი მოსაუბრეა და წამლავს ხალხს პრორუსული პროპაგანდით, არადა უყვარს საქართველო.

დასკვნა: ქრისტიანს როგორ ვესროლო! შედეგი: რუსს ვერ ვესვრი. ემანდ თანამორწმუნე არ მოვკლა.

<sup>10</sup> დღესაც ხომ შინაარსი იგივეა, მხოლოდ ტექსტში შევარდნადის მაგივრად სააკაშვილის გვარია ჩასმული.

3). ზოგიერთი ოპოზიციონერის და ე.წ. ლიბერალის დაუფარავი ანტიქართული და პრორუსული მოქმედება. "ჩვენ დავბომბეთ მძინარე ცხინვალი, ჩვენ დავხოცეთ უდანაშაულო ხალხი" და ა.შ. რაც დემორალიზებას იწვევს, შედეგად კი ახალგაზრდებში ნიჰილიზმს.

დასკვნა: უსამართლო ომი იყო! შედეგი: დიალოგია საჭირო ომი არ შეიძლება (ანუ რეალობას უმახინჯებენ, რუსეთი თავად აპირებს ომს ჩვენთან სრულ განადგურებამდე და ასეთ ხალხს იყენებენ).

4). ანტიდასავლური პროპაგანდა - რომ ბრიუსელში დიდი კომპიუტერი დევს, ყველას შუბლზე 666 უნდა დააკრან და ვინ გვიშველის? ვინ? ვინ და ერთმორწმუნე რუსეთი. სხვა ალტერნატივა საქართველოს არა აქვს. ამ პროპაგანდის ნაწილია ის, რომ ბევრს წარმოუდგენია დასავლეთი გარყვნილ და განარკომანებულ საზოგადოებად (ანუ რუსეთი რაცაა იმად), განსაკუთრებით ჰოლანდია. არადა არ არის მასე. დასავლეთში უფრო მაღალია ზნეობის დონე ვიდრე პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში. მიცხოვრია იქ და ზუსტად ვიცი.

დასკვნა: თუ დასავლეთი ასეთი სატანაა, რა გვინდა ნატოში და ზოგადად მათთან? შედეგი: რუსებთან ომი არ შეიძლება და იარაღს არ აიღებს.

5). იდეა: რუსეთს იმდენი ბომბი აქვს, აგვაფეთქებენ დედაბუდიანად 1 საათში. იმდენი ტანკი აქვთ მაგდენი ჯარსიკაცი არ გვყავს და მისთანები. მოძრავი ვურუსები ... ანუ ტიპი გარტყმაში არ არის სამხედრო საქმის და ძალით ინმორებს თავს. მოგებაში რას გულისხმობს და წაგებაში ამაზე არც კი უფიქრია.

დასკვნა: აუ ამდენი თუ არის, როგორ უნდა ეომო? მაინც წააგებ. შედეგი: რუსეთთან ომი არ შეიძლება და იარაღს არ აიღებს" [36].

წარსული წლებიდან კიდევ ერთი მაგალითი, 2001 წლის 11 სექტემბერს აშშ-ში განხორციელებული შემზარავი ტერაქტის შემდეგ, „სარგებლის“ ძიებაში, რუსეთის მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული სისტემური საინფორმაციო ომი გაძლიერდა, ანტიქართული კამპანია კიდევ უფრო გამწვავდა მას შემდეგ, რაც პაკისტანურმა გაზეთმა „საერთაშორისო ამბები“ გამოაქვეყნა და შემდეგ მასზე დაყრდნობით მსოფლიოს რამდენიმე საინფორმაციო გამოცემამ გაავრცელა ინფორმაცია ტერორისტ უსამა ბინ ლადენის ჩენეთში შესაძლო ყოფნის შესახებ.

ასეთი მტკნარი სიცრუის გამოქვეყნება პაკისტანურ გაზეთს მხოლოდ რუსული სპეცსამსახურების შეკვეთით შეეძლო გაეკეთებინა. რუსული მხარის მიერ გაღებული გარკვეული თანხის საფასურად პაკისტანელ ჟურნალისტს არ გაუჭირებოდა რუსებისათვის სასურველი ინფორმაციის „გამოცხობა“, მითუმეტეს, რომ ეს ვერსია, არც ჟურნალისტს და, არც პაკისტანს არაფერს ვნებს, თანაც ბინ ლადენის მდევრებსაც გზაკვალს ურევს. სამაგიეროდ რუსეთისათვის მისწრება იყო ამგვარი „ფაქტის“ მუხირება, მან ეს ინფორმაცია ჩენეთის მიწასთან გასასწორებლად გამოიყენა. ამავე დროს, რუსული საინფორმაციო საშუალებების მიერ გავრცელებული ანტიქართული ინფორმაციებით რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ ჩაფიქრებული ავი ზრახვების

განსახორციელებლად შესაბამის ფონს ქმნიდა. რუსი დიპლომატები ოფიციალური ვაშინგტონის წარმომადგენლებს „უსინჯავდნენ კბილებს“, რათა საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო ოპერაციის ჩასატარებლად შესაბამისი ფონი შეექმნათ.

კიდევ ერთი მაგალითი, *გ. გვარამიას* სტატიიდან [37]. როგორც კი აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა დაასრულა თავისი აღმოსავლეთევროპული ტურნე, რუსეთის მედია საშუალებებში ინფორმაციული ომის ახალი ეტაპი დაიწყო. ანსაკუთრებით ეს საქართველოს საკითხებთან მიმართებაში იგრძნობა. კლინტონის განცხადებები მკითხველს ან დამახინჯებული, ან კიდევ მისი განცხადებების სხვადასხვა ადგილებიდან და ქვეტექსტებიდან ამოგლეჯილი სიტყვათა ნაკრების სახით მიეწოდება. რთის მხრივ თითქოს ვერც შეედავები - ყველა სიტყვა კლინტონს ეკუთვნის. მაგრამ მეორეს მხრივ, სრულად იცვლება მთელი შინაარსი. ყველაზე მთავარი აქ ის არის, რომ ამ საქმიანობით ძირითადად ისეთი ინტერნეტ გამოცემები არიან დაკავებული, რომელთა სახელწოდება მკითხველში საქართველოსთან ასოცირებას იწვევს. მაგალითად, ინტერნეტგამოცემა "გეორგიათიმეს" – "Грузия сегодня" (არანაირად არ არის დაკავშირებული ანალოგიურ ქართულ მედიაპოლდინგთან), კრემლის მიერ განხორციელებულ ერთ-ერთ მედია პროექტს წარმოადგენს და საქართველოსთან არანაირი კავშირი არა აქვს.

საქართველოში აშშ-ს სახელმწიფო მინისტრის ვიზიტის შედეგების შეფასებისას გამოცემა წერს, რომ საქართველოსთან მიმართებაში კლინტონის მხრიდან რაიმე ახალი არ გაუღერებულა. უფრო მეტიც, მასალის ავტორის აზრით, კლინტონმა მთავარი აქცენტი გააკეთა იმაზე, რომ "მთელი მსოფლიო აშშ-სა და რუსეთის ურთიერთ თანამშრომლობით არის დაინტერესებული", ამასთან განცხადების იმ ნაწილში, რომ "ჩვენ რუსეთს არ ვეთანხმებით საქართველოს მიმართ საკითხებში, ასევე არ ვეთანხმებით იმას, რომ რუსეთის ჯარები იმყოფებიან აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში", - არაფერი ახალი არ თქმულა.

აქცენტების ასეთი გადაადგილება არ მოხდებოდა, რომ მასალის ავტორს კეთილსინდისიერად მოეყვანა ჰილარი კლინტონის ყველა ის ციტატა, რაც მან თბილისში ვიზიტისას განაცხადა. ჩვენ შევეცდებით მაქსიმალურად შევაგსოთ ეს დანაკლისი და მოვიყვანოთ იმ საკვანძო ფრაზების ჩამონათვალს, რომლებიც აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა თავის განცხადებებში საქართველოსთან მიმართებაში გამოიყენა.

"აშშ მყარად უჭერს მხარს საქართველოს მთლიანობასა და ერთიანობას", - განაცხადა ჰილარი კლინტონმა თბილისში საქართველოს პრეზიდენტთან, მიხეილ სააკაშვილთან გამართულ ერთობლივ ბრიფინგზე. მისი სიტყვებით, ეს ის გზავნილია, რომელიც აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ საქართველოს ხალხს გამოუგზავნა. "ჩვენ მუდმივად ვიხილავთ საქართველოს ოკუპაციის საკითხებს ჩვენს რუს კოლეგებთან, და 24 ივნისს ვაშინგტონში პრეზიდენტ ობამამ პრეზიდენტ მედვედევს მყარად განუცხადა აშშ-ს მხრიდან საქართველოსადმი, მისი ტერიტორიული მთლიანობისა და ერთიანობისადმი ურყევი მხარდაჭერის შესახებ", - განაცხადა კლინტონმა. მან აღნიშნა, რომ რუსეთთან ურთიერთობების "გადატვირთვა" არ განხორციელდება საქართველოს ხარჯზე. "ჩვენ არ

ვცნობთ ქვეყნის ზეგავლენის სფეროებად გაყოფას და არ წავაღოთ საკუთარი პრინციპების წინააღმდეგ", - ხაზგასმით აღნიშნა სახელმწიფო მდივანმა. მან ასევე განაცხადა, რომ "აშშ მოითხოვს ცეცხლის შეწყვეტის და საქართველოდან რუსეთის ჯარების გაყვანის შესახებ 2008 წლის 12 აგვისტოს ხელშეკრულების შესრულებას".

"ჩვენ ასევე კონფლიქტის ზონაში პუმანიტარული მისიის განხორციელებისა და საკითხის არაძალისმიერი გადაწყვეტის მექანიზმის შექმნის აუცილებლობაზე მივუთითეთ. აუცილებელია საკითხის გადაწყვეტის მექანიზმების შექმნა, რომლებიც ქვეყნის მოლაპარაკებების ფორმატში განხორციელდება. ამასთან რუსეთი, მიუხედავად იმისა, რომ მან საქართველოს სეპარატისტული რეგიონების აღიარებისათვის ცალმხრივად გადადგა ნაბიჯები, არ თავისუფლდება ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნაკისრი ვალდებულებებისაგან", - განაცხადა კლინტონმა.

მან განაცხადა, რომ არ იცის, თუ როდის შეიძლება მოგვარდეს საკითხები ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში, მაგრამ დემოკრატიის მშენებლობის გზა საქართველომ კვლავ უნდა გააგრძელოს. "რუსეთის ოკუპაციას არ შეუცვლია საქართველოს დემოკრატიისა და რეფორმების გზით სვლა. ეს კარგია, ვინაიდან მხოლოდ დემოკრატიისა და ეკონომიკის განვითარებას შეუძლია საქართველოში არსებული კონფლიქტების მოგვარება - ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები ხალხისათვის მიმზიდველი სწორედ განვითარებული საქართველო უნდა გახდეს", - განაცხადა აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა. კლინტონმა მადლობა გადაუხადა საქართველოს პრეზიდენტს გულთბილი მიღებისათვის. "ეს ჩემი პირველი ვიზიტია საქართველოში, მაგრამ იგი არ იქნება უკანასკნელი", - პირობა დადო მან.

ამგვარად, ყველაფერს თავისი სახელი დაერქვა: აშშ მყარად უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და მის ერთიანობას; აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებს წარმოადგენენ; რუსეთის ჯარები, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიებზე არიან განთავსებული, საოკუპაციო ჯარებს წარმოადგენენ; აშშ-მ რუსეთს მოუწოდა ცეცხლის შეწყვეტისას და კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების საკითხებში ყველა ნაკისრი ვალდებულება შეასრულოს, ასევე 2008 წლის 12 აგვისტოს ხელშეკრულების შესრულებას და რუსეთის ჯარების საქართველოდან გაყვანას მოითხოვს.

ამრიგად, მსოფლიოში სახელმწიფოების გეოპოლიტიკურ მეტოქეობაში, პოლიტიკური გეგმების რეალიზაციაში მიმდინარეობს სიმძიმის ცენტრის აშკარად გადატანა ღია ძალისმიერი (ეკონომიკური, დიპლომატიური, საკუთრივ სამხედრო) მეთოდებიდან და საშუალებებიდან ინფორმაციულ მეთოდებსა და საშუალებებზე. ამასთან, ბრძოლის ეს ტრანსფორმაცია სულაც არ ანელებს მას, არ ამცირებს მის სისასტიკესა და შეუპოვრობას. უფრო პირიქით, უძალდომიერო მსოფლიოზე გადასვლის რიტორიკის საფარქვეშ ბრძოლა კიდევ უფრო მძაფრდება, უფრო მუხანათური ხდება.

ინფორმაციული ომების თანამედროვე ეტაპზე გაჩნდა ახალი ცნებაც – გლობალური ინფორმაციული იარაღი. სწორედ იგი ახდენს გავლენას სამხედრო და პოლიტიკური გადაწყვეტილებების ფორმირებაზე, რამდენადაც ასწრებს მათ გაშუქებას მიხედვით დროის რეალურ მასშტაბთან. მაგალითად, ტელეკომპანია სი-ენ-ენ-ი, რომელიც ახდენს ომების დემონსტრირებას დროის რეალურ მასშტაბში. მას ამერიკული ოფიციალური სამხედრო დოკუმენტები ადასტურებენ: ”გლობალური ინფორმაციული სივრცე წარმოადგენს ინფორმაციის ისეთ მნიშვნელოვან წყაროს, რომ ის გათვალისწინებული უნდა იქნეს მომავალ ყველა სამხედრო ოპერაციებში” [38].

გამომდინარე იქიდან, რომ სახელმწიფო საინფორმაციო რესურსები ხშირად ხდება კიბერთავდასხმის ობიექტი, სახელმწიფომ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ჭრილში საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებას დიდი ყურადღება უნდა დაუთმოს. გასულ წელს საქართველოს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოთვლითი მათემატიკისა და მათემატიკური მოდელირების მიმართულების პროფესორმა თემურ ჩილაჩავამ საქართველოში "ენ-ტე-ვეს" კორესპონდენტთან, ვმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის უნივერსიტეტის დოქტორანტთან, ნუგზარ კერესელიძესთან ერთად საინფორმაციო ომის მათემატიკური მოდელი შეიმუშავა. მოდელირება ნიშნავს გარკვეული პროცესის სქემატურ აღწერას, რომელიც მოვლენის ძირითადი კანონზომიერებების და რიცხვითი მახასიათებლების წინასწარმეტყველების საშუალებას იძლევა. საინფორმაციო ომის მოდელირებაში იგულისხმება პროცესის მათემატიკური მოდელირება, რომელიც ექვემდებარება მათემატიკურ აღწერას ფორმულებისა და მოდულების გამოყენებით. უნდა აღინიშნოს, რომ საინფორმაციო ომის ამგვარი მათემატიკური მოდელირება ჯერჯერობით არცერთ განვითარებულ ქვეყანას არ მოეპოვება, თუმცა ინფორმაციის ნაკადის მათემატიკური სიზუსტით კვლევა არაერთი მეცნიერის დაინტერესებას წარმოადგენს.

საინფორმაციო ომის მათემატიკური მოდელირების ავტორთან, თემურ ჩილაჩავასთან საუბრისას გაირკვა, რომ მათემატიკური მოდელირების შექმნა მიზნად ისახავდა საინფორმაციო ნაკადების შესწავლას და ფორმულების საშუალებით საინფორმაციო ომის კვლევისა და მოსალოდნელი შედეგების წინასწარგანჭვრეტას. უპირველეს ყოვლისა აუცილებელია დაზუსტდეს, თუ რა მიზანმიმართულ მოქმედებებს მოიცავს საინფორმაციო ომი. ესენია: მოწინააღმდეგის იმიჯის შელახვა, მისგან მტრის ხატის შექმნა, ქვეყნის ხელისუფალთა დისკრედიტაცია, მოწინააღმდეგე ქვეყნის შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობისა და მშვიდობიანი მოსახლეობის დემორალიზაცია, მომავალში შესაძლო საბრძოლო მოქმედების გამართლებისა და არგუმენტაციისათვის ქვეყნის შიგნით და მის გარეთ საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება.

საინფორმაციო ომის ქართული მათემატიკური მოდელი საშუალებას იძლევა ორ დაპირისპირებულ მხარეს შორის საინფორმაციო ნაკადების რაოდენობა და თვისებები მესამე მხარის გათვალისწინებით განისაზღვროს, რომელსაც საერთაშორისო

ორგანიზაციები წარმოადგენს. მათემატიკურმა მოდელმა აჩვენა, რომ სწორედ საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევის შედეგად შესაძლებელია ორ ანტაგონისტურ სახელმწიფოს შორის საინფორმაციო ომის შეჩერება, რათა შემდგომში მოვლენები ცხელ ფაზაში, ანუ საბრძოლო ვითარებაში არ გადაიზარდოს. შაინფორმაციო ომის მათემატიკური მოდელის კოეფიციენტებმა აჩვენა, რომ იმ შემთხვევაში, თუ საერთაშორისო ორგანიზაციები ომის ცხელ ფაზაში გადაზრდის საშიშროებამდე შეიმუშავენ პრევენციულ ზომებს, გააკეთებენ დამამშვიდებელ განცხადებებს, შესაძლებელია შეიარაღებული დაპირისპირების აღკვეთა. აღნიშნული კოეფიციენტის დასადგენად მათემატიკური მოდელის ავტორებმა განიხილეს შემდეგი სამი შემთხვევა: დაპირისპირებული მხარეები მიუხედავად საერთაშორისო ორგანიზაციების ჩარევისა, აგრძელებენ საინფორმაციო შეტევების განხორციელებას. ერთ-ერთი დაპირისპირებული მხარე დამამშვიდებელი განცხადებების შედეგად წყვეტს საინფორმაციო თავდასხმას, მეორე მხარე კი - აძლიერებს მოქმედებას. ორივე დაპირისპირებული მხარე საერთაშორისო ორგანიზაციების ჩარევის შედეგად წყვეტს საინფორმაციო თავდასხმებს.

პირველ შემთხვევაში პროცესის ცხელ ფაზაში გადასვლა გარდაუვალია, მეორე შემთხვევაში შესაძლებელია საბრძოლო დაპირისპირების ჩახშობა, ხოლო მესამე შემთხვევაში საშიშროება თითქმის არ არსებობს.

საინფორმაციო ომის მათემატიკური მოდელის შექმნას თეორიული ინტერესების გარდა პრაქტიკული დანიშნულებაც აქვს. მისი საშუალებით შესაძლებელია დაკვირვებისა და მოვლენების გაანალიზების შედეგად საინფორმაციო ომის ადრეულ სტადიაზე მოწინააღმდეგე მხარის განზრახვების დადგენა და მოსალოდნელი დაპირისპირების ჩახშობა. ასევე აღნიშნული სისტემის საფუძველზე ნებისმიერი საინფორმაციო ომის შეწყვეტა არის შესაძლებელი იმ შემთხვევაში, თუ მხარეებს შორის ჩაერევა საერთაშორისო ორგანიზაციები და ოპერატიულად იქნება მიღებული აღმკვეთი ზომები. მესამე მშვიდობიანი მხარის მოქმედების სტრატეგია და ტაქტიკა უნდა ეფუძნებოდეს იმ რეკომენდაციებსა და მათემატიკურ ანალიზს, რასაც საინფორმაციო ომის მათემატიკური მოდელი იძლევა [39].

ინფორმაციული ომის თავისებურებას კარგად ახასიათებს კიბერომი. კიბერომისა და ქართული სინამდვილის შესახებ საინტერესო მოსაზრებებს გეთავაზობს *ი. ჭოჭუა* [40]. კიბერ ომი და ქართული რეალობა - ეს ის საკითხია, რომელმაც ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა. ახალი ტექნოლოგიების განვითარების პირმშო კიბერომი საქართველოს წინააღმდეგ 2008 წელს განსაკუთრებით კარგად რუსეთმა კონვენციური ომის დროს გამოიყენა. ეს ომი ჯერაც არ დასრულებულა. დღესაც ხორციელდება ინტენსიური და მიზანმიმართული კიბერ თავდასხმები არამარტო რუსეთის, არამედ სხვა ქვეყნების მხრიდან. შესაძლებელია თუ არა ინტერნეტის მეშვეობით განხორციელებულ შეტევებს ქართულ საინფორმაციო საშუალებებზე კიბერ-ომი ვუწოდოთ? ამ მოვლენაზე ბევრს მსჯელობენ არა მარტო ქართული,

არამედ საერთაშორისო ორგანიზაციები. აღსანიშნავია, რომ გარდა ქართული მაგალითისა, მსოფლიო მასშტაბით არსებობს კიბერ თავდასხმის სხვა პრეცედენტები. ნალოგიური შემთხვევებია დაფიქსირებული დანიაში 2006 წელს, ესტონეთში 2007 წელს, ლიტვაში 2008 წელს და ირანში 2009 წელს და ეს არ არის სრული ჩამონათვალი იმ ქვეყნებისა, სადაც კიბერ ტერორიზმის შემთხვევებია დაფიქსირებული. ვროატლანტიკურმა ალიანსმა კიბერშეტევები ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად აღიარა.

რა არის საჭირო იმისათვის, რომ 2008 წელს საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ კიბერ თავდასხმებს კიბერ ომის სტატუსი მიენიჭოს? იმისათვის, რომ კიბერ შეტევა შეფასდეს როგორც კიბერომი, საჭიროა ორი საფუძველი: ქვეყანას უნდა გააჩნდეს შესაბამისი სამართლებრივი ბაზა, რომელიც კონკრეტულ ფაქტს აღიარებს კიბერომად და ქვეყნის წინააღმდეგ სახელმწიფო რეალურად უნდა ახორციელებდეს კონვენციური მასშტაბის ომს”, - პასუხობს ამ კითხვაზე ინფორმაციული უშიშროების კვლევებისა და ანალიზის ცენტრის დირექტორი **ლ. პატარაია**. აღსანიშნავია, რომ ამ ორგანიზაციამ სულ ცოტა ხნის წინ შეიმუშავა დოკუმენტი ”კიბერ რეპორტი 2008-2010” [41]. აღნიშნულ დოკუმენტში საკმაოდ ვრცლად არის აღწერილი ინფორმაციული ომის პროცესები 2008 წლიდან დღემდე. ”სამწუხაროა, რომ ჩვენი ქვეყნის დიპლომატიურმა წრეებმა იმ მომენტში ვერ მოახერხეს გამოყენებინათ ძალიან კარგი შესაძლებლობა მიენიჭებინათ ამ მოვლენებისთვის კიბერომის სტატუსი. რაც არ უნდა დაუჯერებლად ქდერდეს, მსოფლიო პრაქტიკაში ეს იყო დღემდე ცნობილი ერთადერთი შემთხვევა, რომელსაც შეიძლებოდა მინიჭებოდა კიბერომის სტატუსი,” - ნათქვამია დოკუმენტში.

მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარის, **ირ. გვენეტაძის** შეფასებით პირველ რიგში აუცილებელია შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა: ”ამ ფაქტის ანალიზი უკვე დიდი ხანია მიმდინარეობს, მაგრამ ჩვენს ქვეყანას საკანონმდებლო ბაზა არ აძლევს იმის საშუალებას, რომ 2008 წლის ცნობილ მოვლენებს კიბერომის სტატუსი მიენიჭოს. ასევე აუცილებელია საერთაშორისო შეთანხმებები და სტანდარტები, რაც ასევე არ არსებობს. აქედან გამომდინარე, ქართულმა მხარემ რომ აღიაროს და თქვას, რომ ეს იყო კიბერ ომი, შესაძლოა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან არავითარი რეაგირება არ მოხდეს. ამ ეტაპზე არ არსებობს რაიმე სახის საერთაშორისო შეთანხმება, თუ რას უნდა ეწოდოს კიბერ ომი” [42].

რეალურად კიბერ ომის განსხვავება კიბერ შეტევებისგან საკმაოდ რთულია. ჯერ კიდევ არ არის დადგენილი, თუ სად გადის ზღვარი ჩვეულებრივი ჰაკერის მიერ ორგანიზებულ შეტევასა და სპეცსამსახურების მიერ ორგანიზებულ გლობალურ კიბერ თავდასხმებს შორის. იმისათვის, რომ ნათელი გახდეს, თუ რა სახის მოვლენებზეა საუბარი, მაგალითისთვის მოვიყვანოთ საქართველოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაცია ”გრენას” მოხსენებას, სადაც კონკრეტულად არის აღწერილი, თუ რა სახის თავდასხმებს ჰქონდა ადგილი 2008 წელს. ამ პერიოდში რეალურად მიმდინარეობდა რუსეთის მხრიდან საქართველოს მედია საშუალებების და



სამთავრობო არხების ბლოკადაში მოქცევა სრული დეზინფორმაციის, ასევე პანიკის დანერგვის მიზნით. მასიური შეტევები დაიწყო 2008 წლის 9 აგვისტოს და ხორციელდებოდა ე.წ. botnet ქსელებით. ეს არის კომპიუტერების ჯგუფი, რომელიც იმართება ერთი ან რამდენიმე ადამიანისგან. აღსანიშნავია, რომ ქსელში ჩართული იყო სხვადასხვა ქვეყნები, რომლებიც არანაირ კავშირში არ იყო კიბერ თავდასხმებთან.

საქართველოს წინაშე გამოყენებული იყო კიბერ შეტევების ყველა ხერხი, რაც კი არსებობს. ძალიან დიდი პრობლემები შეექმნათ ქართულ ინტერნეტ პროვაიდერებს, რადგან ამ ტიპის შეტევებმა არხების გადატვირთვა გამოიწვია. რუსი ჰაკერების მიერ შეიქმნა სპეციალური საიტი stopgeorgia.ru, სადაც განთავსდა ინფორმაცია, თუ როგორ უნდა მომხდარიყო შეტევები ქართულ ვებ-გვერდებზე და რა კონკრეტული პროგრამებით. ასევე აქტივისტებმა გამოაქვეყნეს ქართული ვებ-გვერდების მიზნობრივი სია. აღნიშნული ინფორმაცია ვრცელდებოდა რუსულ ბლოგებზე და ფორუმებზე. შედეგად მოხდა ქართული სამთავრობო არხების და მედიასაშუალებების 90%-ის ბლოკირება.

“სამწუხაროდ, იმ დროისთვის საქართველოს არ ჰქონდა კიბერ ინციდენტებზე რეაგირების მოქმედი ნაციონალური ჯგუფი, ე.წ. CERT (Comoputer Emergency Responce Team), რომლის ვალდებულებაა კიბერ შეტევებზე სწრაფი რეაგირება. ამიტომ CERT-GE-მ, რომელიც ეკუთვნის საქართველოს სამეცნიერო საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაცია ”გრენას”, შეითავსა ეს ვალდებულება. როდესაც აღმოვაჩინეთ, რომ საქართველოზე მიმდინარეობდა მასიური კიბერ შეტევები და ქვეყანაში მიმდინარეობდა ომი, გადავწყვიტეთ გამოგვეყენებინა ჩვენი ცოდნა და გამოცდილება, შედეგად გავაკეთეთ ე.წ. ინციდენტების მართვის ცენტრი. ვთხოვეთ ინტერნეტ პროვაიდერებს გამოეზავნათ ინფორმაცია, თუ რა სახის კიბერ შეტევები მიმდინარეობდა მათ ქსელებზე. გამომდინარე იქიდან, რომ მიღებული ინფორმაცია იყო ძალიან დიდი მოცულობის, ჩვენ დახმარება ვთხოვეთ ჩვენს პარტნიორ პოლონეთის CERT-ს, რომელმაც თავისთავად გადაანაწილა ინფორმაცია 180 მეტ CERT-ზე მთელს მსოფლიოში. მიზანი იყო ერთი, რომ დროულად ჩაეკეტათ I მისამართებიდან შეტევა საქართველოს ინტერნეტ სივრცეზე. ასევე ესტონეთის CERT-ის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ საქართველოში, რომლებმაც დიდი დახმარება გაგვიწიეს შეტევების მოგერიებაში სხვადასხვა საშუალებებით. უნდა ითქვას, რომ CERT-ებს შორის ამ ტიპის თანამშრომლობა არის პირველი ნაბიჯი კიბერ შეტევების მოგერიებაში”, - აცხადებს ”გრენას” IT უშიშროების სპეციალისტი, **დ. ტაბატაძე** [43]

ასევე საინტერესო საკითხია, თუ რა გამოსმაურება მოჰყვა კიბერ თავდასხმის ფაქტს საერთაშორისო ორგანიზაციებიდან. არაერთმა საერთაშორისო ექსპერტმა გააკეთა საქართველოში მიმდინარე პროცესების ანალიზი, შეფასება და რეპორტები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ესტონეთის მიერ გაკეთებული რეპორტი, სადაც გარკვეული პარალელებია გავლებული ქართულ შემთხვევასა და ესტონურ შემთხვევას შორის. ესტონური მხარის შეფასებით, ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე მასიური კიბერ შეტევა

ქვეყნის ინფრასტრუქტურაზე. ლ. პატარაიას განცხადებით, ”მთავარი უარყოფითი მხარე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაკეთებული შეფასებებისა იყო ის, რომ აღნიშნული რეპორტები შემუშავდა პოსტ-ფაქტუმ. არ არსებობდა პრევენციული ზომები, რათა გაკეთებულიყო ფაქტების მონიტორინგი. რეპორტების დიდი ნაწილი გაკეთდა მოკვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, თუმცა, საკმაოდ ობიექტურად”.

საქართველოში კიბერ თავდასხმების პრევენციისთვის ბოლო ორი წლის განმავლობაში არაერთი მნიშვნელოვანი სამუშაო განხორციელდა. მიმდინარეობს სამართლებრივი ბაზის შექმნა, შეიქმნა მონაცემთა გაცვლის სააგენტო, რომლის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება ინფორმაციული უშიშროებაა, ასევე მიმდინარეობს ინფორმაციულ უშიშროებაზე მუშაობა საჯარო სექტორის და კრიტიკული ინფრასტრუქტურისთვის, შემუშავდა ინფორმაციული უშიშროების პოლიტიკის სპეციალური დრაფტი, რომლის მიღებაც იუსტიციის სამინისტროს მიერ უახლოეს მომავალში მოხდება, პარალელურად მიმდინარეობს კიბერ სრატეგიაზე მუშაობა ეროვნული უშიშროების საბჭოს ეგიდით, მიმდინარეობს სახელმწიფო CERT-ის ჩამოყალიბება და პარალელურად იმართება საერთაშორისო კონფერენციები, სადაც ხდება ინფორმაციის გაცვლა და კავშირების დამყარება საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ასევე ხდება საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, რაც სახელმწიფო სტრატეგიის ერთ-ერთი მიმართულებაა. მთელი ეს პროცესები აუცილებელი ნაბიჯებია იმისათვის, რომ საქართველო კიბერ შეტევებისთვის იყოს მზად და შესაბამისი რეაგირება მოახდინოს საერთაშორისო დონეზე. უპირველეს ყოვლისა, საერთაშორისო ორგანიზაციები ითხოვენ გარკვეული სტანდარტების დაცვას, კანონმდებლობის დახვეწას. ასევე ერთ-ერთი აუცილებელი მიმართულება სოციალური მედიისა და Government 2.0-ის განვითარებაა, რათა საქართველო კიბერ თავდასხმების მოსალოდნელი განხორციელებისას არ მოხვდეს ინფორმაციის ვაკუუმში.

კიბერომის პრობლემა აისახა საქართველოს ეროვნული უშიშროების კონცეფციაში: საქართველოს მიზანია, შექმნას ინფორმაციული უშიშროების ისეთი სისტემა, რომლის დროსაც, ნებისმიერი კიბერთავდასხმის საზიანო შედეგები მინიმუმამდე იქნება დაყვანილი, ხოლო ასეთი თავდასხმების შემდეგ უმოკლეს დროში იქნება შესაძლებელი ინფორმაციული ინფრასტრუქტურის ფუნქციონირების სრული აღდგენა. საქართველო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საიდუმლო ინფორმაციის უშიშროების უზრუნველყოფას და სახელმწიფოს საინფორმაციო სისტემების დაცვის საკითხებს. საქართველო ქმნის შესაბამის საკანონმდებლო ბაზას და ინფრასტრუქტურას, რომელიც აუცილებელია საინფორმაციო ტექნოლოგიების გასაუმჯობესებლად და ინფორმაციის დაცულობის უზრუნველსაყოფად. კიბერუშიშროების უზრუნველყოფისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება თანამშრომლობას საქართველოს მეგობარ ქვეყნებთან და მათი გამოცდილების გაზიარებას [56].

### 4.3. საქართველოს საინფორმაციო-ფსიქოლოგიური უშიშროების უზრუნველყოფის თავისებურებანი

საქართველოს ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის გეოპოლიტიკური ასპექტების მთელი სპექტრის შინაარსისა და ევოლუციის ანალიზი გვიჩვენებს, რომ აუცილებელია განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს ინფორმაციულ ფაქტორებს. მესამე ათასწლეულის გარიჟრაჟზე კომუნიკაციისა და ინფორმაციის სფეროში რევოლუციური გარდაქმნების ტენდენცია მისი განვითარების არნახულ მასშტაბებსა და პერსპექტივაზე მიუთითებს. მსოფლიოში ამჟამად მიმდინარე პროცესები - მასობრივი კომპიუტერიზაცია, უახლესი საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვა და განვითარება – მნიშვნელოვან როლს თამაშობს განათლების, ბიზნესის, სამრეწველო წარმოების, მეცნიერული კვლევებისა და სოციალური ცხოვრების სფეროებში მკვეთრი ნახტომების შესამზადებლად.

ინფორმაციული უშიშროება ეროვნული უშიშროების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. მისი უზრუნველყოფის გარეშე წარმოდგენილია სუვერენული ქვეყნის არსებობა და განვითარება XXI საუკუნეში. ინფორმაცია და კომუნიკაციური სისტემები ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული რესურსი გახდა. მას გადამწყვეტი როლი აკისრია ქვეყნის სოციალური და პოლიტიკური სიძლიერის, მისი ეკონომიკური განვითარების პოტენციალის, უშიშროების დაცვის სისტემის უზრუნველყოფაში.

ინფორმაციული უშიშროებაში მოიაზრება ქვეყნის ინფორმაციული სივრცის (ინფორმაციული რესურსები, ინფორმაციული ურთიერთქმედების საშუალებები, ინფორმაციული ინფრასტრუქტურა) დაცულობის მდგომარეობა, როდესაც გამორიცხულია ეროვნული სასიცოცხლო ინტერესებისადმი ხიფათის მიყენების ყოველგვარი საფრთხის არსებობა.

კომუნისტური მმართველობის პერიოდში საქართველოში ჩამოყალიბდა გარკვეული (მოსკოვზე დამოკიდებული პერიფერიული) საინფორმაციო სისტემა, რომელიც მორგებული იყო გეგმიური, ცენტრალიზებული მმართველობის სისტემასთან. მისთვის დამახასიათებელი ნიშნები იყო: ძირითადად, ინფორმაციის დახურულობა; აღრიცხვიანობის ძველი კონცეფცია; ინფორმაციის მოპოვების და დამუშავების მკაცრი ცენტრალიზებული სისტემა, რომელიც ეფუძნებოდა მონაცემთა დამუშავების მოძველებულ პროგრამულ-ტექნიკურ ბაზას და არ აკმაყოფილებდა საერთაშორისო სტანდარტებს და სხვ.

საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში ინფორმაციული ინფრასტრუქტურის შექმნა მკაცრ ცენტრალიზაციას ექვემდებარებოდა. იგი ხორციელდებოდა მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის მიერ შედგენილი მიზნობრივი კომპლექსური პროგრამებით, უშიშროების შესაბამისი სამსახურების კონტროლით. სპეციალური ტექნიკური პირობებით შეზღუდულ, სახელმწიფოს მმართველობასთან დაკავშირებულ ინფორმაციულ - ტელესაკომუნიკაციო სისტემებში კატეგორიულად იყო აკრძალული უცხოური პროგრამულ-ტექნიკური და ტელესაკომუნიკაციო საშუალებების გამოყენება.

ყოველივე ამან განაპირობა მსოფლიო სტანდარტთან შედარებით ქვეყნის ქრონიკული ჩამორჩენა; ეს ეხება არა მარტო სისტემის ტექნიკური აღჭურვილობის დონეს, არამედ მთელი ინფორმაციული ტექნოლოგიის ჩამოყალიბებულ ხასიათს, სახელმწიფოს საციცოცხლო ინტერესებისათვის აუცილებელ ინფორმაციულ უზრუნველყოფას, მის კონცეფტუალურ და ორგანიზაციულ დონეს, მის საიმედოობას.

ამიტომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოში თავი იჩინა შემდეგმა ძირითადმა პრობლემებმა: 1. ერთიანი საინფორმაციო პოლიტიკის და შესაბამისი სახელმწიფო კონცეფციის ჩამოყალიბებლობა; 2. საინფორმაციო სისტემის მოქველებული ტექნიკური ინფრასტრუქტურა (კავშირგაბმულობის ხაზების ცუდი მდგომარეობა, ენერგეტიკული პრობლემები, საინფორმაციო სისტემის ტექნიკური ბაზის შეუსაბამობა თანამედროვე მოთხოვნებთან); 3. რეგიონული მმართველობის ორგანოების არასაკმარისი ინფორმაციული უზრუნველყოფა; 4. სახელმწიფო უწყებებში მიმდინარე პროგრამების (გულისხმობს ამ უწყებების საინფორმაციო სისტემების ჩამოყალიბებას) არაკორდინირებული ხასიათი, რაც თავის მხრივ სიძნელებს წარმოშობდა სახელმწიფო მართვის ერთიანი საინფორმაციო სისტემების შექმნის პროცესში; 5. პროფესიული კადრების ნაკლებობა. სახელმწიფო უწყებებში დაბალი ხელფასი იწვევდა იმას, რომ ვერ ხერხდებოდა კვალიფიციური კადრების მოზიდვა და დამაგრება; 6. საინფორმაციო ბაზრის ფუნქციონირებისათვის სათანადო პირობების უქონლობა (საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზის სიმწირე: არსებულ ინფორმაციულ რესურსებზე საკუთრების ფორმირების განუსაზღვრელობა, ბაზრის ფუნქციონირების წესების ჩამოყალიბებლობა, ინფორმაციის დაცვის სისტემის დაუმუშავებლობა, ინფორმაციაზე საავტორო უფლებების დაუცველობა, ბაზარზე სახელმწიფო უწყებების მოქმედების და სახელმწიფო უწყებებს შორის ინფორმაციის გაცვლის წესების გაურკვეველობა).

ქვეყანაში არ იყო დამუშავებული ინფორმაციული ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნობრივი პროგრამები, არ იყო შექმნილი ამ სფეროს განვითარების მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა; შესაბამისად, არ იყო ჩამოყალიბებული ინფორმატიკის დარგში სახელმწიფო უშიშროების დაცვის სისტემა. ქვეყანაში არსებული გამოთვლითი ტექნიკის პარკის სიმძლავრეები, სერტიფიცირებული და არასერტიფიცირებული კომპიუტერული პროგრამების ნუსხა, მათი ხარისხი გაურკვეველი იყო. არ იყო აღრიცხული და შეფასებული ქვეყნის ინფორმაციული რესურსები, რომელიც რეალურ ეროვნულ სიმდიდრეს წარმოადგენს.

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ განხორციელებულმა ეკონომიკურმა რეფორმებმა აუცილებელი გახადა ქვეყნის ინტეგრირება მსოფლიოს ერთიან ინფორმაციულ სივრცეში. ამ გარემოებამ, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკისა და სხვა დონორი ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით საქართველოში ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების ინტენსიური განვითარების პროცესთა სტიმულირება გამოიწვია. მიუხედავად ქვეყანაში არსებული

მძიმე ეკონომიკური მდგომარეობისა, მართალია უსისტემოდ, მაგრამ ცხოვრების და დროის მოთხოვნით, მაინც ვითარდებოდა ინფორმაციული ინფრასტრუქტურა.

ინფორმაციული უშიშროების საგანს, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენს თვითონ ინფორმაციული ინფრასტრუქტურა, რომელიც მოიცავს უფრო ფართო არეს, ვიდრე ინფორმაციის გადაცემის, შენახვის, მონაცემთა დამუშავების და გავრცელების პროგრამულ-ტექნიკური კომპლექსებია. ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიები საშუალებას იძლევა, შეიქმნას ისეთი ინტეგრირებული საინფორმაციო სივრცე, რომელშიც ორგანულად შეთავსებულია კომპიუტერიზაციის, ტელევიზიის, სატელეფონო კავშირისა და მასმედიის ფუნქციები. ამ ინფრასტრუქტურის პოტენციური აბონენტი საზოგადოების ყველა წევრია, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ.

ეროვნულ უშიშროებას საფრთხე დაემუქრება, თუ: საზოგადოებრივი, მათ შორის სახელისუფლო სისტემების, ფუნქციონირება არ არის უზრუნველყოფილი საკმარისი და, რაც მთავარია, სანდო ინფორმაციით; ვერ ხერხდება ყველა სახის ინფორმაციის (სამხედრო, კომერციული და სხვა) ადეკვატური საიდუმლოების რეჟიმის დაცვა; ტექნიკურად გაუმართავია ინფორმაციული ქსელი, მისი კავშირგაბმულობის სისტემა და ინფორმაციის დამუშავების ტექნიკა.

ცხადია, სრულყოფილი სახელმწიფოს აშენების პრეტენზიულობიდან და პოლიტიკური მოდერნიზაციის ამოცანებიდან გამომდინარე, ამ მიმართულებით საქართველომაც უნდა შექმნას ინფორმაციის (მიმდინარე და პერსპექტიული) აღრიცხვის საკუთარი ეროვნული სისტემა. ასეთი სისტემის ინფორმაციული რესურსები საიმედოდ უნდა იყოს დაცული საგარეო და საშინაო ობიექტების მხრიდან ნეგატიური ინფორმაციული ზემოქმედებისაგან. მთლიანად უნდა გამოირიცხოს ეროვნული უშიშროების (საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების წესის) მნიშვნელოვან საკითხებზე ინფორმაციის შეცვლის ან განადგურების შესაძლებლობა. ამას თხოულობს ინფორმაციული პროცესების გლობალიზაცია, საქართველოს ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის ინტერესები.

ინფორმაციით თავისუფალი სარგებლობა, ერთი მხრივ, და საიდუმლო ინფორმაციის დაცვის აუცილებლობა, მეორე მხრივ, გულისხმობს საზოგადოების უფლებას, ჰქონდეს ხელისუფლების მიერ შექმნილ დოკუმენტებთან დაშვება და, ამავე დროს, საიმედო დაცულობა იმ ინფორმაციისა, რომელიც სახელმწიფო საიდუმლოებას წარმოადგენს. ინფორმაციის კონფიდენციალობა და საიდუმლოების დაცვა არის ხელისუფლების მოვალეობა.

საჭიროა ინფორმაციის უშიშროების დარგში, პირველ ყოვლისა, იქნეს უზრუნველყოფილი: ქვეყნის ინფორმაციული სისტემის ორგანიზაციულ-სამართლებრივი პირობების ჩამოყალიბება; ორგანიზაციულ-ტექნიკური მეთოდების დამუშავება; რეკომენდაციების გაცემა; სამართლიანი ტენდერების ჩატარების პირობების უზრუნველყოფა ტექნიკური და პროგრამული საშუალებების შეძენისას; ინფორმაციული

სისტემების პროექტების ექსპერტიზა და გამოყენებელი ტექნიკური და პროგრამული კომპლექსების ლიცენზირება; პროფესიული კადრების მომზადება, რაციონალური სისტემის ჩამოყალიბება და საზოგადოებაში ინფორმაციის უშიშროების შესახებ აუცილებელი მეთოდური და მეთოდოლოგიური სამუშაოების ჩატარება.

საქართველოს ინფორმაციის ერთიანი სისტემის ფორმირების ამოცანებიდან გამომდინარე, უნდა შეიქმნას, პირველ რიგში, საზოგადოებაში პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, ზნეობრივი, სარწმუნოებრივი, მორალურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობის ინფორმაციული მონიტორინგის სისტემა. ანალიზი უნდა გაკეთდეს სხვადასხვა დონეების მიხედვით (რეგიონული, ადგილობრივი). ამ მონიტორინგის შედეგები მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ქვეყნის ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის ღონისძიებების შემუშავებისა და გატარების დროს.

საქართველოში ინფორმაციული უშიშროების უზრუნველყოფის პრობლემა პრიორიტეტული უნდა გახდეს. სახელმწიფოებრივი სივრცის ყველა დონეზე უნდა გამოირიცხოს მისი იგნორირება. ამასთან, უნდა შეიცვალოს ჩამორჩენილი შეხედულება იმის შესახებ, რომ ინფორმაციული უშიშროების უზრუნველყოფა მიიღწევა ტოტალური საიდუმლოების დამკვიდრებით და სხვადასხვა შეზღუდვების დაწესებით.

დღეს სახელმწიფოსათვის უმთავრეს ამოცანად უნდა იქცეს საინფორმაციო სფეროში სასიცოცხლო ინტერესების, რეალური და პოტენციური მუქარების განსაზღვრის პრობლემები. მიზანშეწონილი იქნება, თუ ჩამოყალიბდება ამ სფეროს მაკორდინირებელი ინფორმაციული უშიშროების უწყებათშორისი კომისია საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოსთან; შეიქმნება საქართველოს ინფორმაციული უშიშროების კონცეფცია ინფორმაციულ სფეროში სახელმწიფოს, საზოგადოების, პიროვნების სასიცოცხლო ინტერესების დაცვის მეთოდებისა და საშუალებების, ინფორმაციული უშიშროების უზრუნველყოფის პრობლემების შესახებ, როგორც ოფიციალურად მიღებული შეხედულებების ერთიანი სისტემა.

საქართველოს თანამედროვე გეოპოლიტიკური სიტუაცია და გეოსტრატეგიული ინტერესები განაპირობებს პრინციპულად სხვაგვარი მიდგომის აუცილებლობას საქართველოს ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის პრობლემებისადმი, გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული ფაქტორების მთელი სპექტრის შინაარსისა და ევოლუციის ანალიზისადმი, მათგან განუზომლად დიდი როლი აკისრია ინფორმაციულ ფაქტორს.

მსოფლიოში დღეს უკვე დამკვიდრდა იმის ტენდენცია, რომ რაც უფრო მეტი ინფორმაციული შესაძლებლობანი გააჩნია სახელმწიფოს, მით უფრო მეტია სტრატეგიული უპირატესობების მიღწევის ალბათობა (დანარჩენი პირობების თანასწორობის დროს). ამ კონტექსტში გასაკები ხდება, თუ რატომ არის აშშ სამხედრო ხელმძღვანელობისათვის ინფორმაცია სტრატეგიული რესურსი, აქედან გამომდინარე, ასევე ადვილად ასახსნელია ინფორმაციული ტექნოლოგიის სრულყოფისა და განვითარების ასიგნების მუდმივი ზრდის მიზეზებიც. მაგალითად, ინფორმაციული

ტექნოლოგიის შესაძენად განკუთვნილმა ფინანსირებამ აშშ შეიარაღების ყველა პროგრამას შორის პირველი ადგილი დაიკავა.

სწორედ ამიტომ არის საინფორმაციო ომის ობიექტური კანონზომიერებების შეცნობა მნიშვნელოვანი და აქტუალური. ამის სამაგალითოდ საბჭოთა იმპერიის დაშლის მიზეზებიც გამოდგება, რომლებშიც ობიექტურთან (ეკონომიკურ, იდეოლოგიურ და სხვ.) ერთად დიდი როლი ითამაშა სუბიექტურმა მიზეზებმაც (სსრკ სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიერ ინფორმაციული ფაქტორიების როლისა და მნიშვნელობის შეუფასებლობა და სხვ.).

80-იანი წლების დასაწყისში მკვეთრად გაიზარდა ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური ზემოქმედების, ფსიქოლოგიური ოპერაციების როლი აშშ ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის სისტემაში. რონალდ რეიგანმა თეთრ სახლში მოსვლისთანავე წამოაყენა ეროვნული უშიშროების თავისი სტრატეგია, რომელიც დიპლომატიური, ეკონომიკური, სამხედრო და ინფორმაციული კომპონენტებისაგან შედგებოდა. ეროვნული უშიშროების საკითხებში ინფორმაციულ კომპონენტზე აქცენტი შენარჩუნდა შემდგომ დონისძიებებშიც. 1983 წლის იანვარში რონალდ რეიგანმა ხელი მოაწერა №77 დირექტივას – „ეროვნული უშიშროების მიზნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი დიპლომატიის სახელმძღვანელო“, რომელიც იძლევა სახელმწიფო დიპლომატიის მეტ სიდრმისეულ განმარტებას, რომლის მიხედვითაც იგი „მოიცავს, აგრეთვე, აშშ მთავრობის დონისძიებებს, მიმართულს ეროვნული უშიშროების პოლიტიკის მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად“. ამგვარი განსაზღვრება გულისხმობდა საინფორმაციო-კულტურული დონისძიებების ორგანიზაციისა და ჩატარების კიდევ უფრო გაფართოებას. ეს დირექტივა უზრუნველყოფდა აშშ ადმინისტრაციის საზოგადოებრივი, საინფორმაციო, პოლიტიკური საქმიანობის დაგეგმვისა და კოორდინაციის მექანიზმების, აგრეთვე ტელე და რადიო მაუწყებლობასთან დაკავშირებული საკითხების შემუშავებას.

რონალდ რეიგანის დროს კონსტიტუციურმა და სახელმწიფო ორგანოებმა საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ზემოქმედების მაკოორდინირებელი და წარმმართველი ცენტრების სახე მიიღო. აშშ საინფორმაციო-ფსიქოლოგიური საქმიანობის კოორდინაციის პროცესში ცენტრალური ადგილი დაიკავა ეროვნული უშიშროების საბჭომ. დოქტრინის („ფსიქოლოგიური პროპაგანდა და ეროვნული უშიშროება“) მიხედვით, ეროვნული უშიშროების საბჭო ფსიქოლოგიური ოპერაციის სისტემაში სახელმწიფო დეპარტამენტთან, თავდაცვის სამინისტროსთან, ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან ერთად კვალიფიცირდება, როგორც ცენტრალური რგოლი. გაჩნდა მსოფლიო საზოგადოებრიობაზე საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ზემოქმედების გლობალური კოორდინაციის მექანიზმი.

ამჟამად, ამერიკის შეერთებული შტატების მსოფლიოს ინფორმაციულ სივრცეში დომინირება განაპირობა საინფორმაციო-ფსიქოლოგიური სტრუქტურების (სახელმწიფო,

საზოგადოებრივი და კომერციული ორგანიზაციები) კოორდინირებულმა, სისტემურმა საქმიანობამ.

აშშ-ს გარდა, ამ პრობლემას სხვა ქვეყნებშიც დიდი ყურადღება ექცევა. დღეისათვის არსებობს დესტრუქციული ინფორმაციული ზემოქმედების (ინფორმაციული იარაღი) ტექნოლოგიები, რომელთა წარმატებით რეალიზება შეუძლიათ დაინტერესებულ სახელმწიფოებს საქართველოს საინფორმაციო გარემოს ფაქტობრივი დაუცველობის პირობებში (მათი გამოყენება შეუძლიათ სპეცსამსახურებს, ტერორისტულ და კრიმინალურ სტრუქტურებს, ჰაკერებს და სხვ.).

შედარებით იოლი შესაფასებელია ინფორმაციული უშიშროების მოშლის შედეგად მიღებული პირდაპირი ზარალი. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება ინფორმაციული ინფრასტრუქტურის ფიზიკური დაზიანების გამოსწორებას და ინფორმაციული რესურსების აღდგენას. გაცილებით ძნელი შესაფასებელია „ინფორმაციული ომის“ წაგების შედეგად მიღებული პოლიტიკური თუ იდეოლოგიური ზარალი; ამგვარი ზარალი გარდაუვალია, თუ არ შეიქმნება ინფორმაციული უშიშროების კომპლექსური სისტემა როგორც ქვეყნის შიდა, ისე გარე მოსალოდნელი საფრთხისაგან.

სადღეისოდ, ქვეყნის ინფორმაციულ ინფრასტრუქტურაში შემავალი პროგრამულ-ტექნიკური ბაზა პრაქტიკულად მთლიანად სხვა ქვეყნების მიერ მოწოდებული პროდუქციით ყალიბდება; იგი ყოველგვარი სპეცშემოწმების და სერტიფიცირების გარეშე გამოიყენება ყველა დონის ინფორმაციულ სისტემაში, სახელმწიფო მართვის დონის ჩათვლით.

ქვეყნის ინფორმაციული სისტემის ტექნიკური მდგომარეობის მიმართ ყურადღების შენელება უადრესად სახიფათოა. ერთი მხრივ, ეს ეხება კავშირგაბმულობის ქსელის ტექნიკურ მდგომარეობას. ინფორმაციული სისტემების საკომუნიკაციო ქსელის გაუმართაობის გამო, ვერ შეიქმნება სრულფასოვანი, საკმარისი და საიმედო ინფორმაციული ნაკადები, რომლებიც უზრუნველყოფს საზოგადოების, ხელისუფლების ცენტრალური და რეგიონული მმართველობითი სტრუქტურების ეფექტიან ფუნქციონირებას. მეორე მხრივ, თავად ინფორმაციული სისტემის ტექნიკური განუვითარებლობა ავტომატურად გამოთიშავს მას მსოფლიოს თანამედროვე ინფორმაციულ ქსელებთან ინტეგრაციის პროცესებისაგან; ამ სფეროში ქვეყნის მსოფლიოს პროვინციად გადაქცევა სახიფათო შედეგებს მოუტანს საქართველოს სოციალური და ეკონომიკური განვითარების გეგმებს.

მნიშვნელოვანია საინფორმაციო სისტემის ინფრასტრუქტურის ტექნიკური ბაზის მოდერნიზაციის პრობლემა, რაც შეიცავს. კავშირგაბმულობის ტექნიკური პირობების მოდერნიზაციას, კომპიუტერული პარკის განახლებას და საინფორმაციო სისტემის სტაბილურ ენერგეტიკულ უზრუნველყოფას.

სახელმწიფო მართვის საინფორმაციო სისტემის ჩამოყალიბებისა და ცალკეული უწყებების საინფორმაციო სისტემების კოორდინაციისთვის უნდა: შემუშავდეს სახელმწიფო მართვის ერთიანი საინფორმაციო სისტემის კონცეფცია; მომზადდეს გლობალური



კომპიუტერული ქსელის პროგრამა (ამ ქსელმა უნდა მოიცვას სახელმწიფო მართვაში მონაწილე უწყებები როგორც ცენტრალურ, ისევე ადგილობრივ დონეზე); გაეწიოს კონსულტაცია სხვადასხვა უწყებას (ცენტრალურ და რეგიონულ დონეზე) მათი საინფორმაციო სისტემის ასაგებად, რაც გულისხმობს მათ კონსულტაციას პროგრამული და აპარატული უზრუნველყოფის შექმნაში; აგრეთვე, პერსონალის წვრთნაში; უზრუნველყოფილ იქნას სხვადასხვა უწყებაში მიმდინარე საინფორმაციო სისტემების შექმნის პროგრამების კოორდინაცია; შემუშავდეს წინადადებები საინფორმაციო სისტემის მოდიფიკაციის და სრულყოფის შესახებ; მომზადდეს წინადადებები ინფორმაციის გადაცემის, შეგროვების, გაცვლის სტანდარტების შექმნაზე (საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით); ხელი შეეწყოს დაფინანსების პირობათა შექმნას ცალკეული პროგრამებისთვის, რომლებიც საინფორმაციო სისტემის სრულყოფას გულისხმობს; შექმნას უწყებათა შორის არსებული ინფორმაციული რესურსის ფაქტობრივი განაწილების ცნობარი.

საქართველოს საინფორმაციო სივრცის უშიშროების უზრუნველსაყოფი უმნიშვნელოვანესი სადღეისო ამოცანაა: საქართველოს ინფორმაციული უშიშროების უზრუნველყოფის სტრატეგიის შემუშავება; სახელმწიფო ორგანოების კოორდინირებული საქმიანობის სათანადო დონეზე აწეობა; ინფორმაციული უშიშროების უზრუნველყოფის სისტემის საკანონმდებლო მხარდაჭერა; ეროვნული უშიშროების საინფორმაციო-ფსიქოლოგიური უზრუნველყოფის სისტემის ეფექტური ფუნქციონირება.

ინფორმაციული უშიშროების დასახასიათებლად, მისი ანალიზისა და პროგნოზირებისათვის უნდა გამოიყოს ინდიკატორთა ორი ჯგუფი: ინდიკატორები, რომლებიც ასახავენ ინფორმაციული ინფრასტრუქტურის განვითარების დონეს და მის ორგანიზაციულ-ტექნიკურ გამართულობასა და მზადყოფნას; ინდიკატორები, რომლებიც საშუალებას იძლევა შეფასდეს ინფორმაციული უშიშროების დადგენილი პარამეტრების დარღვევის ალბათობა და ამით გამოწვეული ზარალი.

ინდიკატორების სისტემის დაკონკრეტების გარეშე შეიძლება გამოიყოს მათი ძირითადი კლასები:

- **ორგანიზაციული** - ეს მიმართულება გულისხმობს ნორმატიული და ინსტრუქციული დოკუმენტების სრულყოფის და მისი შესრულების ხარისხის შეფასებებს ინფორმაციის შეგროვების, დამუშავების, გავრცელებისა და შენახვის პროცესში;
- **აპარატული** - ამ ტიპის ინდიკატორთა შესაბამისად უნდა განხორციელდეს საინფორმაციო სისტემის ტექნიკური პარამეტრების პერიოდული გაზომვა და მისი ტექნიკური მდგომარეობის ტესტირება (მაგალითად, ელექტრომაგნიტურ გამოსხივებაზე, საიმედოობასა და მდგრადობაზე);
- **სტატისტიკური** - განვითარებული ინფორმაციული სისტემის ქსელის მართვის ცენტრში მიმდინარე ყოველგვარ მონაცემთა სისტემური აღრიცხვა ინფორმაციის დაკარგვის, მისი დამახინჯების შესახებ, აბონენტების გრაფიკის ამსახველი სრული

სტატისტიკური სურათის ანალიზის შედეგად შესაძლებელია უშიშროების დარღვევის საფრთხე დაფიქსირდეს;

- **იმიტაციური** - ხელოვნურად შექმნილი სიტუაციების მეშვეობით კომპლექსურად მოწმდება, თუ რამდენად ეფექტანია უშიშროების უზრუნველყოფის სისტემა, ვლინდება სუსტი რგოლები და მოწმდება სისტემის მდგრადობა ინფორმაციის არასანქცინირებული მოპოვების მცდელობის მიმართ, როდესაც დამრღვევი ტექნიკის უახლეს მიღწევებს იყენებს.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების სტრატეგიულ კურსში მკაფიოდ გამოკვეთილია ქვეყნის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები. დასახული პროგრამა გულისხმობს საქართველოს განვითარების თანამედროვე ინტენსიფიცირებულ ფორმათა დამკვიდრებას, ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ ინტეგრაციას ინდუსტრიულად განვითარებულ სამყაროსთან, საზოგადოებრივი ცხოვრების დონის ამაღლებასა და ცივილიზებულ მსოფლიოსთან კულტურულ ინტეგრაციას. ამ მისწრაფებათა რეალური შესრულება შეუძლებელი იქნება ქვეყნის თანამედროვე იდეურ-ტექნიკური დონის ინფორმაციულ-ტელეკომუნიკაციური ერთიანი სივრცის ჩამოყალიბების გარეშე, რომელიც შეთავსებადი და ინტეგრირებული იქნება მსოფლიოს საინფორმაციო სივრცეში.

ქვეყნის განვითარების უმნიშვნელოვანესი პირობაა იმ ერთიანი საინფორმაციო სივრცის შექმნა, რომლის მეშვეობითაც საზოგადოების ყველა წევრისათვის ადვილი მისაწვდომი გახდება კაცობრიობის მიერ დაგროვილი ის ინტელექტუალური ღირებულებანი, რაც ყველა სახის ინფორმაციულ ბანკებშია თავმოყრილი. უახლესმა ინფორმაციულმა ინფრასტრუქტურამ - თანამედროვე საინფორმაციო ქსელების განვითარებული ერთიანი სისტემის ფორმით - რადიკალურად უნდა შეცვალოს მოქალაქეთა ცხოვრების წესი და ადამიანთა ურთიერთობების ფორმები, შექმნას პრინციპულად ახალი საშუალებები მათ მიერ დასახული მიზნების მისაღწევად ყოველი ადამიანის ნიჭისა და მისწრაფებების შესაბამისად.

დასახული ზოგადი მიზნების მისაღწევად, უპირველეს ყოვლისა, ინტენსიფიცირებული უნდა იქნეს ძალისხმევა საქართველოს ინფორმაციული სისტემის ფორმირებისა და მისი განვითარების სტრატეგიული ორიენტირების რეალიზაციისათვის, შეიქმნას საიმედო პირობები ინფორმაციული ინფრასტრუქტურის ფორმირებისა და მისი უშიშროების უზრუნველსაყოფად. ეს სტრატეგიული ორიენტირებია: ქვეყნის ერთიანი ინფორმაციული სისტემის მატერიალურ-ტექნიკური და პროგრამული ბაზის შექმნა; ინფორმაციული რესურსების გამართვა; ინფორმაციული ბაზრის ჩამოყალიბება; ადამიანური რესურსების განვითარება; ინფორმაციის დაცვის სახელმწიფო სტანდარტების დაწესება და მათი დამკვიდრება; ამ სტრატეგიული მიმართულებების განხორციელებისათვის საჭირო:საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების მიღება; დარგში ორგანიზაციული, ინსტიტუციური რეფორმების ჩატარება; დაფინანსების წყაროების გამონახვა.

ახალ ეპოქაში განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ეროვნული უშიშროების საინფორმაციო-ფსიქოლოგიური უზრუნველყოფის სისტემის ეფექტური ფუნქციონირება. იგი ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის სისტემის ნაწილია (ქვესისტემა) და სამინისტროების (უწყებების), დაწესებულებების, ორგანიზაციების, სახელმწიფო მმართველობის ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, პოლიტიკური პარტიებისა და მოქალაქეების საქმიანობის კოორდინაციის საშუალებას იძლევა საქართველოს მოსახლეობის ფსიქოლოგიური და საზოგადოების საინფორმაციო-ფსიქოლოგიური გარემოს უშიშროების უზრუნველსაყოფად.

საქართველოს ეროვნული უშიშროების საინფორმაციო-ფსიქოლოგიური უზრუნველყოფის ობიექტებია: საზოგადოების საინფორმაციო-ფსიქოლოგიური გარემო, რომელიც საზოგადოების ინფორმაციული გარემოს ნაწილს წარმოადგენს და გამოიყენება ინფორმაციის, საინფორმაციო რესურსების, საინფორმაციო ინფრასტრუქტურის ადამიანების ფსიქიკასა და ქცევაზე ზემოქმედებისათვის (გავლენისათვის); საინფორმაციო რესურსები (კულტურული, ისტორიული, ეროვნული ღირებულებების, ტრადიციების... შესახებ); საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმირების სისტემა (მსოფლმხედველობა, პოლიტიკური შეხედულებები, კულტურული და სულიერი ღირებულებების); საზოგადოებრივი აზრის ფორმირების სისტემა; პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღების სისტემა; ადამიანის ფსიქიკა და ქცევა.

საქართველოს ეროვნული უშიშროების საინფორმაციო-ფსიქოლოგიური უზრუნველყოფის ამოცანებია: მოსახლეობის ფსიქიკის, სოციალური ჯგუფების, მოქალაქეების დაცვა დესტრუქციული საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ზემოქმედებისაგან; ქვეყნის თავდაცვითუნარიანობის შესუსტების მიზნით საქართველოს სახელმწიფოსადმი მტრულად განწყობილი პოლიტიკური ძალების მხრიდან მოსახლეობის მიერ ინფორმაციის აღქმის პროცესებით მანიპულირების მცდელობებისათვის წინააღმდეგობის გაწევა; საინფორმაციო სივრცეში (გლობალურ, რეგიონულ, სუბრეგიონულ, ეროვნულ და სხვ.) საქართველოს ეროვნული ინტერესების, მიზნებისა და ღირებულებების დაცვა; ეროვნული უშიშროების უმნიშვნელოვანესი პრობლემებისადმი საქართველოს საზოგადოებრიობის დამოკიდებულების მუდმივი მონიტორინგი (საქართველოს მოსახლეობის ფსიქიკური მდგომარეობის, საზოგადოებრივი აზრის დიაგნოსტიკა); სულიერ და ზნეობრივ სფეროში ინფორმაციული ექსპანსიისათვის წინააღმდეგობის გაწევა.

საქართველოს ეროვნული უშიშროების საინფორმაციო-ფსიქოლოგიური უზრუნველყოფის მიმართულებებია: საქართველოს მოსახლეობის ფსიქიკისათვის, საზოგადოების საინფორმაციო-ფსიქოლოგიური გარემოსათვის ზიანის მისაყენებლად მოწინააღმდეგის (რეალური ან პოტენციური) მიერ გამოყენებული ფორმებისა და მეთოდების თეორიულ-მეთოდოლოგიური შესწავლა; სხვადასხვა მეთოდიკური და საინფორმაციო მასალების ორგანიზაციულ-მეთოდური მომზადება, მათ შორის იმ სტრუქტურების შექმნა, რომლებიც საინფორმაციო-ფსიქოლოგიურ უზრუნველყოფას ეწევიან; ყოველდღიური

პრაქტიკული საქმიანობა, მიმართული საზოგადოების საინფორმაციო-ფსიქოლოგიური გარემოს, მოსახლეობის ფსიქოლოგიური უშიშროების უზრუნველსაყოფად.

ინფორმაციული უშიშროების უზრუნველყოფას, როგორც ზემოთ აღინიშნა, ზესახელმწიფოები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ. ვინაიდან საქართველოსთვის, საინფორმაციო ომის წარმოების თვალსაზრისით, რუსეთი ქმნის ყველაზე დიდ საფრთხეს, არ შეიძლება უფრო ვრცლად არ შევეხოთ ამ პრობლემას ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის მაგალითზე, სადაც დიდი ხნის მანძილზე მზადდებოდა ინფორმაციული უშიშროების დოქტრინა. ვლადიმერ პუტინმა 2001 წლის ბოლოს ხელი მოაწერა რუსეთის ფედერაციის ინფორმაციული უშიშროების დოქტრინას. ამგვარი კონცეფტუალური დოკუმენტი რუსეთის ისტორიაში პირველად გამოჩნდა. დოქტრინის შემუშავება რთულად მიმდინარეობდა - რამდენიმე წლის მანძილზე. მისი პირველი პროექტი, ჯერ კიდევ, 1994 წელს გამოჩნდა. ერთ დროს დოქტრინის გადავადებაც კი იყო შემოთავაზებული უკეთესი დროისთვის.

სპეციალისტთა შეფასებით, დოკუმენტი, როგორც ქვეყნის ეროვნული უშიშროების კონცეფციის შემადგენელი ნაწილი, საბაზოა, პირველ რიგში აღმასრულებელი ხელისუფლების ფედერალური ორგანოებისათვის (პრაქტიკულად, ყველა სამინისტრო და უწყება), რომლებიც ახდენენ ინფორმაციულ სფეროში თავიანთი უფლებამოსილებების რეალიზებას. დოქტრინა პასუხს იძლევა კითხვაზე, თუ ინფორმაციულ უშიშროებაში რა უნდა იგულისხმებოდეს, განსაზღვრავს მის მიზნებსა და ამოცანებს, ასევე ობიექტებსა და სუბიექტებს. მასში გამოკვეთილია რუსეთის ეროვნული ინტერესების ოთხი ძირითადი შემადგენელი ინფორმაციულ სფეროში.

პირველ რიგში, ინფორმაციის მიღებისა და მისი გამოყენების დარგში ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა. რუსეთის სულიერი განახლების უზრუნველყოფა, საზოგადოების ზნეობრივი ფასეულობების, პატრიოტიზმისა და ჰუმანიზმის ტრადიციათა შენარჩუნება და განმტკიცება. მეორე რიგში, ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ინფორმაციული უზრუნველყოფა. მესამე რიგში, თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების, ინფორმაციის სამამულო ინდუსტრიის, მათ შორის, ინფორმატიზაციის, კომუნიკაციისა და კავშირის საშუალებათა განვითარება, მისი პროდუქციით შიდა ბაზრის მოთხოვნათა უზრუნველყოფა და ამ პროდუქციის გასვლა მსოფლიო ბაზარზე. მეოთხე რიგში, ინფორმაციული რესურსების დაცვა არასანქცირებული შეღწევისგან, ნაციონალური საინფორმაციო და ტელესაკომუნიკაციო სისტემების უზრუნველყოფა.

დოქტრინაში პირველადაა ჩადებული ქვეყნის ინფორმაციული უშიშროების ზოგადი მეთოდები: სამართლებრივი, ორგანიზაციულ-ტექნიკური და ეკონომიკური. ქვეყნის საინფორმაციო უშიშროების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის პირველრიგითი ღონისძიებების რიცხვს განეკუთვნება: სამართლებრივი ნორმების რეალიზაციის მექანიზმების, სახელმწიფოებრივი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით სახელმწიფო ხელმძღვანელობის ეფექტიანობის ამაღლების, სახელმწიფო საინფორმაციო პოლიტიკის

გატარების შემუშავება და დანერგვა, შესაბამისი ფედერალური პროგრამების მიღება და რეალიზება, კადრების მომზადება.

ამრიგად, უნდა გაკეთდეს დასკვნა იმის შესახებ, რომ XXI საუკუნეში საქართველოს ეროვნული უშიშროება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული საზოგადოების საინფორმაციო გარემოს ეფექტურ ფუნქციონირებაზე, რადგანაც, XX საუკუნის ბოლოს, ინფორმაციულმა ფაქტორმა მსოფლიოს ნებისმიერი სახელმწიფოს ეროვნული უშიშროების სისტემის უზრუნველყოფაში უმნიშვნელოვანესი ადგილი დაიკავა. ეროვნული უშიშროების კონცეფციაში, როგორც დოკუმენტში, რომელიც წარმოადგენს ბაზას საქართველოს ეროვნული უშიშროების სტრატეგიისა და პოლიტიკის შემუშავებისა და რეალიზაციისათვის, აუცილებელია განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს ინფორმაციული ფაქტორების მზარდ ადგილსა და როლს საქართველოს ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის სისტემაში.

## მეხუთე თავი პოლიტიკის საინფორმაციო-ანალიტიკური და ტექნოლოგიური უზრუნველყოფის სპეციფიკა

### 5.1. სახელმწიფო საინფორმაციო პოლიტიკის არსი, სტრუქტურა და რეალიზაციის პრინციპები

ცნობილია, რომ საზოგადოება არა ერთფეროვანი მონოლითია, არამედ მრავალღეროვანი სოციალურ-დიფერენცირებული სისტემაა. მის სტრუქტურას შეადგენს ინდივიდები, ჯგუფები, სხვადასხვა სოციალური ფენები, ერები თავიანთი მრავალფეროვანი მოთხოვნილებებითა და ინტერესებით. მათი გამოვლენის, საორგანიზაციო-სამოხილიზაციო ფუნქციის განხორციელებისა და დაცვისათვის საზოგადოებაში იქმნება სახელმწიფო ორგანოები, პოლიტიკური პარტიები, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და პროფესიული ორგანიზაციები. ისინი გვევლინებიან, როგორც პოლიტიკის აქტიური სუბიექტები. აქედან გამომდინარე, პოლიტიკის კლასიფიკაციის მნიშვნელოვან კრიტერიუმს წარმოადგენს მისი სუბიექტები. მათ შორის განმსაზღვრელი და წამყვანია სახელმწიფო.

რადგან თანამედროვე სახელმწიფო არის ორგანოების რთული სისტემა, რომელსაც გააჩნია მონოპოლია ძალადობაზე, როგორც ბატონობის საშუალებაზე და ფართო საკანონმდებლო, სასამართლო უფლებები, ტექნიკური და მატერიალური რესურსები, პროფესიონალი პოლიტიკოსების არმია და ამ მხრივ პოლიტიკის ვერც ერთი სუბიექტი ვერ შეედრება მას, ამიტომაც საზოგადოებაში, პოლიტიკური საქმიანობის საერთო სტრუქტურაში სახელმწიფო პოლიტიკას დომინირებული ადგილი უკავია.

დასავლური (ინგლისურ-ამერიკული) ტრადიციის ჩარჩოებში საზოგადოებრივი სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავებასთან დაკავშირებული „სახელმწიფო პოლიტიკა“ (public policy), ისევე, როგორც საკუთრივ „სახელმწიფო ადმინისტრირება“ (public administration), რომელიც უზრუნველყოფს მმართველი პერსონალის მუშაობის ტექნოლოგიისა და სახელმწიფო აპარატის რგოლების ფუნქციონირების ეფექტიან ოპტიმიზაციას, ფუნქციონირებას, არის უფრო ფართო კატეგორიის – „სახელმწიფო მმართველობის“ შემადგენელი.

სახელმწიფო პოლიტიკა ამ აზრით დაკავშირებულია საზოგადოების სტრატეგიული კურსის, სახელმწიფოს განვითარების ძირითადი მიმართულებების შემუშავებასთან და მისი მიზნებისა და ამოცანების განხორციელების წესების ამოქმედებასთან. თანამედროვე სახელმწიფო პოლიტიკის მექანიზმის სტრუქტურაში შეიძლება გამოიყოს შემდეგი ბლოკები: სახელმწიფო პოლიტიკის ინსტიტუციური იერარქიისა და ლეგიტიმური სუბიექტის ფორმირება; სტრატეგიული კურსის შემუშავება და სახელმწიფო გადაწყვეტილებათა მიღება; მიღებული გადაწყვეტილებების რეალიზაციის ადმინისტრაციული და სხვა საშუალებები; სახელმწიფო კონტროლისა და არბიტრაჟის,

პოლიტიკური რეჟიმის თვითკორექციისა და სახელმწიფო ხელმძღვანელების ობიექტებთან „უკუკავშირის“ უზრუნველყოფი ბლოკი.

სახელმწიფო პოლიტიკის სუბიექტების ფორმირების მოდელები და წარმომადგენლობის წესები წარმოდგენილია ოთხი ძირითადი ტიპით: ელიტური, კორპორაციული, პრულარული და პარტისიპაციური<sup>11</sup> (ინგლ. participation - მონაწილეობა). ოთხივე პრაქტიკულად პოლიტიკური მმართველობის მთელ სისტემაწარმომქმნელ სპექტრს მოიცავს, დაწყებული, ერთი ან რამდენიმე ადამიანის ხელში სახელმწიფოებრივი ნების ჰიპერკონცენტრაციიდან და საზოგადოებრივი ნებასურვილის გამომხატველი სუბიექტების ფორმირების პარტისიპაციური წესებითა და პლებისციტური მექანიზმებით დამთავრებული.

სახელმწიფო პოლიტიკის მექანიზმში მნიშვნელოვანი როლია სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავება და სახელმწიფო გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც დაკავშირებულია საკანონმდებლო პროცესთან და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების მხრიდან ოპერატიულ მმართველობასთან. სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების მექანიზმის მესამე კვანძი მოიცავს ოპერატიული მართვის ტექნოლოგიური საშუალებებისა და მეთოდების გამოყენების პროცესს, რომელიც განპირობებულია სტრატეგიული მიზნებისა და გადაწყვეტილებების რეალიზაციის აუცილებლობით. სახელმწიფო პოლიტიკის მექანიზმის მეოთხე ბლოკი პასუხს აგებს მართვის პროცესის კონტროლისა და მისი რეჟიმის თვითკორექციის უზრუნველყოფაზე.

არანაკლები იერარქიული სტრუქტურა გააჩნია სახელმწიფო პოლიტიკის თვითონ ობიექტს, ანუ საზოგადოებას. სამოქალაქო საზოგადოების, როგორც სახელმწიფო ზემოქმედების სფეროს სტრუქტურის განხილვას სპეციალურ ლიტერატურაში სხვადასხვა მიდგომა ახასიათებს [44]. პირველი, სახელმწიფო რეგულირების ობიექტის სახით გამოიყოფა საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროები, საზოგადოებაში არსებული რესურსების ცალკეული სახეები და მათი შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკის მიმართულებები: ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, ეკოლოგიური, საგანმანათლებლო, საინფორმაციო და სხვ. მეორე, სახელმწიფო მმართველობის ობიექტების კლასიფიკაციას საფუძველად უდევს ადამიანების სხვადასხვა სოციალურ-დემოგრაფიულ, საკვალიფიკაციო-პროფესიულ ან ეთნიკურ ჯგუფებად დაყოფა.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, სახელმწიფო პოლიტიკა არის, პირველი, მრავალი ადამიანის მოქმედების თანადაქვემდებარებულ ერთობლიობა, მეორე, ინსტიტუციური მექანიზმის მმართველი რგოლებისა და ბლოკების ურთიერთმოქმედება, რომელიც მიმართულია სტრატეგიული მიზნებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებისა და რეალიზაციისათვის, მესამე, მართვის გარკვეული ციკლი, რომელშიც არ არსებობს ფუნქციური ფაზების მკაცრი თანმიმდევრულობა, რამდენადაც ხშირად ისინი

<sup>11</sup> სახელმწიფო მმართველობის სუბიექტების ფორმირების წესი, ქვემოთაა ზემოთ, რომელშიც რიგითი მოქალაქენი მაქსიმალურად არიან ჩართულნი.

პარალელურად მოძრაობენ და ამ წრებრუნვაში მას თავი და ბოლო არ უჩანს. „ყოველი სახელმწიფო პოლიტიკა გვევლინება კომპლექსურ ფენომენად, რომელიც შედგება მრავალი არჩეული, დანიშნული ან დაქირავებული ჩინოვნიკის მოქმედებისგან, – აღნიშნავს ამერიკელი *ჩარლზ ლინდბლომი* (Charles Edward Lindblom, დ. 1917) წიგნში „პოლიტიკის შემუშავების პროცესი“, – ამავე დროს საჯარო პოლიტიკაში ჩართულია უამრავი ცალკეული მოქალაქეც მათი საქციელით“ [85]. სახელმწიფო პოლიტიკის საერთო მექანიზმში ცენტრალური რგოლია სტრატეგიული და ოპერატიულ-ტაქტიკური გადაწყვეტილებების მიღების ფაზა.

სახელმწიფო პოლიტიკა, როგორც საქმიანობის სახე, ჩვეულებრივ, რამდენიმე დონეზე განიხილება: ადგილობრივი, რეგიონული, ეროვნული, საერთაშორისო.

ადგილობრივი დონე მოიცავს, პირველ რიგში, სოციალურ-საყოფაცხოვრებო საკითხების გადაწყვეტას: საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფა, სკოლების, საავადმყოფოების მშენებლობა და ექსპლუატაცია, ადგილობრივი ინფრასტრუქტურა, მუნიციპალური საკუთრების მართვა.

რეგიონული დონე მოითხოვს სახელმწიფოებრივ ჩარევას, სხვადასხვა სოციალური ჯგუფებისა და ეროვნული ერთობების საქმიანობის კოორდინაციას, მიმართულს მთელი რეგიონის კომპლექსური განვითარების, დაბალანსებული ეკოლოგიური პოლიტიკის განხორციელების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დანაშაულებრივი ჯგუფებისა და მაფიოზური კლანების ხელყოფისაგან დაცვისაკენ.

სახელმწიფოს პოლიტიკაში ცენტრალური ადგილი უკავია ზოგადეროვნულ დონეს. ამ დონეზე სახელმწიფო მოწოდებულია ყველაზე ზუსტად განსაზღვროს პრიორიტეტები პოლიტიკაში სხვადასხვა სოციალური ფენებისა და ჯგუფების მიმართ, შესაძლებლობათა გათვალისწინებით გამოყოს საბიუჯეტო სახსრები ეკონომიკის იმ დარგების მოდერნიზაციისა და განვითარებისათვის, რომლებიც, პირველ რიგში, ქმნიან პირობებს სოციალური სფეროს ოპტიმალურ რეჟიმში ფუნქციონირებისა და თითოეული პიროვნების ყოველმხრივი განვითარებისათვის.

და, ბოლოს, უკანასკნელი, საერთაშორისო დონე სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს ჩვენს დროში. სახელმწიფო პოლიტიკის სწორედ ეს ასპექტია მოწოდებული უზრუნველყოს სახელმწიფოს ეროვნული ინტერესების, მოქალაქეთა სუვერენული უფლებების დაცვა, საზოგადოების ეფექტური სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, არ დაუშვას ქვეყნის ჩათრევა ლოკალურ და საერთაშორისო კონფლიქტებში.

პოლიტიკის სხვა გავლენიან სუბიექტებს წარმოადგენს პოლიტიკური პარტიები, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობები და ორგანიზაციები. პარტიებისა და მათი ლიდერების მიერ შემოთავაზებული პოლიტიკა გათვლილია იმაზე, რომ მიიმხრონ წამყვანი სოციალურ-პოლიტიკური ძალები კანონის დაცვის ჩარჩოებში პოლიტიკური ხელისუფლების მოპოვების მიზნით. რასაკვირველია, გვხვდება გამონაკლისებიც. ხშირად



რადიკალურ-რევოლუციური პარტიები მოქმედებენ კონსტიტუციისა და კანონების მოთხოვნების საწინააღმდეგოდ. ასეთმა პოლიტიკამ ეფექტი შეიძლება ძალიან მოკლე დროით მოგვცეს. სტრატეგიულ პლანში მხოლოდ იმ პოლიტიკას მოაქვს წარმატებები, რომელიც რეალიზდება საკონსტიტუციო საკანონმდებლო ნორმების, პრინციპების ჩარჩოებში და ცივილიზებული საშუალებებით.

მიზნების მასშტაბურობისა და ხანგრძლივობის კრიტერიუმების მიხედვით პოლიტიკა შეიძლება იყოს სტრატეგიული ან ტაქტიკური (მიმდინარე). სტრატეგიული პოლიტიკის არსი მდგომარეობს სახელმწიფოს (ან საზოგადოების, რეგიონის, ქალაქის, რაიონის, საზოგადოებრივი სფეროს, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის) განვითარების პრიორიტეტების საფუძვლიანი, ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანების, დასახული მიზნების მიღწევისათვის ძირითადი მეთოდების, საშუალებების, პოლიტიკური ძალების, ტექნიკური, მატერიალური რესურსების, პოლიტიკური ბლოკების, კავშირებისა და შეთანხმებების შესაძლო ვარიანტების არჩევაში, აგრეთვე, დაგეგმილი მიზნების განხორციელების შედეგების (საბოლოო, შუალედური) პროგნოზში. სტრატეგიული პოლიტიკა, დროის ინტერვალის მიხედვით, შეიძლება იყოს გრძელვადიანი (მაგალითად, 10-15 წელი) და საშუალოვადიანი (მაგალითად, 3-5 წელი).

ტაქტიკური პოლიტიკა (მიმდინარე) - ეს არის დასახული სტრატეგიული მიზნების სარეალიზაციოდ მიმართული პოლიტიკური საქმიანობა. იგი გულისხმობს დიდ მოქნილობას, ოპერატიულობას მეთოდებისა და საშუალებების გამოყენებაში, ვარაუდობს შემოვლით მანევრებს, დროებით ხელშეკრულებებს არამდგრად პოლიტიკურ მოკავშირეებთან. სტრატეგიული და ტაქტიკური პოლიტიკა, როგორც წესი, პოლიტიკის ყველა სუბიექტისათვის არის დამახასიათებელი.

სოციალური, პოლიტიკური მოვლენებისა და პროცესების კლასიფიკაციისადმი მეთოდოლოგიური მიდგომა გულისხმობს თვითონ ობიექტის სტრუქტურის ანალიზს, რომლის ჩარჩოებშიც მიმდინარეობს სოციალურ-პოლიტიკური პროცესები და საქმიანობა, კრიტერიუმების ან კლასიფიკაციის კრიტერიუმის განსაზღვრა. როგორც ცნობილია, საზოგადოება განსაკუთრებულად რთული დინამიკური სისტემაა, რომელიც მოიცავს ქვესისტემებს: ეკონომიკურს, სოციალურს, პოლიტიკურს და კულტურულს. პოლიტიკა ყველა დასახელებულ სფეროში აისახება, ამჟღავნებს თავის თავს. მაგრამ საზოგადოება ფუნქციონირებს, ვითარდება არა იზოლირებულად, არამედ სხვა საერთაშორისო საზოგადოებრივ და სახელმწიფო წარმონაქმნებსა და ბუნებასთან კავშირში. ამ მრავალფეროვანსა და რთულ ურთიერთკავშირებსაც, აგრეთვე, გააჩნია პოლიტიკური ასპექტები.

მიმართულებრივი კრიტერიუმის მიხედვით პოლიტიკა იყოფა საშინაოდ და საგარეოდ. პოლიტიკის ორივე ნაწილი დიალექტიკურ ურთიერთობაშია. უმეტეს შემთხვევაში საშინაო პოლიტიკა განსაზღვრავს საგარეო პოლიტიკის შინაარსს, საშუალებებს, მეთოდებსა და სოციალურ მიმართულებას. მაგრამ, ცხადია, საგარეო პოლიტიკაც არ წარმოადგენს ნეიტრალურს საშინაოსთან მიმართებაში. გარკვეულ

პირობებში იგი აქტიურ ზეგავლენას ახდენს საშინაო პოლიტიკაზე და შეიძლება მის ხასიათში არსებითი კორექტივებიც კი შეიტანოს.

საშინაო პოლიტიკაში საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროების განსხვავების კრიტერიუმების მიხედვით შეიძლება გამოიყოს ეკონომიკური, სოციალური, საკუთრივ პოლიტიკური, კულტურული სფერო.

დემოკრატიული სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა - სამეცნიერო დებულებების, მიზნების, პოლიტიკური საშუალებებისა და პრაქტიკული ზომების ერთობლიობაა, რომლის მიხედვითაც რეგულირდება ურთიერთობები მოქალაქეებს, სოციალურ ჯგუფებს, ხალხებს შორის საზოგადოების ეკონომიკური ცხოვრების სფეროში, მისი ზეგავლენით ვითარდება ურთიერთქმედება სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის. ეკონომიკურ პოლიტიკაში, დარგობრივი კრიტერიუმებიდან გამომდინარე, ჩვეულებრივ, გამოყოფენ: პოლიტიკას მრეწველობის, ტრანსპორტის, ფინანსების, ინვესტიციების, პრივატიზაციის სფეროებში, აგრარულ პოლიტიკას და სხვ.

სოციალური პოლიტიკა - ეს არის იდეების, მითითებების, მიზნების, მეთოდებისა და საშუალებების სისტემა, რომელთა დახმარებითაც რეგულირდება ურთიერთობები მოქალაქეებს, სოციალურ ჯგუფებს, ხალხებს შორის ცხოვრებაში მათი ადგილისა და უშუალოდ მათი ცხოველქმედების უზრუნველყოფის მიზნით.

სოციალური ცხოვრების სფეროში განსაკუთრებული ადგილი უკავია ეროვნულ პოლიტიკას. მისი ობიექტი ეროვნული ურთიერთობებია. წარმოადგენს რა ინტეგრალურს, რომელიც მოიცავს თავისთავში ეკონომიკურს, სოციალურს, სახელმწიფოებრივ-სამართლებრივს, კულტურულ-სულიერების და სხვა ასპექტებს, აუცილებელია ეროვნული ურთიერთობები განხილულ იქნეს, როგორც განსაკუთრებულად რთული რეგულირების ობიექტი.

„პოლიტიკის“ პოლიტიკა ან პოლიტიკა პოლიტიკურ სფეროში, მიმართულია მოქალაქეებსა და სოციალურ ერთობებს შორის რეგულირებისაკენ, პირველ ყოვლისა, სახელმწიფო ხელისუფლების გამო. იგი ასევე შეიძლება დაიყოს სახელმწიფოებრივ-ადმინისტრაციული მშენებლობის და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოძრაობების პოლიტიკად სახელისუფლო-პოლიტიკურ ურთიერთობათა სფეროში.

პოლიტიკა სულიერი ცხოვრების სფეროში მოწოდებულია განახორციელოს მოქალაქეებს, სოციალურ ჯგუფებს, ხალხებს შორის ურთიერთობების რეგულირება იდეების, შეხედულებების, თეორიების, მათი საზოგადოებაში რეალიზაციის და უშუალოდ ადამიანთა ცხოველქმედების გამო. პოლიტიკის სხვა სახეების ანალოგიურად შეიძლება მისი კლასიფიცირება დარგობრივი პრინციპითაც: პოლიტიკა კულტურის, თეატრის, კინოს, ბეჭდვის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების სფეროებში.

საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროების სრულად მოცვისა და საზოგადოებაზე გავლენის მიხედვით, შეიძლება გამოიყოს პოლიტიკის ისეთი ნაირსახეობანი, როგორებიცაა სამეცნიერო-ტექნიკური, თავდაცვითი, ეკოლოგიური.

პოლიტიკური მოდერნიზაციის პროცესში საინფორმაციო პოლიტიკის სრულყოფილი და ტექნოლოგიური ასპექტების განხილვამდე, საჭიროდ მიგვაჩნია შევეხოთ უშუალოდ საინფორმაციო პოლიტიკის განსაზღვრებას, მის ამოცანებს, ფორმირებისა და რეალიზაციის პრინციპებსა და მექანიზმებს.

ამ შემთხვევაში ჩვენი ანალიზის ამოსავალია ტერმინ „პოლიტიკის“ ფრანგი პოლიტოლოგის რაიმონდ არონისეული (Raymond Aron, 1905–1983) გააზრება, რომლის მიხედვითაც პოლიტიკა არის მოქმედების პროგრამა, მეთოდი ან თვითონ მოქმედება, რომელსაც ახორციელებს ადამიანი ან ადამიანების ჯგუფი საზოგადოების წინაშე მდგარი რომელიმე ერთი პრობლემის ან პრობლემათა ერთობლიობის მიმართებაში, ანუ ადამიანების მიზანმიმართული საქმიანობა სახელისუფლო, სახელმწიფო და სხვა სფეროებში. ამ აზრით, პოლიტიკა მმართველობასაც აღნიშნავს, წარმოადგენს მოქმედების სფეროს „საინფორმაციო პოლიტიკა“, „საგანმანათლებლო პოლიტიკა“, „საფინანსო პოლიტიკა“ და სხვა.

საქართველოში, თავისუფალ კონკურენციაზე დაფუძნებული ეკონომიკისა და სამოქალაქო საზოგადოების ეტაპობრივი დამკვიდრების, მისი მსოფლიო პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ სივრცეში და ევროპულ სტრუქტურებში თანდათანობითი ინტეგრირების მიმდინარე პროცესების შედეგად ბუნებრივად ჩნდება მოთხოვნილება შესაბამისი საინფორმაციო გარემოს შექმნაზე. თვისებრივად ახალი საინფორმაციო სივრცის ფორმირების პროცესი და შესაბამისი საინფორმაციო პოლიტიკის გატარება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს საქართველოს პოლიტიკური მოდერნიზაციის პირობებში. სახელმწიფო ინსტიტუტების რეფორმირების პროგრესი, დემოკრატიული ცნობიერების ჩამოყალიბება, გამორიცხულია ძველებურ საინფორმაციო გარემოში.

საქართველოს საინფორმაციო სივრცის, ინფორმაციზაციისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო გარემოს ფორმირების შესწავლა, მისი დემოკრატიზაციის, ღია სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის ხელისშემშლელი და ხელშემწყობი პრობლემების კვლევა თანამედროვე ქართული მეცნიერებისათვის აქტუალურ ამოცანას წარმოადგენს.

პოლიტიკის (policy) არსი გამოიხატება საორგანიზაციო და სარეგულაციო-საკონტროლო საქმიანობით, რომელიც თანამედროვე პირობებში მნიშვნელოვანწილად ინფორმაციული მექანიზმების საშუალებით რეალიზდება. პოლიტიკისა და ინფორმაციის ამდაგვარი შესაბამისობიდან გამომდინარე, ცნება „საინფორმაციო პოლიტიკა“, პოლიტოლოგიური თვალსაზრისით, ორ დონეზე შეიძლება იქნეს გააზრებული.

პირველი დონე - ეს არის საინფორმაციო პოლიტიკა ფართო გაგებით, როდესაც პოლიტიკური ზემოქმედების ყველა სფეროში (ეკონომიკური, ტექნიკური, სამართლებრივი, საგანმანათლებლო, სამხედრო და სხვ.) პოლიტიკა ხორციელდება ინფორმაციული მეთოდებით. მეორე დონე - ეს არის საინფორმაციო პოლიტიკა ვიწრო გაგებით, როდესაც საორგანიზაციო და სარეგულაციო-საკონტროლო საქმიანობა ხორციელდება საკუთრივ

ინფორმაციული მეთოდების სფეროში, მაგალითად - ახალი სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების მხარდასაჭერად მიმართული სახელმწიფო პოლიტიკა.

ფართო გაგების საინფორმაციო პოლიტიკა თავის თავში ვიწრო გაგების საინფორმაციო პოლიტიკასაც მოიცავს და ისინი ერთმანეთს შეეფარდებიან როგორც სისტემა და ქვესისტემა. პირველი დონისათვის ამოსავალს პოლიტიკური მიზანი წარმოადგენს, ხოლო შედეგს – მათი მიღწევა. ვიწრო გაგების საინფორმაციო პოლიტიკა კი ინფორმაციას კრებს, ამუშავებს და ავრცელებს ფართო გაგების საინფორმაციო პოლიტიკის პოლიტიკური მიზნის მოთხოვნების შესაბამისი შედეგის უზრუნველსაყოფად.

ამავე დროს, ისინი ერთმანეთსაც განაპირობებენ. პოლიტიკა ინფორმაციული მეთოდების სფეროში (საინფორმაციო პოლიტიკა ვიწრო გაგებით) აუცილებელია ამ მეთოდების დახმარებით განხორციელებული პოლიტიკის წარმატებისათვის (საინფორმაციო პოლიტიკა ფართო გაგებით). ამასთან, ფართო გაგების საინფორმაციო პოლიტიკის მიერ დასახული ამოცანების გარეშე, ვიწრო გაგების საინფორმაციო პოლიტიკა შინაარსს დაკარგავს და პოლიტიკურად უაზრობად იქცევა.

ზემოთ განხილული ცნების ასეთი განსაზღვრება არ ეწინააღმდეგება და შესაბამისობაშია პოლიტიკის სუბიექტებად და აგენტებად დაყოფასთან [46]. სუბიექტი ახორციელებს მიზანმიმართულ ინტენსიურ მოქმედებას, ხოლო აგენტი ქმნის მოვლენას. ფართო გაგების საინფორმაციო პოლიტიკის სფეროში მოღვაწეობა პოლიტიკის სუბიექტების საქმიანობას წარმოადგენს, რადგანაც იგი მოტივირდება პოლიტიკური მიზნის მიღწევით, ხოლო ვიწრო გაგების საინფორმაციო პოლიტიკა ახლოა აგენტების საქმიანობასთან. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პლურალისტული დემოკრატიის საზოგადოებებში, სახელმწიფოსა და პოლიტიკურ პარტიებთან ერთად, პოლიტიკურ სუბიექტებს წარმოადგენენ საზოგადოებრივი ჯგუფებიც [47].

ვიწრო გაგების საინფორმაციო პოლიტიკის, როგორც ქვესისტემის, სპეციფიკურ თვისებას წარმოადგენს ისიც, რომ მას რეგულირება არა მარტო ფართო გაგების საინფორმაციო პოლიტიკის „საკუთარი“ სისტემით შეუძლია, არამედ სხვა, არაინფორმაციული სისტემებითაც. კერძოდ, ეკონომიკური, სამართლებრივი, ტექნიკური რეგულაციის ხერხებით. ამ შემთხვევაში საინფორმაციო პოლიტიკის სუბიექტსა და სხვა პოლიტიკურ სუბიექტებს შორის, რომელთაც ვიწრო გაგების საინფორმაციო პოლიტიკის რეგულირება შეუძლიათ, შეიძლება საკონფლიქტო სიტუაცია წარმოიქმნას.

წარმოდგენილი სისტემების ურთიერთზემოქმედება და შესაბამისობა კარგად ჩანს საინფორმაციო-ტექნიკური პროგრესის სფეროში განხორციელებული საინფორმაციო პოლიტიკის კონკრეტულ მაგალითზე. საინფორმაციო-ტექნიკური პროგრესის სფეროში საინფორმაციო პოლიტიკის სუბიექტებს წარმოადგენენ: სახელმწიფოს, უწყებების, მაღალტექნოლოგიური საწარმოების ხელმძღვანელები და ხელმძღვანელი ორგანოები, სამეცნიერო საზოგადოებები, სამრეწველო გაერთიანებები და კორპორაციები. აგენტებად გვევლინება მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, სამეცნიერო და ტექნიკური გამომცემლობები,

სამეცნიერო საზოგადოებები, მაღალტექნოლოგიური საწარმოების გარკვეული დანაყოფები.

საინფორმაციო-ტექნიკური პროგრესის განხორციელება შეიძლება მხოლოდ აქტიური საინფორმაციო პოლიტიკის პირობებში, რომელმაც უნდა უზრუნველყოს: ხელისუფლება - მეცნიერებისა და ტექნიკის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციით, სამეცნიერო და ტექნიკური მუშაკები - კოლეგების მიღწევების შესახებ, საზოგადოება კი - ხელისუფლების, მეცნიერებისა და ბიზნესმენების მიზნების, მათი საქმიანობის პრობლემებისა და შედეგების შესახებ. ხოლო თვით საინფორმაციო ინსტიტუტების წარმატებული ფუნქციონირება კი შეუძლებელია უახლესი სამეცნიერო გამოკვლევების მიღწევების გამოყენების გარეშე (ფილოსოფიურიდან და მეთოდოლოგიურიდან სატელეკომუნიკაციომდე), ეფექტური სახელმწიფო მმართველობის, განვითარებული ეკონომიკისა და საზოგადოებრივი მხარდაჭერის გარეშე.

მიმდინარეობს მსოფლიოს გარდაქმნა ინფორმაციულ საზოგადოებად, რომელშიც დასაქმებული მოსახლეობის დიდი ნაწილის შრომის ობიექტებსა და შედეგებს ინფორმაცია და ცოდნა წარმოადგენს.

ინფორმატიზაციის პროცესისას რადიკალურად იცვლება ადამიანის საქმიანობის არსი და მოტივაცია, სამეურნეო საქმიანობის მოდიფიკაციასთან ერთად, მატერიალური დოვლათის წარმოების ორგანიზაციის ფორმებიც იცვლება [88]. ამასთან, ინფორმაციული პროცესები სოციალურ კონტექსტში ახალ მნიშვნელობას იძენს - სოციალური ფენომენის სახეს, პოლიტიკა საერთოდ და კერძოდ, საინფორმაციო პოლიტიკა, როგორც ფართო, ისე ვიწრო გაგებით უნდა შეესაბამებოდეს საზოგადოებრივი განვითარების საინფორმაციო კომპონენტს. ახალი საზოგადოების მატერიალურ საფუძველს - მაღალ საინფორმაციო ტექნოლოგიებს - ქმნის სწორედ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი. განსახილველ სფეროში ადეკვატური პოლიტიკა წარმოადგენს ინფორმაციულ საზოგადოებაში გადასვლის უზრუნველყოფის ერთ-ერთ საშუალებას. აქ ძალიან რელიეფურად ჩანს ვიწრო გაგების საინფორმაციო პოლიტიკის როლი: ახლი საინფორმაციო ტექნოლოგიების მხარდაჭერისა და დანერგვისაკენ მიმართულ პოლიტიკაზე ბევრად არის დამოკიდებული ამ ტიპის საზოგადოების ჩამოყალიბების რეალურობა. ამავე დროს, სწორედ ტექნიკური საინფორმაციო სისტემები აფართოებენ მოსალოდნელი პოლიტიკური მიზნების სპექტრს.

ამ სისტემებს შორის ფართო გაგების საინფორმაციო პოლიტიკის ეფექტურობაზე ზეგავლენის თვალსაზრისით, განსაკუთრებული როლის თამაში შეუძლია ინტერნეტის გლობალურ კომპიუტერულ ქსელს. ინტერნეტის წყალობით გაადვილებულია ნებისმიერი საინფორმაციო სივრციდან შეტყობინებების და ცნობების მიღება, შევსება და გავრცელება. ფართოვდება ინფორმაციის მიმღებთა აუდიტორია. ეს მნიშვნელოვნად აადვილებს ინფორმაციის შეკრებისა და გავრცელების საზოგადოებას, პრაქტიკაში მკვიდრდება პოლიტიკური მიზნების მიღწევის მძლავრი ინსტრუმენტი. მაგრამ ინტერნეტის საინფორმაციო რესურსები, მათი ადვილად ხელმისაწვდომობა, ქსელთან მიერთებულ

ადამიანს ნაკლებად დამოკიდებულს ხდის ტრადიციული არხებით გადაცემულ ინფორმაციისაგან, ანუ საინფორმაციო პოლიტიკის ტრადიციული სუბიექტების მიერ ორგანიზებული ინფორმაციისაგან.

ინტერნეტის ეპოქა დღეს რეალობაა. მისი ჩამოყალიბების ისტორიაში ამის დასტურად გამოდგება წარმოდგენილი რამდენიმე მაგალითი ამ ქსელთან დაკავშირებულ მხოლოდ ზოგიერთ პროექტსა და მოსაზრებაზე (ნიმუშად ამ მიმართულებით ყველაზე განვითარებული ქვეყნის საინფორმაციო პოლიტიკის ფრაგმენტებია მოყვანილი). რჩხილებში ნაჩვენებია ასო მიანიშნებს თუ საინფორმაციო პოლიტიკის რომელ სახეს შეიძლება მიეკუთვნოს მოყვანილი ფაქტები და პროექტები: (ფ) - აღნიშნავს ფართო გაგების საინფორმაციო პოლიტიკას; (ვ) - აღნიშნავს ვიწრო გაგების საინფორმაციო პოლიტიკას.

ჯერ კიდევ 1998 წლის თებერვალში პრეზიდენტმა კლინტონმა თავის გამოსვლაში „ქვეყნის მდგომარეობის შესახებ“ განაცხადა: „ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ ისე, რომ ინფორმაციის საუკუნის გავლენა ჩვენს ყველა სკოლაში იგრძნობოდეს.<sup>12</sup> რათა მომზადდეს ამერიკა 21-ე საუკუნეში შესასვლელად, ჩვენ ყოველი ამერიკელის სამსახურში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მძლავრი ძალები უნდა ჩავაყენოთ. (ფ)

ჩვენ ინტერნეტის სისტემის მეორე თაობა ისე და იმდაგვარად უნდა შევქმნათ, რომ ურთიერთობა ჩვენმა მოწინავე უნივერსიტეტებმა და ეროვნულმა ლაბორატორიებმა დღევანდელთან შედარებით ათასჯერ უფრო სწრაფად შეძლონ. (ვ)

რამდენადაც ინტერნეტი ყალიბდება ჩვენი ახალი „ქალაქის მოედნად“, ყველა სახლში კომპიუტერი - ეს არის მასწავლებელი ყოველ საგანში, კავშირი ყველა კულტურასთან. ეს უკვე აღარ არის ოცნება, არამედ არის აუცილებლობა, და შემდგომ ათწლეულში იგი ჩვენი მიზანი უნდა გახდეს.“ (ფ)

ახლა კომპიუტერული იმპერიის „მაიკროსოფტის“ მფლობელი **ბილ გეიტსის** ათიოდე წლის წინ ნათქვამი სიტყვები: „ბიჭები და გოგონები, რომლებიც დღეს შედიან კოლეჯში, „ინტერნეტული ცხოვრების წესს“ მისდევენ. ისინი ინტერნეტის გლობალურ კომპიუტერულ ქსელს იყენებენ, როგორც ურთიერთობის საშუალებას, მისი დახმარებით ყიდულობენ საჭირო საგნებს და გეგმავენ ცხოვრების განრიგს. ვფიქრობ, არის იმის საფუძველი, რომ 10 წლის შემდეგ „ინტერნეტული ცხოვრების წესს“ გაჰყვება მოზრდილ ამერიკელთა უმრავლესობა. (ფ)

პოპულარულმა ამერიკულმა ჟურნალმა „Vanity Fair“ გამოაქვეყნა საინფორმაციო ეპოქის ბიზნეს-ლიდერების რეიტინგი და გამოკითხვის შედეგები, რომელმაც დაადასტურა გეიტსის მოსაზრება მსოფლიოში ინტერნეტის პოპულარობის ზრდის შესახებ. მოსახლეობის დიდი ნაწილი ჩართულია ინტერნეტში, მათგან უმეტესმა განაცხადა, რომ მათთვის გლობალური კომპიუტერული ქსელი წარმოადგენს - „ცხოვრების განუყოფელ ნაწილს“, ქსელის მომხმარებლები ნაკლებ დროს უთმობენ ტელევიზორის ყურებას,

<sup>12</sup> იგივე ამოცანა დაისახა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა და წარმატებითაც ასორციელებს ჩანაფიქრს.

გაზეთებისა და ჟურნალების კითხვას (ე.ი. როგორც ზემოთ აღინიშნა, საინფორმაციო პოლიტიკის ტრადიციული სუბიექტების გავლენა სუსტდება).

ინტერნეტის ქსელის საშუალებით კომუნიკაციური სივრცის მოდერნიზაცია არ წარმოადგენს მარტო განვითარებული ქვეყნების პრიორიტეტს. მაგალითად, მსოფლიო ბანკმა განახორციელა ექსპერიმენტული პროექტი, რომლის ჩარჩოშიაც ექვს აფრიკულ ქვეყანაში 10 უნივერსიტეტი შეუერთდა უნივერსიტეტებს ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში აფრიკული ვირტუალური უნივერსიტეტის - კავშირის კომპიუტერული სათანამგზავრო არხის მეშვეობით.

მსოფლიო ბანკის წარმომადგენელთა აზრით, მთავარი მიზანია ის, რომ ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიები მრავალრიცხოვანი ფინანსური და ფიზიკური ბარიერების დასაძლევად იქნეს გამოყენებული, რომლებიც ხელს უშლის აფრიკული კოლეჯების სტუდენტებს მაღალხარისხოვანი უმაღლესი განათლების მიღებაში. (ფ)

FCC-ის კვლევების თანახმად, 2001 წელს მსოფლიო მასშტაბით ინფორმაციას ინტერნეტით მხოლოდ 20% იღებდა, დღესდღეობით ტელევიზიების რეიტინგი ინტერნეტმა გადაფარა და ეს მაჩვენებელი 70%-ით განისაზღვრება. 2011 წელს მსოფლიოში 2,1 მილიარდი ინტერნეტმომხმარებელი დაფიქსირდა [69]. სოციალური ქსელებიდან ამ წელს ყველაზე პოპულარული Facebook-ი იყო და მისმა მომხმარებელთა რაოდენობამ 800 მლნ. შეადგინა. Twitter-ს დარეგისტრირებული აკაუნტების რაოდენობამ კი 225 მლნ. შეადგინა [68]. 2011 წელს Facebook-ს 616 000 ქართველი მომხმარებელი ჰყავდა.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, საქართველოში მნიშვნელოვნად განვითარდა საინფორმაციო ტექნოლოგიები და შესაბამისად გაიზარდა ინტერნეტ მომხმარებელთა რაოდენობა: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მონაცემებით, 2008 წლის ბოლოს საქართველოში ინტერნეტ-მომხმარებლების რაოდენობა დაახლოებით 115 ათასს შეადგენს. შედარებისთვის 2007 წლის ანალოგიურ პერიოდში მათი რაოდენობა მიახლოებით 500000 იყო, 2009 წელს - მიაღწია 1.3 მილიონს, 2011 წელს კი - 1 500 000-ს ასცდა [8]

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის **დ. შაშკინის** განცხადებით, კომპიუტერიზაციის სამყაროში მოზარდების სწორი განვითარებისა და მომავალში საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია ბავშვს თავიდანვე ჰქონდეს ურთიერთობა თანამედროვე ტექნოლოგიებთან. სწორედ ამ მიზნით, საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით, საერთაშორისო ექსპერტების რეკომენდაციების საფუძველზე შეიქმნა ნეტ-ბუკი ”ბუკი”. ნეტ-ბუკებში ჩატვირთულია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისობაში მყოფი სასკოლო პროგრამები, ბავშვებისთვის შექმნილი შემეცნებითი თამაშები და რაც ასევე მნიშვნელოვანია, ხელმისაწვდომია ინტერნეტი.

სასწავლო პროცესში ნეტ-ბუკების ეფექტურად გამოყენების უზრუნველსაყოფად, სამინისტრომ ყველა პირველი კლასის დამრიგებელი ინფორმაციულ-საკომუნიკაციო

ტექნოლოგიებში გადაამზადა. მასწავლებლები ნეტ-ბუკების ფიზიკურ სტრუქტურასა და მასთან მუშაობას გაეცნენ, ასევე ისწავლეს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით გამდიდრებული გაკვეთილისა და სასწავლო პროექტების მომზადება.

საქართველოს მასშტაბით ყველა საჯარო სკოლა ინტერნეტიზებულია, აქედან გამომდინარე, ახალი სასწავლო წლიდან ნეტ-ბუკები სახელმძღვანელოებთან ერთად, პირველკლასელთათვის ინფორმაციის მიღების კიდევ ერთი უნიკალური საშუალება იქნება.

საქართველოში უკვე იქმნება კომპიუტერული საზოგადოებებიც. მაგალითად, საქართველოს კომპიუტერული საზოგადოების დანიშნულებაა ინფორმაციული საზოგადოების განვითარებისათვის ხელშეწყობა, დემოკრატიის მხარდაჭერა და პარტნიორ ორგანიზაციებთან, საზოგადოებებთან და კერძო სექტორთან თანამშრომლობა საზოგადოებრივ განვითარებაში წვლილის შეტანის მიზნით. კავშირის საქმიანობის ძირითადი მიზანია კანონით დადგენილი წესით ხელი შეუწყოს: საქართველოში კომპიუტერიზაციის განხორციელებას; საქართველოს მოქალაქეთა ინფორმატიზაციას; ინტერნეტის პროპაგანდას საქართველოში; ინტერნეტის ქსელის, როგორც თვისობრივად ახალი ტიპის გარემოს ჩამოყალიბებასა და განვითარებას; ქართული კომპიუტერული ტერმინოლოგიის დანერგვასა და განვითარებას; ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული სტანდარტების დამუშავებას; ინტეგრაციას ანალოგიური პროფილის საერთაშორისო სტრუქტურებში; საქართველოში განათლების სისტემის თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის საქმეს; სწავლების კომპიუტერული მეთოდებისა და ფორმების დანერგვას; ინტერნეტ-სწავლების დისტანციური ფორმების აქტიურ დანერგვასა და ხელშეწყობას; დისტანციური პროგრამული პაკეტების დამუშავება საზღვარგარეთელი დამკვეთებისათვის; მოქალაქეთა პროფესიულ მომზადებასა და მათი კვალიფიკაციის ამაღლებას; საქართველოს მეცნიერთა, ხელოვანთა, განათლებისა და კულტურის მუშაკთა პროფესიული ინტერესების დაცვასა და მხარდაჭერას; სამეცნიერო, საგანმანათლებლო და კულტურული პროექტების წარმოებასა და მხარდაჭერას; ინტერნეტის სფეროში მომუშავე პირთა სოციალური და პროფესიული უფლებებისა და ინტერესების სამართლებრივ დაცვას [49].

საქართველოში ინტერნეტის მოხმარების ხარისხი და დონე მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან შედარებით ჯერჯერობით დაბალია. აღნიშნული გარემოების მრავალ მიზეზთა შორის შეიძლება დასახელდეს: 1. ანტიმონოპოლიური რეგულირების არარსებობა; 2. ინტერნეტ პროვაიდერთა შორის არაჯანსაღი კონკურენცია; 3. ინტერნეტის დაბალი ხარისხი და მაღალი ფასი.

ჩამოთვლილი მიზეზების დაძლევა ხელს შეუწყობს როგორც ინტერნეტის ხარისხის გაუმჯობესებას, ასევე ინტერნეტ მომხმარებელთა რაოდენობის კიდევ უფრო მკვეთრ ზრდას საქართველოში. სხვათა შორის, დღეისათვის, Net Index-ის ინფორმაციით, მსოფლიოში ყველაზე სწრაფი ინტერნეტი ლიტვაში, ქალაქ ვილნიუსშია. ვილნიუსში



ინტერნეტის სიჩქარე წამში 36 მეგაბიტია. სწრაფი ინტერნეტის რეიტინგში მეორე და მესამე ადგილზე ჩინური ქალაქები ჰონკონგი და კოულუნი არიან. მეოთხე ადგილზე კი ისევ ლიტვური ქალაქი კაუნასი [50].

სახელმწიფო აღმშენებლობის ყველა სფეროში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შექმნა-დანერგვის, გამოყენება-განვითარებისა და დაცვის, აგრეთვე ქვეყნის საინფორმაციო უშიშროებისა და საინფორმაციო საზოგადოების მშენებლობის საკითხებზე სტრატეგიულ გადაწყვეტილებათა მისაღებად კიდევ უფრო ქმედითი ღონისძიებებია გასატარებელი. საინფორმაციო პოლიტიკის ამოცანებია საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში:

- სახელმწიფო პოლიტიკის, კერძოდ შიდასახელმწიფოებრივი, რეგიონალური, საერთაშორისო პოლიტიკის, ეკონომიკური, სოციალური, იურიდიული, ტექნიკური და სხვა ასპექტებში;
- ინსტიტუციონალური მშენებლობის, მათ შორის აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი სტრუქტურების განვითარების, სახელმწიფო კომისიების შექმნა-განვითარების, მიზნობრივი პროგრამებისა და პროექტების განხორციელების თვალსაზრისით;
- ქვეყნის ციფრული საკომუნიკაციო გარემოს ფორმირების, მათ შორის ციფრული გლობალური და ლოკალური ქსელების განვითარების, აგრეთვე საერთაშორისო და მსოფლიო გლობალური ქსელების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით;
- ქვეყნის ციფრული საინფორმაციო გარემოს ფორმირების, მათ შორის საერთო-სახელმწიფოებრივი და დარგობრივი საინფორმაციო ბანკებისა და მართვის კომპიუტერული სისტემების შექმნა-დანერგვის თვალსაზრისით;
- საზოგადოების გათვითცნობიერებისა და ცოდნის დონის ამაღლების, მათ შორის პოპულარიზაციის, სწავლა-განათლებისა და კადრების მომზადება-გადამზადების თვალსაზრისით;
- საკანონმდებლო უზრუნველყოფის, მათ შორის აუცილებელი ნორმატიული აქტების შემუშავებისა და არსებულ ნორმატიულ აქტებში ცვლილებების შეტანის ან საჭიროების შემთხვევაში მათი გაუქმების, აგრეთვე სტანდარტიზაციისა და უნიფიკაციის თვალსაზრისით;
- უცხოური ინვესტიციებისა და კრედიტების მოზიდვის, მათ შორის ამ ინვესტიციებისა და კრედიტების მიზნობრივი და რაციონალური გამოყენების თვალსაზრისით;
- ქვეყანაში ინფორმაციის მოპოვება-დამუშავებისა და გავრცელების ინდუსტრიის ფორმირების, მათ შორის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ხელმისაწვდომობისა და განვითარების უზრუნველყოფის თვალსაზრისით;

- ქვეყნის ელექტრონულ-საინფორმაციო სივრცის ფორმირების, მსოფლიო ელექტრონულ-საინფორმაციო სივრცეში ინტეგრირებისა და უშიშროების დაცვის სტრატეგიის შემუშავების თვალსაზრისით;
- საინფორმაციო საზოგადოების მშენებლობის, მათ შორის მშენებლობის სტრატეგიული გეგმის, აუცილებელი ეტაპებისა და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვის თვალსაზრისით.

ამრიგად, სახელმწიფო საინფორმაციო პოლიტიკის გრძელვადიან სტრატეგიულ მიზანად უნდა იქცეს საქართველოში ღია საინფორმაციო საზოგადოების განვითარების პროცესის სახელმწიფო ინტერესებთან შესაბამისობაში მოყვანისათვის ხელის შეწყობა, რაც მსოფლიო თანამეგობრობის განვითარების გლობალური ტენდენციების გათვალისწინებით აუცილებლობას წარმოადგენს მისი თანამედროვეობის შესატყვისი სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური განვითარებისათვის, პოლიტიკური მოდერნიზაციის პროცესების სრულყოფისათვის.

საქართველოს ხელისუფლების განსაკუთრებული ყურადღების საგანი მუდმივად უნდა იყოს სახელმწიფო მმართველობის კომპლექსური მრავალგანზომილებიანი ამოცანის – საინფორმაციო პოლიტიკის რეალიზაციის პრობლემა, რომელიც მოიცავს ნორმატიულ-სამართლებრივ, ორგანიზაციულ-ტექნოლოგიურ, ტექნიკურ-ეკონომიკურ, სოციალურ და საგანმანათლებლო კომპონენტებს.

## **5.2. სახელმწიფო საინფორმაციო პოლიტიკის სისტემური უზრუნველყოფის ძირითადი პარამეტრები**

საინფორმაციო პოლიტიკის ცნების განსაზღვრის, მისი ამოცანების, ფორმირებისა და რეალიზაციის პრინციპებისა და მექანიზმების განხილვის შემდეგ, შეიძლება უშუალოდ საინფორმაციო პოლიტიკის სტრუქტურული და ტექნოლოგიური ასპექტების და ძირითადი ამოცანების ანალიზზე, მისი ნორმატიულ-სამართლებრივი, ორგანიზაციულ-ტექნოლოგიური, ტექნიკურ-ეკონომიკური, სოციალური და საგანმანათლებლო კომპონენტების განხილვაზე გადავიდეთ.

მსოფლიოში ამჟამად მიმდინარე პროცესები - კომუნიკაციისა და ინფორმაციის უბნებზე რევოლუციური გარდაქმნები, მასობრივი კომპიუტერიზაცია, უახლესი საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვა და სრულყოფა, როგორც ზემოთ აღინიშნა, მიუთითებს ცივილიზაციის არნახულ მასშტაბებსა და პერსპექტივაზე. ეს ფაქტორები მნიშვნელოვან როლს თამაშობს პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სოციალური ცხოვრების სფეროებში კაცობრიობის მკვეთრი ნახტომების შემზადებაში.

დღეს, განსხვავება ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ ეკონომიკურ სისტემებსა და „ხარჯვით“ ინდუსტრიულ ბაზისზე დაყრდნობილ სისტემებს შორის, როგორც მეცნიერი *მანუელ კასტელსი* აღნიშნავს, იმ განსხვავების ექვივალენტურია, რომელიც

არსებობდა ინდუსტრიულ და აგრარულ საზოგადოებებს შორის XX საუკუნის დასაწყისში. ინფორმაცია დედამიწის გლობალურ სივრცეში უმნიშვნელოვანეს საკვანძო როლს თამაშობს და მას სულ უფრო დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია ნებისმიერი სახელმწიფოს, მათ შორის საქართველოს განვითარებასა და მის ეროვნულ უშიშროებაზე. შესაბამისად საქართველოს ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის სისტემის ანალიზი გვიჩვენებს, რომ აუცილებელია განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს ინფორმაციული ფაქტორების გააქტიურებას. რადგანაც, დღეს, გააზრებული საინფორმაციო პოლიტიკა, როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის იარაღს წარმოადგენს და ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის ხელსაყრელი საშუალებაა.

ამ თვალსაზრისით, მდგომარეობის გამოსასწორებლად წინა წლებში იყო გარკვეული მცდელობა. მაგალითად, საქართველოს პრეზიდენტის მიერ 2000 წელს გამოცა განკარგულება „საქართველოში ინფორმატიზაციის განვითარების ხელშეწყობის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“ (№ 865, 04.08.00) რომელიც ითვალისწინებდა: საქართველოს მოქალაქეთა სავალდებულო დაზღვევის, დასაქმებისა და საპენსიო სისტემებისათვის პერსონიფიკაციის ავტომატიზაციის, ფიზიკური და იურიდიული პირების და მათი დასაბეგრი რესურსების იდენტიფიკაციისა და საქართველოს იურიდიული სივრცის ელექტრონიზაციას; ფიზიკური პირების პერსონიფიკაციას; საქართველოს იურიდიული სივრცის ელექტრონიზაციას; საინფორმაციო ტექნოლოგიების ბაზრის შექმნის ხელშეწყობ ღონისძიებათა გატარებას; განათლების რეფორმის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და ინფორმატიკის ცენტრების კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვის პირველი ეტაპის (ერთი კომპიუტერული კომპლექტით 200 სკოლა, კლას-კომპლექტით 100 სკოლა, სათანადო ტექნიკით 29 ცენტრი) დამთავრებას; ინფორმატიზაციის პრიორიტეტულ მიმართულებად ქართულენოვანი კომპიუტერული სისტემების (მათ შორის სასწავლო და საგანმანათლებლო დანიშნულების) შექმნა-დანერგვის გამოცხადებას; გეოინფორმაციული სისტემების აგებასა და მონაცემთა ბაზის ფორმირებას და სხვ.

სამწუხაროდ, ამ საკითხისადმი არასისტემური მიდგომა და ცალკეული ნორმატიული აქტების გამოცემა ამ პრობლემას ვერ გადაჭრიდა. პოლიტიკური მოდერნიზაციის პროცესში სახელმწიფო საინფორმაციო პოლიტიკის მრავალგანზომილებადი ფუნქციური ამოცანა გულისხმობს რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემის კომპლექსურ გადაჭრას, რის გარეშეც საინფორმაციო პოლიტიკა ვერ გახდება ეფექტური და შესაბამისად ვერ იქნება მიღწეული სახელმწიფოს საინფორმაციო სივრცის ერთიანობა და მთლიანობა, აქედან გამომდინარე, ინფორმაციული უშიშროებაც.

პოლიტიკური მოდერნიზაციის პირობებში საინფორმაციო პროცესები და ამ პროცესების ტექნოლოგიური უზრუნველყოფა, პირველ ყოვლისა, საჭიროებს ეროვნულ საინფორმაციო კანონმდებლობაზე დაფუძნებულ სამართლებრივ რეგულირებას, მით უმეტეს ინფორმაციულ ერაში გარდამავალ ეტაპზე. ინფორმაციისა და ინფორმატიზაციის

პრობლემატიკა სამართლებრივი რეგულირების თვალსაზრისით „ინფორმაციის ერაში“ უფრო დიდ ყურადღებას ითხოვს, ვიდრე ინდუსტრიალიზაციის ეპოქაში [52]. საინფორმაციო სამართლის დარგის შექმნას უთუოდ პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რადგან ამ მიმართულებით მეცნიერულ კვლევას ლოგიკურად უნდა მოჰყვეს ინფორმაციული ურთიერთობების ახლებური გააზრება, რაც სახელმწიფოს ინფორმაციული სივრცისა და სუვერენიტეტის დაცვის, საზოგადოების ინფორმაციული უშიშროების უზრუნველყოფის გარანტი იქნება. საქართველოს საინფორმაციო კანონმდებლობის დასაყრდენი უნდა გახდეს საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის კანონები, ასევე, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებები და ხელისუფლების სხვა ორგანოთა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები.

მათ უნდა დააფიქსიროს სამართლებრივ ველში სახელმწიფო საინფორმაციო პოლიტიკის ფუნქციური ამოცანების გადაჭრის დონე და მათი გადაწყვეტის ყველა ასპექტის სამართლებრივი საფუძვლები. სწორედ ამ საინფორმაციო კანონმდებლობამ, უფრო ზუსტად, საინფორმაციო კანონმდებლობის ნორმათა ერთობლიობამ უნდა განსაზღვროს ინფორმაციულ სფეროში საქმიანობის სხვადასხვა ასპექტებისათვის ერთიანი წესები (ინფორმაციული უშიშროების უზრუნველყოფის ძირითადი წესების ჩათვლით).

ამრიგად, პოლიტიკური მოდერნიზაციის პროცესში სახელმწიფო საინფორმაციო პოლიტიკის ამოქმედებისა და მისი ქმედითობის მიღწევის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია საინფორმაციო კანონმდებლობის, როგორც სხვადასხვა დონეების ურთიერთდაკავშირებული სამართლებრივი აქტების, ერთიანი სისტემის ფორმირება და განვითარება.

საინფორმაციო პოლიტიკის ფუნქციური ამოცანების გადაჭრის ორგანიზაციულ-ტექნოლოგიური კომპონენტების გამოსავლენად საჭიროა ეს ფუნქციური ამოცანები განვიხილოთ, როგორც ინფორმაციის დამუშავების განზოგადებული პროცესები, რომლებიც, თავის მხრივ, მოიცავს შემდეგ ეტაპებს: საწყისი ინფორმაციის შეკრება, დაგროვება, შენახვა, პირველადი დამუშავება (ფილტრაცია) და აქტუალიზაცია; კომპლექსური განხილვა, სტატისტიკური და ანალიტიკური დამუშავება, რეკომენდაციების (მეორადი ინფორმაციის) შემუშავება; გადაწყვეტილებების მისაღებად საწყისი და მეორადი ინფორმაციების მასივების გამოყენება, ინფორმაციული ზემოქმედებისა და მართვადი ზემოქმედების სპეციალური ფორმების ჩამოყალიბება და შესაბამისად შესაძლო შედეგების პროგნოზირება; საწყისი და მეორადი ინფორმაციების, ინფორმაციული ზემოქმედების, აგრეთვე, მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების შესახებ დოკუმენტირებული ინფორმაციის გავრცელება და გადაცემა.

პირველადი ინფორმაციის შეკრების, დაგროვების ეტაპის და მისი კომპლექსური განხილვის საფუძველზე მეორადი ინფორმაციის სტატისტიკური და ანალიტიკური დამუშავების ეტაპის პრაქტიკულ შედეგს წარმოადგენს სახელმწიფოს საინფორმაციო

სარესურსო (ფაქტოგრაფიული, დოკუმენტური, პრეცედენტების, ცოდნის და სხვა) ბაზების ფორმირება. საინფორმაციო რესურსების სპეციფიკური თავისებურება, რომელიც მათ სხვა ბუნებრივი რესურსებისგან განასხვავებს, იმაში მდგომარეობს, რომ ეს რესურსები, წარმოადგენს რა ადამიანთა ინტელექტუალური მოღვაწეობის პროდუქტს, მათი გამოყენებისდაკვალად არ „ორთქლდებიან“, ანუ არ იხარჯებიან უკვალოდ, პირიქით, ხასიათდებიან მზარდი მოცულობითი კვლავწარმოებით.

ქვეყნის საინფორმაციო რესურსები იქმნება როგორც ხელისუფლების ორგანოებისა და სახელმწიფო ინსტიტუტების, ისე სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუციური სტრუქტურების და ცალკეული მოქალაქეების მიერ. ამდენად, ეროვნული საინფორმაციო რესურსები იყოფა: უშუალოდ სახელმწიფო ხელისუფლების მიერ ფორმირებულ სახელმწიფოებრივ რესურსებად; სხვა სუბიექტების (სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუციური სტრუქტურების, ცალკეული მოქალაქეების) მიერ ფორმირებულ არასახელმწიფოებრივ რესურსებად.

სახელმწიფო ხელისუფლების მიერ სპეციალური სახელმწიფო ინფორმაციული რესურსის შექმნის ერთ-ერთ კონკრეტულ მაგალითს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის საინფორმაციო-ანალიტიკურ სამსახურში 1997 წელს შექმნილი სტრატეგიული კვლევისა და გლობალური მოდელირების სისტემა „დიდგორი“, რომელიც წარმოადგენს ინფორმაციის მიღება-გადაცემის, მისი დამუშავების, შენახვის და ასახვის პროგრამულ და ტექნიკურ საშუალებათა ერთობლიობას.

თანამედროვე ეტაპზე ქვეყნის განვითარების დონეს, მის სტატუსს მსოფლიო გაერთიანებაში ბევრად განაპირობებს საინფორმაციო რესურსების მოცულობა, ხარისხი და ხელმისაწვდომობა, იგი ამ სტატუსის განსაზღვრის ერთ-ერთ უპირველეს მანკენებლად იქცა.

ამასთან, ხაზი უნდა გაესვას თანამედროვე ეტაპისათვის დამახასიათებელ ორ არსებითად მნიშვნელოვან (განსაკუთრებით ახლად წარმოქმნილი სახელმწიფოებისათვის) ფაქტს:

- ეროვნული საინფორმაციო რესურსების (როგორც სახელმწიფო, ისე არასახელმწიფო) შევსების უმნიშვნელოვანესი წყარო გახდა მსოფლიო გაერთიანებასთან ინფორმაციის ტრანსსასაზღვრო მიმოცვლა. ამასთან, უკვე თვით საკუთარი ეროვნული საინფორმაციო რესურსები წარმოადგენს ინფორმაციის წყაროს საზღვარგარეთისათვის (სახელმწიფოების, ორგანიზაციების და სხვა ინსტიტუტებისათვის);
- საინფორმაციო უშიშროების უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია არა მხოლოდ ეროვნულ საინფორმაციო რესურსებში არსებული ინფორმაციის უშუალო დაცვა, არამედ ამ რესურსების ორგანიზაციულ-ტექნოლოგიური გაწყობისა და მართვის საკითხები, რადგანაც ქვეყნის უშიშროებისათვის საინფორმაციო რესურსების დეზორგანიზაციას ისევე დიდი ზარალის მოტანა შეუძლია, როგორც

მათი ინფორმაციული მასივების შინაარსის წინასწარგანზრახულ თუ წინასწარგანზრახველ დამახინჯებას.

შესაბამისად, საქართველოში საინფორმაციო პოლიტიკა იმდაგვარად უნდა წარიმართოს, რომ ქვეყნის ეროვნულმა ინფორმაციულმა რესურსებმა ერთიანი, ურთიერთშეკავშირებული და ურთიერთშეხამებული სისტემა შექმნან, რომელმაც უნდა გამორიცხოს:

- მათ შენახვაზე ზედმეტი დანახარჯების, აგრეთვე ინფორმაციული დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვისას (რომელსაც ახასიათებს ინფორმაციის დუბლირების სიჭარბე, გამოუსადეგარი ინფორმაციული მასივების ზრდა და სხვ.) „ინფორმაციული ქაოსისა და განუკითხაობის“ წარმოქმნა;
- ცალკეული საინფორმაციო მასივების აქტუალიზაციასა და ფორმირებაზე პასუხისმგებლობების, მოვალეობების არასათანადო გადანაწილებასა და გაპიროვნების გამო, ინფორმაციის უზუსტობა ან მისი შესაძლო დანაკარგები.

პოლიტიკური მოდერნიზაციის პროცესში სამოქალაქო საზოგადოებისა და ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის ინფორმაციული უზრუნველყოფის ხარისხს, პირველ ყოვლისა, განსაზღვრავს საინფორმაციო რესურსების სისრულე, უტყუარობა, აქტუალიზაცია, დროულობა, არაწინააღმდეგობრიობა, დაცულობა და ამ მაჩვენებელთა დაბალანსების დონე. სწორედ ეროვნული საინფორმაციო რესურსების სისტემის ურთიერთდაკავშირებულობა და ერთიანობა წარმოადგენს ეროვნული საინფორმაციო სივრცის ერთიანობისა და მთლიანობის უზრუნველყოფის აუცილებელ პირობას.

ამრიგად, პოლიტიკური მოდერნიზაციის პროცესში სახელმწიფოს საინფორმაციო პოლიტიკის წარმატების უზრუნველყოფის კიდევ ერთი გადამწყვეტი ფაქტორია ეროვნული საინფორმაციო რესურსების ერთიანი, ურთიერთდაკავშირებული სისტემის ფორმირება და განვითარება (ქვეყნის საინფორმაციო სივრცის ერთ მთლიანობაში ინტეგრირება).

ხელისუფლების ორგანოების (და არა მარტო მათი) საქმიანობის საინფორმაციო უზრუნველყოფის ხარისხს, ზემოთ ჩამოთვლილ ასპექტებთან ერთად განსაზღვრავს, აგრეთვე, გამჭვირვალე და საჯარო საინფორმაციო ინფრასტრუქტურა, ეროვნულ საინფორმაციო რესურსებთან ხელმისაწვდომობის სიადვილე, მათში არსებული ინფორმაციის გამოყენებისა და გავრცელების შესაძლებლობის არსებობა. ამის გარდა, თვით ეროვნული საინფორმაციო რესურსების სისტემის ეფექტური განვითარებისათვის აუცილებელია ბიბლიოთეკებს, არქივებს, ფონდებს, მონაცემთა ბანკებს და სხვა საინფორმაციო სისტემებს შორის ინფორმაციის ურთიერთგაცვლის ფართო შესაძლებლობების უზრუნველყოფა, როგორც სამამულო, ასევე საზღვარგარეთული რესურსების ჩათვლით.

საქართველოში ზოგიერთ რგოლში გარკვეული ძვრები დაწყებულია. მაგალითად, მოხდა საჯარო და პერსონალური მონაცემების კლასიფიცირება და, რომლის თანახმად, ღიად გამოცხადდა ყველა ტიპის საჯარო ინფორმაცია, თუ იგი ზიანს არ აყენებს ეროვნულ უშიშროებას და დანაშაულის გამოძიებას. ინფორმაცია შეიძლება იყოს

გასაიდუმლოებული კონკრეტული კრიტერიუმების დაცვით და არაუმეტეს 5 წლის ვადით. ინფორმაციისადმი ინტერესის დაკმაყოფილება ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია, საჯარო დაწესებულების მხრიდან უარის თქმის შემთხვევაში საქმე სასამართლოში განიხილება. ინფორმაციის ამ ხარისხის გამჭვირვალობა ბევრ გადაუჭრელ პრობლემას მოაგვარებს.

ეროვნულ საინფორმაციო რესურსებთან ერთად, პოლიტიკური მოდერნიზაციის პროცესში სახელმწიფოს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის ფორმირება და განვითარება სახელმწიფო საინფორმაციო პოლიტიკის ფუნქციური ამოცანების გადაწყვეტის ორგანიზაციულ-ტექნოლოგიური ფუნდამენტია.

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურში იგულისხმება საინფორმაციო პროდუქციის ძებნის, შენახვის, გავრცელების, გამოყენების და საზოგადოებისა და სახელმწიფოს საქმიანობის ყველა სფეროში მომსახურების ორგანიზაციული და ტექნოლოგიური საშუალებების კომპლექსი, რომელიც შეიცავს საინფორმაციო რესურსების ტერიტორიულად განაწილებულ დეპოზიტარიებს, სახელმწიფოებრივ და კორპორაციულ კომპიუტერულ ქსელებს, ტელესაკომუნიკაციო ქსელებსა და საერთო გამოყენებისა და სპეციალური დანიშნულების სისტემებს, კავშირგაბმულობის ხაზებს, მონაცემთა გადაცემის არხებსა და ქსელებს, საინფორმაციო ნაკადების მართვისა და კომუტაციის საშუალებებს, მართვისა და კონტროლის ორგანიზაციულ სტრუქტურებს.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა პოლიტიკური მოდერნიზაციის პროცესში, რომლის ორგანიზაციულ-ტექნოლოგიურ დონეზე გადაწყვეტაც უნდა უზრუნველყოს საინფორმაციო-კომუნიკაციურმა ინფრასტრუქტურამ - არის მასების ინფორმაციით უზრუნველყოფის საყოველთაო ხასიათი და, შესაბამისად, უახლესი საკომუნიკაციო საშუალებების და ტექნოლოგიების გამოყენებით გადაწყვეტოს მასობრივი ინფორმაციის მიმოცვლის ამოცანა. ამიტომ ამ ინფრასტრუქტურის განუყოფელ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს მასობრივი ინფორმაციის ტრადიციული საშუალებები.

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებისა და სრულყოფის თანამედროვე ტენდენციების ანალიზი ცხადყოფს, რომ ახლო მომავალში ტრადიციული მასმედია მთლიანად იქნება ინტეგრირებული (შთანთქმულიც კი) თანამედროვე კომპიუტერული სისტემებსა და მასობრივი ინფორმაციული მიმოცვლისა და მასობრივი კომუნიკაციების ქსელებში. ეს კი მომხმარებელს აუდიო-, ვიდეოინფორმაციისა და ციფრული მონაცემების გადაცემის ერთიანი კომპლექსური არხის მეშვეობით, რეალურ დროში საერთო სარგებლობის ნებისმიერი საინფორმაციო რესურსების გამოყენების საშუალებას მისცემს. ამიტომ ის განსაკუთრებული ფუნქცია, რომელსაც დღეს ტრადიციული მასმედია ასრულებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში (მასობრივი თვითშეგნების ფორმირება, ხელისუფლებისა და მისი ინსტიტუტების საქმიანობის შესახებ საზოგადოების ინფორმირება, ხელისუფლების გადაწყვეტილებებსა და ქმედებებზე საზოგადოების რეაქციის ასახვა, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული იდეებისა და ცოდნის გავრცელება) თანდათანობით ამგვარ სისტემებსა და ქსელებში გადავა.

ამ შემთხვევაში რამდენადმე გამარტივდება ტრადიციული მასმედიის წინაშე დღეს არსებული მრავალი პრობლემის გადაწყვეტა, კერძოდ, ინფორმაციის დამოუკიდებელი წყაროების შენარჩუნებისა და გაფართოების, აზრთა პლურალიზმის უზრუნველყოფის, ინფორმაციის მასობრივი გავრცელებისა და მოხმარების თავისუფლების, მასობრივი ინფორმირების საშუალებათა მონოპოლიზაციის, საინფორმაციო სფეროში მმართველი ელიტებისა და კორპორაციული გაერთიანებების კონიუნქტურული ზემოქმედების, მასობრივი ინფორმაციისადმი საზოგადოების უნდობლობის პრობლემები, რადგან ძლიერ შეიზღუდება სახელმწიფო ბიუროკრატიული აპარატის მხრიდან ჩარევის შესაძლებლობები.

ამავე დროს, ზოგი პრობლემა, პირიქით, არსებითად გართულდება კიდევაც. პირველეს ყოვლისა, ეს ეხება საინფორმაციო სფეროში ეროვნული უშიშროების ინტერესების ბალანსის შენარჩუნებისა და წინასწარგანზრახული და წინასწარგანუზრახველი დეზინფორმაციის მასობრივი გავრცელების თავიდან აცილების პრობლემებს, აგრეთვე, ისეთი ინფორმაციის გავრცელებას, რომელიც არყვეს კონსტიტუციური წყობის, საზოგადოების მორალურ-ზნეობრივ და სულიერ საფუძვლებს. არადა საინფორმაციო უშიშროების უზრუნველყოფა სახელმწიფოს ინფრასტრუქტურის საინფორმაციო-საკომუნიკაციო განვითარებისა და ფორმირების ამოცანათა გადაჭრის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილია.

ეს გლობალური ფუნქციური ცვლილებები კი მთლიანობაში, არსებითად დიდ სირთულეებს გამოიწვევს საინფორმაციო უშიშროების უზრუნველყოფის პრობლემათა მთელ კომპლექსში. სახელმწიფოს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურას განსაკუთრებული ადგილი უკავია საზოგადოებრივი წარმოების მსხვილ ინფრასტრუქტურებს შორის, რადგან სწორედ ეს ინფრასტრუქტურა თამაშობს განმსაზღვრველ როლს როგორც ქვეყნის საინფორმაციო სივრცის მთლიანობისა და ერთიანობის, ასევე მსოფლიო საინფორმაციო სივრცეში მისი წარმატებული ინტეგრაციის ორგანიზაციულ-ტექნოლოგიურ უზრუნველყოფაში, რომლის საფუძველიც სწორედ ეროვნული საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის გლობალურ მსოფლიო ინფრასტრუქტურაში ჩართვაა. ამასთან, საქართველოსთვის ერთიანი საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის შექმნა საქართველოს ყველა რეგიონის საერთო სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში ჩაბმის შედეგად, სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისა და ერთიანობის უზრუნველყოფის აუცილებელი პირობაა.

ამრიგად, პოლიტიკური მოდერნიზაციის პროცესში ორგანიზაციულ-ტექნოლოგიური დონის სახელმწიფო საინფორმაციო პოლიტიკის სისტემად ჩამოყალიბების კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს სახელმწიფოს ერთიანი საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის ფორმირება და განვითარება, რომელსაც ქვეყნის საინფორმაციო სივრცის მთლიანობისა და ერთიანობის და მისი მსოფლიო საინფორმაციო სივრცეში ინტეგრაციის უზრუნველყოფაში განსაზღვრული როლი აკისრია.

ინფორმაციის დამუშავების განზოგადებული პროცესის ყველა ეტაპი, მათ შორის პირველადი და მეორადი ინფორმაციის გამოყენების საფუძველზე გადაწყვეტილებების



მიღების ეტაპიც, შესაბამის ტექნოლოგიურ უზრუნველყოფას - თანამედროვე საინფორმაციო და ტელესაკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას – მოითხოვს. თანამედროვე საინფორმაციო და ტელესაკომუნიკაციო ტექნოლოგიები პროგრამული, ტექნიკური და ორგანიზაციული საშუალებების ისეთ ერთობლიობას წარმოადგენს, რომლებიც ინფორმაციის დამუშავებისას განსაზღვრული ამოცანების გადასაწყვეტად ერთიან ფუნქციურ სტრუქტურაშია გაერთიანებული და ინფორმაციის კომპიუტერული დამუშავებისა და გადაცემის, კავშირგაბმულობისა და კომუტაციის, საინფორმაციო სისტემებისა და ქსელების აგებისა და ექსპლუატაციის, ერთიან ფუნქციურ კომპლექსში ინფორმაციის სხვადასხვა სახეობების, ტექნიკური მოწყობილობებისა და მათი რეალიზაციის ტექნიკურ საშუალებათა ინტეგრაციის ტექნოლოგიებს შეიცავს.

საინფორმაციო და ტელესაკომუნიკაციო ტექნოლოგიების, კომპიუტერიზაციისა და ინფორმატიზაციის საშუალებებისა და კომპლექსების პროგრამული უზრუნველყოფის, ინფორმაციული მასივებისა და მონაცემთა ბაზების დამუშავება და წარმოება საზოგადოებრივი წარმოების ერთ-ერთ ყველაზე უფრო დინამიურად განვითარებად და მაღალრენტაბელურ სექტორს წარმოადგენს.

სახელმწიფო წარმოების ეს სექტორი უნდა განვიხილოთ, როგორც ინფორმაციული ინდუსტრია - ეკონომიკის დამოუკიდებელი დარგი, რომელიც ქვეყნის საინფორმაციო სივრცის ტექნიკურ-ეკონომიკურ ბაზას წარმოადგენს და, მაშასადამე, სისტემური მიდგომის დროს მიმდინარე საინფორმაციო პოლიტიკის ჩარჩოებში სახელმწიფო მმართველობის ობიექტად უნდა გადაიქცეს.

საქართველოში 90-იანი წლების დასაწყისიდან შეიმჩნევა ეკონომიკის ინფორმაციული სფეროს ზრდა. მსოფლიოში მიმდინარე სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის და კომპიუტერიზაციის მძლავრ პროცესებს პოსტსაბჭოთა სივრცეში და საქართველოში ახალი ტერმინების ინფორმაციული ეკონომიკის, ინფორმაციული ინდუსტრიის, ელექტრონული ვაჭრობის, ჰოსტინგის თანდათანობითი დამკვიდრება მოჰყვა [48].

სამეცნიერო-ტექნიკური და საწარმოო პოტენციალი და საინფორმაციო ინდუსტრიის მომსახურებისა და პროდუქციის ბაზარი სახელმწიფო საინფორმაციო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს ტექნიკურ-ეკონომიკურ ფაქტორებს წარმოადგენს, შესაბამისად სახელმწიფო საინფორმაციო სივრცის ერთიანობის უზრუნველყოფისა და საინფორმაციო სფეროში ეროვნული ინტერესების დაცვის მიზნით, მოითხოვს მათი, როგორც ერთიანი ტერიტორიულ-გამანაწილებელი სისტემის, განვითარების დარეგულირებასა და ორგანიზაციას.

საქართველოს საინფორმაციო ინდუსტრიის სამეცნიერო-ტექნიკურ და საწარმოო პოტენციალს წარმოადგენს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას უნივერსიტეტი და სხვ. ისინი დაკავებულნი იქნებიან საინფორმაციო სფეროში ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევებით, პროექტირებით, ტექნოლოგიების, სისტემების, პროგრამული უზრუნველყოფის, ინფორმატიზაციის ტექნიკური საშუალებების, გამოთვლითი და ტელესაკომუნიკაციო ტექნიკისა და

კავშირგაბმულობის საშუალებების შემუშავებითა და წარმოებით, ასეთი სისტემებისა და ტექნიკის დანერგვით, ექსპლუატაციითა და სამეცნიერო-ტექნიკური თანხლებით.

სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზი საინფორმაციო ინდუსტრიის სამეცნიერო-საწარმოო პოტენციალის ფორმირებასა და განვითარების შესახებ ცხადყოფს, რომ ამ საკითხისადმი ძირითადად ორი მიდგომა არსებობს.

პირველ შემთხვევაში ორიენტაცია აღებულია საზღვარგარეთული სამეცნიერო გამოკვლევების, ტექნოლოგიების, სისტემებისა და საწარმოო პროდუქციის მაქსიმალურ გამოყენებაზე. ასეთი მიდგომის რეალიზაციისას მკვეთრად მცირდება ეროვნული სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი, ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო კვლევები, პროექტული და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები ტარდება მინიმალური მოცულობით, საწარმოო პოტენციალი გადართულია ტექნიკური სისტემებისა და საზღვარგარეთული წარმოების საშუალებების დანერგვაზე, რომელთა შესყიდვაზეც, ძირითადად, გამოიყენება სახელმწიფოს ფინანსური რესურსები საინფორმაციო სფეროში. ფაქტობრივად, ეროვნული საინფორმაციო ინდუსტრია გადადის სერვისული მომსახურებისა და უცხოური ლიცენზიების მიხედვით მასობრივი მოხმარების პროდუქციის წარმოების დონეზე. თუმცა ასეთი მიდგომის დროს შესაძლებელია სახელმწიფოს საინფორმაციო სფეროს ფორმირება მოწინავე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და მსოფლიო დონის ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით და მისი ინტეგრაციის გამარტივება მსოფლიო საინფორმაციო სივრცეში, მაგრამ ამით ქვეყანა უცხოელი მეწარმეების მკაცრ ტექნოლოგიურ და ეკონომიკურ დამოკიდებულებაში ექცევა, რაც საინფორმაციო სფეროში სახელმწიფოს ინტერესებსა და უშიშროებას რეალურ საფრთხეს უქმნის.

მეორე მიდგომა მხოლოდ საკუთარ სამეცნიერო გამოკვლევებზე, ტექნოლოგიებზე, სისტემებსა და წარმოების ტექნიკურ საშუალებებზე ორიენტაციას ეფუძნება. თანამედროვე პირობებში ეროვნული საინფორმაციო ინდუსტრიის შექმნა, რომლის პროდუქციაც ყველა მიმართულებით შეესაბამება საინფორმაციო სფეროში ტექნიკისა და მეცნიერების მოწინავე მიღწევებს, საერთაშორისო ინტეგრაციის გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია. ამასთან, თუ ქვეყანას შეუძლია ეკონომიკის სხვა სექტორებიდან საინფორმაციო ინდუსტრიის განვითარებისათვის გამოყოს და დახარჯოს უზარმაზარი ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები, ეს მას კიდევ არ აძლევს იმის გარანტიას, რომ შეძლებს ფეხი აუწყოს განვითარების მსოფლიო დონეს. ასეთმა მიდგომამ შეიძლება გამოიწვიოს მხოლოდ თვითიზოლაცია და, როგორც წესი, გეოპოლიტიკურ პროცესებზე ქვეყნის ზეგავლენის შემცირება, მისი სამეცნიერო და ტექნოლოგიური ჩამორჩენა არა მხოლოდ საინფორმაციო სფეროში, მსოფლიო საინფორმაციო სივრცეში ინტეგრაციის არსებითი გართულება და ამასთან გაიზარდოს ეროვნული ინფორმაციული უშიშროების საფრთხეც.

ამიტომ, ამ ორი მიდგომის დადებითი და უარყოფითი ასპექტებიდან გამომდინარე, საქართველოს სახელმწიფო საინფორმაციო პოლიტიკა საინფორმაციო ინდუსტრიის სამეცნიერო-ტექნიკური და საწარმოო პოტენციალის ფორმირებისა და განვითარების სფეროში უნდა იყოს საკმაოდ მოქნილი და საინფორმაციო სფეროში გაითვალისწინოს როგორც ტექნოლოგიური და ეკონომიკური დამოუკიდებლობისა და უშიშროების უზრუნველყოფის, ასევე ამ სფეროში საერთაშორისო ინტეგრაციის აუცილებლობა.

ამჟამად, საინფორმაციო პროდუქციისა და მომსახურების ბაზარი მსოფლიო ბაზრის ერთ-ერთი ყველაზე რენტაბელური და დინამიურად განვითარებადი სექტორია. ამ ბაზრისათვის, რომლის არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ გეოპოლიტიკური მნიშვნელობაც საინფორმაციო საზოგადოებაში გადასვლის კვალობაზე განუხრელად იზრდება, მიმდინარეობს აქტიური კონკურენციული ბრძოლა განვითარებულ ქვეყნებს შორის. მათ ნათლად აქვთ გაცნობიერებული ის, რომ მსოფლიო საზოგადოებაში მათი სტატუსი სწორედ ამ ბაზრის მდგომარეობასა და როლზეა ბევრად დამოკიდებული.

საქართველოში საინფორმაციო პროდუქციისა და მომსახურების ბაზარი ჩამოყალიბების პროცესშია და, შესაბამისად, ჯერჯერობით ვერ ახერხებს სათანადო ინტეგრირებას მსოფლიო ბაზარზე. უპირველეს ყოვლისა, ამ ბაზარს (ისევე როგორც პროდუქციისა და მომსახურების სხვა სახის ყველა ბაზარს საქართველოს ეკონომიკურ სივრცეში) მტკიცე განვითარების და სტაბილურობის მისაღწევად საკანონმდებლო ან სხვა ნორმატიული სამართლებრივი რეგულირება ესაჭიროება, რომელიც ბაზრის ყველა მონაწილეს მათი საქმიანობისათვის სავალდებულო თანაბარი პირობებითა და წესებით უზრუნველყოფს, რომელიც სტიმულს მისცემს სამამულო სამეწარმეო კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებას. ამ მნიშვნელობით მოცემული ბაზარი არ წარმოადგენს რაიმე გამონაკლისს და მისი დარეგულირება უნდა განხორციელდეს საერთო-სახელმწიფოებრივი ეკონომიკური პოლიტიკის ფარგლებში, საგადასახადო, საინვესტიციო და საბაჟო პოლიტიკის ჩათვლით.

საინფორმაციო პროდუქციისა და მომსახურების საქართველოს ბაზრის არსებითი თავისებურება ისაა, რომ ჯერ ვერ არის სათანადო განვითარებული პირადი მოხმარებისა და ინდივიდუალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად მიმართული მომსახურების სექტორი. ბაზრის ცალმხრივი სამომხმარებლო ორიენტაცია სერიოზულად ზღუდავს მისი განვითარების შესაძლებლობებს და სამოქალაქო საზოგადოების საინფორმაციო სფეროსთან შედარებით საინფორმაციო სივრცის დეფორმაციას იწვევს სახელმწიფო ხელისუფლების საინფორმაციო სფეროს წინმსწრები ტემპებით განვითარების ხარჯზე. ამგვარი დეფორმაციის ობიექტური მიზეზებია მოსახლეობის კეთილდღეობის ჯერ კიდევ არასაკმარისი დონე და საქართველოში მაღალი ტექნოლოგიების დარგში მიღწევების მასობრივ მოხმარებაში სწრაფი დანერგვის გამოცდილებისა და პრაქტიკული ჩვევების არარსებობა. საქართველოს საინფორმაციო ბაზრის თავისებურებაა აგრეთვე, არალიცენზირებული და არასერტიფიცირებული

პროდუქტებისა და მომსახურების ფართო გავრცელება, განსაკუთრებით პროგრამული უზრუნველყოფის არალეგალური კოპირება და გამოყენება.

ამრიგად, პოლიტიკური მოდერნიზაციის პროცესში დეფორმაციების აღმოფხვრა და საინფორმაციო პროდუქციისა და მომსახურების ბაზრის ცივილიზებულად განვითარება, რომელიც საინფორმაციო სივრცის ტექნიკურ-ეკონომიკური სისტემის ერთ-ერთი ფაქტორია და საინფორმაციო უშიშროების უზრუნველყოფის სისტემაში მნიშვნელოვან ობიექტს წარმოადგენს, სახელმწიფო საინფორმაციო პოლიტიკისა და სახელმწიფო მმართველობის საგანი უნდა გახდეს.

სახელმწიფო საინფორმაციო პოლიტიკის ფუნქციური ამოცანების გადასაწყვეტად და, ამასთან ერთად, საინფორმაციო სფეროში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების ეფექტური გამოყენებისათვის არ არის საკმარისი მათი გადაწყვეტის მხოლოდ სამართლებრივი, ორგანიზაციულ-ტექნიკური და ტექნიკურ-ეკონომიკური შემადგენელი ნაწილების უზრუნველყოფა. აუცილებელია „ადამიანური ფაქტორის“ გათვალისწინება და ამ მიმართულებით განათლების სისტემაში სწავლების „ახალი პრინციპების დანერგვა“. სახელმწიფოში უნდა იყოს ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოების საინფორმაციო სფეროებში მუშაობისათვის პროფესიულად მომზადებული სპეციალისტების საკმარისი რაოდენობა, რომელთაც შეეძლებათ თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, ქსელების, სისტემებისა და ტექნიკური მოწყობილობების ათვისების, დანერგვისა და ეფექტური ექსპლუატაციის უზრუნველყოფა. ყველა მოქალაქე საკმარისად უნდა იყოს მომზადებული იმისათვის, რომ გახდეს მათი მასობრივი ინდივიდუალური მომხმარებელი, როგორც საკუთარ პროფესიულ საქმიანობაში, ისე პირად მოხმარებაში. ამასთან, სპეციალისტ-პროფესიონალებმაც და მასობრივმა მომხმარებლებმაც კარგად უნდა იცოდნენ და მტკიცედ დაიცვან საინფორმაციო სფეროში საქმიანობის სამართლებრივი ნორმები.

უნდა გამოიყოს სოციალურ-საგანმანათლებლო ადაპტაციის ორი არსებითად მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც აუცილებელია პოლიტიკური მოდერნიზაციის პროცესში:

- სახელმწიფოში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და სისტემების მასობრივი ინდივიდუალური მომხმარებლების არსებობის შემთხვევაში, რომლებმაც იციან და იცავენ საინფორმაციო საქმიანობის სამართლებრივ ნორმებს, შესაძლებელია პიროვნების უფლებებისა და თავისუფლებების-კონსტიტუციური უფლების პრაქტიკული რეალიზაცია - თავისუფლად მოძებნო, მიიღო, გადასცე, შექმნა და გაავრცელო ინფორმაცია და ინფორმაციის მასობრივი მიმოცვლისა და მასობრივი კომუნიკაციების რეალური უზრუნველყოფა, ტრანსსასაზღვრო კომუნიკაციების ჩათვლით;
- თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვა სასკოლო, საშუალო სპეციალური და უმაღლესი განათლების სისტემასა და

კადრების პროფესიონალური მომზადებისა და გადამზადების სისტემაში, საშუალებას იძლევა რადიკალურად შეიცვალოს ადამიანის სწავლებისა და განვითარების თვით პროცესის ორგანიზაცია და არსი, ჩამოყალიბდეს უწყვეტი, დისტანციური, ღია და ადვილად ხელმისაწვდომი განათლების სისტემები და სწავლების პროცესში უზრუნველყოფილ იქნეს მასობრივი საინფორმაციო განათლება, რომელიც ღია საინფორმაციო საზოგადოებასთან ადაპტაციის საფუძველს წარმოადგენს.

პოლიტიკური მოდერნიზაციის პროცესში სახელმწიფო საინფორმაციო პოლიტიკის სოციალურ-საგანმანათლებლო სისტემის წარმომქმნელი კიდევ ერთი ფაქტორია მასობრივი საინფორმაციო განათლების, საინფორმაციო სფეროსათვის პროფესიული კადრების მომზადებისა და გადამზადების ერთიანი საერთო-სახელმწიფოებრივი სისტემის ფორმირება და განვითარება.

ამრიგად, პოლიტიკური მოდერნიზაციის პროცესში სახელმწიფო საინფორმაციო პოლიტიკის მრავალფუნქციური კომპლექსური ამოცანაა ერთიანი საერთო-სახელმწიფოებრივი სტრუქტურის სახით ჩამოყალიბოს და განავითაროს: 1. საინფორმაციო საკანონმდებლო-სამართლებრივი სისტემა; 2. ეროვნული (სახელმწიფო და არასახელმწიფო) საინფორმაციო რესურსების სისტემა; 3. საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა; 4. საინფორმაციო ინდუსტრიის სამეცნიერო-ტექნიკური და საწარმოო პოტენციალი; 5. საინფორმაციო პროდუქციისა და მომსახურების ბაზარი; 6. მასობრივი საინფორმაციო განათლების, საინფორმაციო სფეროსათვის პროფესიული კადრების მომზადებისა და გადამზადების სისტემა; 7. საინფორმაციო ანალიზირებისა და პროგნოზირების ტექნოლოგიები; 8. სახელმწიფო მმართველობის ინფორმაციული უზრუნველყოფის სისტემა; 9. ინფორმაციული უშიშროების უზრუნველყოფის სისტემა და სხვ.

სახელმწიფოს მიერ ეფექტური ეროვნული საინფორმაციო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება თანამედროვე ეტაპზე საქართველოს წინაშე მდგარი პრობლემების წარმატებით გადაჭრის ოპტიმიზაციის ფაქტორი და ერთ-ერთი უმთავრესი გადაუდებელი პრიორიტეტული ამოცანაა

## მექვესე თავი ეროვნული უშიშროების საინფორმაციო-ანალიტიკური უზრუნველყოფის სისტემები

### 6.1. ეროვნული უშიშროების საინფორმაციო-ანალიტიკური და ტექნოლოგიური უზრუნველყოფის თეორიული ასპექტები

საინფორმაციო სივრცის სრულყოფილად ათვისება, მისი პოლიტიკური, სამეცნიერო და სხვა პრაქტიკული მიზნებისათვის გამოყენება შესაბამისი საინფორმაციო, ანალიზური, პროგნოზული და კომპიუტერული ტექნოლოგიების ათვისება-მოხმარების საფუძველზე ხდება. ინფორმაციის დამუშავების პროცესის ყველა ეტაპი მოითხოვს შესაბამის ტექნოლოგიურ უზრუნველყოფას, თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებას.

სამეცნიერო ლიტერატურაში ტექნოლოგია ძირითადად მოიაზრება, როგორც სისტემაში მოყვანილი და საქმიანობის ეფექტურობის ამაღლების უზრუნველყოფი სხვადასხვაგვარი კომპონენტების ერთობლიობა (ცოდნა, მეთოდები, ოპერაციები და წესები, აგრეთვე, ნედლეულის, ენერგეტიკული, ტექნიკური, საკადრო, საორგანიზაციო, საინფორმაციო და სხვა რესურსები), ანუ ტექნოლოგია არის ადამიანის მიერ მართვადი აქტების (გარკვეული წესითა და თანმიმდევრობით განხორციელებული ოპერაციების) ერთობლიობა, რომელებიც ნივთიერებების, ენერჯისა და ინფორმაციის სხვადასხვა სახეების ცვლილებების პროცესს იწვევს.

ტექნოლოგიების განსაკუთრებული სახეა ინფორმაციული ტექნოლოგიები. *გ. ჭავჭავაძის* მათში ორ მიმართულებას გამოყოფს, კერძოდ, ინფორმაციული ტექნოლოგიების ტექნიკურ საშუალებებს და ინფორმაციული ტექნოლოგიების ინტელექტუალურ საშუალებებს. ინფორმაციული ტექნოლოგიების ტექნიკური საშუალებანი მოიცავს პრესას, ტელევიზიას, ტელექსელებს, ინფორმაციის წყაროებს, კომპიუტერულ მონაცემთა ბაზებს, ინტერნეტის ქსელებსა და სხვა. ინტელექტუალური საშუალებანი წარმოადგენს მეცნიერულ საფუძველს, რომელთა ბაზაზეც იქმნება ახალი სერვისული გარემო პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ საკითხთა კვლევაშიც კი [53].

ზოგადად ინფორმაციული ტექნოლოგია – ეს არის მეთოდიკური, პროგრამული, ტექნიკური და ორგანიზაციული საშუალებების ერთობლიობა, რომელიც გაერთიანებულია ერთიან ფუნქციურ სტრუქტურაში ინფორმაციის დამუშავების განსაზღვრული ამოცანების გადასაწყვეტად და შეიცავს ინფორმაციის მეთოდური და კომპიუტერული დამუშავებისა და გადაცემის, ინფორმაციის სხვადასხვა სახეობების, ტექნიკური მოწყობილობებისა და მათი რეალიზაციის ტექნიკურ საშუალებათა ერთიან კომპლექსში ინტეგრირების ტექნოლოგიებს.

ზოგადად ანალიზირების ტექნოლოგიას უწოდებენ გარკვეული პროცესების (პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და სხვა) შესახებ ინფორმაციის შეკრებისა და

დამუშავების მეთოდების, მათი დიაგნოსტიკის, ანალიზისა და სინთეზის, აგრეთვე, პოლიტიკური და სხვა სახის გადაწყვეტილებების სხვადასხვა ვარიანტების მიღების შედეგების შეფასების სპეციფიკური საშუალებების ერთობლიობას.

რაც შეეხება პროგნოზირების ტექნოლოგიებს, მკვლევრები მათ უფრო ანალიზირების ტექნოლოგიების კერძო ნაირსახეობას აკუთვნებენ. მეთოდოლოგიური მიდგომები ორივეს ანალოგიური აქვს, მაგრამ თუ ანალიზირების ტექნოლოგიები ძირითადად რეტროსპექტივაზე, ანუ უკვე მომხდარი მოვლენების ანალიზზეა ორიენტირებული, პროგნოზირების ტექნოლოგიები განკუთვნილია უფრო ანალიზირების ტექნოლოგიების გამოყენების შედეგად მიღებული მონაცემების მომავალში ექსტრაპოლაციისათვის.

საინფორმაციო ანალიზირებისა და პროგნოზირების ტექნოლოგიების განხილვის ორგვარი მიდგომა არსებობს:

- ერთი მხრივ, როგორც პრაქტიკულ ამოცანათა რომელიმე კომპლექსის (პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და სხვ.) გადაწყვეტის საშუალება. ამ თვალსაზრისით, ისინი ხელს უწყობენ პოლიტიკოსთა საქმიანობას საინფორმაციო-ანალიზირების ტექნოლოგიები იძლევა დაფანტული მონაცემების, ინფორმაციული ფრაგმენტების ერთ სისტემაში მოყვანის, მომხდარის მთლიან სურათად შეკერისა და სხვადასხვა ძალების, სტრუქტურების, ინტერესთა ჯგუფების საქმიანობის პერსპექტივის პროგნოზირების საშუალებას;
- მეორე მხრივ, როგორც მეცნიერული ცოდნის დარგი, რასაც განაპირობებს საინფორმაციო-ანალიზირების საქმიანობის სირთულე და მრავალმხრივობა.

ამასთან, იგი შეხებაშია მთელ რიგ მეცნიერულ დისციპლინებთან, შესაბამისად, ისინი ერთმანეთს ავსებენ და საინფორმაციო-ანალიზირების ტექნოლოგიების ერთიან კომპლექსს ქმნიან.

ეს დისციპლინებია: პოლიტოლოგია, სოციოლოგია და ეკონომიკური მეცნიერებანი (კონცეპტუალიზება, სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური ინფორმაციის შეკრება, პოლიტიკური ანალიზი და პროგნოზირება); ლოგიკა და მათემატიკა (სიტუაციური და მათემატიკური მოდელირება); ინფორმატიკა (ინფორმაციის ავტომატიზებული შეკრება და დამუშავება, კომპიუტერული მოდელირება); ფსიქოლოგია (გადაწყვეტილების მიმღები პირების ფსიქოლოგიური ტესტირება, ადაპტაცია და ტრენინგი) და სხვ.

საინფორმაციო ანალიზირებისა და პროგნოზირების ტექნოლოგიების რეალიზაციისათვის აუცილებელია ცოდნის ფართო სპექტრი, ცალკეული მეცნიერული დისციპლინის მიდგომათა მრავალფეროვნების გადალახვის საჭიროება განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებს ამ სფეროში დაკავებულ კადრებს. სამწუხაროდ, საქართველოს არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი არ ამზადებს საინფორმაციო ანალიზირებისა და პროგნოზირების ტექნოლოგიების სპეციალისტებს. მაშინ, როდესაც პოლიტიკური მოდელირების, საინფორმაციო ანალიზირებისა და პროგნოზირების ტექნოლოგიების

სხვადასხვა სფეროში სულ უფრო ფართოდ გამოყენების მოთხოვნილება აუცილებელს ხდის ამგვარი სპეციალისტების მომზადებას.

არსებობს საინფორმაციო ანალიზირებისა და პროგნოზირების ტექნოლოგიების კლასიფიკაციის სხვადასხვა წესი. ჩვენი აზრით, შედარებით სრულყოფილია და სანიმუშოდ გამოდგება ი.იაკოვლევის ტიპოლოგიზაცია, რომელიც ემყარება ოთხ საფუძველს: 1) ინფორმაციის შეკრების მეთოდები; 2) ინფორმაციის დამუშავების ხერხები; 3) სხვადასხვა ამოცანების გადაწყვეტისადმი შემგუებლობის ხარისხი; 4) ტექნოლოგიური ციკლის დასრულების ხარისხი [54].

საინფორმაციო ანალიზირებისა და პროგნოზირების ტექნოლოგიების კლასიფიკაციის სისრულისათვის აუცილებელია სხვა ფაქტორების გათვალისწინებაც, მაგალითად, საბოლოო ინფორმაციული პროდუქტის ხასიათი, ფაქტოგრაფიული ინფორმაციის ანალიზის მეთოდი, პროგნოზირების წესები, გადაწყვეტილებების ვარიანტების სინთეზის ხასიათი, მათი მიღების მეთოდები.

კომპიუტერული სიტუაციურ ანალიტიკურ-პოლიტიკური ცენტრები რიგ განვითარებულ ქვეყნებში ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოებთან არის ჩამოყალიბებული. ეს სტრუქტურები უნიკალური ლოკალური ქსელებია, რომლებთანაც მიერთებულია ინფორმაციის გარე წყაროები, რაც საშუალებას იძლევა გაკეთდეს არა მარტო პოლიტიკური სიტუაციის მოდელირება, არამედ მუდმივად მოამარაგოს იგი ცინცხალი და აქტუალური ინფორმაციით, მაღალი სიზუსტით გააკეთოს საკვლევი სიტუაციის პროგნოზირება და შეიმუშაოს გადაწყვეტილებათა ვარიანტები ეფექტური მართვისათვის. მსოფლიოში საინფორმაციო ანალიზირებისა და პროგნოზირების ტექნოლოგიების პრაქტიკული გამოყენების სხვადასხვა ვარიანტია გაგრცელებული. მაგალითად, საყოველთაოდ ცნობილი BERI (Business Environment Risk Intelligence) და „Frost & Sullivan“, რომლებიც ორიენტირებულია პოლიტიკური სიტუაციების შეფასებაზე იმ ქვეყნებში, სადაც იგეგმება დასავლეთის მსხვილი ინვესტიციების ჩადება, აგრეთვე „Concorde“ ჯგუფი, რომელიც მოწინააღმდეგე პოლიტიკური ჯგუფების ინტერესთა გამოვლენაზე მუშაობს. პოსტსაბჭოთა სივრცეში უნდა აღინიშნოს „КОНЦЕНСУС“, რომელიც ყოფილ სსრკ ტერიტორიაზე (რესპუბლიკებში, მხარეებში და სხვ.) ერთაშორის ურთიერთობებში პრობლემების კვლევას ისახავს მიზნად, ასევე „КОНКОРД“, რომელსაც წარმატებით იყენებენ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის საინფორმაციო-ანალიტიკური ცენტრი და მეცნიერების სამინისტროს ცენტრი „ИСТИНА“ და სხვ.

მოცემული პრობლემის არსობრივი ასპექტების ზოგადმა ანალიზმა სრულყოფილი სახე რომ მიიღოს, საჭიროდ მიგვაჩნია გაკეთდეს კონკრეტული საინფორმაციო-ანალიზირების ტექნოლოგიის დემონსტრირება. მაგალითისათვის შეიძლება განვიხილოთ საქართველოს ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის სფეროში საინფორმაციო



ანალიზირებისა და პროგნოზირების ტექნოლოგიების გამოყენების ჩვენ მიერ შემოთავაზებული მოდელი.<sup>13</sup>

კრიზისული პროცესების ნებისმიერ დონეზე მდგომარეობის შესახებ მსჯელობა შეიძლება საშინაო და საგარეო პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, რეგიონულ, კულტურულ და სხვა სფეროებში მიმდინარე კონკრეტული მოვლენების მიხედვით. ამ მოვლენების ამსახველ ცნობებს ერთმანეთისაგან მათი დონე და სისრულე განასხვავებს. მაგრამ ყველა მათგანს გააჩნია, პირველ რიგში, მაგალითად, ნებისმიერი ფაქტისათვის ობიექტურად დამახასიათებელი თვისება, სახელდობრ – რა მოხდა, სად, როდის, ვინ მონაწილეობდა მასში, რა ვითარებაში (როგორ გარეგნულ კონტექსტში). მეორეც - ისინი ერთმანეთთან არიან ურთიერთდაკავშირებულნი, რადგანაც ერთი და იმავე პრობლემას განეკუთვნებიან.

მაშასადამე, თუ ორგანიზებას გავუკეთებთ პრობლემის მიმდინარე მდგომარეობის მომცველი ურთიერთდაკავშირებული ფაქტების შესახებ სხვადასხვა დონის მსგავსი ცნობების ფიქსაციისა და დაგროვების მუდმივ დინებად პროცესს, მაშინ შეიძლება მიღებულ იქნეს მათი ინფორმაციული გამოხატულება და განხორციელდეს მიმდინარე ცვლილებებზე თვალის მიდევნება წარმოქმნილი სურათის წინასთან შეჯერების გზით.

სიტუაციები შეიძლება წარმოიქმნას, განვითარდეს და დასრულდეს. დასრულებადი სიტუაციის განვითარების აპოსტერიორული ანალიზი მისი განვითარების პროცესის შესახებ კონკრეტული ცოდნის ფორმირების, მომხდარ მოვლენებს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირის გამოვლენის, მათზე გამოყენებული ზეგავლენის ხერხებისა და გზების შეფასების საშუალებას იძლევა. ამგვარი ანალიზების შედეგების დაგროვება კი მათი გამოყენების საშუალებას იძლევა ინფორმაციული მხარდაჭერისათვის ანუ ანალოგიურ სიტუაციებში მანამდე გამოვლენილი ანალოგიური შედეგების გამომწვევი მიზეზების, აგრეთვე ამგვარ სიტუაციებზე ზეგავლენის ხელმისაწვდომი ხერხების სწრაფად გაცნობისათვის.

ამდგვარი ცოდნა იმ ფაქტორების ანალიზსა და შეფასებას უდევს საფუძვლად, რომლებიც ვითარების დესტაბილიზაციაზე ახდენს ზეგავლენას, რაც, თავის მხრივ, წინმსწრებ გადაწყვეტილებათა კომპლექსის მომზადების მიზნით სიტუაციის განვითარების საშუალო და გრძელვადიანი პროგნოზირების ამოცანების გადაჭრის საშუალებას იძლევა, რომელთა მიღებაც მიზანშეწონილია ვითარების არასასურველი გზით ცვლილებების შემთხვევაში (მათ შორის საგანგებო სიტუაციებშიც) წარმოქმნილი სიტუაციის მომგებიანი მიმართულებით ორიენტირებისათვის.

დიდი მოცულობის ინფორმაციის დამუშავებისა და მისი გამოყენების, აგრეთვე, მოვლენების მუდმივი ხედვის არეში მოქცევის ამოცანის გადაჭრის მოთხოვნილება პრინციპულად ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებას მოითხოვს

<sup>13</sup> აღნიშნული თეორიული მოდელი დამუშავდა ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატ კორნელი ოდიშარიასთან ერთად.

(ტრადიციული ავტომატიზებული ინფორმაციული სისტემების ტექნოლოგიებისგან განსხვავებულს), რომლის რეალიზება შესაბამისი კომპიუტერული სისტემის ბაზაზე ხდება. ამ სისტემის სპეციფიკა ისაა, რომ, ჯერ ერთი, აუცილებელია დიდი მოცულობის ინფორმაციის შენახვა, ამასთან, ამ მოცულობიდან სწრაფად უნდა მოხდეს ნებისმიერი გამოთხოვილი ამორჩეული ინფორმაციის წარმოდგენა, მიეცეს მას შესაბამისი სახე (მოთხოვნის მიხედვით) და, აგრეთვე, დამუშავდეს იგი ფორმალურად. ეს ყველაფერი უნდა უზრუნველყოს კომპიუტერმა. ამასთანავე, აუცილებელია ადამიანის მიერ თვალყურის დევნების პროცესში შესრულებული ინტელექტუალური ოპერაციების სისრულის უზრუნველყოფა, კერძოდ: ინფორმაციის აზრობრივი ინტერპრეტაცია; ინფორმაციის მსგავსებადობის დონის განსაზღვრა; ინფორმაციის სისრულის, უტყუარობისა და არაწინააღმდეგობრიობის ხარისხის შეფასება; ინფორმაციის თვისებების შეფასება, რომელიც გამომდინარეობს ინფორმაციაზე თვალის მიდევნების მიზნებიდან; ინფორმაციის განზოგადება, დასკვნების ფორმირება და სხვ.


„ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, „ეროვნული უშიშროების საბჭოს ორგანიზაციულ-ტექნიკური და ინფორმაციულ-ანალიტიკური საქმიანობა უნდა უზრუნველყოს მისმა აპარატმა...“ შესაბამისად, ეროვნული უშიშროების საბჭომ ხელი უნდა შეუწყოს საქართველოს პრეზიდენტს: ეროვნული უშიშროების პოლიტიკის (სტრატეგიული ამოცანების) შემუშავებასა და განხორციელებაში; ეროვნულ უშიშროებასთან დაკავშირებული მიმდინარე (ტაქტიკური) ამოცანების გადაწყვეტაში; ეროვნული უშიშროების პრობლემებზე პრეზიდენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების განხორციელებასა და მათი შესრულების კონტროლში.

ეროვნულ უშიშროებას პრობლემები შეიძლება შეექმნას საზოგადოებრივი ცხოვრების როგორც საშინაო, ისე საგარეო სფეროებში (პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და სხვ.). ასეთი პროცესებისათვის დამახასიათებელი ნიშნების დროულმა გამოვლენამ უნდა უზრუნველყოს მათ წინააღმდეგ ზემოქმედებისათვის ორიენტირებული წინმსწრები გადაწყვეტილებების ფორმირება და რეალიზაცია.

ამ გადაწყვეტილებათა შესამუშავებლად აუცილებელია განისაზღვროს: ზემოქმედების მიზანი; ზემოქმედების ფორმა; ზემოქმედების ადგილი (სივრცობრივი ან სტრუქტურული); ზემოქმედების დრო (პერიოდი); ზემოქმედების ობიექტი.

პირველი ორი ასპექტის განსაზღვრება გადაწყვეტილების მიმღების პრეროგატივაა, ხოლო დანარჩენი ასპექტების განსაზღვრისათვის აუცილებელია მუდმივი თვალყურის დევნება და სიტუაციის ოპერატიული ანალიზი.

აქედან გამომდინარე, ეროვნული უშიშროების საბჭოსა და მის აპარატს ამ ამოცანების გადაწყვეტაში თავისი ფუნქციების შესასრულებლად დიდი მოცულობის ინფორმაციის შეკრება, დაგროვება, დამუშავება და ანალიზი სჭირდება.



პრეზიდენტის მიერ ეროვნულ უშიშროებასთან დაკავშირებული საკითხებისა და პრობლემების გადაწყვეტის პროცესში თუ რა ადგილი შეიძლება ეკავოს ეროვნული უშიშროების საბჭოს, სქემატურადაა გამოსახული 6-1-1 ნახ-ზე.

პრობლემის მოგვარების პროცესი თავისთავად გულისხმობს ქვეყანაში ერთიანი საინფორმაციო სივრცის შექმნას. ზოგადად ქვეყნის ერთიანი საინფორმაციო სივრცე, რომელიც, ამავე დროს, მსოფლიო საინფორმაციო სივრცის ნაწილს წარმოადგენს, არის ინფორმაციის შეგროვების, შენახვისა და გავრცელების საშუალებებისა და პირობების ერთობლიობა, იხ. ნახ. 6-1-2. ერთიანი საინფორმაციო სივრცის შექმნა თავის მხრივ გულისხმობს:

- ეროვნულ უშიშროებასთან დაკავშირებული ამოცანების თითოეული კლასისათვის საჭირო მონაცემებისა და დოკუმენტების მასივების განსაზღვრას;
- ოპერატიული ინფორმაციის (მონაცემების, დოკუმენტების) მოპოვების, დაგროვებისა და გავრცელების წესის დადგენას;
- ოპერატიული ინფორმაციის მოპოვებელი ორგანოს (ორგანოების) სტრუქტურის, სტატუსის და მუშაობის წესის გარკვევას;
- ქვეყნის ერთიანი საინფორმაციო სივრცის შექმნის ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის დამუშავებას.

ერთიანი საინფორმაციო სივრცის შექმნას დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოებრივი მშენებლობისათვისაც, ვინაიდან სახელმწიფო მმართველობის სტრუქტურების და მათთვის შექმნილი ავტომატიზებული სისტემების ფუნქციონირება შეუძლებელია ამ საინფორმაციო სივრცეში არსებული მონაცემთა და დოკუმენტთა მასივების გარეშე.

ქვეყნის ეროვნულ ინტერესებზე ზემოქმედი სიტუაციის ცვალებადობის მაღალი დინამიკის პირობებში განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს დროის რეალურ მასშტაბში მოვლენათა მსვლელობაზე მუდმივი თვალყურის დევნება, რათა დროულად გამოიკვეთოს კრიზისული სიტუაციის მომწიფების ნიშნები, აგრეთვე, უზრუნველყოფილ იქნეს სახელმწიფო მმართველობის უმაღლესი რგოლის დონეზე მოტივირებული გადაწყვეტილებების (რომლებიც მიმართული იქნება წარმოქმნილი კრიზისული სიტუაციების გადასალახავად ან სახელმწიფოსათვის სასარგებლოდ მათი მიმართულებების ორიენტაციის შესაცვლელად) მიღების პროცესის შესაბამისი საინფორმაციო მხარდაჭერა.

საჭიროა იმგვარი სისტემა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს გადაწყვეტილების მიღების ხარისხიანი და ეფექტური პროცესის ორგანიზაციის ხუთი ურთიერთდაკავშირებული პრინციპი: დროის რეალური მასშტაბი; მოხერხებული და ამომწურავი ინფორმირება; პასუხისმგებლობა; ადამიანისა და კომპიუტერული ტექნიკის შესაძლებლობათა ოპტიმალური შეხამება; ადაპტირების მაღალი ხარისხი, ავტომატიზებული საშუალებების ევოლუციური დანერგვა, ანუ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მომხმარებლის მიერ უკვე გამოყენებული ყველა აპრობირებული და ჩვეული მეთოდების ადაპტაცია.

ამასთან, გამოყენებული უნდა იქნეს მონაცემთა ინტელექტუალური ანალიზის ისეთი პროგრამული პაკეტები, რომლებიც: იძლევა მოდელირების, პროგნოზირების და ექსპერტული სისტემების აგების, აგრეთვე, სხვადასხვა მონაცემთა ბაზების მართვის სისტემებთან ინტეგრირების საშუალებას; საბოლოო შედეგებს (პროგნოზებს) წარმოადგენს ეფექტურად (სწრაფად), თვალსაჩინოდ და ადვილად აღსაქმელად; შეაფასებს საწყისი ინფორმაციის სიზუსტეს, რადგანაც საბოლოო შედეგები მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მის ხარისხზე; იქნება გამოსაყენებლად მარტივი, ხოლო მომხმარებლის ინტერფეისი მოხერხებული და ნაცნობი.

ამ ამოცანების რეალიზაციის მოთხოვნები განაპირობებს სახელმწიფოში საინფორმაციო-ანალიზირების და საინფორმაციო-პროგნოზირების სპეციალური ავტომატიზებული სისტემის (შემდგომში - სპეციალური ავტომატიზებული სისტემა ან სისტემა) შექმნის აუცილებლობას, რომელმაც სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის ანალიზისა და განზოგადების საფუძველზე უნდა: მოახდინოს სახელმწიფო ინტერესების პრიორიტეტული სფეროების მიმდინარე მდგომარეობის ინფორმაციული ანალიზის მუდმივი ანალიზი; გამოავლინოს ამ სფეროებში სიტუაციის განვითარების ტენდენციები, აგრეთვე, მათ მდგომარეობაზე ზემოქმედი ცვლილებები და გადახრები; დააგროვოს ცოდნა ამგვარი ცვლილებებისა (გადახრების) და შედეგების მიზეზების შესახებ; გადაწყვეტილების მიღების პროცესის ყველა ეტაპზე წარადგინოს აუცილებელი ინფორმაცია სისრულისა და უტყუარობის გარანტიით, ადეკვატურ და ადვილად ინტერპრეტირებადი ფორმით და დროის საჭირო მომენტში.

სხვა სიტყვებით რომ ითქვას, აღნიშნულმა სისტემამ უნდა იმუშაოს პრინციპულად ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიის საფუძველზე, რომელიც განსხვავებული იქნება

ავტომატიზებული ინფორმაციული სისტემების ტრადიციული ტექნოლოგიებისაგან. ჩვენ მიერ წარმოდგენილი ტექნოლოგია შემდეგ ძირითად დებულებებს ეფუძნება:


- მან გადაწყვეტილების შემუშავების პროცესის მონაწილეები უნდა უზრუნველყოს თვალყურსადევნებელი საქმიანობისა და გარემოს (რომელშიც ეს საქმიანობა ხორციელდება) ინტერპრეტაციით;
- უნდა უზრუნველყოს ინფორმაციის დამუშავებაში ადამიანისა და კომპიუტერული ტექნიკის შესაძლებლობათა ოპტიმალური შეხამება, როცა ყველა ინტელექტუალურ ოპერაციას<sup>14</sup> სახელმწიფო ინტერესების სფეროებში ასრულებს ადამიანი (სპეციალისტი), ხოლო კომპიუტერული კომპონენტი კი უზრუნველყოფს ამ სპეციალისტებისა და გადაწყვეტილებების მიმღები პირების მიერ სახელმწიფო ინტერესების სხვადასხვა სფეროებში მიმდინარე მოვლენების ურთიერთკავშირისა და ურთიერთდამოკიდებულების დადგენის, მათი განვითარების შესაძლო ტენდენციების პროგნოზების გაკეთების და წინმსწრები გადაწყვეტილებების შემუშავების პროცესის ინფორმაციული მხარდაჭერის ეფექტურად განახორციელების შესაძლებლობებს;
- უნდა უზრუნველყოს გადაწყვეტილების შემუშავების პროცესის ყველა მონაწილის რეგლამენტირებული ურთიერთქმედება და ინფორმაციული მომსახურების ფუნქციის ერთობლივი რეალიზაცია.

მოკლედ, ამ სპეციალური ავტომატიზებული სისტემის დანიშნულება არის დაეხმაროს ეროვნული უშიშროების საბჭოს მისი ფუნქციების შესრულებაში და ამ გზით ხელი შეუწყოს პრეზიდენტს ეროვნულ უშიშროებასთან დაკავშირებულ საკითხებსა და პრობლემებზე გადაწყვეტილებათა გამომუშავებასა და განხორციელებაში.

სპეციალურ ავტომატიზებულ სისტემაში უნდა განხორციელდეს ეროვნულ უშიშროებასთან დაკავშირებულ საკითხებსა და პრობლემებზე მონაცემების შეგროვება. მონაცემები სისტემაში სულ ცოტა სამი სხვადასხვა დონის ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას უნდა იძლეოდეს.

პირველ დონეზე, მონაცემთა გადამუშავების საფუძველზე, მოხდება ოპერატიული ინფორმაციის მიღება ეროვნულ უშიშროებასთან დაკავშირებულ ცალკეულ საკითხებსა და პრობლემებზე. ოპერატიული ინფორმაცია მალგანახლებადი, პირველადი, რუტინული ინფორმაციაა. ოპერატიული ინფორმაცია ქმნის იმის საფუძველს, რომ სახელმწიფო უწყებებმა, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, გააანალიზონ ქვეყნის ეროვნულ უშიშროებასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხები და პრობლემები, განახორციელონ სიტუაციის პროგნოზირება, გამოიმუშაონ წინმსწრებ გადაწყვეტილებათა შესაძლო ვარიანტები. ამით ფაქტობრივად ჩამოყალიბდება ტაქტიკური ინფორმაცია (მეორე დონე), რომლის საფუძველზეც ეროვნულ უშიშროების საბჭოს შეეძლება გამოიმუშაოს ინტეგრირებული სტრატეგიული ინფორმაცია.

<sup>14</sup> მიზნიდან გამომდინარე, ინფორმაციის ინტერპრეტაცია და შეფასება, მისი არასრულობის ან წინააღმდეგობრიობის ანალიზი და გამოვლენა, შეჯერება, განზოგადება, დასკვნები და სხვ.



ნახ. 6-1-3

სტრატეგიული ინფორმაცია არის მთელი ქვეყნის მასშტაბით სიტუაციების შეფასება, ანალიზი, გადაწყვეტილებები, გადაწყვეტილებათა შესრულებით მიღებული შესაძლო შედეგების პროგნოზები, ეროვნული უშიშროების კონცეფცია, ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმები. ამ ჯაჭვში მთავარი კომპონენტებია ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ამოცანები, რომელთა გადაწყვეტამაც უნდა განამტკიცოს სახელმწიფოს განვითარება და მოიცვას ეროვნული უშიშროების გადაწყვეტის საშინაო, საგარეო, სამხედრო, სადაზვერვო, ეკონომიკური, ჯანმრთელობის დაცვის, ეკოლოგიური, სოციალური და სხვა საკითხები.

მონაცემები, როგორც სპეციალური ავტომატიზებული სისტემისათვის სტრატეგიული რესურსი, უნდა აკმაყოფილებდნს უტყუარობის, ოპერატიულობისა და კონფიდენციალურობის მოთხოვნებს. მონაცემების უტყუარობა და მათი მოპოვების დროულობა უნდა უზრუნველყონ სახელმწიფო უწყებებმა. სისტემამ უნდა უზრუნველყოს მოპოვებული მონაცემების ოპერატიული გადამშუშავება, რაც გულისხმობს ინფორმაციის მინიმალური დაყოვნებით გადაცემას პირველი დონიდან უმაღლეს დონეზე (ნახ. 6-1-3), წინააღმდეგ შემთხვევაში გაიზრდება საბოლოო გადაწყვეტილებათა ცდომილებები.

გადამშუშავების პროცესში, თუ ის დიდი დაყოვნებით ხდება, მცირდება ინფორმაციის უტყუარობის დონე, ვინაიდან პროცესები, რომლებსაც ისინი ასახავენ, განუწყვეტელ ცვლილებებს განიცდის. ამ უკანასკნელი მოთხოვნის დაკმაყოფილება იოლად შეიძლება, თუ სპეციალურ ავტომატიზებულ სისტემაში გამოყენებული იქნება მონაცემთა დამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიები და სწორად წარიმართება დამუშავების პროცესი. ინფორმაციის დამუშავების ამგვარ ამოცანათა რეალიზაციისათვის უნდა არსებობდეს ან უნდა შეიქმნას შემდეგი ორგანიზაციული და ტექნიკური საშუალებები: დროული და სრული ინფორმაციის მოპოვების; შემოსული ინფორმაციის შერჩევის, აღ-

რიცხვისა და კლასიფიკაციის; აღრიცხული ინფორმაციის ანალიზისა და განზოგადების; ინფორმაციის ხარისხის შეფასების; დასკვნებისა და რეკომენდაციების ფორმირების; ინფორმაციის მუდმივი თვალყურისდევნების მიზნიდან გამომდინარე შეფასების.

ქვეყნის უშიშროებას შეიძლება სხვადასხვა გარე თუ შიდა ძალები ემუქრებოდეს, რომელთა საქმიანობაში, როგორც წესი, ერთ-ერთი ძირითადი ადგილი უჭირავს სახელმწიფოს მიერ მათი მხრიდან მიღებულ გადაწყვეტილებათა ამოცნობას და მათი შესრულების ჩაშლას. ამდენად, სპეციალურ ავტომატიზებულ სისტემაში ინფორმაციის დაცვა უცილობელი პირობაა. შესაბამისად საჭიროა დამუშავდეს ინფორმაციის დაცვის სისტემა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები.

ამ მოკლე ანალიზის შემდეგ შეიძლება დახასიათდეს ჩამოსაყალიბებელი ავტომატიზებული სისტემა და განისაზღვროს მისი ფორმირების ძირითადი მიმართულებანი: ყველა ნიშნით იგი უნდა იყოს იერარქიული ორგანიზაციული მართვის სისტემა; იგი უნდა შევიდეს ქვეყნისათვის სტრატეგიული მნიშვნელობის სპეციალური დანიშნულების სისტემათა კლასში; იგი უნდა მივაკუთვნოთ დიდ ტერიტორიაზე განფენილ განვითარებად ავტომატიზებულ სისტემათა კლასს.

პირველი ნიშნის თანახმად, სპეციალური ავტომატიზებული სისტემის დაპროექტებაში შეიძლება გამოყენებული იქნეს ორგანიზაციული მართვის ავტომატიზებული სისტემების დაპროექტების მეთოდოლოგია. მეორე ნიშანი ის არის, რომ ავტომატიზებული სისტემის დაპროექტებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ინფორმაციის დაცვას და მთელი სისტემის საიმედოობას, მუშაობის რეჟიმებს. მესამე ნიშანი გამომდინარეობს იქიდან, რომ ეროვნული უშიშროების საბჭოს კომპეტენციას განეკუთვნება სახელმწიფოს უშიშროებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი და პრობლემა, რომელთა გადაწყვეტაში მონაწილეობა უნდა მიიღოს პრაქტიკულად ყველა სახელმწიფო უწყებამ, რეგიონული და ავტონომიური რესპუბლიკების მმართველობის ორგანომ. ავტომატიზებულმა სისტემამ უნდა მოიცვას ყველა ეს რგოლი, რაც განაპირობებს მის სირთულესა და შექმნის ეტაპობრიობას. რომლის განვითარებადობა კი გულისხმობს მისი ეტაპობრივად შექმნისა და დროთა განმავლობაში მისი მოდერნიზაციის განხორციელების შესაძლებლობას.

მართვის ორგანიზაციული სისტემის დაპროექტებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს: სისტემის ფუნქციური სტრუქტურის განსაზღვრა (იერარქიის დონეთა რიცხვისა და ქვესისტემების არჩევა); მართვის ორგანიზაციის პრინციპების არჩევა, ე.ი. უნდა დადგინდეს დონეებს შორის სწორი ურთიერთდამოკიდებულება (ეს უკავშირდება სხვადასხვა დონეს შორის ამოცანათა მიზნების შეთანხმებას და მათი მუშაობის სტიმულირებას, უფლება-მოვალეობათა და პასუხისმგებლობის განაწილებას, გადაწყვეტილებათა მიღების კონტურების ორგანიზებას); ავტომატიზებულ სისტემასა და ადამიანებს შორის შესასრულებელ ფუნქციათა ოპტიმალური განაწილების დამუშავება; დონეებს შორის

ინფორმაციის გაცვლის ტელესაკომუნიკაციო სისტემის სტრუქტურის განსაზღვრა; სისტემის ორგანიზაციული სტრუქტურის არჩევა.

საინფორმაციო სისტემის სტრუქტურის იერარქიულობას განსაზღვრავს პრეზიდენტის მიერ უშიშროების საკითხებზე გადაწყვეტილებათა მიღების ზემოთ ნახსენები სქემა - 6-1-1. როგორც წესი, ტექნიკური სისტემის ფორმირებისას შესაძლებელია საჭირო გახდეს არსებული სქემის შეცვლა მისი გამარტივების ან გართულების გზით. როგორც ანალიზი გვჩვენებს, ამ ეტაპზე მოყვანილი სქემა ოპტიმალურად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან იგი მაქსიმალურად პასუხობს პრეზიდენტის მიერ დასახულ ამოცანას. საჭიროა ზუსტად განისაზღვროს სპეციალურ საინფორმაციო სისტემაში შემავალი ავტომატიზაციის ობიექტები (იერარქიული დონეების შემადგენელი ნაწილები), მათი ფუნქციები, ამოცანები, უფლებები და პასუხისმგებლობა, გადაწყვეტილებათა მიღების კონტურები და სხვადასხვა დონეზე მიღებულ გადაწყვეტილებათა სტატუსი და შესრულების წესი.


რაც შეეხება ადამიანსა და სისტემას შორის ფუნქციათა გამიჯვნას - გამოყენებული უნდა იყოს ზოგადი მიდგომა: ამოცანები, კომპეტენციის ფარგლებში, ყველა დონეზე უნდა დასვას ადამიანი; საბოლოო გადაწყვეტილებები, კომპეტენციის ფარგლებში, ყველა დონეზე უნდა მიიღოს ადამიანი; მონაცემთა ინტელექტუალური დამუშავება, გადაწყვეტილებებისა და გეგმების გამომუშავება, მოვლენათა პროგნოზირება, კომპეტენციის ფარგლებში, ყველა დონეზე სისტემასთან დიალოგში უნდა განახორციელოს ადამიანი.

მონაცემებისა და ინფორმაციის გაცვლის ტელესაკომუნიკაციო სისტემამ მთლიანად უნდა უზრუნველყოს სისტემის ავტომატიზებული ობიექტების ურთიერთდაკავშირება. ორგანიზაციული სტრუქტურის იერარქიულობა ფაქტობრივად ისეთივე უნდა იყოს, როგორც მთელი სისტემისა, და მისი ფორმირება ნიშნავს: ავტომატიზაციის ობიექტების ორგანიზაციული სტრუქტურის განსაზღვრას (ლაპარაკია კონკრეტულად სახელმწიფო უწყების იმ ქვედანაყოფებზე, რომლებიც სისტემაში ჩაბმულია); ავტომატიზაციის ობიექტების ქვედანაყოფებისა და ცალკეული თანამდებობის პირების ფუნქციური მოვალეობების დადგენას; გადაწყვეტილებათა მომზადებისა და მიღების პროცედურების ზუსტ განსაზღვრას; დოკუმენტების ურთიერთგაცვლას დონეებს შორის; შესრულების კონტროლსა და სისტემის ყველა რგოლის მოქმედების შეფასებას.

ცალკე უნდა აღნიშნოს საკუთრივ სისტემის ავტომატიზაციის საშუალებათა კომპლექსის ორგანიზაციული უზრუნველყოფის დამუშავების აუცილებლობა. ეს არის სისტემაში ინფორმაციის დაცვის ორგანიზება და მთელი სისტემის ტექნიკური მომსახურება. ამრიგად, სპეციალურ საინფორმაციო სისტემას შექმნის მისი ფუნქციური და ორგანიზაციული სტრუქტურების ერთობლიობა, ასევე ავტომატიზაციის ობიექტები იქნება ამ ორი სტრუქტურის ერთობლიობა.

როგორც აღინიშნა, სისტემა უნდა წარმოადგენდეს სამდონიანი იერარქიული სტრუქტურის მქონე ორგანიზაციული მართვის ავტომატიზებულ სისტემას: 1. ქვედა დონე (პირველი დონის ობიექტები) უნდა შექმნას სახელმწიფო უწყებებმა, რეგიონული და ავტონო-





მიური რესპუბლიკების მმართველობის ორგანოებმა. სისტემაში წარმოდგენილი უნდა იყოს საუწყებო საინფორმაციო-ანალიზური ცენტრების მეშვეობით; 2. საშუალო დონე (მთავარი ობიექტი) - ეროვნული უშიშროების საბჭომ და მისმა აპარატმა. სისტემასთან დაკავშირებული იქნება საინფორმაციო-ანალიტიკური სამსახურის მეშვეობით; 3. უმაღლესი დონე (მეთაური ობიექტი) - პრეზიდენტის, პარლამენტის თავმჯდომარის (პრემიერ მინისტრის), სახელმწიფო მინისტრისა და ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის სამუშაო ადგილებმა. სისტემაში წარმოდგენილი იქნება სამუშაო ადგილების სახით.

ამ მოსაზრებების გათვალისწინებით მიღებული ავტომატიზებული სისტემის სტრუქტურა მოყვანილია 6-1-4 ნახ-ზე. როგორც ამ სქემიდან ჩანს, მეთაური ობიექტი პირველი დონის ობიექტებთან მთავარი ობიექტის მეშვეობითაა დაკავშირებული. ეს კომპლექსი ნიშნავს, რომ პრეზიდენტის ყველა გადაწყვეტილება შემსრულებელს (პირველი დონის ობიექტს) მიწოდება ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის მეშვეობით, რაც აუცილებელია მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების სრულყოფილი კონტროლისათვის. მიზანშეწონილია პირველი დონის ობიექტების საინფორმაციო-ანალიტიკურ ცენტრებს ტიპობრივი სტრუქტურა ჰქონდეს.

ექსპერტ-ანალიტიკოსები ცენტრის გამოთვლითი რესურსების მეშვეობით განახორციელებენ ოპერატიულ მუშაკთა ჯგუფის მიერ მოპოვებულ და ოპერატორთა მიერ სისტემაში შეტანილი მონაცემების ინტელექტუალურ დამუშავებას და შედეგებს სახელმწიფო უწყების პირველ პირს (კომისიას, საბჭოს და ა.შ.) წარუდგენენ. ზემონათქვამი იმ დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა, რომ:

1. სპეციალური ავტომატიზებული სისტემის ფუნქციური სტრუქტურა შემდეგი ქვესისტემებისაგან (სისტემებისაგან) უნდა შედგებოდეს: ინფორმაციული უზრუნველყოფის; გადაწყვეტილებათა მიღების; მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლის; მისი ფუნქციონირების მართვის; მონაცემებისა და ინფორმაციის გაცვლის ტელესაკომუნიკაციო ქსელი; ინფორმაციის დაცვის სისტემა.
2. სპეციალურ ავტომატიზებულ სისტემას შემდეგი სახის უზრუნველყოფა უნდა ჰქონდეს: საკადრო; ტექნიკური; ინფორმაციულ-ლინგვისტური; მათემატიკური და პროგრამული; სამართლებრივი; ორგანიზაციული.

სპეციალური ავტომატიზებული სისტემის ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა საქართველოს უმაღლეს ხელმძღვანელობას ოპერატიულად მიაწოდოს ქვეყნის უშიშროებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია. სისტემის ინფორმაციული უზრუნველყოფისათვის აუცილებელი ეს ამოცანა განმარტებას საჭიროებს.

ქვეყნის უმაღლესი ხელმძღვანელობის ინფორმაციული მომსახურება სპეციალურ ავტომატიზებულ სისტემაში შემდეგი სახის ამოცანების გადაწყვეტას გულისხმობს: 1. სისტემამ უნდა უზრუნველყოს ქვეყნის უმაღლესი ხელმძღვანელობისათვის (მათი მოთხოვნების შესაბამისად) ნებისმიერი (სისტემაში არსებული) საინფორმაციო-საცნობარო ინფორმაციის მიწოდება; 2. სისტემამ უნდა უზრუნველყოს ქვეყნის უმაღლესი ხელმძღვანელობისათვის ეროვნულ უშიშროებასთან დაკავშირებულ საკითხებსა და პრობლემებზე ანალიზური და სხვა სახის ინფორმაციის დამუშავება და წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით მიწოდება; 3. სისტემამ უნდა უზრუნველყოს ეროვნულ უშიშროებასთან დაკავშირებული საგანგებო სიტუაციათა გამოვლენა და შესაბამისი ინფორმაციის დაუყოვნებლივ მიწოდება ქვეყნის უმაღლესი ხელმძღვანელობისათვის.

საცნობარო ინფორმაცია მეთაურ ობიექტს უნდა მიეწოდოს როგორც მთავარი, ისე პირველი დონის ობიექტებიდან. საჭიროების შემთხვევაში პირველი დონის ობიექტებიდან მიღებული ინფორმაცია მთავარ ობიექტში უნდა გადამოწმდეს. რეგლამენტური ინფორმაციის ფორმირება აუცილებლად მთავარ ობიექტზე უნდა მოხდეს და ისე მიეწოდოს მეთაურ ობიექტს. საგანგებო ინფორმაციის წყარო შეიძლება იყოს როგორც მთავარი, ისე პირველი დონის ობიექტები. პირველი დონის ობიექტებიდან საგანგებო ინფორმაცია ერთდროულად უნდა მიეწოდოს მეთაურ და მთავარ ობიექტსაც, ამ დროს გამოყენებული უნდა იყოს პირველი დონის ობიექტის ხელთ არსებული არხები.

ცხადია, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საგანგებო ინფორმაციის ფორმირებას. საგანგებო ინფორმაციის გამომუშავება დაკავშირებულია სპეციალური სკალის ფორმირებასთან, რომლის მეშვეობითაც უნდა შეფასდეს ქვეყნის უშიშროების წინაშე წარმოქმნილი პრობლემის სიმწვავე, რაც განსაზღვრავს აღნიშნული ინფორმაციის გადაცემის ოპერატიულობას და მისი განხილვის წესსა და რიგს. აქვე უნდა დამუშავდეს პრობლემის გადაწყვეტის ვარიანტები და მათი განხორციელების შესაძლო პროგნოზები.

ჩვენ მიერ დასმული ამოცანიდან გამომდინარე, სპეციალურმა ავტომატიზებულმა სისტემამ უნდა უზრუნველყოს ქვეყნის უშიშროების მრავალსპექტრიანი შეფასებისათვის საჭირო მონაცემების შეგროვების, დაგროვების, შენახვის, ძებნისა და გადაცემის პროცესების ავტომატიზება. ეს მოთხოვნა დაკავშირებულია: ოპერატიული ინფორმაციის მოპოვებასა და ტაქტიკური და სტრატეგიული ინფორმაციის გამომუშავებასთან. ფაქტობრივად, ინფორმაციის ეს სახეები ის სტრატეგიული რესურსია, რომელზეც დაფუძნებულია როგორც ეროვნულ უშიშროებასთან დაკავშირებული საკითხებისა და პრობლემების გადაწყვეტა, ისე ქვეყნის მართვაც.

სპეციალურმა ავტომატიზებულმა სისტემამ ასევე უნდა გააადვილოს ეროვნულ უშიშროებასთან დაკავშირებული საკითხებისა და პრობლემების ანალიზი, გადაწყვეტილებათა ვარიანტების გამომუშავება და მათი შესრულების შედეგების პროგნოზირება. ეს მოთხოვნა მთლიანად დაკავშირებულია ოპერატიული მონაცემების ინტელექტუალურ დამუშავებასთან, რის შედეგად სისტემასთან დიალოგში შეიძლება მიღებულ იქნეს როგორც საცნობარო და რეგლამენტური, ისე საგანგებო ინფორმაციაც.

ამ მოთხოვნის ძირითადი არსი ისაა, რომ სისტემის მეშვეობით გამომუშავდეს ალტერნატიული გადაწყვეტილებები და შესაბამისი პროგნოზები, რომლებიც შემდგომ ქვეყნის უმაღლეს ხელმძღვანელობას წარედგინება. შესაძლებლად მიგვაჩნია, სისტემის მეშვეობით გადაწყვეტილებათა გამომუშავების ასეთი სქემა დაინერგოს:

1. საგანგაშო ინფორმაციის გამომუშავების სქემისაგან განსხვავებით, რეგლამენტური ინფორმაციისათვის ამოცანათა კლასებში შემავალი ქვეამოცანების ანალიზი, გადაწყვეტილებათა ვარიანტების დამუშავება და პროგნოზირება უნდა ხდებოდეს პირველი დონის ობიექტებზე;
2. მთავარ ობიექტზე მთლიანად ამოცანათა კლასების მიხედვით უნდა ხდებოდეს ანალიზირება, პროგნოზირება და გადაწყვეტილებათა ვარიანტების დამუშავება;
3. პრეზიდენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები განსახორციელებლად მიეწოდება პირველი დონის ობიექტებს, რომლებიც მართავენ მათი რეალიზაციის პროცესებს, რაც აუცილებლად მოითხოვს ტაქტიკური გადაწყვეტილებების გამომუშავებასა და განხორციელებას.

აღსანიშნავია, რომ ყველა კლასის ამოცანის გადასაწყვეტი საქმიანობა ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატისაგან დიდი მოცულობის სამუშაოების შესრულებას მოითხოვს. აქ შეიძლება სხვადასხვა მიდგომასთან გეგმონდეს საქმე:

1. ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატმა მნიშვნელოვანი სტრატეგიული საკითხების შერჩევის, პროექტირების, სისტემური პროგრამების სრულყოფილი თეორიული და მეთოდური საფუძვლების მომზადებისა და დანერგვის მიზნით, შეიძლება აღნიშნული პრობლემის დამუშავებაში სამეცნიერო დაწესებულებები ჩართოს, რისთვისაც:

- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის და ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტებთან ერთად უნდა განახორციელოს: შეკვეთილი პრობლემის პარამეტრიზაციის, კონცეპტუალური ალგორითმის მომზადების, პარამეტრთა წონაძობებისა და პროგრამული მოდელის განსაზღვრის, მათემატიკური და პროგრამული ალგორითმების შემუშავების სამუშაოები;
- სისტემური პროგრამების თეორიული და სტრატეგიული უზრუნველყოფისათვის ხელშეკრულებითი თანამშრომლობის საფუძველზე გამოყენებულ იქნეს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის, აგრეთვე სამეცნიერო დაწესებულებებისა და კვლევითი ცენტრების სამეცნიერო პოტენციალი.


2. თითოეული კლასის ამოცანისათვის გამოიყოს პირველი დონის ობიექტი, რომელიც ითავებს ამოცანათა კლასისათვის ანალიზების, გადაწყვეტილებათა ვარიანტების მომზადებასა და პროგნოზების გათვლას, და წარუდგენს მთავარ ობიექტს, რომელიც გამოიმუშავებს სტრატეგიულ გადაწყვეტილებათა ვარიანტებს.

აღნიშნული პრობლემა რომ მოგვარებას მოითხოვს, ამაზე მიუთითებს ქართველ მკვლევართა გამოკვლევები და მათ მიერ გაკეთებული დასკვნები. მაგალითად, ა.ბარნოვი ანალიზისა და პროგნოზირების პრობლემებისადმი მიძღვნილ საყურადღებო სტატიაში აღნიშნავს: „კარგი იქნებოდა, გვეფიქრა ანალიზისა და პროგნოზის ისეთი სისტემის შექმნაზე, რომელიც საქართველოში არსებული მრავალგვარი პრობლემის (რაც, სხვათა შორის, სპეციალური კვლევითი ცენტრის სათანადო დაუფინანსებლობას ნიშნავს) გათვალისწინებით, შესაძლებლობას მოგვცემდა, რომ შრომის გონივრული განაწილების საშუალებით, ინფორმაციის ანალიზი ინსტანციების მიხედვით მისი ეტაპობრივი დამუშავების გზით მოგვეხდინა [55].“

პერსპექტიულმა საინფორმაციო ტექნოლოგიებმა ფართო გამოყენება პოვა ცალკეულ საგნობრივ დარგებში. ეს პროცესი კვლავაც განუხრელად ვითარდება და ინერგება. ტექნოლოგიური მიღწევები საშუალებას იძლევა თეორიულ სფეროში ინტეგრირებული ცოდნა გამოყენებულ იქნეს პრაქტიკულად.

## **6.2. საინფორმაციო ანალიზირებისა და პროგნოზირების ტექნოლოგიებისა და საინფორმაციო სისტემების პრაქტიკაში განხორციელების ზოგიერთი ასპექტი**


სტრატეგიული ანალიზისა და გლობალური მოდელირების ავტომატიზებულ სისტემა „დიდგორი“. წინა პარაგრაფში განხილული თემა, საინფორმაციო ანალიზირებისა და პროგნოზირების ტექნოლოგიების რეალიზების თვალსაზრისით, გამოყენებულ იქნა საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს სტრატეგიული ანალიზისა და გლობალური მოდელირების ავტომატიზებულ სისტემა „დიდგორის“ პროექტირებისას



ნახ. 6-2-1 (კომპიუტერული ვერსია)

1996-1997 წლებში.<sup>15</sup> მისი ფრაგმენტები განხორციელდა სახელმწიფო ხელისუფლების ინფორმაციული უზრუნველყოფის სისტემის ნაწილში (პროგრამულ მოდულში), კერძოდ, სისტემა „დიდგორის“ გადასაწყვეტ ამოცანათა მოთხოვნების ჩამოყალიბების, დასაგროვებელი და დასამუშავებელი ინფორმაციის კლასიფიკაციისა და კოდირების სისტემის ფორმირების, სისტემაში გამოყენებული უნიფიცირებული დოკუმენტების ფორმათა შექმნისა და ინფორმაციულ საცნობარო-გამოთვლითი და ინფორმაციულ-ანალიზური პროცესების ავტომატიზების დროს (ნახ. 6-2-1). ამოცანები (შემოსული ინფორმაციის რეგისტრაცია, მონაცემთა ბაზების შექმნა და კორექტირება, კონტროლი ინფორმაციის მოწოდებაზე, საბოლოო დოკუმენტების მომზადება და სხვ.) განხორციელდა სისტემა „დიდგორის“ ურთიერთდაკავშირებულ და ავტონომიურად ფუნქციონირებად პროგრამებში: „SOS“ (საგანგებო ინფორმაციისათვის); „ადმინ“ (ავტომატურ, ფონურ 24 სთ-იან რეჟიმში მომუშავე ინფორმაციის რეგულაციის სისტემა); „ბაზ-1“ (საძიებო პარამეტრატორი), „აისი“ (ინტელექტუალური პროგრამა); „მაცნე+“ (გადასაწყვეტ ამოცანათა თემატიკის მიხედვით მასმედიიდან მოპოვებული ინფორმაციის საძიებო სისტემა); „ვეტერანი“ (ომის მონაწილეთა შესახებ ინფორმაციის საძიებო სისტემა); გეოინფორმაციული სისტემა, რომელიც იძლევა საქართველოს შესახებ რაიონულ დონეზე ინფორმაციას 90 პარამეტრში, აგრეთვე რუკებისა და საჭირო ინფორმაციული ბაზების შექმნის საშუალებას და სხვ.

<sup>15</sup> მიუხედავად საქართველოს პრეზიდენტისა და ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მხარდაჭერისა სისტემა „დიდგორის“ განხორციელება მაშინდელი კორუმპირებული მინისტრებისა და ჩინოვნიკების გარეგნულად შენიღბულ სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდა, რადგანაც სისტემის ამოქმედებით საბჭოსათვის სამინისტროებისა და სხვა უწყებების საქმიანობა გამჭვირვალე ხდებოდა, რაც ყოველად მიუღებელი იყო კორუფციის ჭაობში ჩაფლული სახელმწიფო აპარატისათვის. სისტემის შექმნაზე მუშაობდნენ: პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი ჰ. კუპრაშვილი (ხელმძღვანელი), ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი თ. შარაშენიძე, ტექნ. მეცნიერებათა კანდიდატი კ. ოდიშარია, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი რ. კუკავა, დ. ლეკიშვილი.




ნახ. 6-2-2 (კომპიუტერული ვერსია)

„დიდორის“ ფუნქციური სისტემა ნახ. 6-2-2 მოიცავს: ინფორმაციული ბაზის ფორმირების (ინფორმაციის მიღება, დამუშავება, დაცვა); ინფორმაციული უზრუნველყოფის; მონაცემებისა და ინფორმაციის მიმოცვლის; გადაწყვეტილებათა მიღების; მიღებულ გადაწყვეტილებათა დაყვანისა და კონტროლის სისტემას და სხვ. „დიდორის“ ფუნქციური სტრუქტურა კი ავტომატიზაციის რამდენიმე დონით ხასიათდება:

პირველი დონე - საუწყებო, რეგიონული, ავტონომიური ერთეულების საინფორმაციო-ანალიზური ქვედანაყოფები, ეს დონე უზრუნველყოფს ქვეყნის უშიშროებასთან დაკავშირებული ოპერატიული ინფორმაციის გაცემას. მეორე დონე - ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი (ნახ. 6-2-3), თავისი ლოკალური ქსელით - უზრუნველყოფს გლობალური სტრატეგიული ინფორმაციის გამომუშავებას (ანალიზური გამოკვლევა, ვითარების შეფასება, გამომუშავებული გადაწყვეტილების პროგნოზირება) ქვეყნის უმაღლესი ხელმძღვანელობის (სისტემის უმაღლესი დონე) მიერ გადაწყვეტილებათა ოპერატიული მიღების უზრუნველსაყოფად და სხვ.

შემუშავებულია ინფორმაციული უზრუნველყოფის ერთიანი ბაღე, რომელიც ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის საინფორმაციო-ანალიტიკური სამსახურის მონაცემთა ბაზების საფუძველს წარმოადგენს და სამ განზომილებიანი ვექტორით ხასიათდება: ინფორმაციის მიმწოდებელთა კლასი; გადასაწყვეტი ამოცანების (პრობლემების) კლასი; ექსპერტთა კლასი, რომლისთვისაც ეს ინფორმაცია განკუთვნილია.


განსაზღვრულია მოსაწოდებელი ანალიტიკური ინფორმაციის ტიპები, შინაარსი, მათი მოწოდების რეგლამენტი. მოსაწოდებელი ინფორმაცია დახარისხებულია საკითხებად



ნახ. 6-2-3 (კომპიუტერული ვერსია)

და მნიშვნელობის მიხედვით დაყოფილია სახეებად: საგანგებო; რეგლამენტური; საცნობარო.


მაგალითად, სათბობენერგეტიკის (ნახ. 6-2-4) პრობლემების შესახებ „დიდგორში“ წარმოსადგენი ანალიტიკური მასალების თემატიკური არასრული ნუსხა შემდეგ საკითხებს შეიცავს (ნიმუში): ქვეყნის სათბობენერგეტიკული კომპლექსის, როგორც სტრატეგიული ობიექტის მდგომარეობა, ანალიზი, შეფასება; ქვეყნის ენერგომატარებლებით უზრუნველყოფის სტრატეგიული გეგმა, მისი რეალიზაციის გზები, მიმდინარეობა, ანალიზი, შეფასება; ქვეყნის ენერგეტიკაში შექმნილი მდგომარეობა (თბოელექტროსადგურები, ჰიდროელექტროსადგურები, ქარისა და მზის ენერჯის გამოყენება, საბაზო მაღალი ძაბვის ენერგოხაზები, დიდი ქალაქების ენერგომომარაგების სისტემა). საერთო სურათი, გადაუდებელი ღონისძიებები და მათი გატარებისათვის საჭირო რესურსები; ქვეყნის თავდაცვისა და სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების ელექტროენერგიით მომარაგება. ანალიზი, შეფასება; ქვეყანაში არსებული ბუნებრივი ენერგორესურსები. შეფასება, მათი გამოყენების პოლიტიკა; კავშირები სხვა ქვეყნების ენერგოსისტემებთან, მათი მნიშვნელობა, ელექტროენერჯის მიღების (გაცემის) პირობები და პერსპექტივები; ენერგოსისტემაში არსებული საფინანსო მდგომარეობა, ელექტროენერჯის ხარჯვის კონტროლი და მოხმარებული ენერჯის საფასურის ამოღების მექანიზმების დამუშავება, მათი რეალიზაცია და უეჭველი შესრულებისათვის საჭირო ღონისძიებები. საერთო მდგომარეობა, ანალიზი, შეფასება; ენერგოსისტემაში ქვეყნის უშიშროებისათვის (გამოვლენილი) საშიში მოვლენებისა და სიტუაციების ანალიზი, შეფასება. შესაძლო გადაწყვეტილებათა გამომუშავება; ქვანახშირის მარაგი საქართველოში. მოქმედი ან ადრე ექსპლუატაციაში მყოფი საბადოების მდგომარეობა, ანალიზი, შეფასება; ქვეყანაში არსებული ქვანახშირის მარაგის



ნახ. 6-2-4 (კომპიუტერული ვერსია) versia)

გამოყენების სტრატეგია. მისი გამოყენების შესაძლებლობა ქვეყნის სათბობენერგეტიკული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. გეგმები, რეალიზაციის გზები; სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების მიერ ქვანახშირის საწვავად გამოყენების შესაძლებლობა. მდგომარეობა, რეალიზაციის გზები, შეფასება. შესაძლო გადაწყვეტილებათა გამომუშავება; საქართველოში ბუნებრივი აირის საბადოების დაზვერვა, მათი მარაგის შეფასება ქვეყნის სათბობენერგეტიკული მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით; საქართველოში ბუნებრივი აირის გამოყენების სტრატეგია, საბადოთა ათვისების მდგომარეობა. ანალიზი, შეფასება; სხვა ქვეყნებიდან ბუნებრივი აირის მიღების შესაძლებლობები. მდგომარეობა, შეფასება; ქვეყანაში ბუნებრივი აირის ქსელის მდგომარეობა და მზადყოფნა მოსახლეობისათვის აირის მისაწოდებლად. მისი აღდგენის, შემოწმებისა და მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა. მდგომარეობა, ანალიზი; ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების აირით მომარაგების მდგომარეობა; "საქგაზის" ფინანსური მდგომარეობა. ანალიზი, შეფასება. შესაძლო გადაწყვეტილებათა გამომუშავება; საქართველოს ნავთობის საბადოების დაზვერვა, მათი მარაგის შეფასება ქვეყნის სათბობენერგეტიკული მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით; ქვეყანაში ნავთობის მარაგის შექმნის სტრატეგიული გეგმა, მისი რეალიზაციის გზები. მდგომარეობა, ანალიზი, შეფასება; ქვეყნის სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების საწვავით უზრუნველყოფა. ანალიზი, შეფასება; სათბობენერგეტიკული რესურსების სტრატეგიული მნიშვნელობის მარაგის შექმნა. მდგომარეობა, შეფასება; განსაკუთრებულ სიტუაციაში (საომარი მოქმედება, კატასტროფები და სხვა) სათბობენერგეტიკის სახელმწიფო კონცერნის მოქმედების გეგმა. რეალიზაციის გზები და სხვ.





ნახ. 6-2-5 (კომპიუტერული ვერსია)

„საგანგებო“ ინფორმაცია პირდაპირ მიეწოდება პირველ პირებს. „დიდგორში“ შემოსული ინფორმაცია მონაცემთა ბაზებში გადასაწყვეტი ამოცანების (პრობლემების) შესაბამისად ლაგდება, საიდანაც შემდეგ ინფორმაციის მიღება ყველა წინასწარ განსაზღვრულ უფლებამოსილ პირს შეეძლება, ნებისმიერ დროს. უზრუნველყოფილია ინფორმაციის მიღების ხელმისაწვდომობა წინმსწრები გადაწყვეტილებების ვარიანტების ფორმირებისა და მოდელირების მიზნით (განსაზღვრულია - ზემოქმედების მიზანი, ფორმა, ადგილი (სივრცობრივი ან სტრუქტურული), დრო (პერიოდი), ობიექტი და სხვ.), ასევე, ავტომატურ რეჟიმში შეეძლებათ ინფორმაციის მოხმარება კომპიუტერულ პროგრამებს, რომლებიც შექმნილია „დიდგორში“ გადასაწყვეტი ამოცანების (ნახ. 6-2-5) მიხედვით: „მართვა“; „თავდაცვა“ - ქვეყნის თავდაცვითი უშიშროების მდგომარეობის ასახვა და პროგნოზირება; „რეგიონი“ - რეგიონათშორისი ურთიერთობების ასახვა და პროგნოზირება; „საშინაო“ - ქვეყნის საშინაო მდგომარეობის ასახვა და პროგნოზირება; „საგარეო“ - ქვეყნის საგარეო მდგომარეობის ასახვა და პროგნოზირება; „უშიშროება“ - ეროვნული უშიშროებისათვის მოსალოდნელი საფრთხის პროგნოზირება, შესაძლო გადაწყვეტილებათა ვარიანტების შემუშავება; „შემოწმება“.

თითოეული ამოცანა თავისმხრივ კიდევ ქვეამოცანებს შეიცავს. მაგალითად, „საშინაო“ კლასში შემდეგი ქვეამოცანებია გაერთიანებული: ეროვნული უშიშროების კონცეფცია; სოციალური და დემოგრაფიული მდგომარეობა - შეფასება, პროგნოზი; ეკონომიკური მდგომარეობა - შეფასება, პროგნოზი, გადაწყვეტილებათა ჩამონათვალი; პოლიტიკური

მდგომარეობა - შეფასება, პროგნოზი, მოქმედებათა გეგმა; კრიმინოგენული მდგომარეობა - შეფასება, პროგნოზი, მოქმედებათა ჩამონათვალი; ეკოლოგიური მდგომარეობა - შეფასება, პროგნოზი, მოქმედებათა და გადაწყვეტილებათა ჩამონათვალი; სამეცნიერო-ტექნიკური მდგომარეობა - შეფასება, პროგნოზი, წინადადებები; ჯანმრთელობის დაცვა - მდგომარეობა, ანალიზი, შეფასება, მოქმედებათა და გადაწყვეტილებათა ჩამონათვალი; ინფორმაციული უშიშროების - მდგომარეობა, შეფასება, წინადადებები; საზოგადოებრივი უშიშროების - მდგომარეობა, ანალიზი, პროგნოზი, მოქმედებათა ჩამონათვალი; მდგომარეობა რეგიონებში (ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების ჩათვლით) - ჯამური მახასიათებლები, შეფასება, პროგნოზი; ადამიანთა უფლებების დაცვა, კორუფციასთან ბრძოლა - შეფასება, პროგნოზი, მოქმედებათა და გადაწყვეტილებათა ჩამონათვალი და სხვ.

მთლიანობაში, სისტემა „დიდგორი“ ინფორმაციის მიღება-გადაცემის, მისი დამუშავების, შენახვის და ასახვის პროგრამულ და ტექნიკურ საშუალებათა ერთობლიობას წარმოადგენს. იგი საინფორმაციო ანალიზირებისა და პროგნოზირების ორიგინალურ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სპეციალური ავტომატიზებული სისტემაა, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ეროვნული უშიშროების საკითხებში სწორი და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებას. იგი კი არ ცვლის მართვის ორგანოებს, არამედ არის საშუალება, რომლითაც იზრდება მათი მუშაობის ეფექტიანობა.

სისტემა იძლევა შესაძლებლობას, რომ სახელმწიფო უწყებები გაეცნონ ინფორმაციებს იმ ურთიერთსაინტერესო საკითხებზე, რომელთა ჩამონათვალიც ასევე მკაცრად იქნება რეგლამენტებული.

„დიდგორის“ მმართველი ობიექტი ფლობს ნებისმიერი სახის ინფორმაციას (ეკონომიკა, პოლიტიკა...) სამართავი ობიექტის შესახებ დროის ნებისმიერ მომენტში. ამდენად სისტემა უზრუნველყოფს: ოპერატიულობას; ინფორმაციის მაღალ სიზუსტეს; დიდი მოცულობის ინფორმაციის გადამუშავების საშუალებას.

სისტემა „დიდგორში“ მუშაობას გულისხმობს ორი მიმართულებით: ინფორმაციული ავტომატიზებული სისტემის შექმნა (პირველადი ინფორმაციის ოპერატიული მიღება, გადაცემა, შენახვა, ასახვა); ინტელექტუალური სისტემების კომპლექსის შექმნა, ე.ი. სხვადასხვა მეთოდით (პოლიტომეტრული, სოციომეტრული, ეკონომეტრული და სხვ.) ისეთი სისტემების შექმნა, როდესაც გარკვეული პირობის დასმით, ბაზებში დაგროვილი ინფორმაციის გამოყენებისა და მოდელირების მეშვეობით სისტემამ უნდა წარმოგვიდგინოს გადაწყვეტილების რამდენიმე ვარიანტი, მოგვცეს სტრატეგიული ტენდენციების წინმსწრები განსაზღვრის შესაძლებლობა და დახმარება გაუწიოს ანალიტიკოსებსა და გადაწყვეტილების მიმღებთ.

**პოლიტიკურ მოვლენათა პოლიტომეტრული მეთოდით ანალიზისა და პროგნოზირების ავტომატიზებული სისტემა „აისი“.**<sup>16</sup> ეროვნული უშიშროების აპარატის

<sup>16</sup> იმ პერიოდში ეს მკაცრად გასაიდუმლოებული, უნიკალური პროგრამა შეიქმნა პოლიტიკური მოვლენების პოლიტომეტრიკული მეთოდით ანალიზისა და პროგნოზირებისათვის. „აისის“ თეორიუ-

საინფორმაციო-ანალიტიკური სამსახურში 1996-1997 წლებში შეიქმნა პოლიტიკურ მოვლენათა პოლიტომეტრული მეთოდით ანალიზისა და პროგნოზირების ავტომატიზებული სისტემა „აისი“. იგი წარმოადგენდა სისტემა „დიდგორში“ მომუშავე ერთ-ერთ ინტელექტუალურ პროგრამას.

ცნობილია, რომ სისტემური პროგრამები იქმნება არსებითად ისეთ დარგებსა და პრობლემებზე, რომლებსაც ახასიათებთ მყარი რაოდენობრივი და განმეორებადი მახასიათებლები. სხვაგვარად ძნელდება მოვლენის პროგნოზირება და მაშასადამე ძნელდება სრულყოფილი სისტემური პროგრამის შემუშავება.

ასეთი მდგომარეობა დამახასიათებელია პოლიტიკასა და პოლიტიკურ პრობლემატიკაში იმიტომ, რომ პოლიტიკურ მოვლენათა სპეციფიკურობიდან გამომდინარე ძალიან რთულია სწორედ რაოდენობრივი და განმეორებადი მახასიათებლების დადგენა. არადა ეროვნული უშიშროების აპარატის საინფორმაციო-ანალიტიკური სამსახური აქცენტირებული იყო აეგო ამგვარი პროგრამები სწორედ ისეთ მოვლენებზე, როგორცა: „სეპარატიზმი“, „დემოკრატია“, „ეროვნული ხასიათი“, „პოლიტიკური კულტურა“ და ა.შ.

საჭიროა მოიძებნოს ნებისმიერი პოლიტიკური მოვლენის მყარი რაოდენობრივი მახასიათებელი, უნდა დადგინდეს თვისობრივ ცვლილებებზე რაოდენობრივ მახასიათებელთა კავშირი, მიაღწიო პროგრამის უნივერსალურობას, ანუ შეიმუშაო ისეთი მეთოდი შემუშავება, რომლის საფუძველზეც აგებული პროგრამა დროსა და სივრცეში მუდმივი და მრავალჯერადი გამოყენების იქნებოდა.

უეს-ს ექსპერტული სისტემის საფუძველად აღებულ იქნა აშშ-ი XX საუკუნის 60-70-იან წლებში დამუშავებული ე.წ. პოლიტომეტრული მეთოდი. რომლის ამოსვალი იყო რაოდენობრივი მახასიათებლები და პოლიტიკურ პრობლემებზე პროგრამების შექმნა. სწორედ ამ მეთოდის საფუძველზე, საქართველოში პირველად, ეროვნული უშიშროების აპარატის საინფორმაციო-ანალიტიკურ სამსახურში დამოუკიდებლად იქნა შემუშავებული ინტელექტუალური პროგრამა.

პოლიტიკურ მოვლენათა პოლიტომეტრული მეთოდით ანალიზისა და პროგნოზირების ავტომატიზებული სისტემა „აისის“ პრაქტიკულ ღირსებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ:

- განხორციელებულდა სეპარატიზმის, როგორც სოციალურ-პოლიტიკური კვლევის ობიექტის პარამეტრიზება,<sup>17</sup> შემოღებულია პარამეტრთა გაზომვის შკალა;

---

ლი, მეთოდური, სისტემური, მათემატიკური და პროგრამული უზრუნველყოფა: პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი პ. კუპრაშვილი (ხელმძღვანელი), პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი ჯ. ჯალიაშვილი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი თ. შარაშენიძე, ტექნ. მეცნიერებათა კანდიდატი კ. ოდიშარია, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი რ. კუკავა, დ. ლეკიშვილი.

<sup>17</sup>უნდა ითქვას, რომ უკვე მოვლენის პარამეტრიზაცია არის უდიდესი დახმარება ანალიტიკოსისათვის, ასევე მმართველისათვის. ეს არის მოვლენის ყველა ასპექტით გაჭოლვის საშუალება. ამავე დროს პარამეტრიზაცია იძლევა პოლიტიკური სტატისტიკის სტაციონალური სტრუქტურის შექმნის შესაძლებლობას.

- დადგენიდა პარამეტრთა რიცხვითი მნიშვნელობები, სეპარატიზმის სახეობები და ამ სახეობათა სიმრავლე;<sup>18</sup>
- დამუშავდა სეპარატიზმის განსაზღვრის პროგრამული მოდელი, „რომელიც საშუალებას იძლევა ლოგიკურ რეჟიმში დადგენილი იქნას სეპარატიზმის სახე და გადაწყვეტილების ვარიანტი;

შესაძლებელი გახდა სეპარატიზმის ცვლილება-განვითარების მრავალვარიანტული ტენდენციების გამოვლენა. პოლიტიკური ანალიზისა და პროგნოზირების დარგში განხორციელდა ჰუმანიტარულ-პოლიტიკური და მართვის თანამედროვე სისტემების სინთეზი;


პროგრამა „აისი“: უზრუნველყოფს სისტემური ანალიზის შესაძლებლობას და საექსპერტო შეფასებების საიმედოობასა და სიზუსტეს; ქმნის მრავალფეროვან ალტერნატიულ გადაწყვეტილებათა შემუშავების საშუალებას; იძლევა პრიორიტეტული, სტრატეგიული ტენდენციების პრევენტული განსაზღვრის შესაძლებლობას და პოლიტიკური მოვლენის თითქმის ყველა ასპექტში შესწავლის საშუალებას; განსაზღვრავს რაოდენობრივ მახასიათებელთა თვისობრივ მნიშვნელობებს; ადგენს მოვლენის (პრობლემის) ცვლილება-განვითარების მრავალვარიანტულ ტენდენციებს; გვაძლევს მოვლენათა წინმსწრები პროგნოზირებისა და გადაწყვეტილებათა გათვლის შესაძლებლობას; საშუალებას იძლევა გათამაშდეს სხვადასხვა სიტუაციები და გაკეთდეს მიღებული შედეგების ანალიზი.

„აისს“ გააჩნია მომხმარებლისათვის მაქსიმალურად გასაგები და მოსახერხებელი ინტერფეისი, იგი მაღალ დონეზე ახორციელებს შეტანილი მონაცემების კონტროლს დასაშვები მნიშვნელობების შეტანაზე, მომხმარებელს (ანალიტიკოსს) ანალიზის შედეგებს აწვდის როგორც გრაფიკული, ასევე ტექსტური სახით. მასში არსებული ინფორმაციული ბაზის საფუძველზე ანალიზს უკეთებს შექმნილ სიტუაციას და იძლევა გარკვეულ დასკვნებს (რჩევებს, გასახორციელებელი ღონისძიებების და შესაძლო შედეგებს შესახებ), რაც ფასდაუდებელი მასალაა შემდეგი სრული კონცეფტუალური ანალიზისა და სწორი პოლიტიკის წარმართვისათვის.

დამუშავებული მეთოდოლოგია წარმატებით შეიძლება გამოყენებული იქნას ყოველგვარი სიტუაციური ანალიზისათვის, ნებისმიერი პოლიტიკური მოვლენის ანალიზისა და პროგნოზირებისათვის (როგორც პოლიტიკის სფეროში, ისე სამხედრო-

<sup>18</sup>დადგინდა თითოეული პარამეტრის სეპარატისტული და არასეპარატისტული მდგომარეობის განსაზღვრელი პროცენტული ზღვრული მონაცემები, რომელიც დაეფუძნა დელფის მეთოდით ექსპერტისა. განსაზღვრა თითოეული რაოდენობრივად გამოხატული პარამეტრის პოლიტიკური მნიშვნელობა. პარამეტრთა დადგენილი მნიშვნელობების, წონების მათემატიკური მეთოდით კომბინაციების გათამაშებით მიღებულ იქნა სეპარატიზმის 254 ვარიანტი. ამავე მეთოდით იქნა მიღებული სეპარატიზმის 6 ძირითადი მრავალვარიანტული სახეობა. საბოლოოდ, მიღებულ იქნა სეპარატიზმის სრული ალგორითმი. უკვე პროგრამას შეეძლო მიეღო ყოველი პარამეტრის მიხედვით ინფორმაცია და განახორციელებინა მისი სისტემური ანალიზი.

სტრატეგიულ საკითხთა კვლევაში). მისი გამოყენება შეიძლება, ნებისმიერ დროსა და სივრცეში. ამ თვალსაზრისით იგი უნივერსალურია.



შეიტანეო სებარტისმბს განმსაზღვრეო პარამეტრები:

აირიიეტი პარამეტრები

1. ქართული ალაბის მიმომეოი დონე
2. შინანსური ელიბა
3. ქართულთა ნილი მხარის მოსსლეოგაბი
4. სსეულმეოო ენის ხმარების დონე
5. მანგარეო სანიშორამიო სოშალბათა სოშოიბა
6. მოშიილარი პოლინიკარი ელიბა
7. ახსი სსეულმეოო პოლინიკარი და იდარეოოი სეშალბა
8. მოსსლეოის სპარტულსთან იდანიოიამის დონე

მოსსლეობა - 236 200  
ფართობი - 6,4 ათ. კვ. კმ.

### ქართული ეალუბის მიომქსეიის დონე

1. ქართული	0.00
2. სოშსარი	0.00
3. რსული	0.00
4. სსვა	0.00

### შიანსური ელიბა

ქართული პარამეტრები

პარამეტრი	პარამეტრები	პარამეტრები
1. ბანეაბი	1. საერთო შეშადგენლობა	0.00
	2. პირველი პირები	0.00
2. მსხეილი მიზნისი	1. საერთო შეშადგენლობა	0.00
	2. პირველი პირები	0.00
3. ქოშარბი	1. საერთო შეშადგენლობა	0.00
	2. პირველი პირები	0.00

### ქართულთა ნილი მხარის მოსსლეოგაბი

1. ქართული	0.00
2. სოშსარი	0.00
3. რსული	0.00
4. სსვა	0.00

### სსეულმეოო ენის ხმარების დონე

ქართული სოშსარი რსული სსვა

1. სსეულმეოო დანესეულბაბი	0.00	0.00	0.00	0.00
2. სსეულმეოო დანესეულბაბი	0.00	0.00	0.00	0.00
3. სსეულმეოო	0.00	0.00	0.00	0.00

### ცენტრალური სანიშორამიო სოშალბაბის სიზშირე

ქართული სოშსარი რსული სსვა

1. პრესა	0.00	0.00	0.00	0.00
2. ბალეიზი	0.00	0.00	0.00	0.00
3. რადიო	0.00	0.00	0.00	0.00

**ოფიციალური პოლიტიკური ელიტა**

	პარტიული	პარპარტიული
(პროცენტები)		
<b>1. აღმასრულებელი ხელისუფლება</b>		
1. საერთო შვებულება	0.00	0.00
2. პირველი პირები	0.00	0.00
<b>2. ნარეკლამული ხელისუფლება</b>		
1. საერთო შვებულება	0.00	0.00
2. პირველი პირები	0.00	0.00
<b>3. სასაპარტიო ხელისუფლება</b>		
1. საერთო შვებულება	0.00	0.00
2. პირველი პირები	0.00	0.00

← უკან

**უცხო სხელმწიფოთა პოლიტიკური და იდეოლოგიური ზეგავლენა**

1. სომხეთი	0.00
2. რუსეთი	0.00
3. ირანი	0.00
4. დანკუბეთის ქვეყნები	0.00
5. თურქეთი	0.00
6. აზერბაიჯანი	0.00

← უკან

**მოსახლეობის სპარტულუსთან იდენტიფიკაციის დონე**

1. ქართულები	0.00
2. სომხები	0.00
3. რუსები	0.00
4. სხვები	0.00

← უკან

**ანალიზის შედეგები**

- $P_3^1, P_5^1, P_7^1$  - მიხედვით ეთნიკური სეპარატიზმი;
- $P_5^2$  - შეიქმნა იმის შემთხვევაში ხასიათის, დაზუსტებას ამოთხვის მიხედვით ნარეკლამული მიზნები;
- $P_3^1, P_5^1, P_7^1$  - ურის უმთავრესი  $P_3^1$ ;
- $P_3^1, P_5^1$  - მიზნები  $P_5^2$  - ლოიალურა და ინტერაქტიული;
- $P_3^1$  და  $P_7^1$  -ის გააქტიურება შესაძლოა გამოიწვიოს  $P_4^2, P_6^2$  -ის სეპარატიზმი;

← უკან    წინ →    დამატება

**გადასწავლება**

$P_3^1$	ნიტრატიზაცია:
$P_5^1$	ნიტრატიზაცია:
$P_7^1$	ნიტრატიზაცია:

---

**საშუალო**

საშირთა $P_3$	გაზრდა 51 %-მდე;
საშირთა $P_5$	გაზრდა 60 %-მდე;
საშირთა $P_7$	შემცირება 40 %-მდე;

← უკან    წინ →

**მოსალოდნელი შედეგი**

- $P_3^1$  -ის ნიტრატიზაცია მოხსნის ეთნიკური სეპარატიზმს;
- $P_7^1$  -ის ნიტრატიზაცია მოხსნის ეთნიკური სეპარატიზმს ეთნო-პოლიტიკური სეპარატიზმი გაღმარდის შესაძლებლობას;
- $P_5^1$  -ის ნიტრატიზაცია შეამცირებს  $P_6^2$  -ის სეპარატიზმის შესაძლებლობას;

---

**მოსალოდნელი უკუგაქმნა**

- $P_3^1$  - გამოვა უცხო ეთნოსთა დასახლებული ჯარისკაცების ფარგლებში არჩევანის მატარების მოთხოვნით;
- $P_5^1$  - ემდგა გამოიწვიოს დასოფრები უნდასოფრები;
- $P_3^1$  - ემდგა  $P_5^2$  -ის სეპარატიზმი;
- $P_7^1$  -ის გააქტიურება გამოიწვიოს  $P_3^2$  -ის აღმადი ფინანსური, სინფორმაციური და პოლიტიკური მხარდაჭერა;

← უკან

„აისის“ გამოყენება დიდად აჩქარებს სახელმწიფოებრივ-მმართველობით სტრუქტურებში ანალიზური და პროგნოზული მუშაობის თვისებრივ სრულყოფას და ალტერნატიულ გადაწყვეტილებათა პრევენციული შემუშავების პროცესს და გაზრდის გადაწყვეტილებათა მიღების ეფექტიანობას. პროგრამა 90%-ით აადვილებს ანალიტიკოსის მუშაობას. ამდენადვე ზრდის მის საიმედოობას.

ამრიგად, ავტომატიზებული სისტემის ფუნქციონირებისათვის ზოგადი მოთხოვნებია:

სისტემისთვის გამოყენებული ტელესაკომუნიკაციო სისტემები უნდა იძლეოდნენ ვიდეომონაცემების გაცვლისა და ვიდეოკონფერენციების გამართვის საშუალებას, ხოლო

მონაცემთა ბაზების მართვის სისტემები ასეთი სახის ინფორმაციის შენახვის საშუალებას;

დამუშავებული სისტემის განვითარებისათვის საჭიროა გამოყენებულ იქნეს მონაცემთა ინტელექტუალური ანალიზის ისეთი პროგრამული პაკეტები, რომელებიც: 1. მოგვცემენ მოდელირების, პროგნოზირების და ექსპერტული სისტემების აგების საშუალებას; 2. საბოლოო შედეგებს (პროგნოზები) წარმოგვიდგენენ თვალსაჩინოდ და ადვილად აღსაქმელად; 3. შეაფასებენ საწყისი ინფორმაციის სიზუსტეს, რადგანაც საბოლოო შედეგები მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მის ხარისხზე; 4. იქნებიან გამოსაყენებლად მარტივი, მომხმარებლის ინტერფეისი მოხერხებული და ნაცნობი; 5. ეფექტურად (სწრაფად) მოგვცემენ საბოლოო შედეგებს; 6. იქნება ღია სისტემა და მოგვცემს სხვადასხვა მონაცემთა ბაზების მართვის სისტემებთან ინტეგრირების საშუალებას.

ორგანიზაციის თვალსაზრისით, ეფექტურობის ამალლების ძირითადი გზებია დასახული ამოცანის ახალ პროგრამაზე ტექნოლოგიების სწრაფი გადაწყობის შესაძლებლობათა უზრუნველყოფა, აგრეთვე, ტიპურ სიტუაციებში მუშაობის დროს ანალიტიკური მასალების ოპერატიული გამოშვება. არსებითი მნიშვნელობა აქვს პროგრესული ორგანიზაციულ-ტექნოლოგიური მიდგომების ოპერატიულად დანერგვას, საპასუხისმგებლო უბნების უახლესი სწრაფმოქმედი საშუალებებით დროულ ავტომატიზებასა და გადაიარაღებას.

ვინაიდან ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის პროცესის ინფორმატიზაცია ხანგრძლივი ხასიათისაა, ამიტომ სისტემის სრულად ამოქმედება, მისი შემდგომი მოდერნიზაცია მოითხოვს უწყვეტი და ეტაპობრივი სამუშაოს ჩატარებას, შესაბამისად უნდა განისაზღვროს სტრატეგიული კვლევისა და გლობალური მოდელირების სისტემა „დიდგორის“ მოდერნიზაციისა და მის ბაზაზე ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის პროცესის ხელშეწყობისათვის თანამედროვე ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე აგებული სპეციალური დანიშნულების ინფორმაციული სისტემის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელი ღონისძიებებისა და სამუშაოების პრიორიტეტები.

სისტემა „დიდგორი“ არის განვითარებადი და იძლევა საშუალებას შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე ოპერატიულად განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები (გადასაწყვეტ ამოცანათა კლასიფიკაციაში და სხვ.).

არ შეიძლება არ დაეთანხმო გ.ჭავჭავანიძეს, როდესაც წერს: „ეკონომისტებს უნარი შესწევთ შეაფასონ ესა თუ ის ეკონომიკური ინდექსი, მაგრამ განვითარების ტენდენციები დინამიკაში სისტემური ანალიზის, კომპიუტერული იმიტაციისა და მოდელირების თეორიათა გარეშე შეუძლებელია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის დაგეგმვაში მთავარი ადგილი სისტემურმა ანალიზმა, პროგნოზირებამ უნდა დაიკავოს (კოგნიტური მოდელირების, არამკაფიო ლოგიკის, ნეირონული ქსელების, ხელოვნური ინტელექტისა და ა.შ. მოდელირების თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების სახით)“ [53, გვ. 14].

საინფორმაციო ანალიზირებისა და პროგნოზირების ტექნოლოგიების რეალიზების პრაქტიკული გამოცდილების ანალიზი შესაძლებლობას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ამგვარი ტექნოლოგიების ეფექტურობის ამაღლების ძირითადი რეზერვები მოქმედი ფაქტორების (ადამიანური, სამეცნიერო-მეთოდური, ორგანიზაციული, ტექნიკური, ტექნოლოგიური და სხვ.) ერთობლიობის გამოყენების გაუმჯობესებაში იმალება. კერძოდ, საინფორმაციო ანალიზირებისა და პროგნოზირების ტექნოლოგიების ეფექტურობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია სამეცნიერო კადრების პროფესიონალიზმისა და კომპეტენტურობის დონეზე, ორგანიზატორებისა და შემსრულებლების კვალიფიციურობაზე, დასაქმებული მთლიანი ჯგუფის მიზნებისა და მოქმედებების ერთიანობაზე. არანაკლებ მნიშვნელოვანია გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან მდგრადი უკუკავშირის შექმნაც (ტექნოლოგიებისადმი და კოლექტივისადმი ნდობაზე დამყარებული), რაც საშუალებას იძლევა სრულად იყოს გათვალისწინებული მათი მოთხოვნები პროგრამებისა და ინსტრუმენტარიუმების დამუშავების დროს, ზუსტად ფორმულირდეს მიზნები და ამოცანები, შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდოს საბოლოო პროდუქტის მოთხოვნების მაჩვენებლები.

### **6.3. ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის ფუნქციური ანატომია**

თანამედროვე ეტაპზე პოლიტიკური პროცესების მონიტორინგის, ანალიზის, პროგნოზის, სიტუაციათა მოდელირების, შესაბამის გადაწყვეტილებათა ვარიანტების შემუშავებისა და ხელისუფლების შესაბამისი ინფორმაციული უზრუნველყოფის სისტემის არსებობის გარეშე ყოველად წარმოუდგენელია წარმატებული გრძელვადიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება. საქართველოს პრეზიდენტს სახელმწიფოს დამოუკიდებლობის გარანტიების განმტკიცების, ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფისა და ქვეყნის წარმატებული განვითარების მასშტაბური და გრანდიოზული გეგმები აქვს. ამას კი უთოოდ წაადგება სათანადო საინფორმაციო-ანალიტიკური უზრუნველყოფა [57].

ამ თვალსაზრისით, საქართველოში განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საქმიანობა ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის სფეროში. წინა წლების გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ მისი უზრუნველყოფის ტექნოლოგია არცთუ ეფექტიანი აღმოჩნდა. ეროვნული უშიშროების საბჭოც (შემდგომში ეუს) კი ისე შეიქმნა, რომ არ მომხდარა საკუთრივ ეროვნული უშიშროების შინაარსის კონცეპტუალური გააზრება, შესაბამისად, მოცემული მომენტისათვის ქვეყნის განვითარების სპეციფიკის გათვალისწინებით ეროვნული უშიშროების სფეროებში რეალური პრიორიტეტებისა და ეროვნული უშიშროების საბჭოს მიერ გადასაწყვეტი ამოცანების განსაზღვრა. აქედან გამომდინარე, არ იყო სათანადოდ გააზრებული ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის ფუნქციაც. მთელი მისი საქმიანობა შექმნის დღიდანვე არ შეესაბამებოდა დანიშნულებას - საქართველოს ეროვნული უშიშ-



როების უზრუნველყოფას, არადა, ეროვნული უშიშროების საბჭოს საქმიანობაში უმნიშვნელოვანესი როლი სწორედ მისი აპარატის მუშაობის სწორ ორგანიზაციას აკისრია.

დღევანდელ რეალობაში უშიშროების ცნების შინაარსმა განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილებები: XXI საუკუნემ წინ წამოიწია უშიშროების ახალი ასპექტები; გამოვლინდა მათი გადაწყვეტი მნიშვნელობა გარანტიათა იმ სისტემაში, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის ეროვნულ უშიშროებას. ეს ფაქტორები შესაბამისად ვერ აისახა საქართველოს ეროვნული უშიშროების კონცეფციაში იგი (არამარტო ჩვენი, სხვა ბევრი ქვეყნის უშიშროების კონცეფციებიც) ინერციით ეროვნული უშიშროების ძალიან მარტივ, ანუ კლასიკური და ჩაპაევის დროინდელ შეხედულებებს ეყდრნობა.

ქვეყნის განვითარების სტრატეგიაში ჩადებული სახელმწიფოებრიობისა და საზოგადოებრივი მშენებლობის პრიორიტეტული მიმართულებები ეროვნული უშიშროების ერთიანი სისტემის კონკრეტულ შინაარსს განსაზღვრავს. მთავარი ობიექტები, რისთვისაც სახელმწიფო ეროვნული უშიშროების სისტემას ქმნის, არიან: 1. ერი (საზოგადოება), მისი მატერიალური და სულიერი ფასეულობები; 2. სახელმწიფო, მისი კონსტიტუციური წყობილება, სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა; 3. პიროვნება, მისი უფლებები და თავისუფლებები.

თანამედროვე ეტაპზე საქართველოს ეროვნული უშიშროების ერთიანი სისტემაში მოიაზრება მრავალი კომპონენტი: პოლიტიკური უშიშროება (შიდასახელმწიფოებრივ-პოლიტიკური უშიშროება, საგარეო-პოლიტიკური უშიშროება); ეკონომიკური უშიშროება (საფინანსო-საბიუჯეტო უშიშროება, სასურსათო უშიშროება და სხვ.); ენერგეტიკული უშიშროება; სამხედრო-თავდაცვითი უშიშროება; საინფორმაციო უშიშროება; საზოგადოებრივი უშიშროება; ეკოლოგიური უშიშროება; საგანმანათლებლო და სამეცნიერო-ტექნიკური უშიშროება, სოციალური უშიშროება; ადამიანის უფლებათა დაცვის და მოქალაქეთა პირადი უშიშროება; ჯანდაცვის უშიშროება; გენეტიკური უშიშროება; დემოგრაფიული უშიშროება და სხვ. ცხადია, ეროვნული უშიშროების შემადგენელი კომპონენტებიდან, რომელიმეს პრიორიტეტულობას განსაზღვრავს მოცემულ მომენტში ქვეყნის განვითარების სპეციფიკა, სახელმწიფოს მიზნები, არსებული საფრთხეები და წარმოქმნილი ან მოსალოდნელი მუქარები. სანიმუშოდ თუნდაც ასეთი ფაქტიც კმარა: 1996-2003 წლებში ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომებზე სერიოზულად იხილავდნენ, მაგალითად, სამხედრო-თავდაცვითი უშიშროების საკითხებს, იღებდნენ გადაწყვეტილებებს, რომელთა შესრულება შეუძლებელი იყო, რადგანაც ქვეყნის ბიუჯეტის შევსება იმ პერიოდში ვერ ხერხდებოდა. ქვეყნის განვითარების იმ ეტაპისთვის ეროვნული უშიშროების საბჭოსთვის არსიპრიორიტეტული უნდა გამხდარიყო საფინანსო-საბიუჯეტო უშიშროების უზრუნველყოფა, რადგანაც ეროვნული უშიშროების ინტერესების დანარჩენ სფეროებში უშიშროების უზრუნველყოფის მიღწევა ფინანსებზეა დამოკიდებული. როდესაც ქვეყნის ხაზინა ცარიელია, რომელ ეროვნულ უშიშროებაზე შეიძლება ლაპარაკი? ამ დროს, ეკონომიკური უშიშროების პრობლემებს საერთოდ არ ეხებოდნენ ეუს აპარატში.

ეროვნული უშიშროების ამ ცალკეულ მიმართულებათა ერთიან სისტემაში ინტეგრირებისათვის საჭიროა ყველა მისი შემადგენელი ნაწილის საერთო კონცეფტუალურ საფუძველზე გააზრება და ერთიანი სტრუქტურული ფორმით წარმოდგენა, ყველა მიმართულებით მართვის მექანიზმების განსაზღვრა, სისტემის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის დამუშავება და მართვის ინსტიტუციური უზრუნველყოფა.

ამგვარმა პრაგმატულმა ორიენტაციამ უნდა განაპირობოს ყოველი მისი შემადგენელი ნაწილის სტრუქტურა, რომელშიც აისახება შესაბამისი პრობლემური სფეროს ორგანიზაციის რაციონალური საფუძვლები და ძირითადი შემადგენელი ნაწილები: 1. ანსახილველი კონკრეტული სფეროს განვითარების ძირითადი სტრატეგიული ორიენტირები; 2. ძირითადი საფრთხეები, რომლებიც ამ სტრატეგიის განხორციელებას შეიძლება დაემუქროს; 3. ინდიკატორთა სისტემა, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი იქნება შესაბამისი საფრთხეების იდენტიფიკაცია; 4. ეროვნული უშიშროების სისტემის შექმნისათვის ხელისუფლების უახლოესი მოქმედების მიზნების განსაზღვრა; 5. ეროვნული უშიშროების მართვის სისტემის ინსტიტუციური მოწყობა: ა) ეროვნული უშიშროების სისტემის მართვის პოლიტიკის ფორმირება, რაც გულისხმობს სტრატეგიის ყოველ კონკრეტულ ხიფათთან დაკავშირებით პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებისა და მისი განხორციელების მექანიზმების, აგრეთვე ამგვარი გადაწყვეტილებათა მიღებისათვის საჭირო ყველა სახის რესურსის (ინფორმაციული, ინტელექტუალური, მატერიალური და სხვ.) განსაზღვრას; ბ) მართვის ორგანიზაციული სისტემის ჩამოყალიბება; იმ სახელმწიფო (არასახელმწიფო) ინსტიტუტების განსაზღვრა, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ კონკრეტული სფეროს უშიშროება; უშიშროების კონკრეტულ სისტემაში პასუხისმგებელი ინსტიტუტების დადგენა; ექსტრემალურ სიტუაციებში მოქმედების პროგრამის დამუშავება და სხვ.

რა უნდა გაკეთდეს?

პირველი, ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატში სტრუქტურული ქვედანყოფები (დეპარტამენტები და სხვ.) უნდა შეიქმნას ეროვნული უშიშროების პრიორიტეტული ამოცანების შესაბამისად;

მეორე, მათი დაკომპლექტება უნდა მოხდეს მკაცრად შერჩეული და შემოწმებული შესაბამისი სფეროს უმაღლესი კვალიფიკაციის მეცნიერ-ექსპერტებითა და ანალიტიკოსებით (ამ დაწესებულების სპეციფიკა კადრების შერჩევაში უდიდეს ყურადღებას მოითხოვს, რათა მისი დაკომპლექტება მოხდეს იმ პროფესიონალებით, ვისაც გაცნობიერებული აქვთ ქვეყნის ყველაზე საპატიო, ავტორიტეტულ და შეუბღალავ სამსახურში ყოფნის პასუხისმგებლობა და არა იმ ადამიანებით, რომლებმაც არ იციან რას ნიშნავს ქვეყნისთვის ეროვნული უშიშროების საბჭო, მის აპარატში სამსახური და მზად არ არიან განუზომლად შრომატევადი უზარმაზარ ანალიტიკურ ინფორმაციულ ნაკადში "ტვინის ჭყლეტისათვის");

მესამე, ეროვნულ უშიშროებასთან დაკავშირებული საინფორმაციო ბანკის შექმნა (საგანგებო, რეგლამენტური, ანალიტიკური და საცნობარო ინფორმაციის მიღება,

დამუშავება, დაცვა, მონაცემთა ბაზებში გადასაწვევტი ამოცანების მიხედვით განთავსება). ცხადია, ამგვარი ინფორმაციული უზრუნველყოფის გარეშე, ლაპარაკი ზედმეტია რაიმე სერიოზულ ანალიტიკურ საქმიანობაზე;

მეოთხე, აპარატის სტრუქტურულმა ქვედანყოფებმა (დეპარტამენტებმა და სხვ.) ეროვნული უშიშროების შესაბამის (საკურაციო) სფეროში უნდა წარმართონ პროცესების მუდმივი, უწყვეტი მონიტორინგი და მათი ანალიზი; გამოაეღინონ საფრთხეები, გამოწვევები, მუქარები და დაადგინონ მათი ცვლილება-განვითარების ტენდენციები; გააკეთონ პროცესების პროგნოზი, სიტუაციების მოდელირება და ეროვნული უშიშროების მოცემულ სფეროში მოამზადონ შესაბამისი წინმსწრები გადაწყვეტილებების ვარიანტები ქვეყნის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ ეროვნული უშიშროების პოლიტიკის (სტრატეგიული და ტაქტიკური ამოცანების) შემუშავებისა და გადაწყვეტილებათა ოპერატიული მიღების უზრუნველყოფისათვის;

მეხუთე, ცხადია, აპარატში განსაკუთრებული როლი უნდა ითამაშოს ექსპერტ-ანალიტიკოსთა იმ ჯგუფმა, რომელიც ეუს-ს აპარატის ქვედანყოფების მიერ კურირებად სფეროებში მომზადებული ანალიზის შედეგების მიხედვით აკეთებს ქვეყანაში ეროვნული უშიშროების მდგომარეობის საერთო ანალიზს, პროგნოზს, მოდელირებას და, შესაბამისად, ამზადებს ხელისუფლების მიერ ეროვნული უშიშროების უზრუნველსაყოფად მისაღებ გადაწყვეტილებათა რამდენიმე ვარიანტს, რაც შემდეგ ყოველდღიურად მიეწოდება ადვილად აღსაქმელი და ლაკონური ფორმით მიმდინარე პრობლემებით დატვირთულ საქართველოს პრეზიდენტს (მაგალითად, აშშ-ში ასეთი დოკუმენტი ორ გვერდს არ აღემატება). ეს არის ძალიან მარტივად გადმოცემული ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის ფუნქციური ანატომია.

რა თქმა უნდა, ეუს აპარატის ამ ყაიდაზე გარდაქმნა არ არის ადვილი საქმე. მისი განხორცილება მრავალწლიან მიზანმიმართულ სისტემურ და კომპლექსურ მუშაობას მოითხოვს, ცხადია, პრობლემა მრავალია, მაგალითად, განსაკუთრებით კადრებისა და მათი მომზადების საკითხი. ამ ეტაპზე სანთლით საძებარია სათანადო მეთოდოლოგიით აღჭურვილი მაღალკვალიფიციური ექსპერტ-ანალიტიკოსები, რომლებითაც უნდა დაკომპლექტდეს ეუს-ს აპარატის სტრუქტურული ქვედანყოფები. არანაკლები პრობლემაა, ბოლო ორასი წლის მანძილზე ჩამოყალიბებული სხვის სახელმწიფოში ცხოვრების მენტალიტეტი, ჯერ კიდევ, ბოლომდე დაუძლეველი არასახელმწიფოებრივი აზროვნება. ეუს-ს აპარატის სპეციფიკის შესაბამისი სამუშაო რეჟიმის დანერგვის ცდა ხომ ყოველთვის წარუმატებლად მთავრდებოდა. „ზედმეტ შრომას“ ბევრი ვერ ეგუება და სხვ. მაგრამ თუ სახელმწიფო გვინდა, გასაკეთებელი უნდა გაკეთდეს აუცილებლად. ძალიან კარგია და აუცილებელიც, რომ ამ ეტაპზე დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის გადარჩენის გარანტიების მოპოვების იმედი ამერიკის შეერთებულ შტატებში, აგრეთვე ევროატლანტიკურ ალიანსსა და ევროსტრუქტურებში გვაქვს, სხვა გამოსავალი არც გვაქვს. მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ პოლიტიკური

ისტორიები მოულოდნელობებით არის აღსავსე, ზოგჯერ პოლიტიკური მოვლენები სრულიად არაპროგნოზირებადი ხდება და კარდინალურად იცვლება გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული რეალობები. ამისთვისაც უნდა ვიყოთ მზად. ამიტომ, ჩვენს გასაკეთებელ საქმეს ჩვენი მცდელობა არ უნდა მოაკლდეს.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარნოვი ა. საინფორმაციო უზრუნველყოფის ცნება და ანალიზის და პროგნოზირების საკითხები. // სტრატეგიული კვლევები. № 1. 1999. გვ. 35; კუპრაშვილი ჰ., ოდიშარია კ., „ეროვნული უშიშროების საინფორმაციო-ანალიტიკური უზრუნველყოფის ავტომატიზებული სისტემა (რამდენიმე ასპექტი)“. მართვის ავტომატიზებული სისტემები, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები. №1 (10), 2011, გვ. 229-233; კუპრაშვილი ჰ. ინფორმაციის ცნების გნოსეოლოგიური ასპექტები. პოლიტოლოგიის საკითხები. რედ. პროფ. ა. ტუკვაძე. ნაწილი 3, გამომც. „საზოგადოება ცოდნა“, თბ., 2000. გვ. 32-40; ჩოგვაძე გ. ინფორმაცია: ინფორმაცია, საზოგადოება, ადამიანი. თბ., გამომც. „ნეოსტუდია“, 2003; ჩოგვაძე გ. როდესაც წარსულს ვიხსენებ და მომავალზე ვოცნებობ. ა-რთვის ავტომატიზებული სისტემები, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები. №1 (10), 2011, გვ. 15-21.; Alan Liu (2004). *The Laws of Cool: Knowledge Work and the Culture of Information*, [University of Chicago Press](#); Allo Patrick, (ed.). *Putting Information First: Luciano Floridi and the Philosophy of Information*. special issue of *Metaphilosophy*, Volume 41, # 3, April 2010, pages 247–254; Bekenstein, Jacob D. (2003, August). Information in the [holographic universe](#). *Scientific American*; [Gleick, James](#) (2011). [The Information: A History, a Theory, a Flood](#). Pantheon, New York, NY; Kuprashvili H. National Security of Georgia and some Aspects of its Informational-Analytical Securing. *Materials of the 3<sup>rd</sup> International Silk Road Symposium*. The Black Sea Region Countries and Prospective Relationships with the European Union. 27-29 October, 2006. Tbilisi; Kuprashvili H. Sharashenidze T. 2005. Political Aspects of the Formation of the National Information System in Post-Communist Georgia. *Politics, ethics, and the challenges to democracy in 'new independent states'*, Council for Research in Values and Philosophy. Cultural Heritage and Contemporary Change Series IVA, Eastern and Central Europe, Volume 29. General Editor George F. McLean. Washington. P. 133-141. ISBN-13: 978-1-56518-224-0 (pbk.); Luciano Floridi. 2010. Information: A Very Short Introduction. Oxford. Oxford University Press. 152 pages. 978-0-19-955137-8 <http://ukcatalogue.oup.com/product/9780199551378.do?keyword=floridi&sortby=bestMatches#>; Luciano Floridi. 2011, *The Philosophy of Information*, Oxford; Oxford University Press; Semantic Conceptions of Information. 2011. Shu-Kun Lin (2008). 'Gibbs Paradox and the Concepts of Information, Symmetry, Similarity and Their Relationship', *Entropy*, 10 (1), 1-5. Available online at [Entropy journal website](#); The Stanford Encyclopedia of Philosophy. <http://plato.stanford.edu/entries/information-semantic/>; Toffler, Alvin. 1970. Future Shock. New York: Random House, ISBN 0-394-42586-3; Toffler, A. The Third Wave. Publisher: Bantam Books (USA), 1980, ISBN 0-517-32719-8; Toffler Alvin, Toffler Heidi. (2006) Revolutionary Wealth. Knopf ISBN 0-375-40174-1; Wiener Norbert. 1948. Cybernetics: Or

- Control and Communication in the Animal and the Machine. Paris, (Hermann & Cie) & Camb. Mass. (MIT Press) ISBN 9780262730099; 2nd revised ed. 1961 და სხვ.
2. ჩოგოვაძე გ. ინფორმაცია: ინფორმაცია, საზოგადოება, ადამიანი. თბ., გამომცემელი "ნეოსტუდია", 2003, გვ. 44-46.
  3. Castells, Manuel (1996, second edition, 2000). The Rise of the Network Society, The Information Age: Economy, Society and Culture Vol. I. Cambridge, MA; Oxford, UK: Blackwell. ISBN 978-0631221401; Castells, Manuel (1997, second edition, 2004). The Power of Identity, The Information Age: Economy, Society and Culture Vol. II. Cambridge, MA; Oxford, UK: Blackwell. ISBN 978-1405107136; Castells, Manuel (1998, second edition, 2000). End of Millennium, The Information Age: Economy, Society and Culture Vol. III. Cambridge, MA; Oxford, UK: Blackwell. ISBN 978-0631221395.
  4. [http://socium.ge/index.php?option=com\\_content&view=category&layout=blog&id=54&Itemid=114](http://socium.ge/index.php?option=com_content&view=category&layout=blog&id=54&Itemid=114)
  5. Fritz Machlup (1962) The Production and Distribution of Knowledge in the United States. Princeton: Princeton University Press.
  6. Umesao Tadao. Joho sangyo ron (Information Industry Theory: Dawn of the Coming Era of the Ectodermal Industry. – Tokyo, 1963.
  7. Masuda Y. The Information Society as Post-Industrial Society. Wash., 1981
  8. <http://news.boom.ge/geo/12/20111223/1521646/>
  9. Луман Н. Глоссарий // Социологический журнал. 1995. № 3. С. 127.
  10. Соловьев А.И., Политическая коммуникация: к проблеме теоретической идентификации. - *ПОЛИС*. № 3. 2002.
  11. იხილეთ, <http://www.ghn.ge/print-54663.html>
  12. იხილეთ, <http://www.tbilisi.gov.ge>
  13. Эшби У.Р. Введение в кибернетику. М.: Изд-во иностранная лит., 1959. С.294.
  14. Братко А.А., Кочергин А.Н. Информация и психика. Новосибирск: Наука, 1997.
  15. Юрьев А.И., Введение в политическую психологию. СПб. 1992. С.46.
  16. დოდაშვილი ს. წერილი ტფილისიდან პეტერბურგს ამისადმი. ჟურნ. "სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი", 1832, №2, გვ. 47.
  17. ჭავჭავაძე ალ. თხზულებანი, 1940, გვ.243.
  18. იხ., ჯორჯაძე ა. წერილები. თბ., "მერანი", 1989. გვ.63-64.
  19. ჭავჭავაძე ი. თხზ., ტ.1, 1984, გვ. 805.
  20. ჭავჭავაძე ი. თხზ., ტ.2, 1941, გვ. 498.
  21. იხილეთ, კუპრაშვილი ჰ. ეროვნული უშიშროება: პრობლემური სიტუაცია და კრიტიკურიუმები (საქართველოს ეროვნული უშიშროების კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტები). - პოლიტოლოგია. რეკომენდებულია სახელმძღვანელოდ სტუდენტებისათვის. /პროფ. ო. გოგიაშვილის რედაქციით.- თბ.: თსუ გამომცემლობა. 2004. თავი X, გვ. 328-351; კუპრაშვილი ჰ. ეროვნული უშიშროების ცნების შინაარსი, პრობლემური სიტუაციის დახასიათება. საისტორიო ვერტიკალები. № 6, 2004. გვ. 51-60; უპრაშვილი ჰ. ენის გენოციდი?! გაზ. "ხვალინდელი დღე". № 200. 2004 წლის 19 ოქტომბერი; კუპრა-

- შვილი ჰ. იყო ორი, გახდა ერთი! გაზ. "სამხედრო - 24 საათი". № 20. 2004 წლის 11-17 ოქტომბერი; კუპრაშვილი ჰ. "მეფემ არ იცის თორემ..." გაზ. "24 საათი". № 142. 2004 წლის 17 ივნისი; კუპრაშვილი ჰ. ეროვნული უშიშროება თუ ეროვნული უსაფრთხოება? გაზ. "რეზონანსი". № 132. 2004 წლის 19 მაისი; კუპრაშვილი ჰ. საქართველოს ინფორმაციული უშიშროების უზრუნველყოფის რამდენიმე ასპექტი. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი აკად. ივერი ფრანგიშვილის დაბადების 80 წლისთავისადმი "საინფორმაციო და კომპიუტერული ტექნოლოგიები, მოდელირება, მართვა", მოხსენებათა თეზისები. თბილისი, 2010. გვ. 122-123; კუპრაშვილი ჰ. ეროვნული უშიშროება (security) თუ ეროვნული უსაფრთხოება (safety)? ახალი ამბების სააგენტო "ჯი-ეიხ-ენი" , 19:56 – 19.02.11 <http://www.ghn.ge/news-35066.html>; კუპრაშვილი ჰ. „ტერმინები უშიშროება (security) და უსაფრთხოება (safety) და მათი გამოყენების საკითხი“. საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია „მართვის ავტომატიზებული სისტემები და თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები“. თბილისი. 2011 წლის 20-22 მაისი; კუპრაშვილი ჰ. „ტერმინები უშიშროება (security) და უსაფრთხოება (safety) და მათი გამოყენების ზოგიერთი ასპექტი“. სამეცნიერო-სალიტერატურო ჟურნალი „პარალელი“. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. თბ., №2, 2011, გვ.154-157.
22. Wolfers A. Discord and Collaboration. Essay of International Politics. Foreword by Reinhold Niebuhr; Baltimore: The Johns Hopkins Press, 1962.
  23. Арин О. А. Национальная безопасность: методологические и терминологические аспекты. В: Политическая культура. Научные труды МНЭПУ. Серия Политология. Выпуск 6. Москва, 1999. — 224 с.
  24. Andre M. DiMino, An In-Depth Look at the Georgia-Russia Cyber Conflict of 2008, [http://www.shadowserver.org/wiki/uploads/Shadowserver/BTF8\\_RU\\_GE\\_DDOS.pdf](http://www.shadowserver.org/wiki/uploads/Shadowserver/BTF8_RU_GE_DDOS.pdf)
  25. Masuda J. The information society as past-industrial society. –W. –1981; Toffler A. Powershift: Knowledge, Wealth and Violence at the Edge of the 21<sup>st</sup> Century. N.Y., 1990. P. 114 da svx.
  26. Robert O. Keohane, Joseph S. Nye. Power and Interdependence: World Politics in Transition. Boston: Little Brown and Company, 1977; 3d edition with additional material, New York: Longman, 2000.
  27. იხილეთ, Czerwinski T.J. The Third Wave: what the Tofflers never Told You // Publisher: National Defense University, Institute for National Strategic Studies. Strategic Forum, N72. April 1996.
  28. Molander, Roger C., Andrew S. Riddile, and Peter A. Wilson, *Strategic Information Warfare: A New Face of War*, Santa Monica, Calif.: RAND, MR-661-OSD, 1996.
  29. McLuhan M., Fiore Q. War and Peace in the Global Village. — N.Y.: Bantam, 1968.
  30. Toffler A. Powershift: Knowledge, Wealth and Violence at the Edge of the 21<sup>st</sup> Century. N.Y., 1990.
  31. Thomas P. Rona. “Weapon Systems and Information War”, Boeing Aerospace Co.,Seattle, WA, 1976.
  32. Molander, Roger C., Andrew S. Riddile, and Peter A. Wilson, *Strategic Information Warfare: A New Face of War*, Santa Monica, Calif.: RAND, MR-661-OSD, 1996.
  33. ჭოჭუა ი. საინფორმაციო ომი ბირთვულ ომზე საშიში ხდება. [http://navigator.biometrics.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=12&info\\_id=6282](http://navigator.biometrics.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=12&info_id=6282)
  34. იხ., გაზ. „მერიდიანი 44“. № 127. 2000 წლის 29.11-6.12.
  35. იხ., გაზ. „მერიდიანი 44“. № 127. 2000 წლის 29.11-6.12.

36. <http://www.aisiforce.org/forum/viewtopic.php?f=12&t=653>
37. გვარამია გ. ინფორმაციული ომის ახალი ეტაპი. [http://expertclub.ge/portal/cnid\\_5261/alias\\_Expertclub/lang\\_ka-GE/tabid\\_2546/default.aspx](http://expertclub.ge/portal/cnid_5261/alias_Expertclub/lang_ka-GE/tabid_2546/default.aspx)
38. იხილეთ, Concept for Information Operations. TRADOC Pamphlet 525-69. 1 August 1995. <http://webcache.googleusercontent.com/search?q=cache:4bLFgamtjcgJ:nastrussia.ru/phpBB2/viewtopic.php%3Ff%3D45%26t%3D1688+Czerwinski+T.J.+The+Third+Wave:+what+the+Tofflers+never+To+Id+You&cd=2&hl=ka&ct=clnk&client=opera>
39. ჭოჭუა ი. საინფორმაციო ომი ბირთვულ ომზე საშიში ხდება. [http://navigator.biometrics.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=12&info\\_id=6282](http://navigator.biometrics.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=12&info_id=6282)
40. ჭოჭუა ი. კიბერ ომი და ქართული რეალობა. [http://navigator.biometrics.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=14&info\\_id=7147](http://navigator.biometrics.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=14&info_id=7147)
41. იხილეთ, <http://issac.ge>
42. იხილეთ, [http://navigator.biometrics.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=14&info\\_id=7147](http://navigator.biometrics.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=14&info_id=7147)
43. იხილეთ, <http://www.grena.ge/>
44. იხილეთ, Lindblom Ch. The Policy Making Process. Englewood cliffs, 2002; Клементевич Т. Процесс принятия политических решений // Элементы теории политики / Под ред. Макаренко В.П. Ростов-на-Дону. 2002; С. 388-389; Р.Лоутон А., Роуз Э. Организация и управление в государственных учреждениях. М., 1999. С.12; Денкэн Ж.-М. Политическая наука. М., 1993. С.25.
45. Lindblom Ch. The Policy Making Process. Englewood cliffs, 2002. P. 118.
46. Качанов Ю.Л. Политическая топология: структурирование политической действительности. М., 1995.
47. Иванов.Е.В. Системно-аналитические аспекты информационной политики. Журнал «Проблемы общественного развития». № 3-4, 1998, с.19.
48. კვაშილავა გ. ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ზოგიერთი ასპექტი. /საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი // ბიულეტენი. # 59, 2001.
49. <http://www.computer.org.ge/Geo/index.htm>
50. საინფორმაციო სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენი", თბილისი, 06.12.2011, <http://www.ghn.ge/news-55940.html>
51. [http://navigator.biometrics.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=27&info\\_id=7757](http://navigator.biometrics.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=27&info_id=7757)
52. მცაცანაშვილი. ინფორმაციული საზოგადოება და ინფორმაციის სამართლებრივი რეგულირება. ტექნიფორმი. თბ., 1999. გვ. 6.
53. ჭავჭავანიძე ვ., მეცნიერულ-ინფორმაციული ანალიზისა და პროგნოზირების პრობლემათა შესახებ // მეცნიერება და ტექნოლოგიები. № 1-3. 2001. გვ. 13.
54. Яковлев И.Г., Информационно-аналитические технологии и политическое консультирование.//ПОЛИС/ № 2-3. 1999, с. 181.
55. ბარნოვი ა., საინფორმაციო უზრუნველყოფის ცნება და ანალიზისა და პროგნოზირების პრობლემები. // სტრატეგიული კვლევები. კრებული № 1, 1999. გვ.38.

56. საქართველოს ეროვნული უშიშროების კონცეფცია. დამტკიცებულია 2011 წლის 23 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე სესიის სხდომაზე.
57. კუპრაშვილი ჰ. ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი ასპექტი. გაზ. "24 საათი". № 254. 2004 წლის 26 ოქტომბერი.
58. გახოკიძე ჯ. ეროვნული უსაფრთხოების ძირითადი პრობლემები. თბ., "ტექნიკური უნივერსიტეტი", 2007. – 210 გვ. ISBN 978-9941-14-017-4
59. შონია ო., ოდიშარია კ., ცომაია ნ. საქართველოს ბიზნესის ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემების კვლევა // საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი: შრომები. მართვის ავტომატიზებული სისტემები. - თბილისი, 2009. ISSN: 1512-3979. - N2(7). გვ.142-146.
60. შონია ო., სუპატაშვილი მ. სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სისტემა // საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი: შრომები. მართვის ავტომატიზებული სისტემები. - თბილისი, 2009. ISSN: 1512-3979. - N2(7). გვ. 146-150.
61. შონია ო., უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემის სისტემური მიდგომის საკითხი // საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი: შრომები. მართვის ავტომატიზებული სისტემები. - თბილისი, 2009. ISSN: 1512-3979. - N2(7). გვ.193-196.
62. შონია ო., ჯაგოდნიშვილი თ., ოდიშარია კ. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და მასკომუნიკაცია სახელმწიფო მართვაში ინფორმაციული ტექნოლოგიების პირობებში. მართვის ავტომატიზებული სისტემები, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები. №1 (10), 2011, გვ. 40-44.
63. ჯაგოდნიშვილი თ. შონია ო. ინფორმაციული უსაფრთხოების პრობლემები. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები, მართვის ავტომატიზებული სისტემები. №1 (8), 2010.
64. კუპრაშვილი ჰ., ოდიშარია კ., შარაშენიძე თ. საინფორმაციო ანალიზირება და პროგნოზირება მართვის პროცესში. - კავკასიის მაცნე. №4, 2001. გვ. 15-16.
65. კუპრაშვილი ჰ., შარაშენიძე თ. საინფორმაციო პოლიტიკის სტრუქტურული ასპექტები პოლიტიკური მოდერნიზაციის პროცესში. პოლიტიკური ტექნოლოგიები. რედ. პროფ. ა. მაცაბერიძე საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, პოლიტოლოგიის ინსტიტუტი. №2 2001. გვ. 18-31.
66. შონია ო. სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის გადაწყვეტილებათა მიღების მხარდამჭერი ავტომატიზებული სისტემა. გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბ., 2004. ISBN 99940-35-30-4
67. მსოფლიოში 2,1 მილიარდი ინტერნეტმომხმარებელია. 20.01.2012. ს/ს "ჯი-ეიჩ-ენი" <http://www.ghn.ge/news-58567.html>
68. სოციალური ქსელებიდან 2011 წელს ყველაზე პოპულარული Facebook-ი იყო. 24.01.12 "ჯი-ეიჩ-ენი". <http://www.ghn.ge/news-58739.html>
69. ჩვენც ძირითადად მანუელ კასტელსის კონცეპტუალურ დებულებებს ვეყრდნობით, რისთვისაც გარკვეულწილად ვისარგებლეთ წყაროთი: "ინფორმაციული საზოგადოება



- და მედიის სოციოლოგია” <http://socium.ge/downloads/informaciuli%20sazogadoeba%20da%20mediis%20sociologia.pdf>
70. Tidd J. From strategic management to strategic competence: Measuring technological, Market and Organization Innovation (2<sup>nd</sup> Edition). — Imperial College Press: London, 2006. — 437 p.; Parlbby D. Knowledge Management Research Report 2000 KPMG Consulting: <http://www.kpmg.co.uk/>; Gallagher S., Hazlett S. Using The Knowledge Management Maturity Model (KM3) As An Evaluation Tool. Режим доступа: <http://bprc.warwick.ac.uk/km028.pdf> და სხვ.
71. Ikujiro Nonaka, Ryoko Toyama, Noboru Konno. SECI, Ba and Leadership: a Uni@ed Model of Dynamic Knowledge Creation. Despite. Elsevier Science Ltd. All rights reserved. 2000. <http://www.ai.wu.ac.at/~kaiser/literatur/nonaka-seci-ba-leadership.pdf>
72. [http://webcache.googleusercontent.com/search?q=cache:Cne0r5uf65QJ:www.12manage.com/methods\\_nonaka\\_seci\\_ru.html+&cd=6&hl=ru&ct=clnk&client=firefox](http://webcache.googleusercontent.com/search?q=cache:Cne0r5uf65QJ:www.12manage.com/methods_nonaka_seci_ru.html+&cd=6&hl=ru&ct=clnk&client=firefox)
73. <http://ru.wikipedia.org/wiki/DIKW>
74. <http://www.spreadingscience.com/our-approach/diffusion-of-innovations-in-a-community/1-the-dikw-model-of-innovation/>

**ჰენრი კუპრაშვილი - ისტორიკოსი, ჟურნალისტი, პოლიტოლოგი. პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი. გადამდგარი პირველი კლასის სახელმწიფო მრჩეველი. ვიცე-პოლკოვნიკი. ომის ვეტერანი. მოცურავე...**



არის ავტორი 80-მდე სამეცნიერო შრომის, პრესაში გამოქვეყნებული 400-ზე მეტი სტატიის, ინტერვიუსა და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე გაკეთებული 42 მოხსენებისა.

დაცული **დისერტაციები**: საკანდიდატო – “საქართველოს გეოპოლიტიკური სტატუსი და პრიორიტეტები საგარეო პოლიტიკაში” (1999) და სადოქტორო - «საინფორმაციო პოლიტიკა პოლიტიკური მოდერნიზაციის პროცესში» (2003).

მიღებული **სერთიფიკატები**: ჯორჯ მარშალის უშიშროების შემსწავლელი ევროპული ცენტრის უმაღლესი სახელისუფლო კურსი (CISS Class: 00-2, 2000); საქართველოს ეკონომიკური უშიშროების პოლიტიკის ფორმირება (უშიშროების მოდელირების სინთეზური გარემო) - აშშ-ს ევროპის შტაბისა და თავდაცვის ანალიზის ინსტიტუტი (2000) და სხვ.

**სამსახურებრივი კარიერა**: 1968 წლიდან, **საქ. პოლიტექნიკური ინსტიტუტის** (საქ. ტექ. უნივერსიტეტი) პრეპარატორი, ლაბორანტი, მასწავლებელი, დოცენტი, პროფესორი, გაერთიანებული პროფკომის თავმჯდომარის მოადგ., ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის სრული პროფესორი. სხვადასხვა დროს ეკავა თანამდებობები: **საქართველოს სახალხო ფრონტში** - სააღრიცხვო განყოფილების ხელმძღვანელი (1989-1992); **მინისტრთა კაბინეტში** - ცხინვალის რეგიონის პრობლემათა სპეციალური სამთავრობო კომისიის პასუხისმგებელი მდივანი (1992); **საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის აპარატში** - მთავარი სახელმწიფო მრჩეველი, სახელმწიფოს მეთაურის დავალებების კონტროლისა და ცენტრალურ მმართველობით ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი (1992-1996); **საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოში** - საინფორმაციო-ანალიტიკური სამსახურის უფროსი (1996-2003), უშიშროების მიმდინარე მდგომარეობის მონიტორინგის, ანალიზისა და ინფორმაციის დეპარტამენტის დირექტორი (2003), ინფორმაციის ანალიზის განყოფილების უფროსი (2004); **სახელისუფლებო სპეციალური კავშირებისა და ინფორმაციის სააგენტოში** - სიტუაციური ცენტრის კოორდინაციის განყოფილების უფროსი (2005-2008), შიდა უსაფრთხოების ინსპექტორი (2008-2010) და სხვ.

იგი საქართველოს სახელმწიფოს წარმომადგენელი იყო დსთ-ს წევრი სახელმწიფოების ინფორმაციზაციის საკორდინაციო საბჭოში (1996-2001).

1997 წ-ს იყო საერთაშორისო სემინარის «რეფორმების კოორდინირება საჯარო სექტორში: საქმიანობის გაუმჯობესება და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა» კოორდინატორი საქართველოს მხრიდან (მიღებული აქვს მადლობის წერილი მსოფლიო ბანკის ვაშინგტონის ოფისიდან).

მისი ხელმძღვანელობით საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატში შეიქმნა სტრატეგიული ანალიზისა და მოდელირების ინფორმაციული უზრუნველყოფის ავტომატიზებული სისტემა «დიდგორი»; პოლიტიკური პროცესების პოლიტომეტრიკული მეთოდით ანალიზის კომპიუტერული პროგრამა «აისი» და სხვ.

იგი არის: 1973 წელს შექმნილი «წმინდა დავით აღმაშენებლის ჩოხოსანთა კავშირის – ჩოხოსნები-1973»-ისა და 1990 წელს შექმნილი საქართველოს ზღვისპირეთის დამცველთა ასოციაცია «აიეტის» დამაარსებელი და თავმჯდომარე; საქართველოს ცურვის ეროვნულ სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტი; ჟურნალისტთა ფედერაციისა და სპორტსაზოგადოება „დინამოს“ წევრი.

მსოფლიო მასმედიის მიერ მისთვის შერქმეული თიკუნები: ადამიანი დელფინი (ტ/კ სი-ენ-ენი 17-02.01, 05.11.02), დარდანელის გმირი, წყლის პრომეთე და სხვ., მიიღო მას შემდეგ, რაც მსოფლიოში პირველმა, ქართული სამხედრო-საწრთენელი წესით, ანუ ოთხგან ხელფესშეკრული კოლხურით 2002 წლის 30 აგვისტოს გადაცურა დარდანელის სრუტე ევროპიდან აზიაში - 12 კმ.

მან თავი გამოიჩინა, როგორც მწვრთნელმაც, მისმა მომზადებულმა S11 კატეგორიის მოცურავე ნიკა თვაურმა მსოფლიო ჩემპიონატზე (ქ. ალანია, თურქეთი, 04.04.2011) ბრასით სტილით ცურვაში მოიპოვა ბრინჯაოს მედალი, ხოლო 11 წლის ჯიმიკო ბროძელმა „ხელფესშეკრული კოლხურით“ (ცურვის სამხედრო-საწრთენელი სტილი) გადაცურა თბილისის ზღვა.

2003 წელს საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით მიენიჭა პირველი კლასის სახელმწიფო მრჩეველის საკლასო ჩინი. იყო გამარჯვებული გაზეთ «ახალი ეპოქის» ნომინაციაში, წლის ადამიანი - 2002. მიღებული აქვს: ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენი და მედალი «მხედრული მამაცობისათვის», ბაირონის საერთაშორისო საზოგადოების ბაირონის ოქროს მედალი.